


მნათობი

8

საბჭოებო



1948



შინაარსი

დავით ბაბრადი — გმირთა სისხლით, მეორე ნაწილი, გაგრძელება	83
ლ. ქსნოსი — ოსური ლექსები, თარგმანი კარლო კლაძისა	24
გიორგი ბულია — გაზაფხული საყენში, მოთხრობა, თარგმანი პეტრე ბახტუ- რიძისა	25
მიქელ პატარაძე — ოთხი ლექსი	59
სოლომონ თამაძე — მათის განთიადი, რომანი, გაგრძელება	63
გიორგი კახაზიძე — შთაშე, ლექსი	86
ოთარ მამფორია — რიონის სიმღერა, ლექსი	87
სამუელ მოქალაქეშვილი — სიმინდების სიმღერა	88
—	
მამთილე თაყაიშვილი — როდის შეიკვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სა- ხელმწიფოდ, წერილი	89
ვანო შადური — მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ^{ნოქსი} ბელაუნების შესახებ, წერილი	107
პ. რატიანი — ილია ჭავჭავაძე და „მესამე დასი“, წერილი	129
შალვა ალხაიშვილი — რუსული პოეზიის ანთოლოგია ქართულ ენაზე, წერილი	144
—	
პროფ. ს. დანელია — ლოგეის ზოგიერთი საკითხისათვის, ბიბლიოგრაფია	162
კლადიმეა ჯიბუში — „ერ. ასტეატუროვი — „შოთ მღვიმელი“, ბიბლიოგრაფია	166
ბ. ხუროძე — „პ. ლანდია — „სამეურნეო გამოანგარიშება და კალკულაცია“, ბიბლიო- გრაფია	169

მასუბისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშვილი, ნიკოლოზ აბიაშვილი (მასუბისმგებელი მდივანი), იოსებ ბრიშაშვილი, პავლე ინგოროვსკა, სერგო კლდია-
შვილი, ალიო მირცხულავა (ვაშაშვილი), გესარიონ ფლენტი,
ბალაქტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დამანა შენგელაია.

ბელმოწერილია დასაბუქდად 26/VIII-48 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10³/₄, შპ 11677.
შეკე. № 1007. ტირაჟი 6.000.

საქ. სსრ შინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამოცემლობის საქმეთა
სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

გმირთა სისხლით

★

მეორე ნაწილი *

I

ცხრაას ორმოცდასამი წლის გაზაფხული იყო. ბელორუსიაში ვიმყოფებოდით.

მაისის ეშხიანი დილა მზის სხივებმა ააფერადეს. ის იყო მთელი სამხედრო საკურველი და საომარი მასალა გადაეზიდეთ ხიდზე, როცა სოფელ ვიაჟიშჩეში დაბანაკებულმა მტერმა ხიდის მახლობელ სანაპიროებს სეტყეასავით დაუშინა ტყეა.

ხიდმა თავისი დანიშნულება შეასრულა. ახლა ის საჭირო აღარ იყო. ჩვენც ეს ვაი-ვაგლახით აგებული ხიდი ავაფეთქეთ და მისი ნაწილები წყალს გავატანეთ.

ვიაჟიშჩეს შემკული და თვალწარმტაცი მდებარეობა აქვს: ბალბოსტნებში ჩაფლული ლამაზი მორჩილი სოფელი პატარძალივით გამოიყურება. სოფელს ირგვლივ ხშირი ტყე აკრავს. ეს ტყე საუკეთესო საფარი იყო ჩვენთვის.

კოვბაკმა შეადგინა ვიაჟიშჩეზე შეტევის გეგმა: სოფლის მარცხენა ფლანგზე, აღმოსავლეთის მხრით, მეორე ბატალიონი (კულბაკის მეთაურობით) მიდიოდა, მარჯვენაზე კი — მესამე და მეექვსე ასეულები (კარბენკოსა და დეჰტიოვის მეთაურობით) უნდა წასულიყვნენ. ჩემს მეცხრე ასეულს მტრი-

სათვის პირდაპირ შუბლში უნდა დაერთყა, ხოლო ანისიმოვის ქვემეხები შეტევაზე გადასულ მებრძოლებს მარჯვე ცეცხლით უნდა დახმარებოდნენ.

ამოცანა სავსებით ნათელი და გარკვეული იყო. მეთაურები სამზადისს შევუდევით.

— ასეულო, მწკრივში განლაგდით, ზოხვით, თავაულებლად მომყევით, აი იმ სოფელში უნდა შევიჭრეთ, — მივუთითებ ვიაჟიშჩეზე — გაფრთხილებთ, ბრძანებამდე სროლა არ დაიწყეთ.

ტყვიის სისინ-ზუზუნში, დაოთხებებულნი, ფორთხვით შევედვიართ ტყეში: ვუცქერ და მესმის, თუ როგორ ტყაპა-ტყუბით ცვივიან ჩემს ირგვლივ ტყეები და მიწაში ერჭობიან.

— თავი დაბლა, თავი დაბლა! — წარა-მარა შეეძახი მებრძოლებს. — ხშირი ტყით იარეთ, განაკაფ ტყეს დაერიდეთ, გაშლილ სივრცეზე მარცხი აღვილია.

მტერს თითქმის ოცდაათ მეტრზე დაეუახლოვდით, მიწაზე გამოტილებს თავები ხეებზე გვაქვს მიბჯენილი. დელავენ პარტიზანები, ზელჩართულ ბრძოლაში ჩაბმის ბრძანებას ელიან; პოლიტბელ რაგულის მოთმინება აღარა ჰყოფნის, შფოთავს. უეცრად მან თავი წამოსწია, თითქმის წამოიშარა და ამ დროს მტრის ავტომატის მთელ-

* ვაგრძელება. „შნათობა“ № 7.

მა ჯერმა დაცხრილა. მოცელილივით დაეცა რაგულია მიწაზე. ეს სურათი რომ დავინახე, სული ყელში მომებჯინა; რაგულიას რომ ტყვია ესროლეს — თითქოს ჩემს გულს მოხვდა. მთელი ხმით ვიღრიალე, ზეზე წამოვხტი და ასეულს უკან მოყოლა ვუბრძანე.

უცებ განცვიფრებულმა შევამჩნიე, რომ ჩემს ბრძანებას მეომრები არ დაემორჩილნენ და ადგილიდან არ დაიძრნენ. ისინი ვაფითრებულები შემომცქეროდნენ, მეოჯრეჯერ უფრო მკაცრად გავიმეორე ბრძანება.

— ამხანაგო უფროსო, — ათრთოლებული ხმით წამოიძახა ოცეულის მეთაურმა ბოკარევმა და მუხლებზე წამოადგა, — ჩვენ მზადა ვართ თქვენი ბრძანება შევასრულოთ, მხოლოდ წინ ჩვენ გავვიშვით, თქვენ საით მიიწევთ... თქვენი სიკვდილი ხომ იგივე ჩვენი სიკვდილია!

ამ სიტყვების გავონებაზე ერთი წამით შევღეჭი, მერე კვლავ ბრძანების სიტყვები გავიმეორე.

— ვაშა! — ერთხმად შესძახეს პარტიზანებმა და სიტყვებით — „საშობლოსათვის, სტალინისათვის“ — მტერზე მიიჭრნენ. ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა; ვეფხვებივით ტრიალებდნენ ჩვენები. კიდეც ცოტა და ილაჯგატეხილმა მოწინააღმდეგემ პირი იბრუნა და მოკურცხლა...

ამ ბრძოლაში კვლავ თავი ისახელეს ჩვენმა არტილერიისტებმა, ისინი ზუსტად ჰკზავნიდნენ ყუმბარებს მტრის თავშესაფარში.

ვიაფიშჩენ ბრძოლაში მტერს ძალზე დიდი ზარალი ვაგვმეთ, ეს ვეებერთელა ტყე მტრის ჯარისკაცთა გვაშებით იყო მოფენილი, მაგრამ ვერც ჩვენ გადავრჩით უვნებლად. ექვსი რჩეული მეომარი მომიკლეს, მათ შორის შეუღარებელი მეტყვიამფრქვევე პრიზოლკო. აქვე დაიღუპა ოცეულის უფროსის მოადგილე კოკარევი. მეტყვიამფრქვე-

ვე ზინჩენკომ გააფთრებული ბრძოლის დროს ჩემი განკარგულფრთხილ მფრქვევეი ხეზე აიტანა და იქადა დაშინა სოფლის მალლობებზე მყოფ გერმანელებს. მტრის ვერაგულმა ტყვიამ ბრძოლის უკანასკნელ წუთებში ზინჩენკო ზიდან ჩამოაგდო.

რაგულიას სიკვდილი მეხივით თავზარდამცემი იყო ჩემთვის. მან, როგორც შეუღარებელმა მეგობარმა და ამხანაგმა, კეთილშობილმა და სპეტაკმა პიროვნებამ, ყველას და, პირველ რიგში ჩემი გული მოიგო და დაატყვევას მარჯვენა ხელი იყო ბრძოლებში, უმიმისოდ არსებობა ვერ წარმომედგინა, ზვეითაც ვთქვი — ომში შენაძენი მეგობარი ხომ ყველა მეგობარზე უძვირფასესია — მეთქი.

პარტიზანული ომის პირობებში ბრძოლაში უშუალო მონაწილეობა პოლიტხელისათვის მაინცდამაინც საველდებულო არ იყო. ბრძოლის წინ რაგულიას ვთხოვე დაჭრილებთან დარჩენილიყო, მაგრამ ჩემს წინადადებაზე მისთვის ჩვეული აღერსით მიპასუხა: არა, მეც თქვენთან უნდა ვიყო, ვინაშე ვაჭირვების დროს გამოვადგეთ, ერთ ქვას მტერს მეც ვესვრიო.

და აი წამოგვევა ბრძოლაში. მას სპარადოდ უყვარდა მუდამ ჩაცმა, მუდამ შერჩეულ ტანსაცმელს ატარებდა; ამანაც შეუწყო ხელი მის დაღუპვას. მტერმა მასში მეთაური შეიკნო და აქი კიდეც გამოიყვანა მწყობრიდან.

რაგულია, სხვა დაღუპულ ამხანაგებთან ერთად, სოფლის განაპირა მალლობებზე დავასაფლავეთ. ფიცი დავდეთ რაგულიას საფლავზე, რომ მეტი სისასტიკით და დაუნდობლობით ვიბრძოლებდით მტრის წინააღმდეგ, ძვირფასი მეგობრების სიკვდილს ერთი ათად და ასად ვაზღვევინებდით მტერს. მათ საფლავის წინ ერთხელ კიდეც ყველამ ერთად წარმოვთქვით პარტიზანულ

ფიცო. მე მინდა მკითხველი იცნობდეს ამ ფიცის ტექსტს. აი ისიც:

„მე, დიდი საბჭოთა კავშირის მოქალაქე, ფიცს ვდებ, რომ ხელიდან არ გავაგდებ იარაღს მანამდე, სანამ ჩვენს ქვეყანაში მყოფი უკანასკნელი ფაშისტური ქვეწარმავალი განადგურებული არ იქნება. მზად ვარ მუდამ მტკიცედ დავიცვა სამხედრო დისციპლინა, სიტყვა-შეუბრუნებლად შევასრულო უფროსების და მეთაურების განკარგულებანი.“

ფიცს ვდებ, რომ გადაბუგულ-განადგურებული სოფლებისათვის, ქალები-სა და ბავშვების წამებით დახოციისათვის, დაუზოგავად და სასტიკად ვიძიებ შურს გათავებულ მტერზე.

სისხლი სისხლის წილ და სიკვდილი სიკვდილის წილ!..

ვფიცავ, რომ წითელ არმიის წარმატებისათვის და კეთილდღეობისათვის არავითარ განსაცდელს არ დავერიდები: წვეთ-წვეთობით გავიღებ სისხლს და მთელ სიცოცხლეს შევწირავ ჩვენს ქვეყანას, მუსრს გავაეღებ ცოფიან პიტლერელ ძაღლებს.

ვფიცავ, რომ მტრისაგან სიკვდილს ვამჯობინებ, ვინემ ჩემს მიწაწყალს, ჩემს ხალხს მონად და გასაქლავად მივცემდე პირსისხლიან ფაშისტებს.

და თუ ვინცობაა ნებისყოფის სისუსტეს გამოვიჩინე და ლაჩრულად მოვიქცევი, ან ბოროტი განზრახვით დავარღვევ ფიცს და ხალხის ინტერესებს გავყიდი, დაე, მოგვედგ მაშინ ჩემივე ამხანაგების ხელით, სამარცხვინო სიკვდილით.“

ასეთი იყო ჩვენი ფიცო, რომელსაც წმინდად ვინახავდით და ვიცავდით.

ძმათა სასაფლაოზე აღვმართეთ ხის ძეგლი, სათანადო წარწერა გავუკეთეთ, მოსახლეობას ეთხოვეთ მოეცლოთ საფლავისათვის და თან იმაზეც ეზრუნათ, რომ მტერს არ შეემჩნია იგი და არ წაეხილწა.

ვიაჟიშჩეს ბრძოლის შემდეგ სვეაო ნადავლი დაგვრჩა. ჩემმა ძნეულმა ხელთ იგდო ოთხი დაზგის და სამი ზელის ტყვიამფრქვევი, ორი საპოლკო ნაღმტყორცნელი, ერთი ორმოცდახუთ-მილიმეტრიანი ქვემეხი, 35.000 ვაზნა და სხვა საომარი მასალა.

როგორც ეს ყველგან ხდებოდა, ვიაჟიშჩელებიც დიდი აღფრთოვანებით მოგვეგებენ და მტრის მიერ მიტოვებული სურსათ-სანოვაგით სავსე საწყობები ჩავგვაბარეს.

ფაშისტებმა გაქცევის წინ ვერ მოასწრეს ყველა მანქანის განადგურება. ხუთმეტრი დატოვებული მანქანიდან ექვსი სრულ წესრიგში იყო. გაქცეულ მტერს ამ მანქანებით დავედვენეთ, ნახევარ საათში დავეწიეთ და ოცამდე ვლასოველი და გერმანელი ჯარისკაცი ტყვედ ჩავვიდეთ. ვიაჟიშჩეს ბრძოლის დასასრულს არცერთი ურჩი მოწინააღმდეგე ცოცხალი არ გავვიშვია.

უცებ შტაბმა მოითხოვა — მოენე გერმანელი გამოგზავნეთო. ძლივს-ლა ვიპოვეთ დახოცრლთა შორის შემთხვევით გადარჩენილი დაქრილი გერმანელი და გავგზავნეთ შტაბში; ის გერმანელი რომ არა, უთხდარიგობისათვის უხერხულ მდგომარეობაში ჩავიყენებდით თავს.

ვიაჟიშჩეს აღების შემდეგ პირველი, ვინც ამ სოფელში მეთაურთაგან დაინახე, რუდნევი იყო.

კომისარი ილიმებოდა და ეს ღიმილი კიდევ უფრო ჰხატავდა მის ისედაც სათნო სახეს.

— რამ მოგაწყინა, დაეთ? — შემეკითხა რუდნევი. — შენ ხომ ამ სოფლის აღების ერთ-ერთი მთავარი გმირი ხარ, მაშასადამე, ყველაზე მეტი მზიარულება შენა გმართებს.

— კი, მაგრამ ვასილ სიმონის-ძე, რაგულია რომ აღარ გვეავს?

ძლივს მოვასწარი ამ ორი სიტყვის თქმა. აეკრემლდი.

— კარგი, დავით, — ხმას აუწია რუდნევემა, — მე შენ ვაყვაცად გცნობ და ვაყვაცს ცრემლები როდი შეშვენის? რაგულია გმირი იყო და გმირულად დავცა ბრძოლის ველზე; სიკვდილისაგან განა ჩვენ კი დაზღვეულნი ვართ, განა ჩვენ კი ვიცით ვაგვითენდება თუ არა ხვალისდელი დილა!

ის იყო რუდნევი გაბრუნდა, რომ ჩემსკენ მომავალი ვერშიგორა დაეინახებ.

— დავით, — შორიდანვე მომამახა პეტრომ, — შესახურებელი წვეთები გექნება; არ შეიძლება გარნიზონის უფროსს შენთვის ლიქიორი არ დაეტოვებინოს.

— აგერ გასინჯე, — თითით ვუჩვენე ხის ძირას დალაგებულ პატარა ქვაბუნებზე. — შესაძლოა მაგდაგვარი რამე იპოვნო-მეთქი.

ვერშიგორამ დასტაცა ხელი ქვაბუნებს, მათში რალაც მოშავო ფერის სითხე აღმოჩნდა. მან ერთ ქვაბს ხელი დაავლო და მოიყუდა.

— ფუ! — შესძახა მან და ქვაბუნა ფეხებში მესროლა.

მოსტყუვდა ვერშიგორა, ლიქიორს მოელოდა და ქვაბში ყავა აღმოჩნდა. ორივენი ხახამშრალეები დავრჩით. იმედი მაინც არ დავკვიარგავს, და ბოლოს დანატოვარ საწყობებში იმ დღეს ბლომად ვიპოვეთ „შესახურებელი წვეთები“.

ვერშიგორა მსმელი კაცი არ იყო, მაგრამ ომის პირობებში, პირის ვასველებაზე უარს არ ამბობდა.

ჩვენი შენაერთის მწე პავლოვსკი ძალზე ხელმოჭერილი კაცი იყო; თუ კი ზელთ იგდებდა სასმელებს, შემდეგ მას, როგორც წიწილებს კრუხი, ისე დააჯღებოდა, დიდი ხეწწნა-მუდარა იყო. საჭირო, ერთი სუფრის კოვზი ლიქიორი რომ დაეთმო.

სისხლის ცრემლებს ღვრიდა პავლოვსკი, როდესაც კოვზაკი მას ცუდ

ამინდში, გაციებულ ^{შეომორბათვის} ჩაის ჭიქით არაყის ^{უბრა-} გაცემას ^{უბრა-} ნებდა.

— ჩაის ჭიქა ბევრი არ იქნება სიღორ არტემის-ძევ? — შეეკითხებოდა ის კოვზაკს.

— გაეცით! — განმეორებით ბრძანებდა კოვზაკი. და პავლოვსკიც იძულებული იყო არაყი ჩამოესხა.

იმხანად სურსათ-სანოვავის დიდი ნაკლოვანება გვექონდა: ვიაჟიშჩეს ბრძოლაში ნაშოვნმა უხვმა ნადავლმა პირდაპირ, რომ იტყვიან, სულზე მოკვისწრო.

ნადავლ საწყობებში ახალი მაზარების დიდი პარტია აღმოვაჩინეთ. ა.ე.ულის შემადგენლობა მწვანე შინელებში გამოვაწყვე. ჩვენს დანახვაზე რუდნევემა სერიოზული ტონით მომმართა: დროზე გაიკეთეთ ქუდებზე წითელი ვარსკვლავები, შესაძლოა მოსახლეობამ ვერ გამოგიცნოთ მწვანე მაზარებში, მტერი ეგონოთ და ზიფათს გადაეკლათო.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ ვიაჟიშჩედან გავედით. მივდივარ და გული უკან რჩება, ფეხი მიჩერდება; აჰ, ციფ მიწაში მეგობრებსა ეტოვებ — გულად ვაყვაცებს, თავდადებულ პატრიოტებს. მათ თავისი სპეტაკი სისხლით მორწყეს ამ ლამაზი ვიაჟიშჩეს მიდამოები. მატთანე სამარადეთოდ შეინახავს მათს სახელს, მათს თავგადასავალს. მინდვრის ყვავილები წითლად რომ ამოანათებენ — ცვლავ გმირთა წმინდა სისხლის წვეთებს გაახსენებენ მომავალ თაობებს, იმ გმირთა სახელებს გაახსენებენ, აი აჰ რომ დაეცნენ და სიცოცხლე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვაყვაცურად რომ გასწირეს სამშობლოსათვის.

მივდივარ. ეტოვებ ძვირფას საფლავებს. აი უკანასკნელად მუხლს ვიდრეკთ ძმთა სასაფლაოს წინაშე, წითელი მიწის გორაკზე.

— რაგულია, მშვიდობით სამუდამოდ, მშვიდობით, ძმავ!

მარშრუტი შეეცვალეთ. დასავლეთის ნაცვლად ახლა ისევ ხელმეორედ აღმოსავლეთისაკენ მოვბრუნდით. ისევ ნაცნობი ადგილები, სადაც ჩვენ ერთი წლის წინ ყოველ მტკაველ მიწას ბრძოლით ვიღებდით. მოსახლეობა ჩვენს დანახვაზე აღტაცებას ეძლეოდა — „სიზმარში გვეგონია თავი, — გვეუბნებოდნენ მკვიდრნი, აკი ასე გვარწმუნებდნენ გერმანელები, კოვპაკის შენაერთი ისე გაანადგურეს ჩვენებმა, რომ მოამბე არ გადარჩენილაო?!“

სოფელ მუხოედში შევიდით. ხანგრძლივი ბრძოლებით დაღლილ-დაქანცულებმა სოფლის მახლობლად, დაბურულ ტყეში დავისვენეთ. ის იყო წამოვწყვეტი და თვალი არ დამეხუტა, რომ შტაბში გამომიძახეს. რუდნევემა ახალი პოლიტბელი წარმომიდგინა და მითხრა:

— ამხანაგო ბაურაძე, თქვენს ასეულში დღეიდან პოლიტბელად ამხანაგი მალცევი ინიშნება. ვიმედოვნებ, რომ იგი ღირსეულად შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მე და პოლიტბელი ერთი მეორეს მივესალმეთ. მალცევი თუმცა პირველად არ მხედავდა, მაგრამ რუდნევეთან ჩემი საუბრის დროს მაინც თვალს არ მაცილებდა, გულმოდგინედ მათვალისწინებდა.

არ დავმალავ და გულწრფელად ვაღიარებ: მალცევისა დიდი იმედი არა მქონდა, ის არ მიმაჩნდა კარგ პოლიტბელად. რუდნევესაც ვაუზიარე ჩემი ეჭვი. სულ მალე გამოიჩინა, რომ მე მართალი ვიყავ. მალცევემა მართლაც ვერ ივარგა.

ამ ლაშქრობის დროს ოკრუჟ-მოზირის რკინიგზას მივაღწიეთ. რკინიგზის ხაზს გერმანელები მთავრებით იცავდნენ. ლიანდაგის ყველა სტრატეგიულ პუნქტზე რკინა-ბეტონის სიმაგრეები აეგოთ. რკინიგზა ხომ ფრონტის მთავარი მასაზრდოვებელი არტერიიაა, ამიტომ იცავდნენ ისე ბეჯითად მას გერმანელები; ამიტომ მეტად ძნელ პირობებში კვეთდებოდა პარტიზანებს რკინიგზის ხაზებზე გადასვლა. ლიანდაგის და მასზე მოძრავი ეშელონების დასარბევად პარტიზანთა ხელმძღვანელები მუდამ შერჩეულ ასეულებს ჰგზავნიდნენ. ისინიც დაუყოვნებლივ ანადგურებდნენ რკინიგზის ხიდებს, შლიდნენ ლიანდაგს და კავშირგაბმულობას; ყირამალა გადადიოდნენ მტრის ეშელონები.

სოფელ მუხოედიდან გამოსულებმა მთელი დღე ოკრუჟ-სლოვეჩინაიას მახლობლად ტყეში ვავატარეთ. ღამით უნდა გადაგველახა ოკრუჟ-მოზირის რკინიგზა და ლელჩიცის რაიონის სოფელ უსტკამდე უნდა მიგვეღწია.

დიდი წინასწარი სამზადისი იყო საჭირო, რომ ოკრუჟ-მოზირის ლიანდაგზე პარტიზანების შენაერთი უვნებლად გადასულიყო. მე ჩემი ასეულით გზის აღმოსავლეთით ჩავსაფრდი. ჩემს პირდაპირ, დასავლეთით კულბაკა გამაგრდა თავისი ასეულით. შენაერთის არტილერია, ქვეითი და ცხენოსანი ჯარი არანაკლებ ოთხი კილომეტრის მანძილზე იყო გადაკეტილი. მათს გადაყვანას ორი-სამი საათი მაინც დასჭირდებოდა. ცხადია, რკინიგზის მცველებს ჩვენი მოძრაობა შეუშინეველი არ დარჩებოდათ. საკუთარი ძალებით მცველები, ცხადია, ვერ გაბედავდნენ ჩვენთან შებრძოლებას. როგორც ყოველთვის, ისინი მახლობელ რაიონებიდან ტელეფონით თუ მაშხალით თავისიანებს გამოიძახებდნენ. ჩვენ ეს წინასწარ ვიცოდით.

ყველაფერი ეს გათვალისწინებული მქონდა. ასეული ლიანდაგის გასწვრივ, გადასასვლელიდან ერთი კილომეტრის დაცილებით შენიღბული და ჩასაფრებული მყავდა. გადასასვლელთან კი მშვერავეები გავგზავნე. მათ კარგად დაათვალიერეს ყველაფერი, ამის შემდეგ შენაერთს ეაცნობე, რომ ვადასასვლელზე უხიფათოდ გავლა შესაძლებელია-მეთქი. და აი პარტიზანული შენაერთი წყნარად გადავიდა გადასასვლელზე და სამშვიდობოზე გადაწია. ჩემმა მშვერავეებმა მაშხალით მიცნობეს შენაერთის უვნებლად და უხიფათოდ ლიანდაგზე გადასვლა. დამშვიდებულმა ასეული მოეხსენი და შენაერთს გამოუვლდექი.

წინ მტრის ქაჰანება არსად იყო. ეს იმიტომ, რომ ვიაიეშიეს ბრძოლებში გერმანელები სისხლისაგან დაიცალნენ, მათი ნაწილები საგრძნობლად შეიფრთხა; სანამ ისინი დანაკლისს შეივსებდნენ, ამასობაში ჩვენი შენაერთი სამშვიდობოზე გავიდა.

ჩვენს სიზარულს და გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც სოფელ ვუტა-სტრინის მახლობლად ჩვენი მეომრები საბუროვის შენაერთს შეხვდნენ. ეს ის საბუროვი იყო, რომელიც ჩვენთან ერთად, ერთდროულად, ბრიანსკის ტყიდან სტალინურ რეიდზე გამოვიდა.

საბუროვთან ჩვენი შეხვედრა ასე მოხდა: მუხრედის ტყის მახლობლად, ბილიკზე ჩვენი მშვერავეები მიდიოდნენ; ისინი შორი მანძილიდან საბუროვის მშვერავეებმა შენიშნეს, საჩქაროდ ტყიდან გადუხვიეს და ჩასაფრდნენ. როდესაც კოვბაკელები ჩასაფრებულებს მიუახლოვდნენ, საბუროვის მებრძოლებმა იცნეს ჩვენები.

— სალამი კოვბაკელებს! — შესძახეს ჩვენებს საბუროველებმა. ჩვენებმა ავტომატები მოიმარჯვეს, ყურები ცქვიტეს.

— არ ისროლოთ, ბიჭებო, თქვენიანები ვართ! — დასძახეს საბუროველებმა და სიცილ-ხარხარით მომბრუნებულნი ჩვენებთან. კოვბაკელებმაც იცნეს საბუროველები, პარტიზანული სალამით მიესალმენ მეომრები ერთიმეორეს. ხელიდან ხელში გადადიოდა წეკოთი საესე, გაზეთის ნახევებიდან გაკეთებული პატარა ყანწები.

საბუროვის შენაერთი სოფელ მილაშევიჩში იყო დაბანაკებული. ეს სოფელი ლელჩიცის რაიონში, პოლესიეს მხარეში მდებარეობს. გასული წლის დეკემბერში ჩვენი შენაერთი მილაშევიჩის მახლობელ სოფელ გლუშევიჩში ისვენებდა; აქ ზომ ჩვენ სარნაზე მიმავალი რკინიგზის ხიდი ავაფეთქეთ.

დიდი ხნის უნახავი ძველი მეგობრები — კოვბაკი და საბუროვი განსაკუთრებული ხალისით შეხვდნენ ერთიმეორეს. ორივე შენაერთის მებრძოლები გულმოდგინედ და გაფაციცებით ეძებდნენ ნაცნობ-მეგობრებს. უხაროდ, რომ მრავალ საბედისწერო ბრძოლას უვნებლად გადაარჩინილი, კვლავ ერთმანეთს ხედებოდნენ.

კიდევ უფრო გავვიცდით, როდესაც მილაშევიჩელი ქალიშვილები გვესტუმრნენ და ჩვენი პარტიზანების მიერ შეთხზული სიმღერა წამოიწყეს. ამ სიმღერის ტექსტი ერთი პუტივლელი პარტიზანის მიერ იყო დაწერილი. გასული წლის დეკემბერში გაეგონათ ჩვენი პარტიზანებისაგან ბელორუსელ გოგონებს ეს სიმღერა. მათ ის დაესწავლათ და დაემახსოვრებიათ. ამ სიმღერის სიტყვები ასეთია:

Как хлопцы шагали
и в дождь и в пургу
На страх и на лютую
гибель врагу,

Как били его
богатырской рукой,
За древним Путивлем,
за Сеймом-рекой.

ჩვენს ძველ გლუშევიჩელ ნაცნობ-
შეგობრებს გაგვით, რომ მილაშევიჩის
ახლოს, ტყეში ვართ; სიხარულით
მოიხიბნენ ჩვენთან — მოგვიკითხეს,
თავიანთ თავგადასავალზე გვესაუბრ-
ნენ.

— თქვენ შემდეგ გადაგვწევს, გაგ-
ვანადგურებს, ტყეში მოგვიხდა დიდს
და პატარას გახიზნა. ერთი წყება
სოფლები ფიცრულში შერეკეს, კა-
რები ჩაუკეტეს, შენობას ირგვლივ
ბენზინი შემოასხეს და საშინელი წა-
მებით დასწევს ბედშავი ხალხი. ამ
პირსისხლიან ძალებს ქაშრების ბალ-
თებზე ჯერები ჰქონდათ გაკეთებული
ასეთი წარწერით: „ჩვენთან არის
ღმერთი“ და ასეთ საქმეს კი ჩადიდ-
ნენ. ექვ, ვინ მოსთელის იმ ენითგა-
მოუთქმელ გასაქირს, რომელიც ჩვენ
თავს დაგვატყდა ამ ერთი წლის განმავ-
ლობაში; ქონების დაკარგვას არ ვდარ-
ლობთ, ცოცხალი ადამიანები რომ ხე-
ლიდან გამოგვაცალეს — ეს ვერ მოგ-
ვინელებია, — ასე გვიამბობდნენ ნაც-
ნობი სოფლები.

II

ამ მიდამოებში დიდხანს არ დავრ-
ჩენილვართ. მალე კოვაკმა ბრძანება
შიილო — კარპატებისაკენ გასწიეთო.
ჯერ ისევ საბუროვის საბრძანებელში
ვიყავით, როცა ახალი სარეილო მარშ-
რუტი შეადგინა კოვაკმა.

საბუროვის განკარგულებაში ჩინე-
ბული აეროდრომი იყო. დიდი მიწიდან
თვითმფრინავებმა, როგორც ჩვენი,
ისე საბუროვის შენაერთისათვის დიდ-
ძალი საომარი მასალა მოზიდეს. აქ
იყო, ამას გარდა, მედიკამენტები და
ლიტერატურა. საგანგებო პატაკის გაგ-
ზვნა მოსკოვისათვის არ იყო საჭირო.
იქიდან დროულად და მუდამ საკმაო
რაოდენობით გვაწვდიდნენ სამხედრო
საჭურველს. თითქოს გულთმისნები

არიანო — მუდამ ზუსტად იცოდნენ,
რა გეჭიქრდა. დიდი სტალინის მხრუნ-
ველობას და ყურადღებას მხოლოდ
ვრძნობდა თვითეული პარტიზანი. ბე-
ლადმა იცოდა რომელ რიცხვში სად
ვიყავით, რა გეჭიქრდა, რა გვილხინდა,
ეს ჩვენ ვიცოდით და ამით ფრთაშესხ-
მულები, გაათყეცებული ენერგიით
ვიბრძოდით.

ერთს საღამოს თვითმფრინავით პარ-
ტიზანების ბანაკში უკრაინის პარტიზა-
ნული მოძრაობის შტაბის უფროსი ამ-
ხანაგი სტროკაჩი მოფრინდა.

უკრაინის კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების) ცენტრალური კომი-
ტეტის მიერ სტროკაჩი ჩვენთან საგან-
გებო დავალებებით იყო მოვლინებუ-
ლი. მან თან ჩამოიტანა და დაურიგა
პარტიზანებს მთავრობის ჯილდოები.
იმ მეომრებმა, რომლებიც სპადშჩანის
ტყიდან დაწყებული ამ შენაერთში
ირიცხებოდნენ, ყველამ მიიღო ჯილ-
დო.

სტროკაჩმა კოროტჩენკოს, კოვაკს
და რუდნეკს საიდუმლოდ აცნობა უკ-
რაინის კომუნისტური პარტიის ცენტ-
რალური კომიტეტის დავალება. მერე
სახელდახელო მიტინგი მოვიწვიეთ,
სადაც მრავალი ამაღელვებელი სიტყვა
წამოითქვა. მისთვის ჩვეული საქ-
მიანი სიტყვით გამოვიდა მიტინგზე კო-
როტჩენკო. ყველა ზელმძღვანელი ამ-
ხანაგის სიტყვიდან ჩანდა, რომ ახალი
რეიდი მზადდებოდა, მაგრამ რომელი
მიმართულებით და სად მივდიოდით,
მიტინგზე არ თქმულა.

პარტიზანი არასდროს არ იკითხავ-
და — საით მივდივართ, რატომ მივდი-
ვართ; ეს ზომ სამხედრო საიდუმლოე-
ბის დარღვევა იქნებოდა.

მიტინგის შემდეგ პარტიული კრება
შესდგა. ამ კრებაზე კოროტჩენკომ
რეიდის მონაწილეებს და ადგილობრივ
ამხანაგებს დიდმნიშვნელოვანი და სა-
ყურადღებო სიტყვით მიმართა. მან

ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რომელიც ყოველი კომუნისტის წინაშე იყო წამოჭრილი. „ჩვენ კომუნისტები ვართ, — ამბობდა იგი — ხალხს მაგალითს უნდა ეუჩვენებდეთ. ჩვენთვის შიში და უიმედობა არ არსებობს. გაბედულად და რწმენით უნდა ჩავუდგეთ მებრძოლებს სათავეში და რა დაბრკოლებაც არ უნდა დაგვიხდეს წინ, შიშსა და დაბნევას ადგილი არ უნდა ჰქონდეს“.

კორტჩენკოს სიტყვამ დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ კრებაზე მრავალი საყურადღებო პრაქტიკული დადგენილება იქნა შემუშავებული და გამოტანილი.

ამხანაგ რუდნევის წინადადებით კრება ინტერნაციონალის სიმღერით დაიშალა.

გლუშკევიჩელებმა რეიდზე გასვლის წინ პატივსაცემად მიტინგი მოგვიწყეს, დიდი და პატარა უკლებლივ მოვიდნენ მიტინგზე; სადღესასწაულო ელფერი ელო ამ შეკრებას, იმედიანი სიტყვებით გამოვიდნენ მიტინგზე სოფლელები; შემოგვფიცეს:

— მართალია ჩვენ დავგარბიეს, დავწვეს და გავვანადგურეს, მაგრამ სიტყვას გაძლევთ, რომ მტრის წინაშე ქედს არ მოვიხრით, როდესაც საჭირო გახდება ტყეებში გავიზიზნებით...

პარტიზანებმა საპასუხო სიტყვებში გლეხებს მადლობა გადაუხადეს და თავის მხრივ ფიცი მისცეს, რომ მანამდე იბრძოლებდნენ, სანამ ერთი ოკუპანტიც იქნებოდა ჩვენს მიწა-წყალზე.

დასასრულს მიტინგს ახალგაზრდების სიმღერები და ცეკვა-თამაში მოჰყვა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ყველაფერი ეს მტრის ზურგში ხდებოდა, გერმანელების მიერ დაპყრობილ მიწა-წყალზე.

გლუშკევიჩელების ჩვენდამი სიყვარული და თანაგრძნობა უსაზღვრო

იყო, რით და როგორ ესაიმოქმედებინათ ჩვენთვის აღარ იცოდნენ. რუდნევის აგიტატორებთან ერთად მდიდოდნენ ეურნალ-გაზეთებით სოფლებში და გლეხებს ომის ამბებს უკითხავდნენ: საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს მოსახლეობა ყოველთვის სულგანაბული უსმენდა.

დამითარებდა აგიტატორი საუბარს და მსმენელები აუარებელ კითხვებს იძლეოდნენ. ჩვენი გამარჯვების რწმენა ხალხში მუდამ დიდი და ურყევი იყო.

ძალიან ახარებდათ გლეხებს მოსკოვის ქედმოუხრელობა და გამძლეობა.

— აბა, როგორ ეგონათ, — მეუბნება ერთხელ ოთხმოცი წლის მოხუცი გლეხი, — მოსკოვის აღებას ვერ შესძლებენ, მას ვერ დაიმორჩილებენ. აი, თუნდა თქვენი რაზმი ავიდოთ. რამდენჯერ უთქვამთ გერმანელებს: „კოვპაკი მისი ჯარიანად მოვსპეტ, მოამბე არ გაგვიშვიაო“, მაგრამ აბა რა დაგაკლდათ? მით უმეტეს მოსკოვს ეგენი როგორ მოერევიათ?

მოსახლეობაზე ზეგავლენის მიზნით გერმანელები დაატარებდნენ სოფელ-სოფელ ალაღებით ყინვისაგან გათოშოლ მიცვალებულებს: „აბა, დახეთ, დასტობით გაეწყვიტეთ კოვპაკელები, ვინ დასთელის რამდენი ადგილზე დაემარხეთ, მოამბე არ დარჩენილა კოვპაკის რაზმიდანო“. სინამდვილეში ალაღზე ეყარა მათ მიერ დაზოცილი უმწეო სოფლელები.

არავისათვის საიდუმლოება არ იყო, რომ პარტიზანებს მტერი კვალდაკვალ გვდევდა; ჩვენ ვერაფერს გვაკლებდა და უმწეო მოსახლეობას სასტიკ დღეს აყენებდა.

ცოფმორეულები შედიოდნენ სოფლებში გერმანელები, მოსახლეობას შეყრიდნენ და ბრაზიანი კილოთი მიმართავდნენ:

— სად არიან პარტიზანები?



— რა მოგახსენოთ, არ იცით? — იყო პატიუხი.

— როგორ თუ არ იცით? თქვენ ინახავთ მათ და არ იცით?

— არ ყოფილა ასეთი შემთხვევა, რა საქმე გვაქვს ჩვენ პარტიზანებთან?

— სტყუით!.. სასმელ-საქმელს მათ თქვენ აწვდით, მსუქანი ძროხებით უმასპინძლებით, ღამეებს ათევიანებთ და არ იცით?

— თუ დავგიჯერებთ, სიმართლეს მოგახსენებთ, ჩვენ პარტიზანების მნახველნი არა ვართ, — კვლავ არა ტყდებოდნენ გლეხები.

— ბარებს რომ ხელში მოგვცემთ, მაშინ იტყვიან, სიმართლეს; თქვენთან სალაყბოდ ჩვენ არ გვცალია, არ იტყვიან და ძალით გათქმევიანებთ, — პასუხობდნენ ცოფმორეული გერმანელები.

პირსისხლიან ჯალათების წინ იდგნენ უილაჯო მოხუცებულები და უმწიო ქალები; აბა მათ რა შეეძლოთ?

სახრჩობელებით იყო საესე გზა-ჯვარედინები.

ჩვენ კარგად ვიცოდით მოსახლეობასთან ჩვენს კავშირს რა შედეგი მოჰყვებოდა, ვიცოდით და სოფლებთან დამოკიდებულებაში დიდ სიფრთხილეს ვიჩენდით; ვცდილობდით ჩვენი მათთან სტუმრობა გაუმეღავენებელი დარჩენილიყო. მაგრამ გერმანელებს ჰყავდათ მოსყიდული არამზადები, რომლებსაც ბნელი საქმეებისათვის იყენებდნენ. ისინი მუდამ გვითვალთვალებდნენ. მოსახლეობამ კარგად იცოდა, ვინ რა იყო და გამკეცლებს თავს არიდებდა. არა ერთი და ორი გამყიდველი ჩავაძალღეთ პარტიზანებმა და მოსახლეობას ჯავრი ამოვაყრევინეთ მათზე.

საკმაო დრო დაჰყვეს ერთად კოვპაის და საბურთაისი შენაერთებმა. ამ ხნის განმავლობაში მტერმა არაერთხელ გამოილაშქრა ჩვენზე. თავხედმა

მტერმა ყოველთვის საკადრისი მასუხ. მიიღო.

ეროვნული

უდარდელ ცხოვრებას მწყველ და განცხრომაში მყოფ გერმანელებს პარტიზანების შიშით უძილობა სჭირდათ. დამფრთხალი კურდღლებით თრთოდნენ შიშით გათანჯული გერმანელები; პარტიზანების დანახვა და მათი ტყეში გაქცევა ერთი იყო. მიატოვებდნენ ხოლმე ეტლს, ავტომანქანას, იარაღს და ვარბოდნენ. დაუზიანებლად და სრულ წესრიგში მტრის მიერ დატოვებული მანქანები და ეტლები პარტიზანებს ხელში უვარდებოდათ. ამ ვარემოებით აიხსნებოდა, რომ პარტიზანებს ბლომად გააჩნდათ ნადავლი ავტომანქანები.

უმეტეს შემთხვევაში პარტიზანების გერმანელებთან შეხვედრა შემთხვევითი როდი იყო: მომარჯვებულ ადგილას ჩასაფრებული პარტიზანები მტერს უთვალთვალებდნენ, საკმაო იყო მოწინააღმდეგის ქუჩაში გამოჩენა და პარტიზანები მას ტყვიით ეგებებოდნენ.

ასეთ დროს მტერი მხოლოდ თავის სწრაფ მუხლებს ენდობოდა, მაგრამ ბევრჯელ გაქცევაც ველარ შევლოდათ მათ. პარტიზანის ტყვია მათ ადგილზევე აშეშებდა.

კოროტჩენკო ძალიან შეგვეჩვია და ჩვენც შევეჩვიეთ მას. სადამოობით, დასვენების წუთებში კოროტჩენკო მუდამ კოცონის ირგვლივ შემომსხდარ პარტიზანებს შორის იყო. ის ჩაჯღებოდა პარტიზანებში, ისმენდა სხვის ნაამბობს, და თითონაც უამბობდა მეომარებს საინტერესო ამბებს. იყო შემთხვევა ენაწყლიან პარტიზანს შეაჩერებდნენ ამხანაგები: „დაიცადე, სადაც არის დემიან სერგის-ძე მოვა, დაე მანაც მოისმინოს საინტერესო ამბები“.

გულთბილად გამოგვემწვიდობენ რეიტზე გასვლის წინ კოვპაელებს კო-

როტჩენკო და სტროკაჩი; თვითონ საბუროვის შენაერთში დარჩნენ.

ახლაც თვალწინ მიდგას ის სურათი, თუ როგორი გრძნობიერი სიტყვებით გვაცილებდა პარტიზანებს ამხანაგი კოროტჩენკო; განშორება მისთვისაც და ჩვენთვისაც ძნელი შეიქნა.

ფრთხილად და წინდახედულად მიუძღოდნენ წინ, კარპატებისაკენ, პარტიზანებს მეთაურები. პარტიზანს კარგად ესმოდა, რომ კოვპაკი და რუდნევი ყოველ მეთომარზე ისე ზრუნავდნენ, როგორც საკუთარ თავზე; ამიტომაც იყო, რომ პარტიზანი უფროსების განკარგულებას წარმშეუხრელად ასრულებდა. საკმაო იყო პარტიზანისათვის მეთაურს ეთქვა: „წყალში უნდა გადავეშვათ, მტერს უნდა მივუხტეთ და რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს ამ არემარედან ის უნდა გავრეკოთ“, რომ ასეთ მოწოდებაზე პარტიზანების კრებული, როგორც ერთი კაცი, ღამის და დღის ბრძოლებში, ცეცხლში თუ წყალში გაბედულად გამოგვევებოდნენ.

მეთაურები პარტიზანების ნდობას და სიყვარულს დიდად აფასებდნენ და ამიტომ თვალისჩინივით უვლიდნენ მათ. მეთაური მეტს ზრუნავდა პარტიზანის სიცოცხლეზე, ვინემ პარტიზანი თავისთავზე.

კერძოდ ჩემს ასეულზე ვიტყვი: ასეულის მებრძოლები მზად იყვნენ ჩემზე გასროლილი მტრის ტყვიისათვის თვითონ შეეშვირათ მკერდი.

პარტიზანების ჩემდამი მეგობრულ განწყობილებას მე საგანგებოდ ვაფასებდი: საბედისწერო ბრძოლებში მეომრებს დიდი სიფრთხილით და თავდარივით ჩავაბამდი. არ ყოფილა შემთხვევა, რაგინდ კრიტიკული წუთები არ უნდა ყოფილიყოს, დაჭრილი პარტიზანი სამშვიდობოზე არ გამოგვეყვანოს, ან დაღუპული მეომარი ბრძოლს

ველზე დაგვეტოვებინოს და დიხსეულად არ დაგვესაფლავებინოს.

— ამხანაგო უფროსო, ხშირად მომმართავდნენ ბრძოლის დროს პარტიზანები, — რას ვუცდით, ჩაებათ ხელჩართულ ბრძოლაში?

— სულმოკლეობას ნუ იჩენთ, იქონიეთ მოთმინება, ჩემს განკარგულებას დაელოდეთ, მე თვითონ ვიცი, როდის არის საჭირო, — სიტყვას შევაწყვეტივინებდი ხოლმე მეომრებს.

პარტიზანული ტაქტიკა მოულოდნელობაზე და სისწრაფეზე დამყარებული. ერთ დღეს, დასაუღეთისაკენ აჩქარებით რომ მივდიოდით, მეორე დღეს უეცრივ სამხრეთისაკენ ან ჩრდილოეთისაკენ გადავუხვევდით, ხშირად უკან დავბრუნდებოდით. დროდადრო, ამათუიმ რაიონში, შორს შევეპკრებოდით, ფართო წრეს მოვხაზავდით და ისევ იმ ადგილას გამოვიდოდით, სადაც გუშინ ვიყავით. ოთხი-ხუთი კილომეტრის მანძილზე გაქიმული პარტიზანების მწყობრების დანახვაზე გახარებული მოსახლეობა ვაშას იძახდა. რეგულარული ჯარის ნაწილად ვყავდით მათ წარმოდგენილი. მოხუცი მამაკაცები ქუჩების განაპირას დადგებოდნენ გახარებულნი გვესალმებოდნენ და იძახდნენ:

— ველირსეთ თქვენს ნახვას, ვითელ არმიას გაუმარჯოს!

უცხო სანახაობით გაოცებულ საზოგადოებას პარტიზანები გვერდს ჩაუვლიდნენ ცნობილი სიმღერის გუგუნით: «Широка страна моя родная, Много в ней полей, лесов и рек...»

III

კარპატებისაკენ გასვლის წინ თვითმფრინავებით გადავგზავნეთ დაჭრილების უკანასკნელი წყება დიდ მიწაზე.

აღუქსი ილიას-ძე, „შობის ბაბუაც“ გავისტუმრეთ თვითმფრინავით მოსკოვში. ხანდაზმულობამ თავისი გაიტა-



ნა, ბაბუას ახალგაზრდული სულის-
კვეთება სიბერემ მოტეხა. ჯერ კიდევ
პრინციპულად გადასვლის დროს ის ვა-
ცივდა, ვაცივბას რევმატიზმი დაერთო,
ბაბუა ლოგინში ჩაწვა და მოძრაობა
უჭირდა.

როდესაც „შობის ბაბუა“ არტელე-
რისტებმა საეკლესიო აეროლოგიკურ მოი-
ყვანეს, მოხუცი თვალკრემლიანი გა-
მოიყურებოდა. ენანებოდა პარტიზანე-
ბის ჩამოცილება.

— რა დროს ავადმყოფობაა, რა
დროს წასვლაა! არამგონი ამ ყოფაში
დიდხანს დავრჩე, გამოვეჯანსაღდები
თუ არა, დაუყოვნებლივ თქვენთან
გავჩნდები!

ბაბუას პარტიზანები ნუგეშს სცემ-
დნენ: „ალექსი ილიას-ძე, შენი გამო-
ჯანსაღებით ყველანი დაინტერესებუ-
ლი ვართ, მოსკოვში მალე განიკურნე-
ბი და ისევ შენს საყვარელ საქმეს
დაუბრუნდებიო“. პარტიზანების ვაშის
ძახილში აიტაცა შობის ბაბუა პაერში
თვითმფრინავმა და მალე ის ღრუბლე-
ბის ფარდას მოეფარა.

იმ ხანებში მხვერავებმა გვაცნობეს,
რომ ეფრემოვი და გორლანოვი დაბ-
რუნდნენო. განუწყვეტელ ბრძოლებს
და მუდმივ განსაცდელს გარეგნულად
გამოეცვალა გმირი მებრძოლი მეთაუ-
რები. როდესაც კოვბაკის განკარგუ-
ლებით ჩვენ სადგურ დემინთან ბრძო-
ლაზე ხელი ავიღეთ და საჩქაროთ სამ-
ხრეთისაკენ გავეშურეთ, ეფრემოვმა
და გორლანოვმა ვერ მოასწრეს ასეუ-
ლებით სამშვიდობოზე გამოსვლა და
უკან ჩამოგვრჩნენ. ჩვენი შენაერთის
ხელმძღვანელობა დაიმედებული იყო,
რომ ისინი მტრის რკალის გარღვევას
და თავის ნაწილთან შეერთებას მოა-
ხერხებდნენ. დალოდინებაც არ ხერხ-
დებოდა, სახიფათო იყო.

პარტიზანებმა ვიცოდით, რომ ეფრე-
მოვი და გორლანოვი გადარჩნენ, დღე-
ობით და საათობით მათი დაბრუნების

მოლოდინში ვიყავით და ამ ისინიც
შემოგვიერთდნენ.

1943 წლის 2 ივნისს ^{ეროვნული} გენერალ-
ტიზანული შენაერთი საბრძოლო
მწყობრით კარპატების ! მიმართულე-
ბით გავიდა.

იწყებოდა ახალი ფურცელი ჩვენი
საბრძოლო ისტორიისა. მთა აღვილებ-
ში პარტიზანული ომის წარმოება დიდ
სიროთულეს წარმოადგენდა ისეთი დი-
დი პარტიზანული შენაერთისათვის,
როგორც კოვბაკის ლაშქარი იყო: ჩვენ
ვაკე აღვილები გვერჩია. მიუვალი კარ-
პატები, ვიწრო და ციცაბო კლდოვანი
ბილიკები პარტიზანთა ბრძოლის წარ-
მატებას ძალიან ზღუდავდა. მთავარი
აქ ის იყო, რომ კარპატებამდე მტრის
შეუმჩნეველად მიგვეღწია და მისთვის
მოულოდნელად დაგვეტყა.

განვლილი ბრძოლების პრაქტიკიდან
კარგად ვიცოდით, რომ ჩვენი სამხედ-
რო ოპერაციები სანახევროდ მაინც
გაუმედავებელი რჩებოდა სწორედ
იმის გამო, რომ დღის სინათლეზე ულ-
რან ტყეებში ვიმალეობდით და ღამ-
ლამობით საბრძოლო მწყობრით წინ
მივიწევდით.

ეს ნაცადი ტაქტიკა ამ ახალი რეი-
ლის დროსაც ყოველმხრივ მიზანშეწო-
ნილი და გამართლებული აღმოჩნდა.

მტერს ჩვენი ლაშქრობა რომ არ
შეემჩნია, ამისთვის სხვა ღონისძიება-
საც მივმართავდით: ერთი წყება ქვემე-
ხებისა წინასწარ იგზავნებოდა შო-
რულ მანძილებში, ისინი სროლით
წინ მიიწევდნენ, განაპირა ადგილებში
ქექა-ქუნილი იდგა და ამ დროს პარტი-
ზანების შენაერთი ჩუმად და შეუმ-
ჩნეველად ადგილიდან ადგილზე გადა-
დიოდა.

პარტიზანებს დავალებული ჰქონდათ
არავისათვის არ ეთქვათ, თუ ჩვენ ვინ
ვიყავით, საიდან მოვედით და საით
მივდივართ! ან რა საჭირო იყო მოსახ-
ლეობას სცოდნოდა ჩვენ პუტივლეუ-

ბი ვიყავით თუ გლუხოველები? საკმაო იყო სცოდნოდათ, რომ ჩვენ წითელი არმიის ნაწილი ვართ და საერთო მტერს ვებრძვით.

პარტიზანული ბრძოლის ყველა კანონის დაცვით უნდა გავგვევლო სტანისლაის, ლვოვის და ტარნოპოლის ოლქები.

გზა-გზა დიდი წარმატებით მუშაობდნენ ვერშიგორას მხვერავეები: შენაერთი ყოველთვის საქმის კურსში იყო, თუ სად, რომელი, რა ძალის მტრის ნაწილი იდგა. თუ მტრის ნაწილი ჩვენ რიცხობრივად გეჭარბობდა, მათ ვერიდებოდით, შორეული გზით გვერდს ავუქვლიდით.

სხვა დროს ოთხჯერ-ხუთჯერ რიცხობრივად მეტი მტერი სასტიკად დაგვიფრენია და გავგინადგურებია, მაგრამ მაშინ მტერთან შეხვედრას და ბრძოლებს თავისი აზრი და მიზანი ჰქონდა. ამ შემთხვევაში — კი, როდესაც ჩვენს მიზანს კარპატებამდე უვინებლად მიღწევა და იქ ბრძოლის გაშლა შეადგენდა, აბა რა აზრი ექნებოდა მტერთან გზადაგზა კენწლაობას? თუ კი სადმე მტრის მცირე რაზმს. წავაწყდებოდით, დაუნდობლად ვანადგურებდით. ასეთ ბრძოლებში ჩვენ ერთ მეომარსაც არ ვკარგავდით.

მტრის ბრკვალეებში მოქცეულ მიწაწყალზე საკმაო იყო ჩვენი გამოჩენა, რომ მოსახლეობა დამშვიდდებოდა და იმედით აღივსებოდა ხოლმე.

რულენევი თავისი მოქნილი საპროპაგანდო აპარატით სოფლებში და ქალაქებში შესვლისთანავე სააგიტაციო მუშაობას გააჩაღებდა ხოლმე: ავრცელებდა ფურცლებს, უკავშირდებოდა არაღვგალურ პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს.

როდესაც წითელი არმია დროებით სტოვებდა ამათუიმ რაიონს, ადგილობრივი პარტიული თუ კომკავშირული ორგანიზაციები წითელი არ-

მიის პოლიტნაწილთან ერთად, შეარჩევდნენ ხელმძღვანელ სამხანაგებს და განსაკუთრებული დაავლებებით სტოვებდნენ ადგილებზე. რულენევიც მათ ეძებდა და იპოვიდა ხოლმე კიდეც.

კოვაკის შენაერთის გამგზავრება და საბუროვის მარტოდ დარჩენა მტერს შეუძნეველად მაინც არ დარჩენია. საბუროვზე გასალაშქრებლად მას საუკეთესო შემთხვევა ეძლეოდა.

მტერმაც არ დააკოვნა საბუროვის შენაერთს ალყა შემოარტყა. საბუროველებმა გაგლიჯეს გერმანელების ალყა, მტერს დიდი ზარალი მიყენეს და უვნებლად გამოვიდნენ სამშვიდობოზე. კოროტჩენკო და სტროკაჩიცი ამ ბრძოლების მონაწილენი იყვნენ. ხრუშჩევს იმ ხანად კოროტჩენკო რადლოთი გამოქაზა. შემდეგში გავიგეთ, რომ ამ გამოქაზების შემდეგ სტროკაჩი და კოროტჩენკო დიდ მიწაზე გაფრენილიყვნენ.

კარპატის რეიდი დანარჩენი რეიდებისაგან არსებითად განსხვავდებოდა. ამ რეიდის დროს განსაკუთრებით მწვავედ ვიგრძენით ომის სიმძიმე და სირთულე; კარპატების რეიდზე კომისარი რულენევი ამბობდა: „შევიღვართ ომის ახალ ფაზაში, ვიწყებთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს ისეთ ადგილებში, სადაც მეტად ძნელია საომარი ოპერაციების წარმოება. წინ გვიძევს მრავალი დაბრკოლება და განსაცდელი“. უცხო და უცნობი მთავორიანი ადგილები საომარ მოქმედებას ართულებდა; მართალია რუკები გეჭონდა, დახვერვაც კარგი იყო, მაგრამ მთის ამ ეიწრო ბილიკებზე შებორკილნი ვიყავით. მთის ბრძოლების პირობებში, მტერს ადვილად შეეძლო სალტეში მოვემწყვდიეთ.

მტრის რკალის გარღვევა ჩვენგან საგრძნობი მსხვერპლის გაღებას მოითხოვდა.

აი დაიწყო მთებიც.



არტილერიის მოძრაობა მოდუნდა. სანახევროდ ხელით ვატარებდით ქვე-მეხებს აღმართებში. დიდი ალალები მთის ვიწრო გზებზე გამოუსადეგარი იყო. საპირო შეიქნა ალალების დაშლა და გადაკეთება. ხელის გულზე ვყავდით თვითმფრინავებს მთის მწვერვალებზე მყოფი პარტიზანები. წარა-მარა გვიხდებოდა თვითმფრინავების მოახლოვების დროს ქვემეხებიდან და ალალებიდან ცხენების გამოსხნა და პირუტყვის ტყეში შერეკვა. „მესერაშიტეების“ ყუმბარებს წიწილის ბუმბულივით აჰქონდა ჰაერში ალალების ნაწილები.

IV

ივლისის პაპანაქება იდგა, მიწას აღმური ასდიოდა. პარტიზანების შენაერთმა სოფელ კანატოპს მიადწია; კანატოპი მწირ-ნიადაგიანი ხუტორია. ქვეშით და ჰაობებითაა მოფენილი მისი შიდაპო. აქ კარგად ხარობს მხოლოდ კარტოფილი: მოსახლეობა ღარიბია, საარსებო წყაროს მოკლებული. კანატოპში ერთი დღე-ღამე დავყავით და ზაფხულის საღამოს, ბინდზე, მწყობრით გამოვედით ხუტორიდან.

წინ ოლევსკ-სარნას რკინიგზა გვედო. ყველა მიმართულებით გაგზავნა ვერშიგორამ მწვერაეები. ამ უკანასკნელებმა საგანგებოდ დაზვერეს და შესისწავლეს რაიონის ადგილმდებარეობა. რკინიგზის გადასასვლელი დანაღმული და ეკლიანი მავთულით შემოზღუდული აღმოჩნდა. ერთ ადგილიდან მეორეზე გადასასვლების დროს, ნაღმების შიშით, ოთხფეხ პირუტყვის ყოველთვის წინ წავიძლო-ლივდით. რქოსანი საკონელი შარაგზების დანაზვერად გყავდა გამოყენებული. ვინ იცის რამდენჯერ ვუსხნივართ განსაცდელისაგან ამ უსიტყვო გუშაგებს.

რკინიგზის გადასასვლელს ვერმანელების თითო-ოროლა გუშაგნი მცვედა. ახრადაც არ ჰქონდათ გუშაგნი, რომ იმ არემაზე პარტიზანები გამოჩნდებოდნენ. გზისმცველებმა შეგვნიშნეს თუ არა, საჩქაროდ გაიქცნენ და ვერმანელებს აცნობეს ჩვენი მოახლოება; პარტიზანებმა გადასასვლელზე ეკლიანი მავთული გავკაფეთ. ბრძანება მქონდა მიღებული ჩემი ასეულით რკინიგზის ხაზის მარჯვნივ წაესულიყავი და ჩავსაფრებულიყავ. თუ ვინცოდაა გათავებდებული მტერი შენაერთის რკინიგზაზე გადასვლის დროს თავს დაესხმოდა, დაუყოვნებლივ ცეცხლი უნდა გამეხსნა.

ამგვარივე დავალება მიიღო ასეულის მეთაურმა გორლანოვმაც. ამ უკანასკნელს, მარცხნივ, ოლევსკის მიმართულებით წასვლა და ჩასაფრება უბრძანეს. ასეული დანიშნულების ადგილზე მომარჯვებულად ჩავსაფრე. ჩემი ჩასაფრების ადგილას უეცრივ გაჩნდა ვერმანელთა ნაწილი და სროლა აგვიტეხა. სჩანდა გაქცეული მცველების მიერ მიტანილმა ამბავმა შეაშფოთა მტერი.

მედგარი დარტყმით გავფანტეთ მტერი და ერთი იტალიელი ტყვე წამოვიყვანეთ. ჩემს ასეულს თან ახლდა დეკლოვებული მნაღმავი ფედია დემილოვი. მისთვის ჩვეული გაბედულებით იწყო ფედია რკინიგზის ლიანდაგის დანაღმვა. ამ მომენტში მას მტრის მუხანათურმა ტყვიამ მოუსწრო და განგმირა. დავკარგეთ საყვარელი და ერთგული მეგობარი. დემილოვის ცხედარს პარტიზანული ადათის მიხედვით, დაღუპვის ადგილზე არ დაგვიტოვებია, თან წამოვიღეთ.

სრული წესრიგიანობით განვლო შენაერთმა რკინიგზის გადასასვლელი. ჩვენი ამოცანა შესრულებული იყო:

ასეულები ადგილებიდან მოვხსენით და შენაერთს გამოვუდევით. მეორე დღით სოფელ გლუშკოვს მივადიწით და დავბანაკდით, მთელი დღე ამ სოფელში დავრჩით. აქ მიწას მივაბარეთ ამხანაგ დემიდოვის ცხედარი. მის საფლავზე კვლავ დავიფიცეთ, რომ ერთი-ათასად ვიძიებდით შურს მის მკვლელებზე, ვიბრძოლებდით მანამდე, სანამ ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე მტრის უკანასკნელ ჯარისკაცს არ გავანადგურებდით.

შემდეგში მდგომარეობა გართულდა, დიდი წინააღმდეგობა გვხვდებოდა გზა-გზა. ვაბოროტებული მტერი ყოველ ნაბიჯზე გვაფიწროვებდა.

დალამდა. ტყეში შევდივართ, გადაუღებელი წვიმაა, წყალი მუხლამდე დგას ტყეში.

უხმოდ მიიწევს წინ ფოლადის კედელივით აღმართული პარტიზანების შენაერთი. დროგამოშვებით ღამის მყუდროებას არღვევს ცხენების ფრუტუნის. აი ტყეში, გზაჯვარედინს დავუახლოვდით. ამ დროს უცრად, ყოველი მხრიდან საწარელი ცეცხლის ენები გამოჩნდა შენაერთი შედგა, ყველამ იარაღი მოვიმარჯვეთ, თავდამსხმელებს ისეთი ცეცხლით ვუბასუხეთ, რომ იარაღის ქექა-ქუხილზე ტყის ეხოს რამდენიმე კილომეტრზე გაიგონებდით. დამხვდურებს მალე თავგების სოროები მოვანახვინეთ. შეტაკება ხანმოკლე აღმოჩნდა. მტერი გაიფანტა. უნდა აღინიშნოს ტყის ბრძოლის განსაკუთრებული საშიშროება, შეტადრე ღამის ბრძოლისა. ამ პირობებში სულ ადვილად შეიძლება შენიანი დაამარცხო. ამიტომ ვერიდებოდით ღამით ტყის ბრძოლების დროს გაფანტვას შორეულ მანძილზე.

ხელჩართულ ბრძოლაში ბევრი მებრძოლი დღლავს და იბნევა. არიან ისეთებიც, რომლებს ხელჩართული ბრძოლის დროს ყველა მიმართულე-

ბით განუკითხავად ისერიან თონს, თავისიანებს გარეშესაგან ქლიფს აჩენენ. ღამის ტყის ბრძოლებში პარტიზანები შემქვიდროვებულად ყოფნას ვამჯობინებდით. კარგად ვიცოდით, მტერი სად იდგა და ცეცხლიც იქითკენ გვექონდა მიმართული.

გაზაფხულის პირად ცა უცრად შავად რომ მოიქუშება, ქექა-ქუხილი ატყდება, შემდეგ მას გრივალისებური ნიაღვარი მოყვება, დასასრულს ეს ბუნების ამაფორიაქებელი მოვლენები უცრივ შეწყდება და ისევ სრული მყუდროება დამყარდება, სწორედ ამ სურათის მაგვარი იყო იმ პერიოდში ჩვენი ტყის ომები. გაეფანტავდით რა მტერს, ქუხილიც მალე წყდებოდა და მყუდროებაც მყარდებოდა. ბრძოლებზე უფრო მომაბეზრებელი შეიქმნა განუწყვეტელი წვიმიანი ამინდები. ასეთ ამინდებში მინდორ-ველებში მოგზაურობა უფრო ადვილია, ვინემ, ტყეში. საკმაო იყო ხე ოდნავ შეგვერხია და წყალი კოკებად გვესხმოდა თავზე.

და აი ერთხელ, უკუნეთ ღამეში, ტყის მყუდროება ქალის ვერცხლივით წკრიალა ხმამ დაარღვია. შორიდან ეს ხმა გაურკვეველი იყო. ასეულს შეჩერება ვუბრძანე, პარტიზანები გაქვავებულნი დადგნენ ერთ ადგილას და ყური ცქციტეს იმ მიმართულებით, საიდანაც ხმა მოისმა. ახლა მეტი სიძლიერით და გარკვევით გამეორდა ქალის ხმა:

— დამიცადეთ, დამიცადეთ, თქვენთან მოვდივარ!

ცრუმორწმუნე არასდროს არ ვყოფილვარ, არ მწამდა და არ მწამს ბნელეთის ჯადოსნური ძალა, მაგრამ ჩემს მიერ წაკითხული ზღაპრების მიხედვით რომ ვთქვა, ეს ხმა — ტყის ფერიას ხმას უფრო წააგავდა, ვინემ ქალისას.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ხუთმეტე წლის გოგონა მოგვიახლოვდა. ხუჭუჭა კულულები, ეუქუნა თვალების ქუთუ-

თოვზე შავი გრძელი წამწამები, ჩამოსხმული გრძელი წვევები და შიშველი ფეხები ამ ღამით ტყეში, გოგონას პართლაც რომ ფერიას ელფერს ანიჭებდნენ.

ვერცხლისწყალივით თრთოდა პატარა, ხტოდა და კისკისებდა „ოი, რა დიდი ბრძოლა იყო... გერმანელებმა ჩვენს სოფელს ტყვია დაუშინეს. ყველანი გაიქექციით. ვერ მოვასწარი ჩემიანების დაღვენება და ჩამოვრჩი. თქვენ პარტიზანები ხართ?“

ჩვენ დავეუდასტურეთ.

— შორს გარეკეთ მტერი? ალბათ თქვენც ღებულობდით მონაწილეობას ამ შეტაკებაში?

— მაშ, მაშ, ვღებულობდით, გოგონი, გავრეკეთ და როგორ, ცხრა მთას იქით გადავრეკეთ.

პატარა სტუმარს მოვეფერე, საწვიმარი მოვასხი და ალაზე დავსვი. გოგონა შტაბში წავიყვანეთ. იქ გულთბილი შეხვედრით იგი მოხიბლული იყო. თავი საკუთარ სახლში იგრძნო.

V

ბრძოლის დამთავრების შემდეგ კოვაკის ბრძანება მივიღე: მდინარე გორინზე ხიდის აგება იყო საჭირო.

გორინი ვიწრო კალაპოტიანი, მავრამ ღრმა და ჩქარია; მტერს მდინარეზე მრავალი ხიდი აეფეთქებინა, ხოლო იმ ხიდებს, რომლებიც დაეტოვებინათ, გერმანელი გუშაგები სდარაჯობდნენ.

სასწრაფოდ ხიდის აშენების სამზადისს შევუდექით. როდესაც მდინარის ნაპირთან საშენი მასალა მივხიდე და ორმოების გათხრა დაიწყეთ, ამ დროს მოპირდაპირე მხრიდან გერმანელებმა სროლა ავციტხეს. მტერს საკადრისი პასუხი გავეცით, ხიდი ავაშენეთ და პარტიზანები კორჩინაში გადავიყვანეთ.

2. „მნათობი“ № 9.

შენაერთი სრული წესრიგით განაგრძობდა წინსვლას.

27 იენისს გარიერთებულ წესრიგში წესდებდით. აქ, სრულიად მოულოდნელად შენაერთის წინა ოცეულს ვილაცამ სროლა აუტეხა. მოვეშაღეთ ბრძოლაში ჩასაბმელად. სროლა უცებ შეწყდა. მალე გამოირკვა, რომ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი; თურმე აქაურ პარტიზანებს გადავაწყდით. ამ რაიონში მოქმედებდა ამხანაგ მეღველევის სადივერსიო პარტიზანული რაზმი. ხსენებულმა რაზმმა მოწინააღმდეგე ძალებზე შეავიწროვა, მტერს მრავალი ეშელონი დაუღუპა და ხიდები აუფეთქა; იმხანად მეღველევიც თავისი რაზმით ტყეში ისვენებდა, თან ასაფეთქებელ მასალას ელოდებოდა დიდი მიწიდან. „მტრის გამოლაშქრებას მოველოდით, თქვენი აქ ყოფნა ვერ წარმოგვედგინა, მტერი გვეგონეთ და სროლა ავციტხეთ“, გვითხრა მეღველევი; კიდევ კარგი, რომ ამ გაუგებრობას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ამხანაგ მეღველევის რაზმი 150 — 200 პარტიზანისაგან შესდგებოდა. რაზმის წევრთა ერთი ნაწილი პარამუტებით გადმოსხმული მებრძოლები იყვნენ, მეორე ნაწილი კი ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან შესდგებოდა.

მეტად საყურადღებო ცნობები მოგვაწოდა მეღველევი. ეს ცნობები პრაქტიკული ხასიათისა იყო. მეღველევი საუცხოვოდ იცნობდა აქაურ ადგილობდებარეობას, მოსახლეობას, მტრის განლაგებას, მისი ძალების რაოდენობას მის სუსტ მხარეებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გერმანელები აქ შედარებით თითქოს მშვიდად გრძნობდნენ თავს. აღმოსავლეთ უკრაინაში სალამოს ექვსი-შვიდი საათიდან ადგილობრივი მცხოვრებლები ქუჩაში ვერ გაივლიდნენ, უღროვო

დროს ქუჩებში მოძრაობა სასტიკად იყო აკრძალული. აქ, კი დასავლეთ უკრაინაში ამ მხრივ მდგომარეობა სხვაგვარი იყო, ეს იმიტომ, რომ გერმანელები არ ფიქრობდნენ, თუ ასე შორს გამოიჭრებოდნენ პარტიზანები.

ჩვენ კვლავ წინ წავედით. მედვედევნი დარჩა თავის რაიონში; უხიფათოდ მივდივართ. კვლავ მყუდროებაა. აი სოფელ გერმანკაში შევედით. რკინიგზა ხუთი კილომეტრითაა ამ სოფლიდან დაშორებული. ჩვენ რაც შეიძლება თავს ვარიდებთ ბრძოლებში ჩაბმას, ძალებს კარპტებისათვის ვიზოგავთ.

— არც ასეთი ხანგრძლივი სიჩუმე და უმოქმედობა ვარგა, — ამბობს კოვბაკი, — საჭიროა ერთი მაგრად შეეფერთხოთ გერმანელები და ჩვენი თავი გავახსნოთ.

შემთხვევაც ჩქარა მოგვეცა. მზვერავებმა ცნობა მოიტანეს, რომ კოვბაკის რკინიგზის ხაზზე სამხედრო საჭურველით დატვირთული ეშელონების დიდი მოძრაობაა, ფრონტის მიმართულებით მატარებელი მატარებელს მისდევს, ამასთან, რაც შთავარია, პოვლის და მეთვალყურეობის თვალსაზრისით, ხაზი ვერ არის საკმაოდ დაცული. მატუშენკოს ამინდი დადგა, მას ზომ ჩვენ შენაერთში განთქმული დივერსანტის სახელი ჰქონდა დამსახურებული.

— ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს, — ეუბნება მატუშენკოს კოვბაკი. — აბა, აისხი იარაღი. ამაღამ კარგად უნდა წაიმუშაო. — მატუშენკო სასწრაფოდ მოეშადა და ბატალიონი დავალების შესასრულებლად წაიყვანა.

კუბრივით ბნელ ღამეში პარტიზანები ფორთხვით მიდიოდნენ ლიანდაგზე.

ჩვენ, სოფლად დარჩენილებს მოთმინება აღარ გვეოფნიდა. სულგანაბულნი კვლოდებოდით მატუშენკოს მუშაობის შედეგს.

ნაშუალამეგია. შორიდან, ძალიან შორიდან მოისმის მატარებლის მძვინვარების ყრუ გუგუნე; ეს ხმა მათხრობს ძლიერდება და მკაფიო ხდება.

აგერ, იკივლა მატარებელმა. მემანქანე ნიშანს იძლევა დაღმართთან მიახლოვებაზე და აფრთხილებს მემუხრუჭეებს სათანადო ზომები. მიიღონ.

— გრრრ-ბუბუ, — თითქოს ქვესკნელიდან აღმოსკდა საშინელი ქუხილი და მატარებლის ბორბლების ხმაც შესწყვდა.

— ვაშა, მატუშენკო, ყოჩაღ მატუშენკო! — ერთხმად შესძახეს ტყეში მყოფმა პარტიზანებმა.

ცის ტატნობზე იშვიათი სურათი გადაიშალა. ლიანდაგის გასწვრივ ცა გაწითლდა. ბენგალის ცეცხლისებური განათება გაძლიერდა. მერთალ სინათლეში ლიელებენ ძალიან ხეების წვეროები. მატარებლის აფეთქების შემდეგ შორიდან ყრუდ მოისმა ტყვიამფრქვევების, ავტომატების და ხელყუმბარების გრიალი. კოვბაკი ბოლთასა სცემს, ვერ ისვენებს, ვაზეთის ნახევში ყრის წვეკოს ახვევს და ნერვიულად ქაჩავს, მათრახს იცემს წალების ყელებზე და თავისთვის ლაპარაკობს: „ყოჩაღ მატუშენკო, ვაეკაციც ასეთი უნდა“. წარამარა ისმის ტყის სიღრმიდან ცხენების ფრუტუნი, თითქოს ისინიც ბრძოლისაკენ მიიწევენო. მატუშენკომ მართლაც კარგად წაიმუშაო იმ ღამეს, სამი ეშელონი ააფეთქა, აქედან ორი — ტანკებით იყო დატვირთული და ერთი — ქვემეხებით.

კვლავ განვავარძობთ გზას, გარიერაზე მწვანე მუხნარში შევდივართ.

თავის სახელწოდებან საესეებით ამართლებს ეს ტყე.

მუხნარში გრილა. აქ ორი დღე დავრჩით. სულ ახლოა აესტრიის ყოფილი საზღვარი.

მედვედევსაც გაუგია ეშელონების აფეთქების ამბავი. ჩვენთან მოვიდა ის სტუმრად, მწუანე მუხნარში.

— არა მგონი, ასე ადვილად გაპატიოთ მტერმა ეშელონების აფეთქება, — გვეუბნება შედვედვი, — სიფრთხილედ და თადარიგოიანობა გმართებთ, გერმანელები გააძლიერებენ თავის ჯარებს ამ რაიონში, უთუოდ ახალ ძალებს მოაყრიან. ამხელა არმიის დამალვა, როგორც თქვენია ძნელია. მე კი, როდესაც გერმანელები დამედევნიბიან ჩემს ერთ მუქა რაზმს ჯეჯილში და მზისუმზირებში დავმალავ ბოლმე.

მწვერავებმა ამბავი მოგვიტანეს, რომ ავსტრიის საზღვარზე მდგარი გერმანელების გარნიზონი ჩვენზე გამოსალაშქრებლად ემზადებო. არ გვინდა ბრძოლაში ჩავებათ. ვიჩქარით, გზას განვარძობთ, მთავარ შარა-გზას ეტოვებთ და ბილიყებით მივდივართ. ამ დროს დავგეწია გერმანელების ნაწილი და ბრძოლაში ჩავება. ძვირად დაუჯდათ ეს ბრძოლა ფრიცებს: რვა მანქანა დავატოვებინეთ, ცოცხალი ძალა ვაუწინადგურეთ, ტყვეები ბლომად ვიგდეთ ზღოთ და, რაც მთავარია, ამ ბრძოლიდან უმსხვერპლოდ გამოვედით.

მტერი შეშფოთდა, ფეხზე დადგამას კოვპაის შენაერთი პატარა, ერთი მუქა რაზმი ეგონა, მაგრამ, როცა საკუთარი თვლით იხილეს საუკეთესოდ გაწრთვნილი და შეიარაღებული შენაერთი, იკადრეს და შეხედულება შეიცვალეს. ახლა უკვე, ჩვენთან ბრძოლაში ჩაბმას ისინი თავს არიდებდნენ.

ტყვე გერმანელებმა გვიამბეს: გარნიზონის უფროსებმა გეიბრძანეს მხოლოდ თავდაცვა აწარმოეთ. ასეთი გადაწყვეტილება ჩვენმა შტაბმა იმიტომ მიიღო, რომ შეიტყეს — კოვპაის შენაერთი გაწვრთნილი რეგულარული ჯარის ნაწილიაო.

ჩვენი შენაერთის ხელმძღვანელის — კოვპაის გვარი გერმანელებმა უკვე იცოდნენ. ან კი გაუგებარია რაღაცა მხარე-ბოდა, კოვპაის სახელი ზომ თავზარსასცემდა მტერს.

VI

სოფელ კაჩანოვკას მივალწიეთ. ქუჩის ორთავე მხარეზე ჩამწკრივებულია ლამაზი თეთრი სახლები. ფანჯრების ფარდებს უკან მოძრავ ლანდებს ვამჩნევთ. გარინდული გვიცქერიან სოფელები. როცა გვიცნეს, რომ პარტიზანები ვიყავით — სასწრაფოდ გამოეფინენ ქუჩებში.

კაჩანოვკაში გვიამბეს, რომ მახლობელ ქალაქ სკალატში მტრის ძლიერი გარნიზონი დგასო.

ვერშიგორამ გავზავნა ქალაქში მწვერავები, მათ დაადასტურეს რომ სკალატში განლაგებულია მტრის საგრძნობი ძალა. მწვერავებმა ისიც გვითხრეს, რომ სკალატში გარნიზონისათვის უკვე ცნობილი გამხდარა კაჩანოვკაში ჩვენი მოსვლა და დაბანაკება. ამჟამად დიდი ფუსფუსი და მზადებაა მტრის ბანაკში, სჩანს ჩვენზე გამოსალაშქრებლად ემზადებიანო.

მალე მწვერავებმა ახალი ამბავი მოგვიტანეს: მტრის დიდი ლაშქარი დაიძრა ქალაქიდან და ჩვენსკენ მოდისო.

იმხანად, დივერსიების ბრწყინვალედ ჩატარების შემდეგ, უკან ჩამორჩენილი ჩატუშენკო თავის ბატალიონით დავგეწია და შემოგვიერთდა.

შენაერთი ტყეში ჩასაფრდა და ბრძოლისათვის მოემზადა.

— ერიდეთ უდროოდ დროს ბრძოლაში ჩაბმას, დაელოდეთ საერთო განკარგულებას, — ბრძანა რუდნეევმა.

მტრის გარნიზონის აზვირთებული ტალდა ტყეს დაუახლოვდა, ერთმა ნაწილმა გაშლა იწყო.

— ცეცხლი მტარვალთა ხროვას, — იყო რუდნევის ბრძანება და ტყის გასწვრივ იგრილა ყველა ჯურის იარაღმა. მოწინააღმდეგე შედგა, ცხერის ფარასავით იწყო გაფანტვა, მიხვდა, რომ მოტყუედა, მაგრამ გვიან-ლა იყო.

მტერმა სცადა გაქცევით განსაცდელისაგან თავის დაღწევა, მაგრამ სად გაექცეოდნენ პარტიზანებს: დავედევნეთ და მანამდე ვკაფეთ, სანამ ერთი მოამბე აღარ დარჩა. რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ მოენებად. პარტიზანებმა გერმანელების უკანდახვევით ვისარგებლეთ და ქალაქისაკენ წავედით.

ბრძოლის ქექა-ქუხილი თურმე გარკვევით ისმოდა ქალაქში.

პირველად ლენკინის ცხენოსანთა ჯარი შეიჭრა ქალაქში, მას უკან ქვეითი ჯარი და არტილერია მიჰყვა.

პატარა ქალაქია სკალატი. ბაღ-ბოსტნებით გამშვენებულია მისი სწორი და სუფთა ქუჩები, თავაზიანად გვხვდება ქალაქის მოსახლეობა.

— მოხარული ვართ თქვენი მოსვლით, — ამწობენ ისინი, — საპყრობილეში ვგრძნობდით თავს, პერი არ გყოფნიდა. მას შემდეგ, რაც ეს დაუპატივებელი სტუმრები მობრძანდნენ ჩვენს ქალაქში, სიცოცხლე გავვიმწარდა. წითელი არმიის განადგურებაზე ჩავგნიჩინებენ ყოველდღე ფრიცები. ახლა კი წითელმა არმიამ ახვეტა ჩვენი ქალაქიდან ეს მოძალადეები. ნეტა გენახათ როგორ ქუდმოვლეჯილი გარბოდა სკალატის გერმანელი კომენდანტი!

— სასმელ-საქმელზე როგორ ხართ? — ეკითხებით.

— დაბეგრილები ვართ, რაც კარგი და ნოყიერი სურსათ-სანოვავე გავაჩნდა, წაგვართვეს, მითთვისეს; სავსე აქვთ ნადავლით საწყობები.

— თუ იცით, სად არის მოთავსებული მათი საწყობები?

— როგორ არ ვიცი, გუნბათუ ვაჩვენებთ!

— კარგს იზამთ! ერთგულმა გლეხებმა წაგვიყვანეს და საწყობებს თავზე დაგვაყენეს.

— აი აქ საფეიქრო ნაწარმი და ტყავეულობა აქვთ მოთავსებული, იქ განაპირა ქუჩაზე, სურსათის საწყობებია.

სახელდახლოდ ვტვირთავთ ნადავლი საქონლით ალალებს და ავტომანქანებს. როგორც ეს ყველგან, აქაც ბლომად აღმოჩნდა საწყობებში სურსათ-სანოვავე.

ნადავლი საქონელი უხვად დავურით ადგილობრივ მოსახლეობას, ნაწილი კი ქალაქიდან საჩქაროდ გამოვზიდეთ ტყეში.

ქალაქიდან გასვლას ვჩქარობთ. არც ისე შორს არის სკალატიდან ლვოვი-მტერს 5—6 საათში შეუძლია მანქანებით იქედან სკალატში ჯარი გადმოიყვანოს.

ლვოვში მტრის რეგულარული სამხედრო ნაწილები იდგა, ხუმრობა საქმე არ იყო მათთან ბრძოლაში ჩაბმა.

ერთი დღე დავყავით ქალაქ სკალატში, რუდნევეს ამ დროს სააგიტაციო მუშაობის გაშლა საქმად შესძლო. მოსახლეობას მოაწოდა დიდი მიწიდან თვითმფრინავებით მიღებული ჟურნალ-გაზეთები და სხვა ლიტერატურა. დიდი ინტერესით დაეწაფა სკალატელი საზოგადოება ჟურნალ-გაზეთებს, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს.

— მოსკოვი ისევ სიცოცხლობს, მოსკოვი ისევ განაგებს და ხელმძღვანელობს საბჭოთა ქვეყანას, ვაუმარჯოს მოსკოვს! — ისმოდა ქუჩებში.

ვტოვებთ სკალატს და გავდივართ ტყეში. ძარღვები მშვიდდება ტყის გრილ და მყუდრო წიაღში. სკალატის ბრძოლის შთაბეჭდილებათა ირგვლივ პარტიზანებს შორის განსაკუთრებული საუბარი იმართება.

მუხნარის ჩრდილებში თავჩაღმა ჩა-
წოლილი პარტიზანები რიგ-რიგობით
ჰყვებიან ბრძოლის ეპიზოდებს.
ახლა სანოვაგითაც უზრუნველყო-
ფილი ვართ.

დასვენების შემდეგ გზას განვაგრ-
ძობთ.

ზემოთაც აღენიშნე, რომ ჩვენს შე-
ნაერთს საუცხოვო მზვერავეები ჰყავდა.
მზვერავეების ათეულის ხელმძღვანელ-
მა იასონ ეორეოლიანმა ბევრჯერ ისა-
ზელა თავი. შეუვალ ადგილებში ახერ-
ხებდა ის შეჭრას და იქიდან ცნობების
გამოტანას და მოწოდებას.

ეორეოლიანის მიერ შტაბისათვის
მიწოდებული ინფორმაცია ყოველ-
თვის ზუსტი და უტყუარი იყო. მახა-
თივით შემძვრებოდა ის გერმანელების
გარმიზონების სადგომებში და გაუგე-
ზბარი არაფერი დარჩებოდა.

— იასონ, არ გეშინია გერმანელებ-
მა ტყავი რომ დაგატოვებინონ? ძა-
ლიან ხშირი სტუმარი კი ხარ მითი,
რას იტყვი?—ვეუბნები ერთხელ ეორ-
ეოლიანს ხუმრობით.

— არა, არც მასეა საქმე, — მიპა-
სუხებს ის, — გერმანული ვიცოდე ერ-
თი და მაშინ გიჩვენებდით ნამდვილ
სასწაულებს.

— როგორ, გამოესაუბრებოდი?

— გამოვესაუბრებოდი მაშ! გუშინ
სიღამოს სოფელში ვიყავი. უდარდე-
ლად დავდივარ ქუჩებში და თან მზეს-
უშხირას ვაქანწუნებ. უცებ ქუჩის პი-
რას, სახლის ბანის წინ ფრიცები და-
ვინახე — სდგანან და საუბრობენ. ვამ-
ჩნევ ჩემზე უჭირავთ თვალი... ხმააღ-
ლა ლაპარაკიდან ჩურჩულზე გადა-
ვიდინე. მე კი ვითომ ვერც ვამჩნევ
მათ. სრულიად დინჯად და წარბშეუზ-
რელად განვაგრძე გზა, ფრიცებმა ხმა
ისევ აუმაღლეს, მე მეორე ქუჩით წა-
ვედი, გეზი ჩემი ამხანაგებისაკენ ავი-
დე, მზისუშხირების მინდორში შევ-
ძვერი და იქიდან ღამით ქალაქგარეთ

გამოვიბარე, დანიშნულ ადგილამდე
მშვილობით მივალწიე. ექსპრესდროს
საქმაოა უკან მოიხედო, ნანაღვანაღვანა-
ხარო გვერდზე კისერი და თავს ეჭვის
ქვეშ დაიყვანებ.

— ალბათ მთვრალი იყავი და ამი-
ტომ გამოიჩინე მასეთი გამბედაობა —
ეუთხარი მე.

— მერწმუნე, დავით, რომ არა.
სრულიად ფიზიკური ვიყავ. მთვრალი
არ ეყოფილვარ, მაგრამ მშვიერი რომ
ვეყოფილიყავი, ასეთ გაბედულებას
ვერ გამოვიჩენდი. კარგ გუნებაზე ვი-
ყავი და გაბედულად მიტომ გავდი-
ვამოვდიოდი.

— იასონ, ერთი ეს მითხარი, ეთქვათ
ყოველთვის არ მოიტანა კოკამ წყალი,
ჩაყარდი, მაშინ როგორ გამოსავალს
მიმართავ?

— ეეე, გაგონილა მაგაზე ფიქრი?
ჩაყარდნაზე თუ ვიფიქრე, ეს იმას
ნიშნავს, რომ ცოტა მაინც შიში შემე-
პაროს, ეს კი გამბედაობას შემისუს-
ტებს. ჩაყარდნა დაუშვებლად მიმანია.

— კარგი, ეს მითხარი, როგორ
ოინებს და ხერხებს მიმართავ და-
ზვერვის დროს?

— მთავარია გამბედაობა და რწმე-
ნა. გამოცდილებამ დამარწმუნა—მზვე-
რავი რაც უფრო ახლო მივა მტერთან,
მით უკეთესია. ეთქვათ მტერი ქალაქში
სდგას, უფროსებისაგან დევალებული
მაქვს დავზვერო ქალაქი. თუ კი ამ
დროს ქალაქგარეთ დავიწყე ლობე-
ყორეების უკან მალვა, თავს წაევაგებ.
საქმისათვის სჯობს ქალაქში შესვლა
და მოქმედება. ასეთ შემთხვევაში ჩა-
ყარდნის საშიშროება ნაკლებია. ჩემს
ავტომატს ყოველთვის მახლობელ
ტყეში ვმალავ და ჯიბეში რამდენიმე
ხელყუმბარის მეტი არაფერი გამაჩნია.
ღამე გამოთევია ბევრჯერ ისეთ სო-
ფელში, რომელიც სავსე ყოფილა გერ-
მანელებით. წარმოიდგინეთ, მე იქ
უდარდელად ვყოფილვარ და წყნარად

მშინებია, ვინემ სხვა დროს, სხვა ადგილას. ვიცოდი ასეთ დროს ნაკლები ხიფათია მოსალოდნელი. აქ მთავარია ბინის პატრონზე დანდობა, თუ სახლის პატრონი ნაიმედოა, იცი, რომ არ გაგცემს, მაშინ ყველაფერი წესრიგშია. არ ყოფილა შემთხვევა მოვტყუილებულიყავი ვისმესთან ნდობის საკითხში. ადამიანის გამოცნობა მემარჯვება.

— ერთხელ ასეთი ამბავი შემემთხვა, — განაგრძო იასონმა, — გერმანელების საბრძანებელში ვარ, ჩვეულებრივად დავდივარ ქუჩებში, მტრის ყოფა-ცხოვრებას ვსწავლობ და ვაკვირდები. ვამჩნევ ფრიცები ნერვიულობენ, სასწრაფოდ შეკრიბეს მოსახლეობა და გამოუცხადეს: — გავიგეთ ჩვენზე თავდასასმელად კოეპაკი მოდისო. დაე, მოვიდეს, როგორც საჭიროა, ისე დაეხვდებითო. საღამოს 5 საათიდან ღილის 7 საათამდე ქათამი რომ ქათამია, ის არ უნდა გაჰაჰანდეს ქუჩებში. დღეიდან სასტიკად აკრძალულია უნებართვოდ სოფელგარეთ გასვლა და შიგ შემოსვლა. წესრიგის დამრღვევნი საკუთარი სიცოცხლით აგებენ პასუხსო.

ვერ დავდექი კარგ ხასიათზე: ამ სოფელში თავისუფლად შემოვედი და გასვლა როგორ მოვახერხო, აღარ ვიცი.

ბინის პატრონთან მივდივარ და ვთხოვ, მასწავლოს მოხერხებული ტყეში გასასვლელი გზა, რომ შეუმჩინებლად შევძლო სოფლიდან წასვლა.

— აი ამ ბილიკით ივლი, — მეუბნება ეს კეთილი კაცი, — ეს გზა ტყეში მიდის, გადასახვევი ბილიკი შეგხვდება, ნუ გადაუხვევ. ამ ბილიკს არ აცდეს, — მე წაღის ყელში ჩადებულ კომპასს ვიღებ. ეს ხელსაწყო დიდ სამსახურს მიწევს, რამდენჯერ ვუსხნივარ მას გზადაბნეულობის დროს.

— ერიდე ქაობებს, — მითხრა ბი-

ნის პატრონმა — დროს ქაობებია, ვალე, ზოგან წელამდე მჭექტლე მჭეგწედეს. კოლოების მეტოჯამ მჭოთმტმში შენ არაფერი შეგხვდება. ამ გზაზე დაახლოებით 3—4 კილომეტრით ივლი და შემდეგ ვახვალ ულრან ტყეში, — გამოვემშვიდობე ბინის პატრონს, თავაზიანობისათვის მადლობა გადავუხადე და გზას გაუვდექი. — ქაობები გავიარე ღილის ვაი-ვაგლახით და სამშვიდობოს გამოვედი.

იასონთან და სხვა ამხანაგებთან ხშირად მჭონდა საუბარი, ვაფრთხილებდი, რომ სითამამე სამხედრო ოპერაციების შესრულების დროს თუ თავხედობაში გადადის, ის მეომრისათვის საბედისწერო ვახდება.

უენებლად მივდივართ, არსად სჩანს მტერი. მაინც სრულ სამხედრო თადარიგს ვიჭერთ, ფრთხილად მივიწვეთ წინ. სკალატში გამარჯვების შემდეგ გამზიარულდა რულნევი. საერთოდ ყველა გამარჯვების შემდეგ რულნევს განსაკუთრებული მზიარულება სჩევოდა.

ახლაც შენაერთის თავში და ბოლოში დააქროლებს ის თავის მერანს და მღერის თავის საყვარელ სიმღერას.

გზაში ჩეხების სოფლები გვხვდება. აღსანიშნავია ჩვენდამი ჩეხების კარგი განწყობილება; სოფლელებს გაეგოთ, რომ წითელი არმიის ერთი ნაწილი დასავლეთის მიმართულებით მოდის, გზა-გზა ანადგურებს სოფლებსა და ქალაქებში მოკალათებულ გერმანელების გარნიზონებსო. როდესაც შევდგიოფეხი ჩეხების მიწა-წყალზე, ჩვენი მისვლით ალტაცებულმა გლეხებმა იშვიათი შეხვედრა მოგვიწყვეს. ჩვენდა პატივსაცემად მოწვეულ მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ გლეხები.

— თქვენი მოსვლა ჩვენთვის ყოველმხრივ სასიხარულოა, — ამბობს ჩეხი ორატორი.

— წითელი არმიის გამარჯვება, იგივე ჩვენი გამარჯვებაა. ჩვენ არ მოველოდით თქვენს აქ მოსვლას, ასე გვესმოდა, წითელი არმია გაანადგურეს და უკვე არ არსებობსო. დღეს ჩვენ თვითონ ვხედავთ წითელ არმიის წარმომადგენლებს, სიზმარში გვეგონია თავი, სჩანს წითელი არმია ისევ სცოცხლობს და ურყევეია. ამიტომ გამარჯვების იმედს არ ვკარგავთ, გვწამს ჩვენ ვაიმარჯვებთ.

გლახებს თან მოუტანიათ დიდძალი ტანსაცმელი, საცვლები და ფეხსაცმელები:

— მიიღეთ ჩვენგან ეს მცირე საჩუქარი, — ეუბნებიან გლახები კოეპაკს, — გადაეცით ეს თქვენს მეომრებს და ჩვენი სახელით სთხოვეთ კიდევ მეტი ენერგიით და შეუპოვრად იბრძოლონ მტერთან, იბრძოლონ მანამდე სანამ მათი სახსენებელი არ მოისპობა ჩვენს მიწა-წყალზე.

საპასუხო სიტყვით გამოსულმა კოეპაკმა მადლობა გადაუხადა ჩეხ მოსახლეობას შეგობრული შეხვედრისათვის

და მიძღვნილი საჩუქრისათვის. მან განუმარტა დამსწრე უსიზმარებლებს წითელი არმიის გამარჯვების შესახებ ული მისია.

— წითელმა არმიამ, — სთქვა კოეპაკმა — მოსკოვთან და სტალინგრადთან სასტიკად დაამარცხა მტერი, წელში გატეხა ჩვენს მიწა-წყალზე მოთარეშე გერმანელების არმიები. დატყვევებულია მტრის ცნობილი გენერლები და ასიათასობით ჯარისკაცები. თავზარდაცემული გარბის მოწინააღმდეგე და ჩვენ მას კვალდაკვალ მივსდევთ, და ვსდევთ იქამდე, სანამ მათ ზროვას საბოლოოდ არ გავანადგურებთ. შორს არ არის ის დღე, როდესაც მტერი საბოლოოდ იარაღს დაჰყრის.

კოეპაკის სიტყვებს მიტინგის მონაწილეთა ოვაციები ჰფარავდნენ. რუდნევი ამ დროს ეურნალ-გაზეთებს ურიგებდა ხალხს, ესაუბრებოდა მათ და მგზნებარე სიტყვებით ვანამტიციებდა მათ გულში მოახლოვებულ გამარჯვების რწმენას.

(გაგრძელება იქნება)

ოსური ლექსები



ლიახვის პირად

აენთო ღამის ვარსკვლავი,
დასცქერს სტალინის მძინარეს,
მღერით რბის მზოლოდ ლიახვი
მთებს შუა ჩამომდინარე.

ამბაეად მოაქვს მთებიდან
სილალე კლდეთა გულისა, —
ამღერებულა ფანდური
თვით კოსტა ხეთაგურისა!

შინდა ლიახვის ნაპირი
დავკოცნო, მუხლზე დავეცე,
ბედნიერ თვალებს, მზობლიურს,
ვარსკვლავთა შორის დავეძებ...



სტალინისკენ

ამ ქვეყნად, აბა, რა არი
ერთი ორთქმავლის გუგუნნი! —
გზადაგზა ნისლი გაქფანტა
და მყუდრო ღამის უკუნი!

აქ რასაც გული არ უცემს
ქება, — სიცოცხლე არ ჰქვია...
ეაშა ორთქმავალს!

მგზნებარედ

ზნელი რომ გამოარღვია!

მე სიღუბეშივე წარსულის
მახსოვს კვლავ გასაოცები:
ქართლში რომ ღარიბ ურმებით
ჩამოვდიოდით ოსები.



ის კი ამ ღამით სტალინის .
 ეძებს ვით შუქი ზვალისა....
 და ჰგავს თვით ხალხთა სიყვარულს
 გულისთქმა ორთქმავალისა!



საქართველოს

იქნებ ლურჯი ცით, ლურჯი ზღვისპირით,
 და ლურჯა-მთებით არის მდიდარი...
 არა! ეგ ვაზი და ეგ ნარინჯი
 თვალის წარმტაცი ვიცი რით არი! —

იქნებ მტკერის ტალღა წყრიალებს ვერცხლად,
 და თეთრი ნისლიც ფიქრია დილის, —
 არა! მთაწმინდა ჩაფიქრებული
 გულთა მზილავად დაჰყურებს თბილისს.

იქნებ ეგ ღვინო სისხლია მიწის
 და მეც ამ სისხლმა გამაზალისა, —
 მზინლავს ჩონგურის ფრთხილი წყრიალი
 და სინარნარე ქართველ ქალისა!

არა! წარსულიც ბრძოლით გავლილი
 დიდი მომავლის შუქით ივსება, —
 დგას მეგობრობა და სიყვარული —
 ვეფხის-ტყაოსნის გამირთა თვისება!

ო, საქართველოვ!... სიმაღლე შენი
 ოცნების თვალთ ვიხილო მინდა, —
 ის არი ჩემი აფრთოვანების
 და სიყვარულის ვარსკვლავი წმინდა!
 ო, საქართველოვ!.. ჩაგეთვალე ისევ
 შენი ბრწყინვალე კარის მგოსნებად!
 ბავშვობიდანვე შენ გვეგულები
 ჩვენდა სიცოცხლედ, ჩვენდა ოცნებად!

ვით გაზაფხული შენი მთებისა
 ჩვენც სიხარულით შევიმოსებით! —
 თავისუფლების სინათლით ვხარობთ
 ლიახვის პირად მდგარი ოსებიც!

მთარგმნელი კარლო კალაძე

გაზაფხული საკენი

მოთხრობა



I

საკენში... მაგრამ უწინარეს ყოვლისა, ვფიქრობ, თქვენ საჭიროა იცოდეთ, სად იმყოფება ეს ადგილი, საკენად წოდებული. ნუ შეეცდებით მოსძებნოთ იგი მსოფლიოს რუკაზე—ძლიერ მცირეა რუკათა მასშტაბები, რომ მათზე აღინიშნოს მსოფლიოს ესოდენ მყუდრო კუთხეები (ეს გარემოება არც აწუხებს საკენის მკვიდრთ). მაგრამ, თუ ხელში ჩაგივარდებათ აფხაზეთის რუკა, ეძებთ საკენი დაახლოებით ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.

თითქოს თვით ბუნებას გადაუწყვეტია რაც შეიძლება შორს მიეჩქმალა ეს ლამაზი და უსათუოდ ყურადღების ღირსი სოფელი. თვითონვე განსაჯეთ: ჩრდილოეთით საკენს იცავენ კავკასიონის ქედის ციკაბო შტოები, აღმოსავლეთით — გუაგუას მთაა, მაღალი და პირქუში, დასავლეთით — კლიჩი, ვერავი მთა, რომელსაც ილიამი მუდამ შემონახული აქვს თოვლის ზვავე—ისე, ყოველი შემთხვევისათვის. საკენი თითქოს მარწუხშია მომწყვდეული. თქვენ იტყვიან: კიდევ სამხრეთი დარჩაო. მაგრამ სამხრეთით საკენისაკენ მიმავალ გზას ჰკრავენ ცხრა უღელტეხილი და მთის რვა მდინარე — ერთმანეთზე უფრო საშინელი დაბრკოლებანი, ისეა როგორც ზღაპარში, ხომ მარ-

თალია? და საკენი მაინც არსებობს და დღეგრძელობს!

იმ ტურისტებისათვის, რომლებიც კავკასიაში მოხვედრილან, ნაცნობია ქლუხორის უღელტეხილი. ნაცნობია აგრეთვე ზღვისკენ მიმავალი გზაც. ეს გზა მიიკლავება გიჟმაყი მდინარეების გუანდრასა და კოდორის ციკაბო ნაპირებზე. ტურისტებს, ალბათ არა ერთხელ შეუსუნთქავთ ხეობიდან დაქროლილი მთის ნიავის თაფლოვანი სურნელი იმ ადგილზე შესვენებისას, სადაც გუანდრა შეერთვის კოდორს. მაშ იცოდეთ: ის ნიავე საკენიდან ჰქრის.

საკენი უხსოვარი დროიდან არსებობს, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა, როგორც ამბობენ, ამოწევა იწყო ზღვის ფსკერმა, როცა გამოჩნდა მიწა, რომელსაც ამჟამად კავკასიის მიწაწყალს ეძახიან. გამოურკვეველია, რანაირად მივიდა საკენში ადამიანი და რამ გამოსწია მისი გული აქეთკენ. ერთი რამ უეჭველია: ადამიანები ცხოვრობენ საკენში ოდითვე.

ერთხელ, ორმოციოდე წლის წინათ, აქ ჩამოსულა სოხუმის ქალაქის თვითმმართველობის მოხელე, პლეჩით დაავადებული. იგი ეძებდა სუფთა ჰაერს და იაფ თხის-რძეს. ერთიც და მეორეც მას შესთავაზეს საკენში სრულიად უსასყიდლოდ — სტუმართმოყ-

გარეობის გამო. მოხელე ძლიერ ხშირად იყო ხოლმეშული და წარბშეკრული — ასეთ დროს მას ვერაფერს მიეკარებოდა. ხანდახან მთელი ღამეები არ ეძინა, გამუდმებით იჯდა და რაღაცას იწერდა სქელ რვეულში, საუბარში აუფად იხსენიებდა მეფესა და თავადებს — პირდაპირ ყურს არ გაეგონებოდა. ალბათ, ამავი და ქედმოუხრელი იყო იგი და ახლა ისეგებოდა თავისი შეურჩევლობისათვის. გლეხებმა შეიყვარეს იგი, ხელს უწყობდნენ, რითაც კი შეეძლოთ. ერთხელ ეს მოხელე მთებში წააწყდა ქვის სამარხს. ნაპოვნმა მასში დაჰბადა აზრი იმის შესახებ, რომ ძველად (ძალიან ძველად), ადამიანებს როგორც სიხანს, ტყუილუბრალოდ როდი შეურჩევიათ ეს ადგილი. მოხელემ ყველაფერი დაწვრილებით უამბო თავის მასპინძლებს, იმათ კი — მეზობლებს მოუთხარეს. საკენელებს ძლიერ გაეხარდათ, როცა შეიტყეს, რომ მათ წითურ მიწაზე ადამიანი დიდხანია ცხოვრობს.

რატომღაც ამ მოხელემ (კვიანმა კაცმა) ყურადღება მიამკცია მონაცრისფერო კლდეს სოფლის მახლობლად. იგი არწმუნებდა გლეხებს ამ კლდის მტვერი მიმოებნით ყანებსა და ბოსტნებში, მაგრამ არაფერს არ გამოიყენა მისი რჩევა. სხვათა შორის, მის ნივთებში (გაზაფხულზე მოხელეს სისხლი წასქდა ყელიდან და იგი გარდაიცვალა) აღმოჩენილ იქნა ხელნაწერი, რომელიც ასე იყო დასათაურებული: „ბუნებრივი ფოსფორიტები სოფელ საკენში“. მან დიდხანს იმოგზაურა ხელიდან ხელში, ვიდრე, ბოლოს, თამბაქოს მოსაწევად გამოიყენებდნენ, მიუხედავად კალიგრაფიული ხელწერისა, რომლითაც იგი იყო შესრულებული. თუმცა, ხელნაწერის პირველი ფურცელი დიდხანს ამშვენებდა ერთ-ერთი სახლის კედელს საკენში, ჰფარავდა რა წაბლის ფიცარში ვაკე-ებულ ვიწრო ქუჩურტანას. მასპინ-

ძლის ვაჟმა, პატარა ბიჭუნამ, ყველაფერი ზეპირად დაისწავლა, იქნებ ამ ფურცელზე, და მტკიცედ დაიწვინებდა მას წარბშეკრული, სწეული მოხელის სიტყვები...

საკენის უკანასკნელი საუკუნის ისტორიის ცოცხალ განსახიერებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მოხუცი შანგერი კანბა, რომელმაც ფეხი შესდგა თავისი არსებობის მეთოთხმეტე ათეულში. მთელი სიცოცხლის განმავლობაში იგი ორჯერ გავიდა საკენიდან: ერთხელ — ცხენის საძებნად, რომელიც მას მოჰპარეს, ხოლო მეორეჯერ — მეზობელ სოფელში, თავის მრავალრიცხოვან ნაშეერთაგან ერთის საცოლის ნიშნობაზე. პირველი გამოხდომა მას მკლავის მოტეხად დაუჯდა, ვინაიდან ცხენთან ერთად ხრამში გადაიჩნება, მეორე კი — ცხენად, რომელიც თოვლის ზეგვა გასარისა. და შანგერმა აღიქმა დასდო — სოფლის ფარგლებს არასოდეს გასცილებოდა. როგორც ხედავთ, საკენის მცხოვრებნი იშვიათად სტოვებდნენ თავიანთ მთის ბუდეს, და მათთანაც კიდევ უფრო იშვიათად მიდიოდნენ სტუმრები ვაკიდან.

სოფელთა სიაში საკენი ირიცხებოდა გასული საუკუნის 90-ანი წლების ბოლომდე, ვიდრე არ ჩამოვიდა მახრის ახალი უფროსი, პორუჩიკი სტუკოვი. როცა ეს მმართველი გაეცნო საქმის ვითარებას და მოისმინა გადასახადის ამკრეფთა აზრი, რომელთაც არაფრად ეპიტნავებოდათ ცხრა უღელტეხილისა და მთის რვა მდინარის გაღალახვა საკენელ გლეხთა საცოდავი გროშებისათვის, გადასწყვიტა ამოეფხიკა საკენი სოფელთა სიიდან, როგორც სრულიად არარსებული. საბედნიეროდ, ამ უალრესად სახელმწიფოებრივ აქტს დიდი შედეგები არ მოჰყოლია. საკენი ვანაგრობდა სამყაროში არსებობას, მსოფლიოდან მოწყვეტი-

ლი, ნახევრად ველური, წინანდებუ-
რად ამაყი და მიუდგომელი.

ასეთია ორიოდ, სიტყვით საკენის
ისტორია. რაც შეეხება თანამედროვე
საკენს, პირდაპირ უნდა ითქვას, —
ვერაფერი შეილი სოფელია!

გვეწვიეთ რაიონში — ჩვენი სოფ-
ლები ერთმანეთს ჰგვანან: დიდებიც
არიან, ლამაზებიც, მდიდრებიც. აქ ახ-
ლა უფრო მეტი ტრაქტორები ჰყავთ,
ვიდრე კამეჩები. გზებზე სატვირთე
მანქანები ისე სწრაფად დაჰქრებიან,
რომ ზოგჯერ გვერდებს ჩაუფხაპნიან
ხოლმე ერთმანეთს. ბევრმა კოლმე-
ურნობამ მსუბუქი მანქანები შეიძინა.
ერთი სიტყვით, შეძლებულები არიან.
და ერთბაშად, ასეთ რაიონში — საკე-
ნი რაიონის არა ერთ მდივანს მოუ-
ქეჭია კეფა — სურს კიდევ ხელი მოჰ-
კიდოს საკენზე ზრუნვას, ოღონდ ვერ
მოუსაზრებია, როგორ.

კარგი, რაღა, იტყვიან თქვენ, დაეხსე-
ნით საკენს, დაანებეთ თავი, სწერეთ
სხვა სოფლების შესახებ; საკენი ასე-
თია, ისეთიცაა, ჩამორჩენილია, მიუდ-
გომელია — რად გვირდებათ იგი?
ადვილი სათქმელია — რად გვირდება.
მაგრამ თუ მე იქაური ვარ, თუ იგი
ჩემთვის მშობლიურია? აი ხედავთ, ახ-
ლა თქვენც თანახმა ხართ. რომ მე
მართებულად მოვიქეცი, როცა სწო-
რედ საკენზე ჩამოვაგდე ლაპარაკი. ხო-
ლო იმ, სხვა სოფლებში, საკუთარი მო-
ამბენიც საკმაოდ არიან, ამასთან მათ
სახელიც საკმაოდ მოუხვეჭიათ თბრო-
ბის გარეშე.

საკენური ადათების მიხედვით
თქვენ უნდა გამოგცნაურებოდით. მე
დავიბადე... წყველი საკენის პირველი
სიტყვებიდანვე მის გამო ხალხის წი-
ნაშე უნდა გაწითლდეს ადამიანი. ადა-
შიანის სიცოცხლე — ვისთვის არ
არის ეს ცნობილი? — დაბადებიდან
იწყება. როდისღა დავიბადე? ძველი
საკენური კალენდრის მიხედვით ასე
გამოდის: ექვსი ფვის შემდეგ იმ დროი-

დან, როცა საკენამდე მოაღწია ამბავმა
რუსეთ-იაპონიის ომის ექვსეტი წლის
დაწყებისა და დამთავრების შესახებ
ზღვრა იოლი საქმეა. მაგრამ ამბავმა
საკენამდე როდის მოაღწია, ახლაც ვინ
იტყვის ამას? მაგრამ არის სხვა ნიშა-
ნიც, რომელიც ახუსტებს ჩემთვის
დიდმნიშვნელოვან თარიღს. თურმე,
ჩემი დაბადებიდან ოთხი წლის შემ-
დეგ დიდი თოვლი მოვიდა. 1911 წე-
ლი — დიდი თოვლის წელიწადია. აი
იანგარიშით: სამ წელს მოუნდა ომის
ამბის მოღწევას საკენამდე, რომ გა-
ვეხარებინე ჩემი არსებობის პირველ
თვეებში.

როგორც ბევრი გლეხის შვილები,
მე საქონელს ვმწყეცავდი, ვსწავლობ-
დი, როგორც ზოგიერთი ამბობს, ბუ-
ნების წიგნს. ნამდვილი წიგნებით
წერა-კითხვა მხოლოდ საბჭოთა ხე-
ლისუფლების დროს ვისწავლე, როცა
შამი ტუჩი ახლად შემოსებოდა ულ-
ვაშით.

1933 წელს მე როგორღაც ჩავედი
საკენში თითქმის მხატვარი. რარიც
იციენს საკენში, როცა შეიტყეს, რა
უნდა გაემხდარიყავი. როცა რამდენი-
მე თანასოფელელის პორტრეტი დავხა-
ტე — სიცილი შეწყდა და იგი გაკვირ-
ვებამ შესცვალა. თურმე, საკენელსაც
შეუძლია ფოტოგრაფთან გაჯიბრე-
ბა — ეს იყო განსაცვიფრებელი აღ-
მოჩენა. 1947 წლის ზამთარი და გა-
ზაფხული საკენში გავატარე. მაშინ
თანასოფელელებმა შეიტყეს სხვა ჩე-
ნი პროფესიის შესახებ (მოხუცმა კან-
ბამ მწერალი მიწოდა და ძლიერ ამა-
ყობს ამით).

მაგრამ ლაპარაკი ახლა ჩემზე კი არა,
გაზაფხულის შესახებაა, საკენის გა-
ზაფხულის შესახებ.

2.

ამრიგად, საკენში იმ დღეს, რომლი-
დანაც იწყება ჩვენი მოთხრობა, იდგა
ნათელი, მზიანი ამინდი. მარტის მი-

წურული იყო, და თბილი ჰაერი აღ-
რიან გაზაფხულს გვიქადა. მიწას
ორთქლი ასდიოდა. მსუბუქი, თითქმის
გამჭვირვალე ნისლი ასდიოდა ნაკა-
დულეებსა და ხეებს. ნისლი იწვედა
ზევით ჰაერის დენის ზეგავლენით,
იკუმშებოდა, ჯანლის სქელ ფენად იქ-
ცეოდა.

მყვირალა სახელწოდებიან ხუტორ
ვერცხლის-მინდვრის თავზე შეიკრა
ნამდვილი ფიფქა ღრუბელი. ხუტორი
ეკვროდა მთის თითქმის ციციბო ფერ-
დობს და ღრუბელს გასაფანტავი გზა
ალარსად ჰქონდა. იგი მუცლით ეფი-
ნებოდა მაღალ ფიჭვებს, ქუცმაცდებო-
და, რათა კვლავ ერთ მთლიან რამედ
ქცეულიყო. ღრუბელი თანდათან აღ-
მოსავლეთისაკენ მიიწვედა, ემორჩი-
ლებოდა რა ჰაერის დინებას, რომელიც
ცილილობდა მდინარე საკენის ხეობაში
გაქრას მეზობელი ხეობიდან. მაშინ
გამოჩნდებოდა მუქი მტრედის ფერი
ცა, და მზე ათბობდა დედამიწას.

აი ხუტორ კაკლისხევეში კი (სო-
ფელ საკენის გარეუბანი), რომელიც
მდინარის ხეობაში მდებარეობდა, გა-
ზაფხული უკვე ნამდვილად დამკვიდ-
რებულიყო. ხუტორებს შორის ხომ
სულ რამდენიმე კილომეტრი მანძილია,
ხოლო მათ შორის განსხვავება დიდია.
აქ უკვე იბადებოდა ახალი წყაროებსა
და მათ სივრცეზე, უკვე იზიდავდა
ადამიანს უღრანი ტყის ჩრდილი. გლე-
ხები საქმიანი თვალით უცქეროდნენ
მიწას, ვინაშე დრო ხომ არ არის
მისი დამუშავებისათ. ეზოებში თვლემ-
დნენ გაზაფხულის ყაიდაზე ზარმა-
ცად გამშლართული ძაღლები. იქორჩე-
ბოდა ბაღაბი, გალობდნენ ფრინველე-
ბი, რომელთა ხმა ზამთრის განმავლო-
ბაში მივიწყებული იყო. ხეთა კვირ-
ტები იშლებოდნენ. მძლავრად, შეუჩე-
რებლად ეფინებოდა მიწას სითბო,
ნამდვილი გაზაფხულის სითბო.

მაგრამ დაე ანათოს მზემ, დაე აცხუ-
ნებდეს კიდეც, წყაროები მაინც არ

არიან ყველაზე შესაფერისი დინამიკე-
ნებელი ადგილი აპრელის მთვესაზე.
ჰაერში სინესტე იგრძნობილიყო მთის
შემოენახა ნაშთები ზამთრის ყინვისა.
რომელიც მიმალულიყო სადღაც
ღრმად, როგორც სევდიანი ფიქრი
გულში. მიწას ჯერ კიდევ არ ჰყოფ-
ნიდა მზე: მას მხოლოდ ზედაპირზე
ასდიოდა ომზივარი, იდაყვის მეოთხე-
ლის სიღრმეზე კი თებერვლის სიცი-
ვე მეფობდა.

წყაროსთან, რომლის წყალსაც ხმა-
რობდნენ ორივე ხუტორის მცხოვრებ-
ნი, იჭდა კესოუ მირბა, ოცდაათი-
დე წლის ახალგაზრდა კაცი, იგი დაბ-
ნეული გამომეტყველებით რანდავდა
ჯოხს, ალბათ მხოლოდ დროის მოკე-
ლის სურვილით. განიერფარფლებიანი
ქეჩის ქული, როგორსაც ატარებენ
მწყემსები მთებში, იქვე იღო, მსხვი-
ლი კომბლის გვერდით (კომბალი
უმსუბუქებდა ნაპრილობევი ფეხით
სიარულს, განსაკუთრებით ციციბო
აღმართებზე). კესოუს ხაკისფერი გიმ-
ნასტურა ეცვა, ფართო არმიული ქა-
მარი მაგრად ჰქონდა შემოჭერილი.
უხეშ ჯარისკაცულ ჩექმებზე თხის ქო-
ნი წაეცხო.

დაბალი კლდეები, მხოხავი მცენა-
რეებით შემკულნი, ნალისებურად
გარს შემორტყმოდნენ წყაროს, ან-
კარას, და სუფთას, როგორც მთის
ძაერს. გვეონებოდათ, ნაკადული მი-
ნისგან ჩამოუსხამთო, მაგრამ ბურბუ-
შელები, დროგამოშვებით რომ ცვი-
ვოდნენ წყლის ზედაპირზე ჰქარგავდ-
ნენ ათობით რკალს — ერთი მეორეზე
მოზრდილებს. ეს რკალები იშლებოდ-
ნენ ყოველი მხრისაკენ, და მაშინ მათ
მოძრაობას თვალს ადევნებდა ახალ-
გაზრდა მთიელი.

აი ახლავ, რამდენიმე წამის შემდეგ,
წყაროსთან შეხედებიან ერთმანეთს
ორნი, რომელთაც ყველაზე უფრო
ნაკლებად სწაღდათ ეს შეხედვრა.
არა, ესენი მტრები როდი იყვნენ, მაგ-

რამ ვერც კარგ შეგობრებს დაარქმევ-
დი მათ. ურთიერთობა სთიშავდა
მათ, და ამ შულს ქალაქნებურად
აღვივებდა ის არსება, რომელიც აგრე-
თვე მოეშურებოდა აქეთ, წყაროსკენ.
საქმე იმაშია, რომ ქალიშვილის მი-
მართ ნიკულას სერიოზული განზრახვა
ქონდა, ქალიშვილს კი, ვაჟის აზრით,
ეტმასნებოდა, ამასთან ძლიერ ენერ-
გიულად, კესოუ მირბა. ნიკულა ფიქ-
რობდა, რომ მისი ასაკის ადამიანს
უკვე დროა ჰყავდეს ლამაზი და გული-
თადი ოჯახობა. როცა ეს გეგმები
აუცილებლად უნდა განხორციელებულ-
ოდა (ასე ეჩვენებოდა ნიკულას),
უცებ, სრულიად მოულოდნელად, გა-
მოტყერა ეს კესოუ, გამოტყერა — და
ყველაფერი ნაცარტუტად იქცა! რო-
გორც სჩანს, ჯერ კიდევ არ გაქარ-
წყლებულა ის სიყვარული, რომელიც
ჩაისახა ამ ახალგაზრდების ვულში ჯერ
კიდევ სანამ კესოუ ფრონტზე წავიდო-
და. ფარული ეჭვი — ასეთი იყო მი-
ზეზი, რაც განსაზღვრავდა მამაკაცების
ერთმანეთთან დამოკიდებულებას. მაგ-
რამ იყო მეორე მიზეზიც, რომელიც
მდგომარეობდა ამ ორი მამაკაცის საქ-
მიან ურთიერთობაში. პირდაპირ
ეთქვათ, ნიკულას მიაჩნდა კესოუ
თავმადლობარის თანამდებობაზე პრე-
ტენდენტად, მას ეშინოდა, რომ ახალ-
გაზრდა, ნიჟირი კაცი ბოლოს და ბო-
ლოს შეიძლება სასოფლო საბჭოს
ჩაუყენონ სათავეში (ეს არც ისე სა-
სიხარულო პერსპექტივა იყო; ცხადია,
რომ ასეთ ოპერაციას შეეძლო რამ-
დენადმე დემოკირებინა ნიკულა თა-
ნასოფლელთა თვალში!) თავის მხრივ
კესოუს არ მოსწონდა საქმის მართვის
წესი სასოფლო საბჭოში. და იგი თით-
ქოს, არც აპირებდა ამის დამოღებას.

როცა ნიკულამ ფრთხილად გადას-
წია ბუჩქები და ქვევითკენ, წყაროს
გადაჰხედა, პირველი რამ, რაც მას
შოუნდა ჩაედინა, იყო შინ წასვლა.
მაგრამ მას დააგვიანდა — იგი შეამჩნია

კესოუმ. რა გაეწყობოდა — იღუღე-
ბული გახდა ჩასულიყო და ქვევითკენ
და თამამი გამომეტყველებულიყო —
გორც იტყვიან ზოლმე საკენში, კბილის
კრეკით. კესოუც, ასევე ყოველგვარი
აღტაცების გარეშე, თავის მხრივ მიე-
სალმა ნიკულას.

— ჯოჯოხეთური სიციხეა! — ჩაი-
ლაპარაკა ნიკულამ ოდნავ ენის ჩლე-
ქით.

— იგი მკვრივი, ჩასკნილი შუახნის კა-
ცია. მის სახეს უკვე მოსდებია სიმ-
სუქნე, წვრილ თვალებს მოუსვენრად
აცეცებს. მაგრამ ორ მწკრივად ჩაყო-
ლებული თეთრი და მაგარი კბილები,
მთელი სახით ფართოდ გაღიმება, მის
პირისაზე. კეთილ გამომეტყველებას
აძლევენ.

— ნიკულამ დაასველა წყალში ვეე-
ბერთელა ცხვირსახოცი და იმით მო-
იწმინდა პირისაზე და კისერი.

— შინ რას აკეთებ აქ? — ჰკითხა მან
და თვალი ჩაუკრა, თითქოს კესოუს
რალაც აკრძალულზე წაასწრო. ცბი-
ერად მიმოავლო რა თვალი. ქებაურს,
რომლის ფსკერიდან მოსჩქეფდა წყა-
რო, იღუმალ დასმინა: — გასაგებია...

და ნიკულამ ძალდატანებით გა-
დაიხარხარა. მან გასწორა ცხვირსახო-
ცი, აცლა ჩაუშვა წყალში და რეცხვა
დაუწყო თავის შესაქცევად.

— ეზივარ. ვრანდავ. — ცივად ტბასუ-
ხა კესოუმ, და ჯოხი გვერდზე გადის-
როლა.

— შენ გგონია, მე ვერ ეხედავ? —
ნიკულა იღიმებოდა, წყალს დაშტერე-
ბოდა და ბაგეებს აცმატურებდა.

კესოუ თვალს აღვიწებდა იმას, თუ
როგორ ერთობოდა წყლით ეს მუდამ
მზიარული ადამიანი, იმდენად უღარ-
დელი, რომ მისი უღარდებობა უკვე
თავს აბეზრებდა ირგვლივ მყოფთ. მას
აბრაზებოდა ჯანსაოი, წითილო ლოყე-
ბი, თითქმის ქაბუკური სიმკვირცხლე
ნიკულასი, რომელიც, კესოუს აზრით,
საკმაოდ უსაქმური ვინმე იყო. სიტყვა

მოიტანა და უნდა ითქვას, ღია ფერები ნიკულას სახეზე სწრაფად ფერმკრთალდებოდა სასოფლო საბჭოში თავმჯდომარის მაგიდასთან ჯდომისას. კაბინეტის ოთხ კედელზეა იგი პირქუში და მდიდური ზღებოდა. იგი ძუნწი ზღებოდა ლაპარაკსა და მიმოხევაში. შესაძლოა, სულის სიღრმეში მას ეგონა, რომ ნამდიდრ მონადირეს არაფერი ესაქმება საწერ მაგიდასთან (ნიკულას კი კარგი მონადირე იყო, ეს ღირსება მას არ უნდა დაეუკარგოთ). რაც შეეხება მის უნარს ხელმძღვანელ სამუშაოსადმი, იგი ამ სპრივაც ერთის მოსურნე იყო: რომ ის არ შეეწუხებინათ. „მშვიდობა და წესრიგი“—იტყოდა ნიკულას, როცა მას მიმართავდნენ შეკითხვით სასოფლო საქმეებზე. შესაძლოა, მას იყარობდა სიზარმაცე, იქნებ, საერთოდ იგი შესაფერ ადვილზე არ გრძნობდა თავს?—ასეც ხომ ზღება! ეკლას როდი შეუძლია დაიკავოს ადგილი თავმჯდომარის მაგიდასთან!

„რა არის საყენი?“—ხშირად ეკითხებოდა თავს. და უბასუხებდა ხოლმე: „მოწითალო მიწის ნაგლეჯი, მთებში მიკარგული. თითქმის დათვის ბუნავი“... შეიძლება, სწორედ ამ სიტყვებში მდგომარეობდა იმ პესიმიზმის ფესვები, რომლის გარეგნულ ნიშნებს ხშირად ამჩნევდნენ სასოფლო საბჭოში მოსვლელნი: თავმჯდომარის ქონმოკრული სახე, ფანჯრებში ჩამტყრული შინები, ჭრიალა და ძველისძველი კარები...

როგორც ნიკულას ამბობდა ხოლმე, მასაც დაუყნოსავს თავის დროზე თოფის წამალი. ორ წელიწადს ომობდა იგი და ხელიდან სწრაფი შაშხანა არ გაუგდია. იარაღის კონდახი, პაწია ჯვრების ნაჭდევებით, აჭრელებული, მოწობდა იმ ადამიანის სამხედრო მამაცობას, ვინც ხანგრძლივად აყრდნობდა მას თავის ლოყას... დამთავრდა ომი. დაბრუნდა ნიკულას შინ, მაშინვე, მოხედა სასოფლო საბჭოში. „ჩემი

ორდენებით მოიხიბლენ“,—გულადილად აღიარებდა ნიკულას, ჯერ კიდევ თავმჯდომარის უკმაყოფილო მხედრობით ითქვას, მარტო ტყე და ტყის მკვიდრნი ჰგვრიდნენ ნიკულას ნამდიდრ კმაყოფილებას, — მონადირეობა მისი თანდაყოლილი თვისება იყო. მაგრამ თუ კი ის მაინც უნდა აქამდე თავმჯდომარის ადგილზე და სოფლის მცხოვრებნი მის მიმართ მკაცრ ზომებს არ იღებენ, ეს იმის წყალობაა, რომ მის გვერდით სხვები მუშაობდნენ. ამით, ამ ადამიანებს, მიჰყავდათ წინ სოფლის ცხოვრება და, თითქოს ტალღებზე, ისე მიჰყავდათ თვით თავმჯდომარეც. ნიკულას გულგრილობა ბევრს აბრაზებდა, მათ შორის კესოუსაც. ხოლო თუ ზოგჯერ მას პასუხსაც სთხოვდნენ ხოლმე — იგი ყოველთვის აბრუნებდა თავის მართლებას. ერთი სიტყვით, ჯერხნობით თავს იძვრენდა...

კესოუმ არ იცოდა რაზე ელაპარაკნა და დაინტერესდა — როგორი პირი უჩანდა ნადირობას.

— ალბად, ბარაქიანი ნადირობაა ახლა, — შენიშნა მან.

— ბარაქიანი? — ნიკულამ დაუსტეინა. — ხედავ, საით მიჰტრენენ არწივები? არა, ტყეში ამჟამად არაფერია საკეთებელი...

— გეჩქარება? — ჰკითხა ნიკულამ. — თუ ელოდები ვისმეს?

— რატომ გგონია?

— არა, მაინც?...—გამქირდავი წერილი თვალები უცქერიან კესოუს.

ახალგაზრდა ვაჟს აღიზიანებს ეს შეკითხვა. იგი ერთბაშად წამოდგა, კიდევ უფრო შემოიჭირა ქაპარი.

— გამიგონე, — ამბობს ნიკულას, — შეიძლება ქალიშვილს ელოდები?... მაშინ მე წავალ...

კესოუ აენტო. მან სცადა პირისახეზე გამოეხატა კეთილშობილური აღშფოთება; სწორედ იმიტომ, რომ ქარაგმულად თქმული სინამდილეს შეეფერებოდა.

— კარგია, ვიხუმრე... — ნიკულა წყალში ცხვირსახოცს უტყავუნებს. — რას იზამ, კესოუ? ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ...

არა, რა მრავალმნიშვნელოვნად უცქერის იგი კესოუს? რატომ არ აიბარგება აქედან?..

ვარდისფერი შუქი, რომელიც დილიდანვე ათბობდა კესოუს სულს, ადგილს უთმობს ღრუბელივით შავ ჩრდილს, და ახალგაზრდა ვაჟის გულმა აუწყა ეს მოვლენა აჩქარებული, მოგუგუნე ტოკვით.

— ვინ იცის, ვის მოეპრიანება აქ მოსვლა! — ჩაიბუტბუტა კესოუმ. — ვერავის ვერ აუკრძალავ წყლისთვის სიარულს.

— ვერ აუკრძალავ! ვერ აუკრძალავ! — ღიღინებს ნიკულა და ხარხარებს. გასწურა ცხვირსახოცი და სთქვა: — მამ ასე! მივდივარ...

მაგრამ ამ დროს კვლავ შეირბა ბუჩქები და წყაროსთან ჩამოვიდა ქალიშვილი.

კამა (ასე ეძახდნენ ქალიშვილს) გაქვავდა მოულოდნელობისაგან, როგორც შეშინებული შველი (საკენელ მეამბეხთა ორიგინალური შედარება). იგი შეცბუნდა იმის გამო, რომ დაინახა ერთი კი არა, ორი მამაკაცი სამხედრო ვინასტურებით. მაგრამ საკენში, ისე როგორც დედამიწის ყველა ნაწილში, ქალიშვილებს გააჩნიათ უნარი ოსტატურად დამალონ თავიანთი აზრები.

და აი კამა ნელა მიუახლოვდა წყალს გრძნობს რა მისდამი მიბურთბილ ორი წყვილი თვალისცქერას. იგი დაუდევრად ინსორებს ჭრელ თავსაფარს, უფრო მოხერხებულად იჭერს ხელში თიხის დოქს. იგი დასჩერებია მიწას, თვალები მორიდებით ძირს დაუხრია.

რომელიღაც შინაგანი ხმა ეუბნება კამას: „შესდექ!“ ეს, უეჭველად ინსტინქტია, რომელიც გატყობინებს საფრთხის შესახებ. საფრთხე თითქოს

იმალება თვით ამ ადგილას, რომლის სახელიც სისხლით არის შესმენილი. კინაიდან ოდითვე წყაროსთან სიბრტყელოდ ზედებოდნენ ერთმანეთს შეყვარებულნი და იგი ხშირად ქცეულა ორთაბრძოლის ასპარეზად (საკენში ყოველთვის საკმაოდ მოიპოვებოდნენ ექვიანები).

კესოუ წარბშეკრული დგას, ნიკულა ირონიულად იღიმება, — ყოველივე ეს ქალიშვილს აფიქრებინებს, რომ მამაკაცთა შორის ჩხუბი ატყდება.

— მშვენივრად გამოვიდა! შესძახა ნიკულამ, — თითქოს მოლაპარაკებულხართ!

— რატომაც არა, — ეშმაკურად შენიშნა ქალიშვილმა, კოხტად მოიდერაყელი და გამოაჩინა თოვლივით თეთრი კბილები.

კესოუმ გულგრილი გამომეტყველება მიიღო.

— ნიკულა ფიქრობს, — სთქვა, მან, რომ ჩვენ პაემანზე მოვედით.

— რატომაც არა? — კამამ მარდადგადიგდო ნაწნავი უკან. — ჭანა ვისმეს შერცხვება ჩემთან პაემანზე შეხვედრისა?

— კესოუ, თითქოს, სხვა აზრისაა, — ჩაიბუტბუტა ნიკულამ.

— მე? რატომ ვარ სხვა აზრისა?

— არ ვიცი. — ნიკულამ ჩაილოცხვირსახოცი შარვლის ვეგებერთელაჯიბეში. — ეხ, ახალგაზრდობე, ახალგაზრდობე! მე კი ვხედავ, როგორ შეცბუნდით, მაგრამ აი რა, კესოუ: ხუმრობა იქით იყოს და საქმე კი — თავისთავად. მოდი ხვალ საბჭოში, სერიოზული სათქმელი მაქვს. გაზაფხული კარს მოგვდგომია, გესმის?

მან აირბინა სერზე, და ვიდრე მიემალებოდა, განსაკუთრებული კილოთი წარმოსთქვა:

— თქვენ გესმით — გაზაფხულია და გადაეშვა შამხნარში მოცურავესავით, რომელიც გამოიბენით ჩაყურაუშეღავდება ხოლმე წყალში.

3.

კესოუ და კამა თითქოს მარტონი დარჩნენ ოთახში, რომლის კარი თავაზიანად, მაგრამ გულმოსულად მიიხურეს. როგორც ხშირად ხდება ასეთ შემთხვევებში, ერთბაშად როდი მოიკრებს აზრს ადამიანი.

კამამ ძირს ჩამოდგა დოქი და მკვარტლით გაშავებულ თიხის ფრიალო გვერდებს ქვიშით დაუწყო წმენდა.

კესოუ ქვიშაზე ჯოხით რაღაც ხვეულებს ხატავდა.

— როგორ შეკრთი, — თავაულებლივ უთხრა მას კამამ.

— მე?

— შენ.

— რატომ უნდა შევემკრთალიყავი?

— არ ვიცი. შეიძლება გრცხვენია ჩემს გამო.

— კამა! — კესოუმ ბიჯი წასდგა ქალიშვილისკენ.

— არ მომეკარო, — სწრაფად გააფრთხილა ქალმა იგი, — იგი თვალთვალსაც იკადრებს.

კესოუმ ტუჩები შეშკრა. ქალს შეებრაღა იგი, მიუჯდა გვერდით და ხელში ჩაიღო ვაჟის დიდი ხელი.

— რაზე ჩაფიქრებულხარ?

იგი ვალერსება ვაჟის ხელს, ჩასცქერის თვლებში. ვაჟი ჰხედავს მის გამომწვევ თვლებს სრულიად ახლოს, მაგრამ არ ძალუძს ალერსით უბასუხოს ქალის ალერსს.

— შენ მას მოსწონხარ, — ძლივს წარმოსთქვა მან.

კამა კისერზე მოეხვია მას. ბაგეები შეახო მის ყურს და ჩასჩურჩულა:

— მე კი შენ მიყვარხარ...

კესოუ ჯიუტად განაგრძობდა:

— ცხადია, იგი შეყვარებულა...

— ყველას ნება აქვს შეყვარებისა...

— შეიძლება მას აქვს საფუძველი იმედი ჰქონდეს?

3. „მნათობი“ № 8.

— სულელო, — ჩურჩულით წარმოსთქვა ქალმა და ნახადმწიკრმა მანის შეყვარებულს. — დავერწყოთ რამა! — ექვიანია, როგორც აღქაჯი“, — ხალისით ფიქრობდა კამა.

„აღქაჯი“ კი წარბებს ქვემოდინ იცქირებოდა და თავის მიმართ გრძნობდა, რომ ოდნავ სასაცილოა. მაგრამ როგორ დააღწიოს თავი ამ უხერხულ მდგომარეობას მამაკაცის ღირსების შეუბღალავად?

საკენელი მამაკაცები ოდესღაც განთქმული იყვნენ მთებში, როგორც სასტიკი ექვიანები, მაშინ როცა ქალები ითვლებოდნენ თვინიერებად და მომთმენებად. მაგრამ ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც საკენში გაჩნდა სკოლა, რაც აქ მასწავლებელი, ექიმი, ვეტერინარი გამოგზავნეს. ზოგჯერ გაზეთებიც შემოიჭროლებდნენ ხოლმე ამ მხარეში. და თავისდა შეუმჩნეველად, საკენელთა ხასიათში ცვლილებები ხდებოდა. მათდა უაღრეს გასაკვირველად, საკენელებმა შეამჩნიეს, მაგალითად, რომ მამაკაცები ცდილობენ თავი მოაწონონ შეყვარებულთ, ხოლო ქალები წუნები შეიქნენ და ქორწინების საკითხებში დამოუკიდებელ შეხედულებებს ამკლავებენ. საკენელები ძალაუვნებურად უფრო მომთმენი გახდნენ თავიანთი მეტოქეების მიმართ. ისინი კი, ვისაც თავიანთი მოდგმა მიაჩნდა ოდიოზანვე საკენში წარმოშობილად, და ეს მოდგმა მუხის ფესვებივით მიწაში ღრმად იყო გამჯდარი, განცვიფრებული იყვნენ შეხედულებებსა და ადათებში მომხდარი იმ ცვლილების გამო, რაც საყოფაცხოვრებო საქმეებს ეხებოდა. მომხდარა, რომელიმე საკენელს თავი გამოუცხადებია ტრადიციების დამცველად და მეომრის იერი მიუღია, ცდილა ებრძონა მამაბაბური ადათებისათვის. მაგრამ უსიამოვნების გარდა, მისთვის ამ ამბავს არაფერი არ მოუტანია; იგი

გამასხრებული რჩებოდა, ვინაიდან ცხოვრება ფართო ნაბიჯებით მიდიოდა წინ. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად ზოგიერთი საკენელის ხასიათში მაინც იყო ზოგი რამ, რისი შეცვლაც ძნელი გამხდარიყო. რაღა შორს წავიდეთ? აი კესოუ, ჯიუტი და ამაყი. იგი მართალი არ არის ახლა, ეს მშვენიერად ესმის, მაგრამ არაფრით არ სურს ამკარად აღიაროს... და კესოუ თავს ისე აჩვენებს, რომ მას ასტივდა ფეხის კრილობა...

— გტყვი? — ეკითხება კამა.

იგი იკმუნება.

— არ მტყვი, მტეხს.

ქალიშვილი ხელს ჰკიდებს დოქს და კვლავ გულმოდგინედ სწმენდს მას. იგი რეცხს დოქს, თან განუწყვეტლივ ესაუბრება კესოუს.

— გტყვი თუ გტეხს, სულ ერთია. ფეხს უნდა უმკურნალო. მთელი ზამთარი ყურადღება არ მიგიქცევია, კვლავაც აგტყვდება.

— ჩვენს ექიმს არ ვეჩვენები, — ამბობს კესოუ, — ბევრი რამ ესმის მას?! იგი სმაშია ყოჩალი. აი ჩვენს ნაწილში იყო ექიმი! კი არა, პროფესორი იყო. მართალია, მასაც უყვარდა გადაკვრა, მაგრამ რა თავი ჰქონდა! ტყუით სავეს!

— სად არის ახლა ეს ჰქვიანი კაცი? ალბად გალოთდა?

— არა, იგი ყუმბარამ დაჰფლითა ლეოეთან.

ისინი დაღუპდნენ.

— უმკურნალე ფეხს — თორემ ხეიბარი დარჩები, — აღელვებით ეუბნება კამა.

— აღარ გეყვარები?

— ვერ ვიტან ჯიუტებს. — მან ჩაუშვა დოქი წყალში, და იქიდან მოისმა ხმამალალი რაკრაკი. — უმკურნალე ფეხს. ვაიგონე თუ არა, რა სიტყვა თავმჯდომარემ? გაზაფხული კარს მოგვდგომიო!

კესოუმ ტყბილად გაიზმოლა, როგორც კატამ მზეზე.

— გაზაფხული პირველად შეგ შეგინიშნე და არა შენმა თავმჯდომარემ... მე გაზაფხულისათვის ისეთი რამ მაქვს მომარაგებული, რომ სახტად დარჩები! ქალიშვილს გულმა რეჩხი უყო. რა სიტყვა ჩაუტრა ვაემა?

— სახტად დაერჩები? ეს შე დაერჩები სახტად? თოფის წამლის გამოგონება ხომ არ გადაგიწყვეტია? — ამბობს იგი და თან ცდილობს თავისი ცნობის მოყვარეობა დაჰდაროს.

ახალგაზრდა ვაემა მოიქნია ახლახან მოტეხილი ტოტი და ბუნჩქებში გადაისროლა.

— რა საჭიროა თოფის წამალი, როცა არსებობს უფრო ძლიერი ასაფეთქებელი ნივთიერება, — სიტყვა მან სერიოზულად. — ჩვენი საქმე მიწაა.

— ეს ხომ არა? — და კამამ კესოუს ფეხებთან დაუგდო ერთი მუჭა ყვითელი ქვიშა.

— რით არის მაგ ცუდი მიწა? ზოგჯერ ასეთიც მოგნატრები! ტყუილა როდი მღერიაან:

მე მიწა დატოვე.

მე მიწა დატოვე —

მაგრამ

კესოუმ იმღერა ერთი კუპლეტი, თან სასაცილოდ ამახინჯებდა მელოდიას. და უცებ, შესწყვიტა რა სიმღერა, პირდაპირ იკითხა:

— კამა, გსურს სასწაულის ნახვა?

ქალმა მხრები აიჩეჩა. რას უნდა ნიშნავდეს მისი სიტყვები?

— შენ ხომ თვითონვე გითქვამს — სასწაულები არ ხდებაო. სკოლაშიაც ასე გეასწავლიდნენ.

კესოუმ მოუთმენლად ჩაიქნია ხელი.

— შენ ჩემს შეკითხვაზე მიპასუხე.

— რას აპირებ?

— მე? — კესოუმ დონიჯი შემოიღმა და ფეხები ფართოდ გაჩაჩხა. — მომისმინე. თავმჯდომარე ბევრს ლა-

პარაკობს გაზაფხულის შესახებ, მე კი ისეთ რამეს ვამზადებ... ჰექტარზე ხუთას ფუთ სიმინდს ზომ არ იწებებთ?

— აი თურმე რამია საქმე, — უბასუხა ქალმა გულგატეხილად. — მაგრამ საიდან მიიღებ ხუთას ფუთს, როცა ას ფუთამდეც ვერ მიგვიღწევია?

— სჩანს, სასწაულია.

— მე არ მცალია სასწაულებზე ლაყბობისათვის.

რას ნიშნავს ეს, აბუჩად ზომ არ იგდებს მას ვაჟი?

მაგრამ კესოუ ძლიერ სერიოზულად ლაპარაკობს, თითქოს იგონებს რაღაც ძალიან ძველს, დიდიხნის წინათ მომხდარს.

— გახსოვს თუ არა... არა, შენ ეს საიდან გეხსოვნება... ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ... ამბობენ, აქ ერთი კაცი იყოო წინათ. ავადმყოფი. იგი მომკვდარა. დავიხსოვნე მისი სიტყვები, ფურცელზე დაწერილი. ეს ფურცელი ჩემი საწოლის მახლობლად იყო კედელზე გაკრული. იქ იგი კლდის შესახებ სწერდა. ზომ იცი მოწყალების კლდე? იგი ჩვენს სახლს იქითაა. ჯერ კიდევ ფრონტამდე ჩვენთან საკენში ლაპარაკობდნენ იმ კლდის შესახებ. საერთოდ, ვიცოცხლოთ და ვნახოთ...

კამამ ასწია კოკა, და კესოუ გრძნობს, როგორ უძძიმს ქალს ეს. მაგრამ იგი იზორებს ვაჟის ხელს.

— მე თვითონ, — ამბობს ქალი და შეემართება ბილიკისაკენ. — შენ კი ნუ გამოძყვები — დავეინახვენ. ნახვამდის.

კესოუ ბრუნდება წყაროსთან. მას ესმის, როგორ ცვივა ჭეშმა კამის ფეხებს ქვეშ; აი გაიღევა მისმა თავსაფარმა ბუჩქებში. და კესოუ კვლავ მართო დარჩა. იგი ჩაფიქრებული მისჩერებია წყალს, რომელშიც მოსჩანს შავგვრემანი სედეიანი სახე, წარბებს შუა რომ მსხვილი ღარი გავლებულა და ტუჩები მაგრად მოუკუმავს. თითქოს იგი თავისი აზრების პასუხს ეძებს

სადღაც წყაროს სიღრმეში, რომელიც კამყაშებს მზის სხივებზე. *გაზაფხული*

4.

— იმავე დღეს სოფლის შუაგულისაკენ მიმავალ გზას დასდგომოდა კაცი, რომლის გარეგნობას არ შეეძლო ვისიმე ყურადღება არ მიექცია. მას ჯარისკაცის ფარაჯა თავზე შემოეხვია ყაბალახის მსგავსად. მას ეცვა დაბამბული უსახელო ქურთუკი და სამხედრო შარვალი. ფეხსაცმელს შეადგენდა ერთი წყვილი დიდი ზომის წალები, რაც აშკარად არ შეეფერებოდა ფეხის ზომას. ტალახი გორხებდალ მიჰკეროდა მის შარვალს, წალები პირამდე სავსე უნდა ყოფილიყო წყლით — ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ისინი ქაჭყუნებდნენ და მათი პატრონი დროგამოშვებით ზიზღით დახედავდა ხოლმე მათ.

მხარმარჯნივ და მხარმარცხნივ ჩაყოლებული იყო ძველისძველი ღობეები. გზის მახლობლად მოსჩანდა პატარა შენობა. სწორედ მისკენ გაეშურა მგზავარი.

როცა შენობას მიუახლოვდა (ეს იყო სოფლის სამომხმარებლო საზოგადოების დუქანი), უცნობმა მხიარულად შემოსძახა:

ვისაა ეს ქუჩა,

ვისაა ეს სახლი?..

იგი საკმაოდ ხმამალა მღეროდა, და მისი ხმა გაიგონეს დუქანში. ზშირად როდი მოისმოდა საკენში ეს ძველი სიმღერა, და მან ერთბაშად მიიქცია ყურადღება. ფარდულიდან გამოვიდა რამდენიმე სახეწამოწითლებული კაცი.

— ეს რა რიღე შემოუხვევია თავზე? — იკითხა ერთმა მათგანმა.

— ნამდვილად ციდან ჩამოფრენილა, — შენიშნა მეორემ.

აღამური, ძლიერ ჩასქელებული, რომელსაც ჯერ ზიდევ ვერ მოესწრო საბოლოოდ ბურთად გადაქცევა, ფარდულის გამგე, იქექდა მესამე ნიკასს (ზევიდან ქვევით) და აყოვნებდა თი-

ვისი აზრის ხმამაღლა წარმოთქმას. მან მხოლოდ ღონივრად ამოიქმინა ვაკვირებისაგან. ამასთან წარბები აუთამაშდნენ მელოტამდე, უღვაშები კი—განსაკუთრებული სიამყის საგანი! — თითქმის შეერილად დადგნენ. მგზავრი ახლოვდებოდა სიმღერის შეუწყვეტლად და არ ცდილობდა ნაბიჯის არც აჩქარებას, არც შენელებას.

— პირველი მერცხალია ვაკიდან, — სთქვა ადამურმა.

— მაშასადამე, ვაზა გახსნილა.

— ამას კი ახლავე შევიტყობთ.

მგზავრი პირდაპირ მიემართებოდა ფარდულსაკენ, მას არც კი შეუწყუბებია თავი შემოველო დიდი გუბესათვის.

— გაუმარჯოს საკენელებს! — რიხიანად მიესალმა იგი. — ასეულო, სმენა! ხენდე ხოხ!

საკენელები ძლიერ გაოცებული იყვნენ და ვერაფრით ვერ გაეგოთ, რაში იყო საქმე.

— თავისუფლად, მეთქი, — განაგრძობდა მგზავრი და თავის შერხევით მიწაზე დააგდო მაზარა. შემდეგ ადამურს მუცელში მეგობრულად მოხვდა მუშტი. მისალმების წესით, რაც განსაკუთრებული რამ იყო, ყველამ გამოიცნო მგზავრში რაშიდ დოუა, რომელიც რატომღაც ყველას დაღუპული ეგონა ოშში.

— რაშიდ! — ერთხმად შესძახეს იქ მყოფებმა, და მოსული მოემწყვდა ძველი მეგობრების მკლავებში. შემდეგ იგი მოურიდებლად შეათვალიერეს ყოველის მხრიდან და ამრიგად საბოლოოდ იქნა დადასტურებული ამ თვალსაჩინო პიროვნების სინამდვილე.

რაშიდი თითქმის არ შეცვლილიყო ექვსი წლის მანძილზე, რომელთა განმავლობაში იგი არ ენახათ. მართალია, პირისახე გაშავებოდა, გამხდარიყო, რის გამოც ცხვირი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი სიგრძით (არწივის ნისკარტი), კიდევ უფრო გრძლად და მოკაუჭებუ-

ლად მოუჩანდა. ვეებერთელა ნაჭრილობევი აჩნდა შუბლზე, კიდევ დედოქნის წინათ მოშუშებული სტრალიზმის უხეში ნაჭდევი.

რაშიდი ჯერ ფარდულში შეაგდეს, შემდეგ რომელიღაც ტიხარს იქით, და იგი აღმოჩნდა კასრზე ვადამჯდარი, თითქოს ცხენზე მჯდარიყოს. დანარჩენებიც მიჰყვნენ მას და მთელი ძმა-ბიჭობა მყუდროდ მოეწყო კასრებსა და ცალიერ ყუთებს შორის.

— ხომ კარგადა ხართ? — ზრდილობისათვის იკითხა რაშიდმა, თან თვალეებს აცეცებდა იატაკზე განლაგებულ ბოთლებზე. — საკენი ხომ ისევ თავის ადგილზეა?

— წარმოიდგინე — ერთი წყრთითაც არ გადაუნაცვლებია!

— დიდებულია. გარნიზონი როგორღაა?

— მიწას ფხაქნის.

როგორც სჩანს, ეს ცნობები საესეებით საკმარისი იყო, ვინაიდან შემკითხველი გაჩუმდა. იხელთა თუ არა დრო, ადამურმა დაასბა ჭიქაში წითელი ღვინო.

— ანტონ, — მიმართა მან თვალედაწითლებულ პატარა ტანის ართვალკაცს, — უსურვე ჩვენს სტუმარს...

ჭიქამ შემოიარა მთელი ძმა-ბიჭები, ხოლო სტუმარი მას სამჯერ დაეწაფა.

— შენ კი რაშიდ, სად იყავ? რას აკეთებდი?

რაშიდი თან მკადს ჰღეჰავდა, თან ძუნწად, მაგრამ საკმაოდ მოხდენილად ასწერდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ მონაკვეთს.

— სწორედ იმ აურზაურის შემდეგ (აქ მხედველობაში აქვთ ერთ ქეიფში მომხდარი ჩხუბი, რომელიც არც თუ ისე სასიამოვნოდ დამთავრდა რაშიდისათვის, ნაჭრილობევი შუბლზე მისი შედეგია), აურზაურის შემდეგ, მაშასადამე, ვაენწიე ქალაქისაკენ. ვიმუშავე ერთ ორგანიზაციაში, მეწაღეობა ვისწავლე. შემდეგ ომი... ფრონტი... კარ-

პატები — იცი? ყველგან ვიყავი, თოფის წამალს ვუყნოსე, როგორც ამბობენ... ხენდე ხობ!

— აი, მადლობა ღმერთს, ჩამოხვედი! — აღამურმა აავსო ფიალა. — ჩვენ კი აქ ვწუხდით, ვფიქრობდით—დაიკარგა რაშიდი-თქო. ქალიშვილებიც მოწყენილი არიან, ღმერთმანი! ნახე, როგორ გაუხარდებათ. არწივი მოფრინდა! მან, რომელსაც ანტონს ეძახდნენ, წაიბუტბუტა ორი-სამი უთავბოლო ფრაზა და ერთბაშად დასცალა ფიალა.

— ნაცნობები როგორღა არიან?

— ვინც გეინტერესება, გვკითხე, — აღამურმა გადაიწია და ხალმიდან კიტრი ამოიღო. მან მოილოკა თითები ტუჩების წყლაუნით.

— ნიკულაა?

— ცოცხალია მთელი სამხეცეთის სამწუხაროდ... ამჟამად სასოფლო საბჭოს მართავს.

— შანგერი?

— სიკვდილის გაგონებაც არ სურს კიდევ ათიოდე წლის განმავლობაში.

— ოპო! ერთ ნახევარი საუკუნე — მერე და ბევრი არ არის ერთი კაცისათვის?

— ასე ამბობს, არაო.

— კარგი. მოხუცი მირბა?

— სახეზეა.

— ქალიშვილი?

— იადონივითაა...

— აი ის... კესოქ?

— დაბრუნდა, მთელ ზამთარს იწვა, — ფეხი არ ჰქონდა კარგად... უბრალოდ კი არა, თავის თავზე დიდი წარმოდგენით დაბრუნდა...

ფიალა გადადის ხელიდან ხელში.

— თავის თავზე დიდი წარმოდგენით?

— და მერე როგორით! გვაკრიტიკებს!.. ვერ მიეკარები... ჩვენი მიწა აღარ მოსწონს. ამბობს მცირე მოსავალს იძლევაო... ერთი სიტყვით ჭკუის კოლოფია!

— მასეთებიც გვინახავს!.. მისწავლებლები როგორ არიან!

— რიცხვობრივად იზრდებიან.

— ექიმი?

— ახალია... მეგობრისათვის სულს არ დაიშურებს...

— ყოჩაღ!.. თარაშო, ვიმედოვნებ, ჯანმრთელადაა?

— როგორ ვითბრა? — აღამურმა მოსტეხა მკაღს ვეებერთელა ნაჭერი და პირში ჩაიტენა. იგი ჩუმად იყო, ვიდრე არ დაღეჭა და გადაყლაპა მკაღის ნატეხი. — როგორ ვითბრა? უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. ჩინებული მუშაკია. ავადმყოფობამ დაიგლო — კლექი სჭირს... ჯერ კიდევ ზაფხულში გაგზავნეს...

— ვინ გაგზავნა?

— როგორ თუ ვინ? კოლმეურნეობამ... დაიცა, სად გაგზავნეს? ჰო, თვით გულრიფშში.

— ფული?.. კოლმეურნეობას ხომ არ მიუციოა?..

— კარგი კაციაო, ამბობენ, ხოლო კარგი ადამიანისათვის ყოველთვის მოიძებნება ფული. ასეთი წესია, ძმაო... ომამდე, ძამია, თუ გაგონდება, ბევრს ჰგზავნიდნენ, ან კურორტზე, ან სასწავლებელში, რომელიმე კურსებზე. და ყველაფერი ეს კოლმეურნეობის ხარჯზე ხდებოდა. ახლაო, ამბობენ, წელს გაემიგრებთ ომის შემდეგ და კვლავ დავიწყებთ გზავნასო. როგორც იტყვიან ხოლმე, ყურადღება ადამიანებისადმი, — და აღამურმა თვალი ჩაუკრა ანტონს, თან სახელოთი უღვაშები მოიწმინდა.

— მაშასადამე, უთავოდ ყოფილხართ, უთავმჯდომარეოდ... ეინლაა მის მაგივრად?

ანტონმა სთქვა:

— დროებით კონსტანტინეა...

— კონსტანტინე, კონსტანტინე... — ცდილობდა რაშიდი გაეხსენებია.

— ეს ხომ მესამე ბრიგადის ბრიგადირია! გამგებობის წევრი, ჩვენი პარტორგანიზაციის მდივანი.

— მგონი, ვიცნობ, — წაბუზღუნა რაშიდმა, რომელსაც არ უყვარდა მათი გახსენება, ვინც ოდესმე რითიმე, თუნდაც სულ მცირე რაიმეთი, აწყენინა მას. — აი ის, სალუმანი, ჩვენი მჭედელი?

ადამურმა შეიმშრალა ხელი რაღაც მწვანეზე. ანტონმა შესწყვიტა ზრამუნი. დანარჩენებიც დაჩუმდნენ.

— მოკლულია, — სთქვა ადამურმა, — მოკლეს როსტოვთან.

— დიახ... საწყენია... კარგი კაცი იყო. როგორც იტყვიან, განუსვენოს უფაღმა...

მამაკაცებმა უსიტყვოდ დალიეს.

— კიდე ვინ არ დაბრუნებულა? — წარბშეყვრით იკითხა რაშიდმა.

— ძმები ზაშიმი და საიდი, — უპასუხა ადამურმა, — მასწავლებელი დავით ალანი... მიხეილ რანბა, მისი ბიძაშვილი გაჩი...

რაშიდმა შეაწყვეტინა.

— დიახ, ჩემო მეგობრებო, — სთქვა მან და ხელით ანიშნა, ჭიქა შეეფსოთ, — საკენელებიც დაზარალებულან. სად ლბებიან ახლა მათი ძვლები?.. — რაშიდს შუბლი ღრმად დაუნაოჭდა, მან მოკლმა ტუჩები, ათამაშა თითები კასრის ფსკერზე და განაგრძო: — ერთი სიტყვით, ჩვენც არ აგვცდა უბედურება. მაშ, დავზარაღდით. მაგრამ თქვენ უნდა გენახათ, იქ რა ხდებოდა (მან გაჩაჩხა ცერი და გაიშვირა ზურგისაკენ). მთელი ქალაქები აღგვილია პირისაგან მიწისა... მერე რამდენი ხალხი დარჩა ცის ქვეშ, ჩვენი ხალხი...

ფარდულში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ჩაფიქრდა.

ანტონმა გადადგა ჭიქა, უფრო შორს გასწია ბოთლი და ხმამაღლა ამოიხზრა. რაშიდი მიაჩერდა ერთ წერტილს, დანარჩენები კი ისხდნენ თავჩაქინდრულ-

ნი. ადამურმა, როგორც მასპინძელმა, თავის მოვალეობად ჩასდევალა სტუმრების გამხიარულება. გიორგი გულია

— ექ, დალახეროს ეშმაკმა! — დაიყვირა მან. — ერთი საცოლე მამაკაცი შემოგვემატა. მალე გაჩაღდება ქორწილი!

ამფონები ერთხმად ახორხოცდნენ, რაშიდს შერცხვა.

— ჯერ კიდეც ადრეა, — სთქვა მან, — აი მოვეწყობი, საქმეს მოვეკიდებ ხელს... მაშინ...

ადამურმა არ აცალა დამთავრება:

— მაგრამ რაც მთავარია, რაშიდი, — შენ ცოცხალი, კარგად ხარ! მეტი რაღა გინდა? სოფელი მოწყენილი იყო უშენოდ — არც ნამდვილი მამაკაცები იყვნენ, არც საკენელ ჭაბუკთა ღირსეული საქმეები.

რაშიდი წამოხტა კასრიდან.

— აი, ახლა კი ყველაფერი ეს იქნება, ადამურ! მე ასე მგონია, — რაშიდმა ისე დაჰკრა მუშტი კასრს, რომ იგი აგუგუნდა, — აი ასე: მე მთიელი ვარ... ჩვენ ყველანი... მაშასადამე ჩემს სისხლში ურევია ის, რა ჰქვია... როგორ ვთქვა, ზარხოში, თუ როგორ? ა? კანონებიც აგრეთვე ძველისძველი, გვაქვს, საკუთარი. შენ, ძამია, დაიხსოვნე: შენ მამაკაცი ხარ. ასეა ხომ? საქმეები დატრიალდება, ადამურ, დატრიალდება, ჩვენი მამა-პაპის სულს გეფიცები! ვინ არის წინააღმდეგი? ყველა მომხრეა!

იგი დაბარბაცდა და კინალამ ღვინო დაჰღვარა.

5.

არაჩვეულებრივი ნათელი დილაა. არცერთი ღრუბელი არ სჩანს, თითქოს პირწმინდად გაუკრიალებიათ ვეებერთელა, მსოფლიოს გარემომცველი ცა. სწორი სილაქვარდე, მხოლოდ ცის კედლები შეფერადებულა მკრთალ ვარდისფრად. ბალახს მსხვილ წვეთებად

დასხურებია ცვარი. კვალი აღის ზე-
ვით, როგორც გულდაგულ გათლილი
ზრახნილა ბოძი. ყველაფრით სჩანს.—
კარგი ამინდები დადგება.

კესოუ ღვას ვრცელი ეზოს შუაგულ-
ში, თითქოს რაღაცასთვის მიუყურადე-
ბია. ბლავიან ძროხები, ჰყეფენ ძაღლე-
ბი, ხოლო ლაყვარდში ლივლივებს
მარტოხელა კირიკტა, რომელიც პირვე-
ლი გამოფრენილა სამტაცებლოდ.

ეკუბი, კესოუს მამა, ხენვით ჩამო-
დის კიბეზე. იგი ოდნავ მოხრილა წელ-
ში, ტანად თავის ვაჟზე დაბალია, გამხ-
დარი. ვიწრო, ტიპურად მთიულურ სა-
ხეზე — თითქოს სხვას ეკუთვნისო,
ღიდრონი, მოციხფრო თვალეზი ანათე-
ბენ. ეკუბს მოკლე წვერი აქვს, უღვა-
შები მძიმედ დაშვებულან ბაგეებზე.
ცხოვრებას არ უნებვიერებია იგი ახალ-
გაზრდობაში, მას ძლიერ მკაცრად
ეპყრობოდა ცხოვრება და უდროოდ
მოახტეა. იგი ხშირად ავადმყოფობ-
და, — ავადმყოფობდა და მაინც ბეჯი-
თად შრომობდა. მაგრამ ძალ-ღონე შე-
სამჩნევად ეცლებოდა მას — და ეს
ზღებოდა მესამოცე წლის ასაკში!

ორმოცდაათიოდე წლის წინათ მირ-
ბას გვარი აერთიანებდა საკმაო რაო-
დენობის ორივე სქესის ადამიანებს. ამ
ოჯახს ანგარიშს უწევდნენ, და შესა-
ძლოა, ეშინოდათ კიდევ მისი. ყარა-
მან მირბა, ეკუბის ძმა, განთქმული იყო
თავისი სიმამაცით. იგი გადადიოდა კავ-
კასიონის ქედზე და მოდენიდა ხოლმე
იქიდან პირუტყვს, რომელშიც არც
ფულს აძლევდა და არც ნაჩუქარი
ქონდა.

ეკუბის ბიძები გამბედავი და ენერ-
გიული ადამიანები იყვნენ. მაგრამ თა-
ვადმა მარშანიებმა, რომლებიც ბატო-
ნობდნენ საკენში, იზრუნეს იმისათვის,
რათა მრისხანე ძმებს მირბათ, რომელ-
თა ერთიანობასაც შეეძლო სერიოზუ-
ლად გამოეთხარა ძირი თავადთა გავ-
ლენისათვის, გაენადგურებინათ ერთ-
მანეთი ძმათაყლექტ სასაკლაოზე. მარ-

თალს ამბობს ხალხი: „ჩერჩეტის/ხე-
ლით გველს იჭერენო“.

ეკუბს შემთხვევით მსცდომი გველ-
ნული შედლი. იგი წაიყვანა ბებიამ დე-
დის მხრივ. მასთან გაიზარდა და დაეყ-
კაცდა ეკუბი, ხოლო როცა საკენში
შფოთი მიწყნარდა, დაუბრუნდა მამა-
პაპისეულ სახლს, უფრო სწორად რომ
ვთქვათ, ამ სახლის ნანგრევებს. მას
ხელახლა მოუხდა ცხოვრების მოწყობა
და იგემა გლახთა უხეირო არსებობის
სიმწარე. სიმინდი ჩვეულებრივად ა-
რილამდე ჰყოფნიდა, ხოლო დანარჩენი
ექვსი თვის განმავლობაში იგი, როგორც
იტყვიან, ღვთის ანაბარა სულს ძლივს
ინარჩუნებდა. სოფელში მისი არყოფ-
ნის დროს მიწის ნაკვეთი, რომელიც
ეკუბის მამას ეკუთვნოდა, ძლიერ შე-
მცირდა ადამურის სასარგებლოდ, რომ-
ელიც მეზობლად ცხოვრობდა და მი-
სი შორებელი ნათესავი იყო. ამასთან
მიწა ისე ტუნწი იყო, რომ ოდნავ მაინც
უზრუნველყოფილი ცხოვრების შესა-
ხებ ფიქრიც კი შეუძლებელი იყო.

მაგრამ ეკუბს მთელი სიცოცხლის
განმავლობაში როდი მოუხდა ბედშა-
ვად ყოფნა — ბედმა მასაც გაუღიმა.
ალბად კარგ ფეხზე დალოცა იგი სიკე-
დილის ეამს მოხუცმა დედამ. როცა
ეკუბს მიუჩინეს მიწის მოზრდილი ნაკ-
ვეთი და უთხრეს, რომ ეს რევოლუციამ
მოგცაო, იგი გაოცდა. „სად არის ეს
რევოლუცია?“ — იკითხა მან. „იგი უკვე
აქ არის“, — უპასუხა მას ქალაქიდან
მოსულმა ხალხმა. დიახ, ჩემო მეგობ-
რებო, გააბედნიერეს მამინ ეკუბი, გაა-
ბედნიერეს ისე, როგორც მრავალი სხვა
მთიელი.

როცა საკენელებმა სთქვეს, კარგი
იქნებოდა კოლმეურნეობა ჩამოგვეყა-
ლიბებინაო (ეს კი ათიოდე წლის წი-
ნათ სთქვეს), და როცა ეკუბმა გაიგო ამ
სიტყვის აზრი, რომელიც ესოდენ ახ-
ლობელი და მშობლიური იყო გლეხის
გულისათვის, მან განაცხადა: „მსურს
ვიყო კოლმეურნი. გათავდა“. და იგი

ეუბნებოდა თავის მეზობლებს: „გახსოვთ გუშინდელი ცა — მოღრუბლული, შუქჩამქრალი? ეს ჩემი წარსული ცხოვრებაა... ხედავთ ცისფერ, თვალუწყვდენ ცისფერს? ეს ჩემი ახლანდელი ცხოვრებაა“. და მას ძალიან უყვარდა სულის სიღრმიდან მომდინარე ამ სიტყვების გამეორება...

... ეკუპი ჯოხზე დაყრდნობილი დაღონილობდა ეზოში, და ძველი ჩოხა ისე მოურგებლად ეცვა ტანზე, თითქოს ნათხოვარიყო. კესოუ დაეინებით აღევნებდა მას თვალს. მამის სახით მას წარმოუდგა გლეხის მძიმე ცხოვრება ომის წლებში. როცა კესოუ ომობდა, მამა იყო შინ ერთადერთი მამაკაცი. „არა, მას შეტი მუშაობა აღარ შეუძლია... საცოდაობაა!“ — გაიფიქრა კესოუმ. მოხუცმა თვალი მოჰკრა შვილის თანამგრძნობელ ცქერას და გამხნევდა.

— ჩვენ ახლავ ყველაფერს გადაეწყვეტთ, — სთქვა მან და ხელით ანიშნა შვილს გაპოლოდა. — აი ეს ღობე... დამპალია, ხარა-ხურა! ბოძებიც დამპალან იმ თხრილამდე. მაგრამ ჯერ არ წაქცეულან. მე ვფიქრობ, სულ მცირე ხუთი ურემი წნელი იკმარებს. შემოულობავი ეზო ტრიალი მინდორია. ხომ მართალს ვამბობ?

კესოუ აუჩქარებლად მიჰყვებოდა მას, ყველაფერს აკვირდებოდა პატრონის მახვილი თვალით. პირველი ზამთარი მთავრდებოდა, რომელსაც იგი შინ ატარებდა ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ. დაღვა გახაფხული, საზრუნავი გაიზარდა. თოვლი ჩამოდნა, მეურნეობა გაშიშვლდა, და თვალმა დაინახა ის, რისი შემჩნევაც ყოველთვის როდია სასიამოვნო. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, მაგრამ პირველ რიგში რას უნდა მოჰკიდოს კაცმა ხელი?

— ჭიშკარი... მარტო სახელია შერჩენია. რომ გაალო, მერე ვერც კი მოახერხებ მის დახურვას... სირცხვილია! აი ბოგირიც — პირდაპირ წამებაა. ღმერთი რომ ვაწყრეს და ცხენს ფეხი

გადაუცდეს — ვეღარ ამოაძრინს, კამჩებიც რომ დაუბა... კლერდ შენე არ შეშინდე, კესოუ, ვნახოთ მერმისმერე მოხდება...

მათ შემოუარეს ეზოს და სახლისაკენ გაეშურნენ. მოხუცს თითქოს უხაროდა თავისი აღმოჩენებისა, ისე აღნიშნავდა უმცირეს ნაკლოვანებებს, დაუნდობლად ურტყამდა ჯოხს ფიცრებს და იქიდან ჩრჩილს ბერტყავდა. ხოლო კესოუ ფიქრობდა მაინც რა უნდა ყოფილიყო მთავარი. არა, მთავარი უბედურება აქ დამპალი ღობე და დანგრეული ჭიშკარი როდია, მთავარი — მიწაა, ცუდი მიწა.

— ესეც სახლია, ღმერთო ნუ მიწყენ, — სთქვა ეკუპმა, — კიბემ თავისი დრო მოსჭამა, კედლები მთლად დამპალია. ეს კოჭიც გამოსაცვლეულია, თორემ მარცხს იზამს. სახლი ხელახლა გადასახურავია, ყავრის შოვნა კი იოლი საქმე როდია. სულ მცირე ასიოდე წაბლის ფიცარი და სამიოდე ურემი ყავარი...

ეკუპი ჩამოჯდა საფეხურზე, ჩიბუხი გააბოლა. მან განაგრძო:

— ბოსელი საცაა წაიქცევა. კარგი პატრონი იქ ძაღლსაც არ დაამწყვდევს, ძროხებს კი არა. ერთი სიტყვით, ტრილის მეტი არაფერი დაგვრჩენია...

— შენც იტყვი რაღაცას, მამაჩემო...

— მამ როგორ გინდა! შენ გგონია მწუხარებისაგან იციანია?.. — ეკუპმა ხმას დაუწია: — დაც წამოიზარდა, მასზეც ფიქრია საჭირო. დღეს თუ ხვალ უნდა გავათხოვოთ. აუარებელი საზრუნავია.

— მერე, შემრთველი ხომ არაეინ არის?

— სად არის შემრთველი! ნიადაგს სინჯავენ. ჩვენსკენ უჭირავთ თვალი, ამასთან ერთად — ჩვენი მეურნეობისკენაც. შეიძლება ითქვას, რომ შენ სახლში ჯერ არც კი ყოფილხარ — შენ ბევრს არაეინ მოგკითხავს. ფეხი ესეს არის მოგიშუშდა. აი დრო გაივლის და

თვითონვე დაინახავ... გაზაფხულია, აქ კი, თითქოს ჯიბრზე, შენს ბრიგადას ყველაზე უფრო უფარგისი მიწა მიუჩინეს — მასზე ქალტამიც არ ამოვა, სიმინდის მოსავალი კი სურთ. აი როგორაა საქმე! მე მათ მტკიცე უარი ვუთხარი, მთელ გამგეობას. შენ კარგად დაიხსოვნე ჩემი ნათქვამი: ჩვენი რგოლი ბიჯსაც ვერ წასდგამს ამ მინდორზე, დალაზვროს ეშმაკმა! მე შენ, როგორც ბრიგადირს, ისე გეუბნები...

ეკუბი აღელდა. მან შეიხსნა ახალუხის საყელო, თითქოს სული შეეხუთა.

ეკსოუმ მოხუცს მხარზე ხელი ჩამოადო, შეეცადა მის დამშვიდებას.

ეკუბმა ხელახლა გასტენა ჩიბუხი თამბაქოთი, კვეს-აბელით მოუყიდა.

— შენც როგორ ირჯები, ეკსოუ! ომი ომად იყოს, მაგრამ დროა ადამიანურ ცხოვრებას შევედგეთ. მოგელაპარაკნა მინც, აი თუნდ სასოფლო საბჭოში, დახმარება გეთხოვა. ტყუილუმბრალოდ ხომ არ ჩამოსულხარ მედლებიანი, საკუთარი სიცოცხლე არ დავიზოგავს ფრონტზე? მთელი ზამთარი იავადმყოფე. დაე, რემონტი ჩაგვიტარონ, უკეთესი მიწა გამოგვიყონ... როგორც კანონით არის გათვალისწინებული.

ეკსოუმ შეძახილით დააფრთხო კირკიტა, ეზოს თავზე რომ ფრენდა ჰაერში და მამას მიუჯდა გვერდით.

— დახმარებას მე არ ვითხოვ. ინვალიდი ხომ არა ვარ.

— შენ ამპარტავანი ხარ და არა ინვალიდი!

— მადლობა ღმერთს, ხელ-ფეხი მთელი მაქვს. ღობე, სახლი, ბოსელი — ყველაფერი მოესწრება, ცეცხლი ხომ არ უკიდაით. მიწისა და მოხენის შესახებ საგანგებოდ მოვილაპარაკებთ. სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ, ეს არის მთავარი.

— მაშ, ცის ქვეშ ვიცხოვროთ, სიცოცხეში?..

ეკსოუ მშვიდად ლაპარაკობდა, პასუხს სწონიდა.

— გამიგონე, მამაე: მარჯველად, ხემა უმთავრესი...

— რაო, შენ თავზე ხომ არ აპირებ ხენას?

— ... პირველად, ხენაა მთავარი. მთელ საყენში ყველაზე უფარგისი მიწაა ყვითელი მიწა, წითელი მიწა... მდინარესთან ყველას არ გასწვდება ნაკვეთები, ვისმეს ხომ უნდა ხედეს ზეგანშიც...

— რატომ მაინცდამაინც ჩვენ?

— რატომ მაინცდამაინც სხვებს?

— შენ ფრონტელი ხარ, ჩვენ კი — შენი ოჯახი!

ეკსოუ უკმაყოფილოდ შეიჭმუნა.

— შებრალების გზას ნუ ავირჩევთ, მამაჩემო. მე ახლა ჯანსაღი ბრიგადირი ვარ, და არა დაპურილი მეაეტომატე.

სამზარეულოდან გამოიხედა ვიწრო ჩითისკაბიანიმა ხელეზწყაქარწახებულმა ქალიშვილმა. მისთვის არ შეიძლებოდა ლამაზი გეწოდებინათ, მაგრამ რალაც, მიმზიდველი იყო მასში: ზოგი ამბობდა — კარგი ხასიათი აქვს, ზოგი — მამასავით ცისფერი თვალები აქვსო. ყმაწვილებს მოსწონდათ იგი, მეზობლები განუწყვეტლივ აქებდნენ, და იგი ამისი ღირსი იყო.

— მოდი აქ, ნინო, — უთხრა მოხუცმა, — მოუსმინე შენ ძამიას, რას მიედმოედება. სახლი არ აღარდებს, მთელი ჩვენი ქონებაც ასევე. მას მხოლოდ ხენა დაანებე... ასეთი ლაპარაკი ხელსაყრელია ჩვენი თავმჯდომარისათვის.

ნინო, თითქოს უცხო ადამიანთა დავას ესწრებოდა, ცნობისმოყვარეობით უტკეროდა მამასა და ძმას. იგი ვერ ჰმედავდა ლაპარაკში ჩარევას, და არც ამკლავებდა თავის თანაგრძნობას რომელიმე მათგანისადმი.

ეკსოუმ ხმამოუღებლად გაიარ-გამოიარა რამდენჯერმე და უცებ მოულოდნელად იკითხა:

— მაშ მე წავედი, — სთქვა კესოუმ და იქვე, წარბებამდე ჩამოიფხატა რა ქული, გადავიდა ეზოდან.

პირველად ბრიგადირმა მოინახულა ანტონ რაშბა, სწორედ ის ანტონი, რომელსაც ჩვენ უკვე შევხვდით ადამურის ფარდულში.

ანტონი შეშას სჩეხდა. იგი ისე ტლანკად შემართავდა ზოლზე მძიმე ნაჯახს, რომ კინალამ გულადმა ვარდებოდა მიწაზე და თავს ძლივს იკავებდა მოღრეცილ, გამხდარ ფეხებზე. კესოუმ დაუძახა მას. ანტონმა შუბლი ხელით მოიჩრდილა.

— მობრძანდით, — ჩაილაპარაკა მან და ნაჯახი გვერდზე გადაადგო.

— გამდლობთ. მეჩქარება. — მეტი სერიოზულობისათვის კესოუმ საათს დაჰხედა. — შენ ნამდვილი შეშის მტრელი გახდი.

ანტონმა ჩაახველა, აკოკლებით გაემართა ღობისაკენ.

— მე კი... კხა, კხა... ამას წინათ საკუთარ თავს ვუთხარი, კხა, კხა... სად დაიკარგა ჩვენი ბრიგადირი მეთქი... კხა, კხა... როგორ არის საქმე, ხომ არ მოგუყინდა მშვიდობიანი ცხოვრება?

— რად უნდა მომწყინდეს? გვეყოფა რაც ვიომეთ.

— ესეც მართალია... — ანტონმა მჯიღით ღონივრად ამოისრისა თვალეზი, ვიდრე არ დაუწიოთლდა. — შემოსულიყავი, თითო ჭიქა ღვინო მაინც დაგველია.

კესოუმ მადლობა გადაუხადა და უარი უთხრა.

— როგორ არის საქმეები?
— რომელი? — გაკვირვებით იკითხა ანტონმა.

— რომელი უნდა იყოს — გლეხის საქმეები.

— ახ, საქმეები! — ჩამღერებით გაიმეორა ანტონმა, — ყველაფერი რიგზეა.

— ასე. ხენაზე არ ფიქრობთ?

ანტონმა გაიღრიჭა (ამით მას სურდა გულკეთილი ღიმილი გამტრუნებოდა...)

— ხენაზე? რა საჩვენებელი... დაე, ძველად, მაშასადამე...

კესოუმ თვალი მოავლო ცას და დამაჯერებლად, არ უსმენდა რა მის ლაპარაკს, წინადადება მისცა, რომ მთელი რგოლი დილიდანვე გამოსულიყო სამუშაოდ. ანტონმა სცადა წინააღმდეგობის გაწევა, აქო და ჯერ აღრეა, თოვლი არც კი გამდნარა ხეირიანადო, მაგრამ კესოუს ვაგონებაც არ სურდა მისი შელაპარაკებისა.

— ხვალ ზუსტად შეიდ საათზე, — ყანაში! — უთხრა მან.

— არ შემიძლიან, — უპასუხა ანტონმა. — ფეხებში მტეხს რატომღაც. არ გჯერა? — და ჩაიციხა. — ღმერთმანი, მართალს ვამბობ... უცებ ცერი ამტკივდება. შემდეგ — ნეკში გამჩხვლეტს, მერე სახსრებში დამამტვრევს. ტკივილები რწყილივით დაბტიან მთელს ხეულში. გესმის?

— არა! — და კესოუმ გზა განაგრძო, რითაც ანტონს საშუალება მისცა რამდენიც უნდოდა, იმდენი ელაპარაკნა საკუთარ თავთან (რაც მაინცდამაინც არ არის გავრცელებული საყენელთა შორის).

„ასეთი კაცუნასაგან არაფერი სასიკეთო არ გამოვა, — ფიქრობდა კესოუ გზაში. — მაგრამ ყველგან სხვადასხვანაირი ადამიანები მოიპოვებიან. არიან ცუდებიც, მოიპოვებიან კარგებიც. ყველასთან გიხდება მუშაობა. ძნელია, მაგრამ მაინც გიხდება. რას იზამ? უნდა გამოაცოცხლო ზარმაცები, უნდა აიძულო იმუშაონ ადამიანურად...“

კესოუმ გააფთრებით მოკუნა მუშტები. იგი მზად არის ეძვეროს ყველას, ვინც შეეცდება გაზაფხულთან ხუმრობას. „ჭკუა უნდა ვასწავლო ამ ხეარეს“, — ლაპარაკობს თავისთვის, თან აგინებს ანტონს ენით გამოუთქმელად. მაგრამ საუბარმა სხვა მერგოლოურებთან რამდენადმე გაამხნევა იგი, ხა-

სიათი გამოუკეთდა. აქ უკანასკნელი როლი როდი შეუსრულებია ამინდს და მშვენიერ მზეს. იქონიეთ მხედველობაში, რომ მოწყენილი საკენელი მოწმენდილ ამინდში იშვიათი სანახავია. ასეთ დღეს მცირე საწყენი საკენელს სრულიად უმნიშვნელოდ ეჩვენება, ხოლო სერიოზული საწყენი — იოლად დასაძლევად. კესოუ უკვე მზიარულად ეხმარებოდა შემთხვევით შეხვდურთ. ქალებს საგანგებოდ ხაზგასმული თაყაზინობით ესალმებოდა, ხოლო ქალიშვილებს სიწითლეს ჰგვრიდა მისი უხვი ქათინაურები.

კესოუ სტვენდა. იგი კი არ მიდიოდა, არამედ ხტოდა ვეებერთელა გუბეებზე (საკენში ესენი ცოტა როდია, ენდეთ ჩემს სიტყვას), და თვითველ ნახტომს თან ახლდა გამარჯვების შეძახილი.

სასოფლო გზაზე (თითქოს საკენში მოიპოვებოდნენ სხვა გზებიც) ტალახის შოცულობა საშინლად გაიზარდა. წუმპეებს აქ როდი ემატებოდათ მომხიბლაობა იმის გამო, რომ მათში მტრი სისაფხით ისახებოდა გაზაფხულის მზე. რამდენიც წუმპე იყო — იმდენ მზეს დაითვლიდით! და კესოუ თავს გადაეცლებოდა ხოლმე მნათობთა მთელ წყებას. მას ძალაუნებურად გაახსენდა გაზაფხულზე უკრაინისა და პოლონეთის გზებზე დამდგარი ტლაპო, სადაც „სტუდენტეკრებიც“ კი ბუქსაობდნენ. ყურში ცოცხლად ჩაესმა მეგობარი მეაეტრომატის (ქერა იაროსლაველი ყმაწვილის) ხმა: „ბიჭებო, უფრო მაღლა ასწიეთ ჩექმის ყელი — ტალახი ჩაგივთ!“ გაახსენდა ეს ხმა და კესოუმ ნაბიჯი შეანელა... ის ყმაწვილი პოლონეთის მიწაწყალზე დამარხეს, და საკენელმა კაცმა, რომელიც მასთან ერთად იზარებდა სალაშქრო ცხოვრების სიზარულსა და მწუხარებას, ცრემლი დააგლო მაშინ მის საფლავზე. ეს იყო სამი წლის წინათ. საინტერესოა, გადარჩა თუ არა ის პატარა ამობურცვილი ადგილი, ისე როგორც შემოინახა

კესოუს სულმა მოგონებანი ფრონტელი მეგობრების შესახებ, რომლებიც ფრთხილად მოიტანა მანუა ყვეფსენიანის ქედის ძირამდე, თუ მოასწორეს მიწის ზედაპირი და გაჰკრა განმარტოებული საფლავის კვალი...

7.

გზა სასოფლო საბჭომდე გრძელი აღმოჩნდა. კარგა ხანია დადგა დღის მეორე ნახევარი, რომელიც გათვალისწინებული იყო სასოფლო საბჭოსთან მოსალაპარაკებლად. ორი შემოსავლელი გზის შესაყართან კესოუ შესდგა ყოყმანით. როგორ მოქცეულიყო: პირდაპირ წასულიყო საბჭოში, თუ შეეხვია გულდალთან, მესამე რგოლის მერგოლურთან?

ამ დროს გზის მკვეთრი მოსახვევიდან ურემი გამოლოლდა. მას ნელა მოალასლასებდა სპილოსებური ორი კამეჩი. ყველასათვის ცნობილია ამ ცხოველთა ფლეგმატურობა. მაგრამ კამეჩთა საკენური ჯიში თითქოს საგანგებოდ შექმნილია იმისათვის, რომ გააბრაზოს ისედაც უზომოდ ფიცხი მთიელები.

როგორც კი გამოჩნდა ურემი, მაშინვე სეტყვასავით დააყარა მეურმემ ცხოველებს წყველა-კრულვა და გააფთრებით აატყალაშუნა ტირიფის სახრე.

— აი, შე მგლის არჩივო! ეშმაკის ნაშიერო! — ჰყვიროდა მეურმე და გაშმაგებით სცემდა კამეჩებს. ბოლოს, იგი მთლად გამოვიდა მოთმინებიდან, ჩამოხტა ძირს და გააფთრებით დაიწყო სახელოების წაკაბიწება, თან ემუქრებოდა ცხოველებს საგანგებო ზომების მიღებით.

— რაშია საქმე, გულაღ?

მეურმე დაიბნა, როცა მის წინ მდგარი კესოუ დაინახა, თითქოს მიწიდან ამომძვრალი.

— საიდან მოდიხარ? — ჰკითხა მან და თან გაბრაზებით უცქეროდა თავის

გამწვალებლებს, ალბათ, აპირებდა, მოვრჩები აგერ საუბარს და მაშინვე გაგისწორდებითო. — ხიდან ხომ არ ჩამოვარდნილხარ?

იგი ლაპარაკობს გამომეტყველი ექსტრაკულაციით, ისეთი მაღალი ხმით, რომ თითქმის ჰყვირის. გუდალი ხანშესული კაცია (დაახლოებით ორმოცდაათი წლისა), საზრისიანი, საქმეში ხელმარდი, მუშაობაში ახალგაზრდებს არ ჩამორჩება.

კესოუს ხელები უკან დაუწყვია და ეცინება.

— ნუ დახოცავ კამეჩებს, ინანებ.

— მე? ვინანებ? — შეჰყვირა გუდალმა და თან ბრაზობდა კამეჩებზე. ცხოველები ჰქმინავდნენ და იწყევდნენ მაველის ბუჩქებისაკენ. — შენ კარგად ვერ მიცნობ, ჩემო მეგობარო. მე ასე ვიცი: გავიფიქრებ რაიმეს და კიდევ შევესარულებ. აბა, როგორ ვინდა?.. მაგრამ ეს ზარმაცი კამეჩები ჰკუიდან შემშლიან.

და გუდალმა კვლავ დაუწყა მათ შოლტის ცემა. კესოუმ ძლივს მოაშორა იგი ცხოველებს და პაპიროსი შესთავაზა. ერთი წუთის შემდეგ კი ისინი ისე საუბრობდნენ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს — გუდალის გაბრაზება გაიფანტა პაპიროსის ლურჯ კვამლთან ერთად.

— ერთთ ნივთი მიმაქვს შინ, — ჰყვებოდა გუდალი. — დამაცადე... რა ჰქვია.. აი, გემებს რომ აქვს?

— გემებს?

— აი, ის...— გუდალი შუბლს ისრესდა და ცდილობდა გაეხსენებინა, რა აქვს ასეთი გემს.

— მილი?— ჰკითხა კესოუმ.

— არა, მილი არა.

— ბავირები?

— ერთი, შენც!

— ალამი ხომ არა?

— შენ თვითონა ხარ ალამი ფუ, დასწყევლოს!.. თვითონ ნახე, შეიძლება გამოიცირო... ეს ნივთი ჩემმა შვილმა

ჰალაქიდან ამოიტანა, აგერ კიდევ ხელზე. და მარტო ეს ექვეყნებოდა მტედლისგან მოვდივარო... ისინი შევიდნენ ურემზე. ყუთში, რომელსაც შიგნიდან თივა ჰქონდა გამოფენილი, იდო მათულებზე მოხვეული რაღაც ლილევი.

— მგონი, დინამომანქანაა, — სიტყვა კესოუმ.

— არა, მაგ არ ჰქვია... იცი, რა ჰქვია... — გუდალს ენა აღებოდა. — აბა, თქვი, რა არის გემზე?.. წამოდი ჩემთან, ჩემი შვილი გეტყვის ყველაფერს... ვესმის — ხუთასი მანეთია მიცემული. მაგრამ საქმე ფული როდია! რა შრომა დასჭირდა აბა სინჯე უღელტეხილებსა და უფსკრულებზე ამის თრევა!

კესოუმ კეფა მოიფხანა, ყური მოიჭაჩა (ჩაფიქრების ნიშანი).

— მაშასადამე, დინამო მესმის...

— როგორ სიტყვი? — გუდალი კინალამ შეხტა სიხარულით.

— დინამო...

— არა, მაგ არ ჰქვია, — მოწყენილად სიტყვა გუდალმა. — ჩემი შვილი სხვანაირად ეძახის. შემოიარე ჩვენსას, კესოუ. ისეთ რამეს ნახავ, რომ წისქვილიდან წყლის ტოტი გადავუგდეთ, ავავეთ ჯებირი მთელი წესების დაცვით, აწვიეთ კაცის სიმაღლე წყალი. საბლს უკან ფერდობია: რომ დაჯდე — ისარივით გაჰქროლდება! იქ მოვაწყეთ თხრილი — წყალი ტყვიასავით გარბის. ამუშავდება მანქანა და მაშინ სინათლე გვექნება, როგორც ჰალაქშია. ელეა — სინათლე კი არა!

— აგრე. ძალიან კარგია. მაშასადამე, ელექტროსადგურს აგებთ?

— როგორა სიტყვი? — შესძახა გუდალმა და მაშინვე დასცხრა: — არა, ეს არ არის!

კესოუმ მოიწონა მათი წამოწყება, თუმცა მისთვის ეს ამბავი სრულიად მოულოდნელი იყო. ერთბაშად გუდალი სადგურს აგებს! — პირდაპირ სა-

კვირველია. კესოუს არ სურს მოიშოროს ეს კაცი—ძლიერ სასიამოვნოა უკვიროს საკენელს, რომელიც ელექტრონის შექმნათვის ზრუნავს.

— ომი რომ არ მომხდარიყო, გუდალ, — ამბობს იგი, — ჩვენ დიდხანია გვექნებოდა ასეთი შუქი. ორმოცდაერთში ფულიც კი მოგვეცეს, გეგმაშიც გაგვითვალისწინეს — ახლა აქ მთელი პიღორსადგური იქნებოდა აგებული.

— უეჭველად იქნებოდა!

— რა თქმა უნდა, ახლა ორმოცდაცხრა წელზე ადრე არ გვექნება. სამწუხაროა...

გუდალი დაჯდა ურემზე.

— დაიცა. როგორ არის ხენის საქმე?

— ხენისა?—შეეკითხა გუდალი. —

ყოველთვის მზად ვარ. ოღონდ ამინდმა არ შეგვიშალოს ხელი! მოიწვიე ბრიგადა—გუთანი წესრიგზეა, კამეჩები ჰუმცა არამზადები არიან, მაგრამ როგორც გინდა სთქვი, თავისას მაინც გააქეთებენ.

— ყოჩაღ! ხვალ შეიდ საათზე.

— თუნდაც ექვსზე იყოს! — გუდალმა შრისხანედ შეპლმუვლა და კამეჩები დაიძრნენ. — შემოიარე ჩვენთან, კესოუ, სადგურს გაჩვენებ. გახსნისას კი საგანგებო მოწვევა იქნება.

ურემმა მარცხნივ შეუხვია და მთელ საყვს ესმოდა მისი ჭრიალი.

კესოუმ გზა ვანაგრძო. მაგრამ მას მალე მოესმა გუდალის ხმა, რომელიც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ეძახდა მას. კესოუ შეჩერდა.

— გესმის? — ჰყვიროდა გუდალი, რომელსაც ყალტაში ჰფარავდა.

— მესმის, — უპასუხა კესოუმ.

— გამახსენდა... ლუზა!.. ლუ-ზ-ა-ა!

„ღინამოს ლუზა“,—გაიფიქრა კესოუმ და ნაბიჯს აუჩქარა.

8.

სასოფლო საბჭოს შენობა თითქმის ისევე გამოიყურებოდა, როგორც იგი ომამდე იყო, ოღონდ ოდნავ შეცვითი-

ლიყო და არც ერთი მინა აღარ ჰქონდა. ეზო წინანდებურად დაკრძალულია, რომც წელში დარგულთა აღმოსაჩენები გაზრდილიყვნენ, გამაგრებულნიყვნენ.

პატარა ოთახში იჯდა საბჭოს მდივანი — ოციოდე წლის ყოჩალი ბიჭი. იგი რაღაცას უმარტავდა გარშემოხვეულ გლეხებს. კესოუ მიესალმა იქ მყოფთ, მოიკითხა მათი ჯანმრთელობა, რასაც ცოტა დრო როდი დასჭირვებია.

შემდეგი კარი თავმჯდომარის ოთახში გადიოდა. ფართო შპალერგაქრულ ოთახში იდგა დანჯღრეული პატარა მაგიდა, წითელ საფარგადაფენილი მის შუაგულში — თიხის ჯამი დიდძალი ნაძწვავებით და დახოცილი ბუხებით.

მაგიდასთან იჯდა ნიკულა ისეთი კაცის პოზით, რომელსაც მთელი ღამე უძილოდ გაეტარებინა სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვაში. მარჯვენა ლოყა ხელზე დაეყრდნო, რის გამოც მთელი სახე მოღრეცოდა. კესოუს გამოჩენა თავმჯდომარემ აღნიშნა პოზის ოდნავი შეცვლით: მარჯვენა ლოყის ნაცვლად ნიკულამ მარცხენა ლოყა დააყრდნო ხელს.

ფანჯრის რაფაზე მოკვალათნა კონსტანტინე ალანს, ერთ-ერთ ბრიგადირს და ამავე დროს პარტიული ორგანიზაციის მდივანს. კონსტანტინე იყო სიტყვაბუნწი ადამიანი, გონებაჩლუნგი, ნიკულა კი—ლაყბობის დიდი მოყვარული. ამიტომ მათ შორის გამართული საუბარი თავისებური ხასიათისა იყო. ნიკულა ლაპარაკობდა, ხოლო კონსტანტინე ერთმარცვლოვანი სიტყვებით პასუხობდა, უმთავრესად შორისდებულებით მაგრამ ისინი მშვენიერად უგებდნენ ერთმანეთს, საუბარში კი ეს, შეიძლება ითქვას, ყველაფერზე უფრო დიდმნიშვნელოვანია.

— მაგ სკამზე ნუ დაჯდები, კისერს

მოიტეხ, — გააფრთხილა თავმჯდომარემ ახალმოსული.

— ასე მალე? — კესოუმ სხვა სკამი მიიწია.

კონსტანტინემ თავიზიანად ჰკითხა ფრონტელს, როგორ გრძნობ თავსო. ალბად, დიდ ქალაქებთან შედარებით აქ სიწყნარეა. ვინ იცის, კესოუმ შორეულ მხარეებში რამდენი ხმაურიანი ქალაქი ნახა და (ეშმაკს თვალი არ უჩანს) ხუთსართულიან სახლებშიც კი იცხოვრა? დიას, კესოუს უცხოვრია ხუთსართულიან სახლებში, მაგრამ მას ურჩევნია საყენური, ფიცრული სახლი. ნიკულამ თვალი ჩაუქრა მდივანს, აქაო და, თავმდაბლად სურს გვეჩვენოსო.

— რომელ ადგილებში იყავი?

— როგორ გითხრა—ღონიდან გერმანიამდე ვიარე. და უნდა გითხრათ, ჩემო მეგობრებო, მე კიდევ უფრო შევიყვარე ჩვენი საყენის მიწაწყალი და ვოცნებობდი, რომ როგორმე მალე დაგზრუნებულიყავ აქ...

კონსტანტინე წამოდგა, დაისხა დოქიდან წყალი და მთელი ჭიქა სულმოუთქმელად გადაჰკრა.

სიჩუმე ჩამოვარდა. კესოუმ შეამჩნია, რომ შთაბეჭდილება მოახდინა თავის მსმენელებზე.

— მოდი, საქმეზე მოვილაპარაკოთ!—სთქვა ნიკულამ, რითაც სიჩუმე დაარღვია. მან მაგიდის უჯრიდან ამოიღო ვახსნილი კონვერტი.—ეს წერილი რაიონიდანაა... მასში თესვასა და სხვა მნიშვნელოვან რამეებზეა ლაპარაკი. საკვირველებია ამის მოტანა. იცით, ვინ ჩამოიტანა?—ნიკულამ გამომცდელი თვალით შეხედა თანამოსაუბრეებს.—აბა, როგორ ფიქრობთ, ვინ?

— საყენში? — გაიკვირვა კონსტანტინემ. — მაშ, გზა ვახსნილა?

— მე ეს არ მითქვამს... წერილი რაიონიდან რაშიდმა ჩამოიტანა.

— ეს რომელი რაშიდია? დოუა?

— სწორედ ის არის.

ამ ახალი ამბის ყოველმხრივ ვარჩევას შეუდგნენ. ნიკულამ კონსტანტინეს მათ, რომ რაშიდი ოთხ წელს ფრონტზე იყო და უყვითესი გამხდარა. კესოუმ ღრმა ეჭვი გამოთქვა იმის გამო, რომ რაშიდისაგან რამე სასიკეთო გამოვიდოდა ფრონტზეც კი. აქ უკვე დროა გავამეღავნოთ რაშიდის ერთი პატარა საიდუმლო. იგი თვითონ გულდაგულ ინახავდა ამ საიდუმლოს და არაფრით არ დათანხმდებოდა მის გამხელას. საქმე იმაშია, რომ რაშიდს თოფის წამლის სუნი არც კი დაუყნოსავს. მთელი ომის განმავლობაში იგი მოკალათებული იყო ზურგში საინტენდანტო საწყობში, სადაც თავი მამა აბრამის ბატკანივით ეჭირა. ამის შესახებ ვილაც-ვილაცებმა იცოდნენ ქალაქში, მაგრამ საყენამდე ასე მალე როდი აღწევს ამბავი...

იცოდნენ, რომ რაშიდი უკვე მეორე დღეა, რაც იქვე მეზობლად ჭეიფობს და ვერაფრით ვერ მოაღწია სახლამდე.

— ერთი სიტყვით, ყოჩაღია,—შენიშნა თავმჯდომარემ. — სამუშაოს თხოულობს...

— მოშილოცნეა შენთვის,—ცივად შენიშნა კესოუმ, — ერთი უქნართი მეტი გეყოლება.

კონსტანტინემ ჩაიღიმა ულვაშებში, თითქოს უნდოდა სხვებს არ დაენახათ მისი ღიმილი.

— შესაძლოა, — დაეთანხმა ის კესოუს, — მაგრამ არ დაივიწყოთ ხუთმა წელმა ვანელო, და როგორმა წლებმა!—ის ცოტა ხანს ჩუმად იყო. — მაგრამ მე მაგაზე არ ვლაპარაკობ... რას იტყვი, ნიკულა, წერილის შესახებ?

— ჰკვიანური ქალაღია, — ირონიულად სთქვა ნიკულამ. — მე მინდა, რომ ისინი (მან რატომღაც მიუთითა ოთახის მარჯვენა კუთხისაკენ) ჩამოვიდნენ რაიონიდან. მერე კი მოიწერონ ქაჩაღდები... წაიკითხე!—ნიკულამ გაუწოდა ქალაღი კესოუს.

ეს იყო საწერ მანქანზე დაბეჭდილი წერილის ბუნდოვანი ასლი და კესოუ ძლივს არჩევდა სიტყვებს. წერილში აღნიშნავდნენ, რომ წელს გლეხები ებრძვიან ჯერ არნახული უხვი მოსავლისათვის—თვითელ ჰექტარზე ხუთასი და ათასი ფუთისათვის. ამჟამად მთელი მსოფლიო ჩვენ შემოგვცქერისო, ნათქვამი იყო წერილში. საბჭოთა ადამიანების, მათ შორის კოლმეურნეობა „ნათელი სხივის“ (სახელწოდება ხელით იყო ჩაწერილი) ყველა წევრის მოვალეობაა იარონ სოფლის მოწინავე ადამიანთა გზით. 1947 წელი უნდა გახდეს სოფლის მეურნეობის მძლავრი ზრდის წელიწადი, რომლის განვითარებასაც რამდენადმე შეუშალა ხელი ომმა. მერე ჩამოთვლილი იყო ადამიანთა სახელები; ფაქტები, დასახელებული იყო საუკეთესო კოლმეურნეობანი...

— საუცხოოა!—შესძახა კესოუმ.— მე სწორედ ამის გამო მოვედი... როგორც ამბობენ, კაკალ გულში. ათასი ფუთი—აი, მესმის! ხომ მართალია?

— ჩვენგან კი შორს იყოს.—ნიკულამ ამოიღო ვეებერთელა ცხვირსახოცი და გულდაგულ მოიხოცა ცხვირი (ასე იწმენდს ცხვირს ქეშმარიტი ორატორი, რომელიც აპირებს ერთსაათიანი სიტყვის წარმოთქმას).

— იცოცხლეთ — სთქვა კონსტანტინემ, რომელსაც რატომღაც მოეჩვენა, რომ ნიკულამ ცხვირი დააცემინა.

ნიკულამ ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიღო და დაიწყო ჩივილი იმის შესახებ, რომ რაიონის ხელისუფლებს ჩვევით ნარდად მიუღდნენ ყველას და განსაკუთრებული საზომით არ უღებდნენ თვითელ სოფელს, თვითელ კოლმეურნეობას. მაგალითად, რა იციან საკენის შესახებ რაიონში? მხოლოდ ის, რომ საკენი მივარდნილი სოფელია და რომ აქ ამოსვლა ძნელია. ასევე მოსავლის შესახებაც.

— იოლი დასაწერია ხუთასი, ათასი

ფუთი! მეც შემიძლია ქალაქის შედგენა, და მერე როგორც! სთქვით, მითქი, ზღვის ნაპირზე აღმდგომი ათასი ფუთობით... ნიადაგი კი როგორია, გეკითხებით? ჩვენ ხომ ვიცით, რომ ჩვენი მიწა არაფრად ვარგა!

ნიკულამ გაბრაზებით ჩამოიფხატა შუბლზე კრაველის ფაფახი.

— აი მონადირეთა სარეწი, ეთქვათ—სულ სხვა საქმეა... — განაგრძობდა იგი.—რამდენი ბეწვეული იკარგება! კოლმეურნეობას შემოსავალი ექნებოდა... აბა რა სათქმელია...

თავმჯდომარემ უიმედოდ ჩაიჭნია ხელი. მან მოიხმო მდივანი. კარში თავივით შემოცუნცულდა ყმაწვილი. მას ცხვირი დასწითლებოდა და თითქმის განუწყვეტლივ იხოცავდა მას ცხვირსახოცით.

— რა დაგეშართა?—შეაცრად ჰკითხა თავმჯდომარემ.

მდივანმა რალაც გაურკვეველად ჩიბურტყუნა და მისი ხმა ჰგავდა ფულუროში ატეხილ ხმაურს, როცა მასში მონგდება ჰაერის სწრაფი დინება.

— ავ... ცივდი... ავ... სველდი...

— რაო?

პასუხის ნაცვლად მდივანმა გამომეტყველად დააცემინა, რითაც ყოველგვარი ეჭვი ჰქრებოდა, რისი თქმაც მას სწორედ სურდა.

— დიახ, ვატიებულაია, — მიხვდა კონსტანტინე. — საშინელი სურდო აქვს...

— ... ინები... ინები... ამკრავი... არი,—ძლივს წარმოსთქვა ყმაწვილმა, თან ფანჯრებისკენ იშვერდა თითს.

— მინები—ეს ვასაგებია. გამკრავი გამკრავი ქარიც. შემდეგ?—ნიკულამ ზიზლით შეავლო თვალი ართვალის გარეგნობის მდივანს.—რაო, შენ გგონია, რომ მე სხვა ცომიდან ვარ გამოძერწილი? ვცხოვრობ, როგორც ხედავ, და არა მიშავს.—ნათქვამის დასადასტურებლად მან ცხვირიდან გამო-

დენა თავისი ფილტვების ჰაერის მთელი მარაგი.

— აქ ისე დანავარდობს ქარი, როგორც ხეობაში, — შენიშნა მან.

ნიკულამ ისე დაიჭირა თავი, თითქოს არ გაუგონიაო. იგი ვიღაც უბილავს ემუქრებოდა თითოთ და ცდილობდა გაეგებინებინა მდივნისადვის რაიონში გასაგზავნი პასუხი, რომელიც მისივე სიტყვის თანახმად, მეზობური უნდა ყოფილიყო. მისამართი შეგშლიათ, გზა აგზნევიათო. აქ, საკენში, არ შეიძლება ხუთასფუთიანი მოსავალიო. მდივანს კვლავ აუტყდა ცხვირის ცემინება.

— აბა, წადი, წადი! — უკმაყოფილოდ სთქვა ნიკულამ. — დასწერე.

მდივანი წავიდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს თემა ამოწურულია და სალაპარაკო აღარაფერი დარჩენილა. ნიკულა მედიდურად იჯდა თავმჯდომარის სკამზე და კბილებს იჩიჩქნიდა წვეწამხული ასანთის ღერით; კონსტანტინე თითქმის ათამაშებდა მაგიდაზე და ეს რაკენი არასასიამოვნოდ მოქმედებდა კესოუზე. „უცნაური ადამიანია, — ფიქრობდა იგი, — ყველაფერს ხედავს, ყველაფერი ესმის, მაგრამ სდუმს, თითქოს პირი წყლით ჰქონდეს სავსე“. არა, ასე როდი ვარგა. თუ კომუნისტი ხარ, რქებში უნდა წაავლო ხარს ხელი. აქ ბევრი ფიქრი რა საჭიროა. კესოუს სულში ფეხს იკიდებდა ჩუმი უკმაყოფილება. იგი ერთბაშად წამოდგა, მკიდროდ შეიკრა ქუროთუკი, გაისწორა ქუდი, ამოჰქაჩა ჩექმის ყულები.

— სულ ეს არის, რისი თქმაც ვინდოდა, ნიკულა?

— მეტს რაღას მიბრძანებ? — ნაძალადევი მორჩილებით წარმოსთქვა ნიკულამ და ხელები გაშალა. — გეცობა?

კესოუმ მოწყვეტიტ ჩაიღო ხელები ჯიბეში.

— ძლიერ ცოტაა ცხელი, — თქვა მან, — ცოტაზე ცოტა... მე ვფიქრობდი, საქმეზე იქნება ლაპარაკი მეთქი... როგორც სჩანს, შეეცდი.

— აბა, სთქვი, რა არ მოგწონს? — ნიკულამ მიმართა კონსტანტინეს. — დაე კესოუმ თქვას, ჩვენ ვისმენთ. ასე არ არის?

როგორც სჩანს, კონსტანტინემ გადასწყვიტა, ბოლოს, რომ დროა აზრის გამოთქმისა.

— დაიცა, — შენიშნა მან, მიუჯდა მაგიდას, ხელში ფანქარი აიღო, სუფთა ქალაღზე რაღაც გაურკვეველი ნიშნების ხაზვა დაიწყო და განაგრძო: — ყველას თავისი აზრი აქვს. ასევე მაქვს მეც. ჩემი რჩევაა — პასუხს არ უნდა დავუჩქაროთ. მოვიფიქროთ, მოვისაზროთ...

კონსტანტინე მშვიდად ჯლაპარაკობდა, აუჩქარებლად, თვითეულ სიტყვას უფიქრდებოდა. კესოუს მოეწონა შესავალი, და იგი კვლავ დაჯდა სკამზე.

— ჯერ ერთი, კესოუს, როგორც სჩანს, რაღაცის თქმა სურს... — კონსტანტინემ შემკითხველი ცქერა მიაპყრო ახალგაზრდა კაცს.

კესოუ შეერთა.

— მაქვს სათქმელი, — სთქვა მან მტკიცედ და დარწმუნებით, — და ძლიერ დიდმნიშვნელოვანიც. გაცნობებთ: ჩვენს ბრივადას სურს გაჩვენოთ, რას ნიშნავს კარგი მოსავალი მთებში. მე ასე მესმის: ჩვენ უნდა ავიწარმოოთ ის, რაშიც ხელი შეგვიშალა ომმა.

იგი ფიცხად ლაპარაკობდა, თითქოს ჯავრობდა. — ჩვენ ერთი გეგმა გვაქვს. ჩვენ ამ წერილის მომხრენი ვართ!

მან აიღო მაგიდაზე დაგდებული წერილი, რაიონიდან მიღებული და შალა ასწია იგი დროშასავით.

— კარგი, განაგრძე, — სთქვა ნიკულამ, — მაგრამ ჯერ გეგმა გაგვაცანი. შეიძლება იგი ყველას მოეწონოს, შეიძლება არ მოგვეწონოს...

— დიახ, ცხადია, — მხარი დაუქირა მას კონსტანტინემ, — არავითარი საიდუმლო არ უნდა დარჩეს. არის წინადადება — გვითხარი ყველაფერი.

ესოუ დაფიქრდა.

— არა, — ჩაილაპარაკა მან, — ახლა არ ვიტყვი. ჯერ შენთან მსურს მოლაპარაკება, კონსტანტინე, შენ ხომ კოლმეურნეობის თავმჯდომარის მაგიერი ხარ. — მან აღმაცერად შეხედა ნიკულას. — მობრძანდი ხვალ ყანაში, ბრიგადაში. ძლიერ სერიოზული საქმეა და ხელწამოსაკრავად არ დაგვნებდება.

ნიკულას თითქოს არ ესმოდა ეს სიტყვები, მაგიდის უჯრაში ფათურობდა. კონსტანტინემ ჰკითხა:

— ხვალ იწყებთ ხენას?

— დიახ.

— კეთილი, კეთილი. ყოჩაღ, ბიჭებო. სხვებიც ავიმოძრაოთ, ბრიგადაში კი მოვალ, — დაჰპირდა კონსტანტინე.

ესოუ დაემშვიდობა და წავიდა.

9.

ორ დღეღამეს ქეიფობდა რაშიდი. ამფსონები ეცვლებოდნენ, და თვითეულ მათგანს ზრდილობის მოვალეობად მიაჩნდა დაინტერესებულიყო რაშიდის საფრონტო ამბებით. დაღეული ღვინის რაოდენობის შესაბამისად იზრდება ფრონტული ამბების ვარიანტთა რაოდენობაც. ამ მოთხრობათა გვირი (ცხადია, რაშიდი) ხან ქლექტდა მტერს საფარიდან, ხან მკერდით დაეძგერებოდა მას, ხან ჰფერენდა, ხან დაუღალავად ცურავდა. ღვინო იშვიათი მაგარი იყო, და ამფსონებს სიამოვნებით სუჯეროდათ მისი. მხოლოდ აღამურს, რომელიც ტყუილა როდ

უწოდებდა თავის თავს „ძველ ბელურას, რომელსაც ბზით მტერს უწოდებდნენ“, ზოგჯერ გულს უწვრილებდა უხეში მონაწორი. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ აღამური გამოცდილი ბელურა იყო, მას საჭიროდ არ მიაჩნდა უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებანა თავისი შემთვრალი სტუმარი უადგილო შენიშვნებით.

ბოლოს (საკენშიაც ფიქრობენ, რომ ყოველი ქეიფი ოდესმე უნდა დამთავრდეს) რაშიდი, დილით ნაბახურევზე დაღევის შემდეგ გაეშურა თავის მშობლიურ სახლში დეიდასთან. იგი მიდიოდა მოფარებული ადგილებით და მშვენიერ ხასიათზე გრძნობდა თავს. მას მარჯვედ ჩაეყო ხელები შარვლის ჯიბეებში და მხიარულ სიმღერას სტვენდა.

რაშიდი მიდიოდა გარკვეული მიზნის გარეშე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ყველაზე უფრო, თითქოს, ბუნებრივ გრძნობას, რომელიც ეწევა აღამიანს ოჯახის წიაღისაკენ, სადაც რამდენიმე წელია არ ყოფილა. თუმცა, ნათესავური გრძნობები არც თუ ისე ძლიერ დაუფლებოდა მას. ვინაიდან, როგორც კი გაუსწორდა იგი სათბურებს, და გაიგონა ქალის ხმამაღალი სიცილი, მაშინვე გადაუხვია გზიდან.

კვლებში ქალიშვილები მუშაობდნენ. რამდენიმე ვაჟი მიწას და ჩახურებულ ნაქელს ერთმანეთში ურევდა. გვერდით ათობდნენ დათესილ შენახავს, და რუხი ორთქლი სქლად ეფინებოდა მიწას.

კამა ასწორებდა კვალს; მას ხელები იდაყვამდე დაესვარა ტალახით. მის პირდაპირ ჩაჩოქილიყო ნინო და ჯობით ზომავედა. მიწის ფენის სიღრმეს ქალიშვილებმა სწრაფად გადახედეს ერთმანეთს როცა შეამჩნიეს წარმოსადგევი ვაჟის მოახლოება. კამამ თავსაფარი შეისწორა, ნინომ ოდნავ შესცვალა პოზა. რაც შეეხება დანარჩენ

მომუშავეებს, თვითელი მათგანი თავისებურად გამოეხმაურა უცნობის გ.კოჩენა. მზ-ლოლ სათბურების გამგემ დაუდმა გამოიჩინა სრული გულგრილობა ამ მოვლენისადმი, და ისიც თავისი სიბეცის გამო, იგი გულდაგულ ათვალიერებდა ჩარჩოებს და ისე ახლოს იხრებოდა მათკენ, რომ უღვაშებით ეხებოდა მინებს.

რაშიდმა საზეიმოდ წარმოსთქვა:
— მშვიდობა აქაურობას! ხენდე ზობ!

გოგონებმა ვაცბუნებით შეხედეს ერთმანეთს, მაგრამ მათი ღიმილი ნათლად ადასტურებდა, რომ ამ ყმაწვილისადმი ისინი სრულიად არ იყვნენ მტრულად განწყობილი.

— ეს რაშიდია, — ჩაუჩურჩულა კამას ნინომ, და ორივენი ოდნავ წამოდგნენ, მიესალმნენ მას.

— დილა მშვიდობისა, — უთხრა დაუდმა და აახამხამა ბეცი თვალები. იგი თითქმის ზედ მიეკრა სტუმარს, ისე მიუახლოვდა და შესძახა — ეს როგორ მოხდა, რაშიდი!

რაშიდმა თვალი მოაელო ქალიშვილებს. მან გაუღიმა ნინოს, აქაოდა, გიციანო. მაგრამ აი თვალწინ გაუელვა კამას ნახევრად ძირს დაშვებულმა პირისახემ, რაშიდმა კბილები გააღრქიალა (განსაკუთრებული ინტერესის ნიშანი) და შეაჩერა მასზე მახვილი და დაკვირვებული მხერა.

რაშიდმა ერთხელ კიდევ მგზნებარედ შეხედა კამას, რასაც სამუდამოდ უნდა დაემორჩილებინა იგი და დაუღს დაუწყო გამოკითხვა საქმეებზე. იგი ლაპარაკობდა იმ ადამიანის დაუდევარი ტონით, რომელსაც ბევრი რამ უნახავს და განუცდია.

— მიწას ამზადებ, მოხუციო?
დაუდი, გახარებული იმით, რომ შეუძლია დაიკვივნოს თავისი მეგობრების მუშაობით, მზად იყო გაეზიარებინა ამ ახალგაზრდა კაცისათვის ზელობის ყოველგვარი საიდუმლო.

— გამიგონე, რაშიდ, მე შემძლია გაგანდო ჩვენი საბუნებრობა — დაუდმა ეშმაკურად ჩაუტყუა თვალი და მოილოკა ქარით დახეთქილი ტუჩები, — ცხადია, ჩვენს შორის უნდა დარჩეს... შენ შეამჩნიე ალბად — ასე ადრე ჩვენ ჯერ არასოდეს არ შევდგომივართ გადარგვას?.. იცი, რას ნიშნავს ეს?

მოხუცი დიდხანს და საფუძვლიანად ჰყვებოდა საქმის მდგომარეობას ნანერგე მეურნეობაში. ასორმოცდაათი ათასი ძირი — ასეთია გეგმა. მაგრამ დაუდმა გადასწყვიტა გააორკეცოს ეს ციფრი. კარგი ნერგები ნიშნავს კარგ მოსავალს. ცხადია, ჯერ კიდევ შორსაა ნამდვილ მოსავლამდე, იქამდე, აი დაბლობში რომ იციან. მაგრამ აქაც, საკენშიც, დროა ვიფიქროთ იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი დოვლათი დავაგროვოთ. მაშასადამე, სანერგე მეურნეობაც უნდა გავაუმჯობესოთ. როგორ მოგწონს?

დაუდმა დოინჯი შემოიდგა და ამაცად გადასწია ჰალარა თავი.

— მერე და რისთვის? — ჰკითხა დანტულმა რაშიდმა, — რა საჭიროა ზედმეტი ასორმოცდაათი ათასი?

— როგორ რა საჭიროა? ზედმეტი თამბაქო გვექნება... და საერთოდ — შეიძლება ჩითილების გაყიდვა...

რაშიდმა ხუნჩარებლად გადააპურქვა გვერდზე და ხელი გაუწოდა მოხუცს.

— ნაჭარბს მე წავიღებ. კარგი? მოხუცი გაოცდა.

— შენ?

— ჰო... — რაშიდი დაიხარა დაუდისაკენ და ხმამალა სთქვა, რომ ყველას გაეგონა: — დილილოში გავიკეთებ... ყვავილების ნაცვლად!

გოგონებს ერთბაშად წასქდათ სიცილი.

რაშიდმა კმაყოფილება იგრძნო თავისი ოხუნჯობით. მაგრამ იგი უხერხულობას გრძნობს მოხუცის წინაშე.

— ზემორობა იქით იყოს... — სთქვა მან, თითქოს ბოდიშის მოხდით.— ხომ არ გინდათ, დაგეხმაროთ?

დაუდმა მხრები აიჩეჩა და კვლავ მიუბრუნდა თავის ჩარჩოებს. რაშიღი მიუჯდა ქალიშვილებს.

— მომეციოთ სამუშაო, — ითხოვა მან.

ნინომ ვედროზე მიუთითა.

— გთხოვთ, მოგვიტანე აქ ნაკელი. რაშიღმა სასაცილოდ მოიღრიცა სახე, დაიკაიწა სახელოები და გაიქცა დავალების შესასრულებლად. თვალის დახამხამებაში პირთამდე აავსო ვედრო და განგებ ქოშინით მოათრია იგი კვლებთან. ქალიშვილები იცინოდნენ მის საქციელზე.

— რა მზიარულია... — წასჩურჩულა კამას ნინომ.

— აბა, გოგოებო, მიაძებთ, როგორაა თქვენი საქმეები.

რაშიღი ხელით ასწორებდა მიწას, თითებით ფშენიდა გორბებს.— როგორ ცხოვრობთ, მუშაობა ხომ არ გიძნელდებათ? სიყვარულის საქმე როგორ არის?

— როგორც ხედავ, ვშრომობთ.— მიუგო ნინომ.— ჩვენი უფროსი (მან თავი გაიქნია დაუღისაკენ) ძალიან მკაცრია. ამჟამად კი ახლოსაც ვერ გაეკარები. სამუშაოზე თითქმის ზამთარში გამოგვიყვანა, ჯერ კიდევ თოვლი აუღებელი იყო... მალე თესვას შევეუდგებით...

— და მას ნუთუ არ ებრალებით? — რაშიღმა გაუღიმა კამას და ჩურჩულით შენიშნა:— რა ხელებია...

ქალიშვილი ქარხალივით გაწითლდა. მან თავი ისე დაიჭირა, თითქოს მუშაობით არის ვატყებულთო. რაშიღი მანც განაგრძობდა თავისას და ცდილობდა სალაპარაკოდ გამოეწვია. მაგრამ ამასობაში დაუდი წაადგათ თავს.

— იმ კვლებში ეალტამს ვხედავ.— სთქვა მან. — შეხედეთ, მინა გატეხი-

ლა — ვინძლო ღამის ყინვამ არ მოსწვას ნაზი მცენარე. ა? *საქონის* დაუდმა გაპგზავენა *ქალიშვილები* სათბურებისკენ.

— ერთი ღერი ბალახიც არ დასტოვოთ, ვასაგებია? — სთქვა მან დამრიგებლური ტონით. — ბალახს კი არ ვთესავთ, არამედ— ჩითილებს ვრგავთ. კამა შენ მოამზადებ ხსნარს, მორწყავ ნორჩ ყლორტებს. ცოცხლად.

— ეს რა ხსნარია? — ჰკითხა რაშიღმა კამას.

— ყმაწვილო, — დაუყვირა დაუდმა, — ნუ ლაყბობ. მე გიკრძალავ ჩვენს გოგონებთან არსიყობას. ნუ აცდენ მათ.

— ხომ გესმით? — ნინო ჩაღვა კამასა და რაშიღს შუა. — დაუდი ჯავრობს... კიდევ უფრო ჩემი ძმა გაჯავრდება.— მან ეშმაკურად ჩაუკრა თვალი რაშიღს.

— ძმა? შემისხენით საყელო, — სთქვა რაშიღმა, — თორემ დავიხრჩობი ექვისაგან.

და რაშიღი ყიყინით გაიქცა ჰისაკენ ცალიერი ვედროების რახუნით.

— რა სასაცილოა, ხომ ნინო, — უთხრა კამამ.

— შენ მოეწონე მას.

— არა მგონია.

— იგი შენს გამო დარჩა, — დაყინებით გაიმეორა ნინომ.

კამამ ჩაიქნია ხელი და წავიდა სათბურების მოსარწყავად.

რაშიღი დარბოდა უჯავით კოცონის გარშემო და გაპყვიროდა:

— შეუტეთ, ამხანაგებო ჩვენ ვჯობნით! ხენდე ხობ!

დაუდმა შექამჩნია ის სიცოცხლე, რაც რაშიღმა შემოიტანა მუშაობაში. „სანაქებო ყმაწვილია“, — ჩაილაპარაკა მან თავისთვის. მაგრამ ერთი საათის შემდეგ იგი მოჰქანცა რაშიღის მიერ ატეხილმა ალიაქოთმა, და მოხუცმა აღმაცურად დაუწყო ყურება ზომანზე მეტად მარდ ყმაწვილს. მაგრამ ქა-

ლიშვილები ძლიერ კმაყოფილი იყვნენ მისით: თან მუშაობდნენ და თან მზიარულობდნენ. რაშიდი ოთხ-ოთხ ვედროს ეზიდებოდა და სამხედრო წესზე იძლეოდა განკარგულებას:

— იარაღი წინ! სანიშნო ოცი! ცეცხლი!

და ცალიერი ვედროებს ხრიგინით აგორებდა მიწაზე.

10.

კესოუს დაესიზმრა, თითქოს იგი აღიოდა დიდ, ციცაბო მთაზე. მას სადღაც მიეჩქარებოდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა. გაახილა თვალი, დაინახა ფანჯრის რუხი ოთხკუთხედი და წამოხტა. ანთო ჭრაქი. საათის ხუთი იყო.

კესოუმ სწრაფად ჩაიცივა და ჩავიდა სამზარეულოში, სადაც კერასთან, რომელიც მთელ ღამეს არ ჩამქარალა, მამამისი იწვა. მიუხედავად ალიონისა, მოხუცი უკვე ჩიბუხს სწევდა.

— ეს რა უთენია წამომხტარხარ? — ჰკითხა მან შვილს.

— დროა, მამაჩემო. უხერხულია ყველაზე გვიან რომ მივიდე...

მოხუცმა ბუზღუნით დაიწყო ჩაცმა.

— უთხარი ნინოს, ჩექმები მომიტანოს.

ნინოს მეზობელ ოთახში ეძინა. მისი გათქვირებული ტუჩები მოძრაობდნენ ძილში, და კესოუმ ყურიც კი დაუგდო, ხომ არაფერს ლაპარაკობსო. მაგრამ ნინო მშვიდად სუნთქავდა, ღრმა ძილს შეეპყრო და ძმას შეეცოდა მისი გაღვიძება.

— ეჰ, კმარა... — კესოუ შეეხო დის ხელს და ფრთხილად შეარხია იგი.

ქალიშვილმა გვერდი იბრუნა, ერთი წუთით კვლავ ჩარგო თავი ბალიშში, მაგრამ მაშინვე გაახილა თვალი.

— მთავრდება საამური დღეები, — უთხრა კესოუმ. — აღქვი, დროა საქმესაც შევედგეთ... გაზაფხულია!

უფერული, თითქოს ტილოსგან შეკერილი ცა გადაჰფენოდა დედამიწას. მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ გაანათებს კლიჩის მწვერვალებს სუსტი შუქი, გუაგუას მთა კი კვლავ იდგომება მკაცრ აჩრდილად აღმოსავლეთიდან დაფრქვეული მზის სხივთა გზაზე.

კესოუს უყვარდა ეს დრო საკენში, როცა ყველაზე უფრო ცხადად იგრძნობა ახალი დღის მძლავრი სუნთქვა, რომელსაც თითქოს მარტო სინათლე როდი მოაქვს, არამედ ახალი აზრებიც, მისწრაფებანიც, სურვილებიც...

პირველ რიგში კესოუმ და ეტუბმა დაათვალიერეს გუთანაი, იგი სრულ წესრიგზე აღმოჩნდა. მოხუცმა მოსინჯა ცივი რკინა, რამდენჯერმე კმაყოფილებით შემოუთარა გუთანს გარშემო. მაგრამ კამეჩების გარეგნობა არ მოეწონა.

— გამხდარან ზამთარში, — შენიშნა მან. — განა მათ საყოფ საკვებს მოიმარაგებს კაცი?

კესოუ არ დაეთანხმა მას, და სთქვა უფრო საკუთარი თავის მიმართ, ვიდრე მამის მიმართ:

— ახირებული ხალხი ვართ... ბუნებამ გაგვანებიერა... ყველაფერს მისგან მოველით, როგორც მათხოვარი სამოწყალოს... პირუტყვს ისე ვუცქერით, როგორც ჯალტამს... ასე ვამბობთ: დაე, თვითონ იშოვნონ საკვები. არასოდეს არ ვიმარაგებთ საზამთროდ დიდი რაოდენობით ბალახს ან თივას. ველები კი სათიბი გვაქვს, შესანიშნავი...

— ერთი შენც! — მოხუცმა გაკვირვებით გადახედა შვილს. — სად გაგონილა — საუზმეები და სადილები ვუმზადოთ პირუტყვს?!

— სამწუხაროც ის არის, რომ ჩვენში არ გაგონილა. — კესოუმ უღელი შეაბა მორჩილ კამეჩებს, — წავიდეთ, ხომ?

გუთანაი ხმაურით აგორდა სწორ ეზოში.

... მინდორში ჯერ კიდევ არაგინ არ იყო. ობლად ამოჩრდილიყვნენ სიმინდის შარშანდელი ჩალის ღერები, ზანტად წვებოდა დილის ნისლი.

კესოუმ გამოხსნა კამეჩები. მოხუცმა დაიჩოქა, ქისა ამოიღო, შვილი წავიდა უფრო გრძელი სახრის სამოვნელად.

მაღე შეიკრიბნენ ბრიგადის ყველა წევრები. გუდალმა ურმით მოიტანა გუთანნი. სახნისი სარკესავით ლაპლაპებდა.

— ნამდვილი სამართებელია, — დაიტრაბახა გუდალმა.

ანტონი დახვეულ პაპიროსს სწევდა, თან იბუზებოდა დილის სიგრილისაგან. ზნიერი გლეხები ვარს შემორტყმოდნენ მოხუც მირბას და ერთმანეთს ეხუმრებოდნენ.

მინდვრის იქითა მხარეზე კაცი გამოჩნდა. იგი ბრიგადისკენ მოეშურებოდა, ხშირად ჩერდებოდა და ფეხით სინჯავდა ნიადაგს. უფრო რომ დაუახლოვდა გლეხებს, ბოზი ხმით სთქვა:

— მიწა მთლად მზადაა... გამარჯობათ, ამხანაგებო!

— დილა მშვიდობისა, კონსტანტინე!

— გაგიმარჯოს!

კონსტანტინემ გვერდზე გაიხმო კესოუ.

— შენი ბრიგადა პირველი გამოვიდა. მე მთელი სოფელი შემოვიარე...

კესოუმ მას ზელი ჩამოართვა შექებისათვის მადლობის ნიშნად.

— უთხარი ამათ ორიოდ სიტყვა. ასე ვთქვათ, დარბევბის მიზნით, — სთხოვა კესოუმ. კონსტანტინემ უარს სთქვა.

— მომეშვი, მომეშვი... შენ თვითონ უთხარი რაიმე, ჩვენ კი მოვისმენთ.

კესოუს სურდა ეთქვა რაღაც უბრალო და ამავე დროს საზეიმო, დაელოცა საშრომად, იმის მსგავსად, როგორც ფრონტზე მეთაური მიმართავს

ხოლმე მებრძოლებს შეტევას წინ. გასაგებია, რომ კესოუმ განფიცდებდა მღელვარებას; მან მუნჯკურთქვით მიმართა კონსტანტინეს. კონსტანტინემ ჩუმად უთხრა:

— მოსავალი, უხვი მოსავალი... ჯერ შენ თვითონ დასდე ფიცი...

კესოუმ თავი დაუქნია, თანხმობის ნიშნად.

— ამხანაგებო! მან ისე შეკვირა, თითქოს მის წინაშე სულ ცოტა ათასი ადამიანი იდგა, და არა ოციოდე კაცისაგან შემდგარი ბრიგადა... გლეხებს გაუკვირდათ თავიანთი ბრიგადირის ასეთი არაბუნებრივად მაღალი ხმა.

— ამხანაგებო! — უფრო მშვიდად გაიმეორა კესოუმ, — ჩვენ მინდვრად გავდივართ. დიდი მოვლენაა. მაგრამ რატომ არის დიდი? განა ჩვენამდე არ ხნავდნენ, არ სთესდნენ? ხნავდნენ კიდევ და სთესდნენ კიდევ. მაგრამ ჩვენ ვიბრძოლებთ არაჩვეულებრივი მოსავლისათვის, ჩვენ იმ სურვილით გავდივართ მინდვრად, რომ რაღაც ახალი რამ ვაჩვენოთ ხალხს... ასე ფუთი კი არა, არამედ... — იგი შეჩერდა, თითქოს გამბედაობა მოიკრიფაო, — არამედ ზუთასი ფუთი... ეთქვათ... — იმის დროს ჩვენ საშინელი მტერი დავამარცხეთ, ჩვენ მთელ მსოფლიოს დაეანახეთ სასწაულები. ნუთუ მიწას ვერ გავართმევთ თავს, ისიც საკენის მიწას? ჩვენ ვამბობთ: ასობით ფუთი არა ნაკლები არა ნაკლები!

გლეხებმა შეცბუნებით გადახედეს ერთმანეთს, — ბრიგადირმა ძალზე გადააკარბა.

— მადლობა ვუთხრათ, — დაცინვით ჩაილაპარაკა ანტონმა.

გაისმა სიცილი.

— პირობას ვიძლევი, ანტონ, ხუთასი, ხოლო შეიძლება მეტიც... და არავითარი ფოკუსი აქ არ იქნება, — ფიცხი ხმით განაგრძობდა კესოუ. — მიწას, მამასადამე, როგორც საჭიროა

ისე დაეამუშავებთ, ზოლო მთავარია სასუქი...

— ნაკელს ვერ აღხვალ, — შენიშნა ვილაძემ.

კესოუ შეესიტყვა.

— ნაკელიც საჭიროა, მთელ გზებ-სა და მიწებზე შევგაროვებთ, რომ არაფერი ვთქვათ ეზოებზე. მაგრამ ეს ცოტაა. უნდა ვიპოვნოთ ისეთი სასუ-ქი, რომელიც აქვე გვერდით იქნება დიდი რაოდენობით და ძვირი არ ეღირება. ხომ მართალს ვამბობ?

— მართალია, აბა რა! — გამოეხმაუ-რა გულდალი. — ყველას გვესმის.

მაგრამ იგრძნობოდა, რომ ყველას როდი ესმოდა კესოუს ნათქვამი. მო-საველი კარგი საქმეა, ამას რაღა თქმა უნდა. მაგრამ აიღო და ერთბაშად ზუ-თასი ფუთი დაჰპირდებოდა — უცნაურად და გაუგებრად ეჩვენებოდათ. ეკუთ-ვი გრძნობდა, რა მძიმე მდგომარეობაში იყო მისი ვაჟი. მან ისარგებლა ჩამო-ვარდნილი სიჩუმით და იკითხა:

— ვინ არ იცის, რომ სასუქი უპირ-ველესი საქმეა ჩვენს მუშაობაში? მაგრამ სად ვიშოვნოთ იგი, აი რა არის თავსამტკრევი.

კესოუმ ფიცხად წამოიძახა:

— ვიცი, ვიცი სად უნდა ვიშოვ-ნოთ. ჩვენ მოგვეპოვება ქვა, სასწაუ-ლებრივი ქვა.

და მან დაიწყო იმ კლდის ქება-დიდება, რომელსაც მოწყალეების კლდეც ეძახდნენ. მაგრამ რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა, მით უფრო მეტი ეკვი იზადებოდა: მერე და ყველაფე-რი ეს გაზვიადებული რომ იყოს? დამ-ვუშვათ, რომ კლდე ფოსფორიანია, ეს ასეა. მაგრამ რამდენი პროცენტია ფოსფორი, ვინ იტყვის? კესოუმ იცოდა, რომ მას არ ენდობოდნენ. წუთით თვითონ მან განიცადა უნდობლობა თავისი განზრახვისადმი.

მართლაც, მერე და კლდეც რომ გა-აცრუოს იმედები, რა გამოსავალი არ-სებობს მაშინ?

— დასხედით, — სთქვა მან, რაღა ამით დრო მოეგო, ის კი დააფიქვდა, რომ არაფერი მოეპოვებოდათ ჩემო-საჯდომი. მასთან კონსტანტინე მივი-და. იგი დაბალი ზმით ეუბნება:

— მერე დამუშავება? ყანის მოე-ლა? თავის დროზე თესვა? ხენა, მარ-გელა — მონდომებით, მთელი სულით და გულით. განა ეს ცოტაა?

კესოუმ მხარილივ შეხედა კონს-ტანტინეს, თავი დაუქნია მადლობის ნიშნად. ცხადია, მოგლა ძლიერ ბევრს ნიშნავს! და კესოუ გამხნედა სულით. ამაყად შეისწორა მხრები.

— ძვირფასო, ამხანაგებო! დაეუშ-ვათ, სასუქის საქმე ვერ მოვაგვარეთ (მან გაიღიმა, ვითომ შეუძლებელს ეუშვებოთ), დაეუშვათ... ჩვენ ვამ-ბობთ... აგროწესები ამბობენ: მოჰხა-ნი ოცი — ოცდახუთი სანტიმეტრის სიღრმეზე; მოჰხანი ორჯერ, გულდა-სმით დაჰფარცხე, ხშირად მარგლე, სარეველა ბალახი შეიძლე, როგორც მოსისხლე მტერი, გააძვე იგი მიწვე-რიდან... შემდეგ, საუკეთესო კოლ-მეურნეობათა გამოცდილება გვეუბნე-ბა: სთესე მწკრივში, სწორ რიგებად გარკვეულ მანძილზე. ვილაძე ვილა-ცაებს, როგორც ვხედავ, ეცინება. მაგრამ თქვენ ჩადით ამ მთიდან ქვე-მით, ვაკეზე, ნახეთ — როგორ მუ-შაობს იქ ხალხი, და მაშინ იტყვით გულზე ხელის დადებით: მათ გაცი-ლებით უკეთ აქვთ საქმე, ვიდრე ჩვენ.

გულხემა თავი დააქნიეს, ამოიოხ-რეს.

— ახლა ვაიგეთ, — გამარჯვებუ-ლის სახით განაგრძო კესოუმ, — ჩვენ ისე ვერ ვმუშაობთ. ხელი ჩავიქნიეთ ჩვენი მიწისადმი, თითქოს მისგან ხე-ირი არ ენახოს არც ჩვენს მამაბაბას, და ვერც ჩვენ ვნახავთ სასიკეთოს. აბა, ვსინჯოთ, ნამდვილად, ერთსუ-ლოვნად მოვიკიდებთ საქმეს ხელს, მა-შინ — გეფიცებით! — ჰექტარზე სულ ცოტა სამას ფუტს მოვიყვანთ. ღმერ-

თმანი! თუ კი მთელი ქვეყანა წინ მიდის, არ შეგეფერის საკენულებს, რომ კულში მივჩანხალბდეთ.

კონსტანტინემ მხარი დაუქირა მას.

— საქმიანად ლაპარაკობს, საქმიანად, — შენიშნა მან.

ანტონი წინ წამოდგა. მან თითები შემოიკლდა კისერზე და, განგებ სულ-შემვეით, წარმოსთქვა:

— თუ სამუშაოს თავს დავაბრჩობინებთ — უნდა ვიფიქროთ, შესანიშნავ მოსავალს ავიღებთ, — და სასაცილო ხტუნვით შეერია ხალხში.

ვილაცამ ყრულ ჩაიცინა.

— შენ ცალკე მოგელაპარაკებით... გესმის? — მიაყვია კესოუმ ანტონს.

კონსტანტინემ ხელის შეხებით მოაგონა კესოუს.

— ამ წუთში, — უთხრა კესოუმ. მან მოიხადა ქული, ხელი გაიშვირა მინდვრისაკენ და შესძახა: — ახლა კი დავიწყეთ!

ეკუში გაბრაზდა შეილზე. „ხომ არ შეიშალა? — ფიქრობდა იგი — რას ტრახობს?“ მაგრამ მას არ სურდა სხვების თანდასწრებით შეეჩერებინა ბრიგადირი. „შინ რომ დავბრუნდებით, მოველაპარაკებ“, — გადასწყვიტა მან.

კესოუმ ბრიგადას წინადადებით მიმართა:

— მინდორი უნდა გავწმინდოთ ჩალის ღერებისა და დიდი ქვებისაგან. ქვები იმ ხრამში ჩაჰყარეთ, ჩალის ღერები მოაგროვეთ და დასწვით. აი ჩვენი მუშაობა.

— ამხანაგო ბრიგადის წევრებო, — სთქვა კონსტანტინემ. — თქვენ პირველნი გამოდით საგაზაფხულო ხვნაზე. ხვალ თქვენს მაგალითს სხვებიც მიმბაძვენ. არ ჩამოვრჩეთ — ასეთია ჩვენი ამოცანა!

ბრიგადამ ხმამაღალი მოწონება გამოხატა. ვილაცამ სიმღერა წამოიწყო. და გლეხები სიმღერით გავიდნენ მინდვრად.

მხოლოდ პირველი ნაბიჯია გადად-

კმული. მაგრამ ჯერ ხომ არასოდეს ასე ადრე არ გამოსულან! სავენეფლები სახნავად. ესეც ხომ უნდა ჩამეტქვას.

11.

კონსტანტინე და კესოუ ბორცვზე ავიდნენ და მხედართუფროსებივით ადევნებდნენ თვალს ბრძოლის ველს. გულადი თავისი რგოლით გაეშურა ახლოს მდებარე ტყის გადაღმა მიწის ნაკვეთისაკენ. ანტონს მიუჩინეს ამ ნაკვეთის პირდაპირ მდებარე მინდვრის ბოლო, რომ ახლოს ჰყოლოდათ, თვალწინ. ყველამ თავთავისი ადგილი დაიკავა.

— ყველაფერი ეს კარგია, — სთქვა კონსტანტინემ, თან რაღაც ქალაქებს ათვალეერებდა, — ვფიქრობ, ხვალ სხვებიც გამოვლენ სამუშაოდ...

— ეს დიდმნიშვნელოვანია, კონსტანტინე, ძლიერ დიდმნიშვნელოვანია, რომ სწორედ ხვალ გამოვიდნენ.

— ასეც მოვიტყევით. მაგრამ შე სხვა რამის შესახებ... ეს როგორ იქნება, კესოუ, მოსავლის შესახებ? ა? ფუჭი დაპირება არ გამოვიდეს... გესმის?

კესოუმ სიტყვის უთქმელად ამოსდო ხელი მკლავში კონსტანტინეს და თან წაიყვანა.

— წავიდეთ, წავიდეთ, — უთხრა მან, — მოვითათბიროთ...

კესოუმ ბილიცზე გადაუხვია. ბილიცი თხემს მიჰყვება, ეშვება პატარა ხევში, შემდეგ კი ზევით მიიმართება. იგი ისე იკლავება, თითქოს ვეებერთელა, ყვითელი გველი იყოს, ჭალაკში მიმალული.

— ხომ გესმის? — აღელვებით ამბობს კესოუ, — გამოუდმებით მიღრღნის ტენის ფიჭვი კლდის შესახებ, მოსვენებას არ მაძლევს... როცა შინ ვბრუნდებოდი, რაიონში ვიყავი. ყველგან ასე გაისმის: მოსავლის ოსტატები, უხვი მოსავალი... მოდი, ვიფიქრე, ჩვენც ავამოძრაოთ გონება ჩვენს საკენში მეთქი — გულხელდაკრეფილი ხომ არ

ვიჯდომებით. ჩემი ფეხი რომ არ გაჭირვებულყო, ჯერ კიდევ შემოდგომაზე მოვიღებდი საქმეს ხელს...

დიღიხანია ფიქრობდა კესოუ კლდის შესახებ, რომელიც აღმართულა აქედან ხუთი წუთის საველე მანძილზე. ომის დაწყებამდე მან ყველაფერი მოამზადა იმისათვის, რათა მოესინჯა ამ კლდის ძალა; თავიდან არ შორდებოდა ქლექიანი კაცის ხელნაწერი. საერთოდ საკენში ომამდეც იყო ლაპარაკი ამ კლდის გამო, ვილაცამ დასწერა მის შესახებ რაიონულ განეთში, ხოლო კოლმურნეობის მკვდეღმა ისიც კი სცადა, რომ სამსხვრეველა გამეკეთებინა. მაგრამ ამასობაში ატყდა ომი, ბედმა კესოუ გადატყორცნა შორეულ მხარეში, მკვდეღი ბრძოლებში დაიღუპა, ხოლო საკენელებს კლდისათვის სად ეცალათ — სხვა საზრუნავიც საკმაოდ ჰქონდათ... და აი როცა იგი ფრონტიდან შინ ბრუნდებოდა, სადღაც ჩვენი სამშობლოს დასაველეთ საზღვრებთან, ფიქრმა კლდის შესახებ ახალი ძალით ააღლევა ახალგაზრდა მთიელი. იგი იწვა ვაგონის ყველაზე მაღლა მოთავსებულ თაროზე და საქმე რომ არაფერი ჰქონდა ათვალეირებდა ვიწრო ფიცრებისაგან შეჭვიღილ ბნელ ჰერს მის ქვევებთ კი ერთმანეთთან თავი ახლოს მიეტანათ ძველ, ნაცად მეომრებს და საუბრობდნენ. ოლონდ წარსულს კი არ შეეხებოდა მათი საუბარი, არამედ მომავალს. მომავლის შესახებ ფიქრობდა კესოუ. იგი უკვე ჰხედავდა თავისთავს შინ, კავკასიონის ქედის ძირში, ნათლად ედგა თვალწინ კლდე და მოხრილი ხე იმ კლდეზე...

კესოუ და კონსტანტინე სწრაფად მიდიოდნენ მხარდამხარ და ძლივს ჰყოფნიდათ დასატეველ ვიწრო ბილიკი.

თითქოს ბრძანებას ასრულებენო, ისინი მარდად გადაახტნენ რუს, გავიდნენ მინდორზე და მიადგნენ მაღალ მონაცრისფრო კლდეს. კიდევბზე მას

შემოველებოდა მწკანე მცენარეები, ხოლო წვერზე ამოსულუყუყუ მტკვთხვის ნიშანივით მოღუნული მკვტარე ხეებმა

კესოუმ სული მოითქვა. მან მოიხადა ქუდი და შუბლიდან გაღიყარა თმა.

— გამიგონე, — დაიწყო კესოუმ და მიმოიხედა როგორც შეთქმულმა. — ჩვენი მიწა უფარგისია, ოდნავ სჯობია ზღვის ქვიშას. მას მთელი სინედლე გამოსწოვეს ჩვენმა მამა-პაპებმა. მასზე რომ ადამიანურად იცხოვრო — აი აქამდე (მან ყელზე მიიღო ხელი) უნდა აავსო სასუქით. მაგრამ აბა სად ეიშოვნოთ სასუქი? აი ამოცანა!.. არც გზები, არც ხიდები, თვითმფრინავით ხომ არ მოიტან. ხოლო თავში ჩამჭედია ამ კლდის შესახებ თქმული. ტყუილა როდი უწოდებია ჩვენს მამა-პაპას მისთვის მოწყალეების კლდე... რა იქნება რომ ამ კლდიდან აღებული მიწა მინდორზე დავეყაროთ?

— ეს ქვები? — შეაწყვეტინა კონსტანტინემ.

— რატომ ქვები? ისინი უნდა დაიფქვას ჩემის აზრით... თუნდაც სანგით დავეფენათ. ეს კლდე ხომ არაჩვეულებრივია...

პასუხის ნაცკლად კონსტანტინემ აიღო ორი ნამსხვრევი, ფეხებთან რომ ეყარა, ერთმანეთს მიუჯახუნა და ეშვის თვალით შეხედა კესოუს. მართლაც, ასე იოლი როდია ესოდენ მაგარი კლდის დაფშვნა სანგებით. კონსტანტინემ შეათამაშა ხელში ნამსხვრევები, აისროლა ჰაერში და არც კი დაინტერესებულა, სად ჩამოვარდნენ ისინი. მან დაიბერტყა ხელის გული, მფარველურად დაჰკრა ხელი კესოუს მხარზე და უთხრა:

— შენ ძალიან ფიცხი ადამიანი ხარ...

— ეს პასუხი როდია, — კესოუ მკაცრად ლაპარაკობდა, თვითველ სიტყვას ხაზს უსვამდა. — არსებობს სუპერფოსფატი — მას ქარხნებში ამზადებენ. ეს კი, რასაც შენ უცქერი,

ღმერთმა გამოგვიგზავნა, ასე ვთქვათ, მზამზარეული სახით. და მას ჰქვია ბუნებრივი ფოსფორიტი.

— არ გამოგონია, ღმერთმანი, არ გამოგონია, — აღიარა კონსტანტინემ.

— შენ ჩვენი მდივანი ხარ, ამჟამად კოლმეურნობის თავმჯდომარეობას ასრულებ. ამრიგად შენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ნიკუალა მისაბაძ მაგალითად არ გამოგვადგება, ხელის განძრევა ეზარება... გამოგონე, ჩემი წინადადებაა ორგანიზებულად დავიწყოთ ეს საქმე. შეარჩიე ადამიანები, გამოჰყავი ურმები, აცნობე ხალხს, მთელი კოლმეურნობა უფრო ხელმარჯვედ გააქეთებს საქმეს, — კესოუ დარწმუნებით ლაპარაკობს და იქვე ანვითარებს კლდის დაფქვის ორგანიზაციის გეგმას.

კონსტანტინე დიდხანს, მოთმინებით უსმენს მას და ბოლოს, აწყვეტინებს.

— ძვირფასო მეგობარო, — ეუბნება იგი ტბილად. — კარგი წამოწყებაა. კეთილი თაოსნობაა. მაგრამ საქმე არც ისე ადვილია, მოფიქრება სჭირდება.

— მერე გაზაფხული? — მოუთმენლად შესძახა კესოუმ. — გაზაფხული ხომ კარს მოგვადგა.

— თუ ეს გაზაფხული არა, სხვა გაზაფხულიც ხომ მოვა, — მშვიდად უპასუხა კონსტანტინემ. — ხოლო ჩემი რჩევა ასეთია: საქმე შევისწავლოთ, მოვიფიქროთ, შეიძლება საცდელი ნაკვეთიც შევარჩიოთ... რაიონში მოვილაპარაკოთ... აგრონომებთან... აი შენ კარგად სთქვი მინდვრის დამუშავებისა და ნათესის მოვლის შესახებ. მაშასადამე, მოწინავეთა გამოცდილება... ეს ძალიან კარგია. საქმე... — ცოტახანს დაიჟმდა და შემდეგ დასძინა: — კლდეში კი მტკიცედ ხარ დარწმუნებული? რა ჰქვია აი, იმას, ფოსფორიტები?..

კესოუს თითქოს ცივი წყალი გადაახსოვდა — მოიღუშა და ხმამაღლა დადგა. გამობრუნდა უკანვე. *ბიზლმითქვა*

კონსტანტინე რაღაცას ელაპარაკებოდა გზაში, ამშვიდებდა, თითქოს თავს იმართლებდა მის წინაშე. მაგრამ კესოუს არაფერი არ ესმოდა, საშინლად ნაწყენი იყო... შეიძლება ითქვას, კაცმა თავისი სული გადაშალა, ისეთნაირად გამოვიდა, თითქოს სიყვარული აუხსნა ვისმესო და მას კი ზრდილობიანად ზურგი შეაქციეს. ეს უფრო შეურაცხყოფელია, ვიდრე სილა, ეს გაცილებით ძლიერია ყოველგვარ სილატაკეზე. მისი არ სჯერათ — ეს ცხადია...

და აი ისინი კვლავ მინდორში არიან. ნისლი გადაშორებია მიწას, მზის პირველ სხივებს შუბებივით დაუსერავს იგი. ცაში ფრინველები ჭიკჭიკობენ, მოწმენდილი და თბილი დღეა, თითქმის ზაფხულის დღე.

— კესოუ, — უთხრა კონსტანტინემ, და როგორღაც დამნაშავესავით გაიღიმა (იგი მიხვდა, რომ აწყენინა ყმაწვილს), — მოფიქრებულად იმოქმედე. კლდის საქმეს მოვასწრებთ. მთავარია დამუშავება, ვადები, საგულდაგულო მუშაობა, გაიგე? ხომ თვითონ შენა სთქვი: ამ კლდის გარეშეც მივიღებთ მოსავალსო. — მან ხელგაშლით მიუთითა მინდორზე, რომელიც მის წინ იყო გაწოლილი და საზეიმო ხმით წარმოსთქვა: — მთებში არ ნახულ მოსავალს!

კესოუმ არც თუ ისე ალერსიანად შეჰხვდა მას, კბილებში გამოსცრა:

— გმადლობთ რჩევისათვის, ამხანაგო მდივანო... ვფიქრობ, არ დამჭირდება...

თარგმანი რუსულიდან **პ. ბახტურიძემ**

(დასასრული იქნება)

მთხი ლეხი



ლენინის ჩამოსვლა

ეს დღეც გათენდა... მთელი ქალაქი
მიაწყდა ზვავად ფინეთის ვაგზალს,
ყველამ დასტოვა თავის ალაგი,
ზოგმა მაგიდა და ზოგმა დაზვა.

ვრცელ მოედანზე გაჩნდა ზღვაგური,
ხალხის ტალღებად შემოდენილი.
ისმოდა რაღაც ჩუმი ზვავური
და ყველგან ერთი სიტყვა: ლენინი...

ეს სიტყვა იყო ნაღმი, იმედი,
და წუთი იყო ნახვის ლოდინი,
სად ეტეოდა გრძნობა იმდენი,
სად გაჩნდა ძალა მთების ოდენი?!

ავტოს გუგუნე... აი ჯავშანო,
ნელა მიიწეეს და შედგა ნელა.
დადინჯდი, გულო, გულო აშარო,
აქეთ სმენა და თვალეები ყველა!

ლენინ! ლენინი! არეს მოედვა,
ნანატრი კაცის ხილვა ეღირსათ.
უცებ დუმილი მოხვდა მოედანს,
დაეცა დუმილს სიტყვა ელვისა.

იდგა ჯავშანოს კოშკურზე კაცი,
ვით სულჩადგმული რამ ქანდაკება.
წინ ხელგაწვდილი, ძახილი მკაცრი,
დროშა, ლოზუნგი და ქადაგება.

აქ იგრძნო ხალხმა თავის ბელადი,
ბელადმა იგრძნო ხალხი თავისი,



განდა იმედი მრავალფერადი
და ბედნიერი დიდი გაისი.

აქ ითქვა სიტყვა, უკვდავი მარად,
და ითქვა სიტყვა — დამდები ზღვარის,
ის გადეთვარა ქვეყანას ფარად
და გამარჯვების დარეკა ზარი.

★

ბავშვები „პრავდა“

ის არ მოქონდა შინ ფოსტალიონს,
არ ამშვენებდა კიოსკის დაფას,
მაინც ხვდებოდა ყოველ ალიონს,
ხვდებდა ქალაქს და მცირე დაბას.

მუდამ ვეძებდით ჩვენ ერთ ამხანაგს,
ის ბტარებდა ამ გაზეთს უბით,
ისევ გაცოცხლდა თვალწინ ამხანად,
თითქოს კვლავ მოდის სტუდენტთა უბნით.

მოდის და ერთი შეხედვით გიცნობს:
ვინა ხარ, რა გსურს... ახლოს დადგება,
გადმოგვეცემს ქალაქს, შევეცილს ვიწროდ,
და კაცი უცებ უჩინარდება.

კითხულობ... დედავ, ფიქრობ და ხენეში,
თვალს გიხელს, უსმენ სიმათლის ლაღადს,
მერე გადადის ხელიდან ხელში,
სანამდე სული უდგია ქალაქს.

იცვლიდა სახელს იგი დევნილი,
მაგრამ კვლავ იყო სალი და სალი...
„პრავდის“ ფურცლებში სჩანდა ლენინი,
„პრავდაში“ მუდამ ვუსმენდით სტალინს.

„პრავდა“ მუდამ დღე შექად იღვრება,
როგორც მზეს, არ ჰყავს „პრავდას“ ბადალი,
როგორც მზე, არც ის აღარ იღლება,
რადგან მზესავით არის მართალი.

ხანდახან შინდა კვლავ გაგვიარო
გზები, ულრანი მისგან კაფული.
ბრძოლების წუთებს კვლავ ვეზიარო,
ვიყო ბრძოლების ზვირთში ჩაფლული.



ისევ ვიხილო იგი სტუდენტი —
ნათელი შუბლი, ღარიბი პალტო,
ვიხილო ჩვენი ყრმობის ბუდენი,
დიდი ქალაქის ქუჩები ფართო.

და ვეტერანის ძველი ფურცელი,
ეს მონაწილე გამოვლილ ზეავის,
ფუთბრა: მოხუცო, დარჩი უცვლელი!
და მის წინ ჩუმაღ დაეხარო თავი.



პროკლამაცია

უჩინ-მაჩინის ქუდი ეხურა,
ის ყველგან იყო და თითქოს არსად;
ხან ხმაურობდა ვრგვინვა — მეხურად,
ხან გაკმინდავდა უეცრად ხმასა.

ხან კედელზეა, ხან იფანტება,
გუმბერნატორის სასახლეს სწვდება...
გულში ტრიალებს უწყვეტ ანთებად,
თუ-კი ის გულში ჩაგეწვეთება.

ხან დაფარფატებს ტალღას თოლია,
კამკამა ზღვაზე აედრის ნიშანი,
და ხშირად მის ფრთას თან მოჰყოლია
პეჭა-ქუხილი და ქარიშხალი.

ვხედავ: გოგონას გულზე მიკრული
მიაქვს და ათბობს გულის ფართქალი,
ცოცხლდება გულთან სიტყვა გმირული,
სიტყვა ცეცხლი და სიტყვა მართალი.

სად დაიბადა, ვინ სთქვა პირველად,
ვინ კითხულობდა, ვინ სწერდა ნეტავ?!
რომელ სარდაფში უცებ იელვა
ხალხის ოცნებამ და ხალხის ნებამ?!

იგი კარნახი იყო ლენინის,
სტალინის კალმის ერთი მერცხალი.
სარდაფებიდან ამოვლენილი
რევოლუციის ეს ნაპერწკალი.



ერთი ფიტული



ნევის გამზირი, ბანკის კარები,
ბროლის მინა და თითბრის კლიტული,
ვეება კაცი, მიუკარები,
მთლად მოსირმული რაღაც ფიტული.

ის კარვად მახსოვს და მისი ქცევა;
ხან მედიდური და ხან მორჩილი.
დიდის წინაშე იწყებდა ცეკვას,
ეს იყო მონა ყურებმოჭრილი.

მაგრამ თუ ვინმე ღარიბთაგანი
მიადგებოდა სასახლის კიბეს,
უნდა გენახათ თქვენ ეს საგანი
როგორ აბრჭენდა მრისხანედ კბილებს.

ზოგს უღიმოდა, ზოგს ვერც ზედავდა,
ზოგს მხოლოდ ჩუმად აძლევედა სალამს,
ზოგის წინ სუნთქვას ველარ ბედავდა,
ზოგს აჩვენებდა მრისხანე ძალას.

და ეს ხარისხის დამრიგებელი,
ძველი კიბური ცხოვრების სახე,
ეს სიმახინჯე ქვეყნის, ბებერის,
მე შვიდ ნოემბერს აქ ველარ ვნახე.

აქ იდგა კაცი შამხანით ხელში,
ხალათზე ზეთის, კვარტლის ლაქებით,
და სთქვა სულუველამ: — გათავდა ტანჯვა,
ღლეიდან გავხლით მოქალაქენი!

სოლომონ თაყაიძე

მაისის განთიადი

რომანი *

★

VI

განთიადისას

მარიკამ და ქეთომ ნაღმების ცეცხლს თავი ძლივს დააღწიეს. გაოფლიანდნენ. რაღაც არხს მიაღვდნენ. არხში წყალი გაყინულიყო და ყინულის ოდნავ მოციალე შუქის ზოლს გაპყვენენ.

ხესთან შეისვენეს, სული მოითქვეს.

სოფლის მხრიდან, სადაც იმ წამს სასტიკი ბრძოლა იყო გაჩაღებული, ცივი ნიაფი უბერავდა, — ქეთოს და მარიკას კი ეჩვენებოდათ, თითქოს იმ ნიაფს ჩვენი მეომრების მანუფეშებელი ხმა და სითბო მოჰქონდა.

— ისეთ გუნებაზე ვარ ახლა, — ჩაილაპარაკა მარიკამ: — მეშინია, გული არ გამისკდეს...

— გესმის, მარიკა, როგორ გამძაფრდა ბრძოლა? ხომ ატყობ, ჩვენები წინ მიიწევენ... აგერ, დააკვირდი...

— არაფერი არ მინდა, ღმერთს ვაეკაცად ვაფეჩინე... მაინც ქალბიჭა ვიყავი, გესმის, ბარემ გულს ვიჯერებდი... აბა, რას ჰგავს ეს? ახლა რომ ილიკოს გვერდით ვიყო და ხელში

თოფი მქონდეს, ასწილად არ მიჩვენია?..

ქეთო მარიკას ყურს არ უგდებდა, იცოდა, რომ იგი ლაპარაკს გულს აყოლებდა. თითონაც იუბნებდა რაიმეს თავის გასართობად, მაგრამ ძალია არა ყოფნიდა. პოლკოვნიკის სიკვდილმა და შემდეგ უგზოუკვლოდ წრიალმა საესეებით გამოფიტა; მხოლოდ ერთი ნაპერწყალი უკრთოდა სულის სიღრმეში: ვინ იცის, სად არის ახლა შალვა, სად იბრძვის?.. ტალახში იყო ამოთითხნილი და მკვდრის ფერი ედო...

— აქ სანამდე უნდა ვიდგეთ? — გამოერკვა მარიკა. — გაეყვეთ ამ არხს.

მარიკა თავის ამხანაგებში ყოველთვის გამოირჩეოდა: მშინშარა არ იყო. მაგრამ აქ, ამ უცხო ქვეყანაში, ამ უღმობელ ხოცვა-ყლეტაში უნებლიედ შეიპყრობდა ხოლმე შინში. აგერ, მიდის ახლა, მიუძღვება ქეთოს, მიჰყვება არხის პირს და ხშირად ჩერდება შემკრთალი, ირგვლივ თვალს აცეცებს, სიბნელეში აღმართულ ხეს, ჯირკვსა თუ ბორცვს ამტერდება.

არხი ლელიანში შევიდა. ყველაფერიდან სჩანდა, რომ აქ რაზმს გაეფლო. ნაკვალევი ყინვას გაემავრებია,

* გაგრძელდა. „მნათობი“ № 7

ჭაობში ჩატეხილებსაც თხელი ყინუ-
ლი გადაჰყენოდა.

კარგა ხანს იარეს. ნაკვალევმა არხი
გადასჭრა და სოფლისაკენ გადაუხვია.
შეჩერდნენ. დააყურეს. ახლა ბრძო-
ლა შიგ სოფელში გრძელდებოდა.
ისევ ნაკვალევს უნდა გაჰყენენ,
ოღონდ უნდა ეცადონ, რომ ყინული
არსად ჩაუტყდეთ. უკვე შუაღამეა და
ახლა ყინული მაგარია, მხოლოდ ჩანა-
ტეხს კი უნდა ერიდონ.

ზოგან სწრაფად მისრიალებდნენ,
ლერწამს იხმარიებდნენ, ზოგან კი
სქელ ლელში მოხედებოდნენ და გასვ-
ლა უძნელდებოდათ. ერთგან ქეთო
ხიფათს მაინც ვერ გადარჩა. ყინუ-
ლის თხელ ფენაზე მოუხდა გადახტო-
მა და ჩაუტყდა; მაინც იმარჯვა, ხე-
ლები მოცურავესავით წინ გაიშვირა
და ყინულზე გაწვა, წყალი მხოლოდ
ჩექმებში ჩაუვიდა.

— გაიწი, არ მოხვიდე! — მიაძახა
მისაშველებლად დამრულ მარიკას. —
მაცალე, მე თვითონ ამოვალ.

მალე ამოფორთხდა. ჩექმები გაიძ-
რო, ჩანთიდან შშრალი წინდები ამოი-
ლო და ჩაიცვა.

— ერთი ჭირი მარგებელიაო, ახ-
ლა დაღლილობას სრულიად არა
ვგრძნობ. — უთხრა მარიკას და და-
წინაურდა.

ღამის ორი საათი იყო, ჭაობს რომ
გასცილდნენ და სოფლის გარეუბანს
მიადგნენ. სროლა ახლა კანტიკუნტად
ისმოდა.

გზის პირად შედგა ქეთო, მარიკას
მიეკრა, ჩურჩულით უთხრა:

— ხედავ?

— რა არის?

— აგერ თხრილთან, მოკლული უნ-
და იყოს.

— იქნება დაჭრილია. — ჩაილაპა-
რაკა მარიკამ და ფეხი ფრთხილად
გადადგა, თითქოს ეპარებო. ჯიბის
ფანარი მიაშუქა. „მკვდარია... ვინაა

ეს უბედური?“ ჩაიჩოქა, ხელი მოუ-
ფათურა. ფანარი საზეჭყევე დასაფოა.
მძინარესავით იყო გავშვარყოფლ კბი-
რალმა ბრგე ვაჟკაცი; ცალი თვალი
და შუბლის ნაწილი დაღეკილი სისხ-
ლით ჰქონდა დაფარული. მაინც ისე-
თი გამომეტყველება შერჩენოდა,
თითქოს იღუმალად ამბობდა დაღლი-
ლი: მაცალეთ, გამოვიძინებ და
ავდგებიო.

— ვაი შენს დედას უბედურს... —
ცრემლნარევი ხმით სთქვა მარიკამ და
მკერდზე ქურჩი გადაუწია. გულის
ჯიბეში საბუთები არ აღმოაჩნდა.

— ადე, წავიდეთ! — უთხრა ქეთომ.
მარიკას არ მოეწონა ეს კილო, კუმ-
ტად აპხედა ქეთოს; მერე უსიტყვოდ
რომ ადგა, ისეთი გრძნობა აპყვა,
თითქოს სასაფლაოდან ბრუნდებო.
გულმოკლული ჭირისუფალი.

ასიოდე ნაბიჯის შემდეგ რალაც
უცნაური ხმა მოესმათ, — არც ოხვ-
რა, არც ღიღინი; ქვა-გულსაც კი
შეარხევდა ეს ხმა, იღუმალ სიმები-
ვით შემოეკვდობოდა და თანაზიარი
ერკოლვით შეიპყრობდა.

ნაბიჯს აუჩქარეს.

— ჰეი, ვინა ხართ? ჩვენები ხართ?
ეს ის შენაღვლიანი ხმა როდი იყო,
ეს ვაჟკაცური შეძახილი იყო.

— ჩვენ ვართ, ძმაო, ჩვენ...

— ოჰ, თქვენ გიშველოთ ღმერთმა!
რა დროზე მომისწარით! სული კბი-
ლით მიჭირავს.

ქეთოსა და მარიკას, საქმე რომ
გაუჩნდათ, გული მოეცათ, გამხნეველ-
ნენ.

— ე ოხერი. შთლად მოშლილი
ვარ... აბა ნახეთ... ცუდ დროს კი გა-
ვიცანით, მგარამა რა ვაწყობა, ომია...
ა-ტა-ტა-ტა... ცოტა ფრთხილად, შე-
ნი ხელების ჭირიმე, ფრთხილად...
უჰ, უჰ... რჯულძაღლი, როგორა ჰკვე-
სავს რალაცა, პირდაპირ ტეინში ჰკვე-
სავს ხოლმე... დიახ, იმას მოვახსენებ-

დით... მე თედო ვარ, გაბროშვილი. განათლებული ქალები ბრძანდებით, თქვენ ხელებს ვენაცვალე, და ყვარელი როგორ არ გეცოდინებათ, ილია ჭავჭავაძის საშობლო... ჰო-და შილდაც იქვე ახლოსაა. იქაური ვახლავართ... ჰაი, ჰაი. რა სოფელია ი დალოცვილი!.. ვითომ მივალწევ?

— ნუ გეშინია, ეს ისეთი ჭრილობაა, რომ ადვილად შეხორცდება! — ანუგემა მარიაკამ. — ცოტა კიდე მოითმინე, მალე მოვრჩებით.

— რასა ბრძანებთ, თქვენ ხელებს ვენაცვალე, მოვითმინე კი არა... ჰატ, ე რჯულმალი, როგორ დამკრავს ხოლმე... დაიცა, დაიცა... რა მეწყერში ჩავარდით!.. აქედან ვინ-ღა გამიყვანს.

— ნუ გეშინია, მალე მოგვისწრეშენ...

— თქვენ ხმას ვენაცვალე, ქალებო! ნეტამც მაგრე იქნებოდეს... ჩემი დედაკაცი ახლა ვინ იცის, რასა ჰფეკრობს, ან ჩემი ბაღლები რასა შერეზიან!.. არა, მართლა რო მოხდეს სასწაული და შილდაში მივალწიო!.. ჰაი დედასა, ჩემი სახლის წინ რომ წყალი მოჩხრიალე, ერთი ჭიქა მომცა ეხლა აქა, რა მადლი იქნება!..

შეხვევას მორჩნენ. თედო არ ისვენებდა, ლაპარაკს განაგრძობდა, ეტყობოდა, რომ ეს მისთვის დიდი შვება იყო.

— გათენებამდე ჯერ კიდეც კაი ხანია, — ჩაილაპარაკა მარიაკამ, — ქეთო, წამო ჩემთან!

— მილიხართ? გზა მშვიდობისა...

— არა, ძმაო, არა, ამ წაშში მოვალთ. ქურქს მოგიტანთ.

— თქვენ ხელებს ვენაცვალე, ახლა აღარ შემცვიდება... მაშ მომიკითხავთ, ა?.. აგრე, აგრე... ცოტა შეისვენეთ, 5. „მნათობი“ № 8.

დაღლილი ხართ... ჩვენს ასეულში... მისმენთ?.. ჰო, ჩვენს ასეულში... შემდეგია, ალბათ, თქვენც იცნობთ. კრლია ბარბაქაძეს ვინ არ იცნობს? ჰო-და, ის მახარებდა ხოლმე იმერულ ლეინოსა... ჰაი დედასა, ვანა ჩვენს გუნაშაურს რაიმე შეედრება! ნამდვილი ზიარებაა...

ცოტათი რომ განშორდნენ, კვლავ ის ხმა მოესმათ, — არც ოხვრა, არც ლილინი, — ხმა სიკვდილის მიჯნაზე მყოფ სიცოცხლით სავსე კაცისა.

გზის პირად სიბნელეში პატარა სახლი გამოჩნდა. სროლის ხმა ძალიან შორიდან ისმოდა. ეტყობოდა, გერმანელებს სოფელი დაეტოვებინათ და ბრძოლით უკან იხევდნენ.

— მარიაკა, შევიდეთ ამ სახლში, დავისვენოთ, მეტი აღარ შემიძლია.

— ცოტა კიდე გავყვეთ... მეც შენს დღეში ვარ...

ქეთომ კვლავ გულის რევა იგრძნო, მუხლებში მოუსავედა, უაზროდ მიიხედ-მოიხედა და გზის პირად ჩაჯდა.

მარიაკამაც ჩაიმუხლა, თავისი დიდი ჩანთა გვერდით ვადასწია და ქეთოს ხელი მოხვია.

— რაეა ხარ, ცაე?.. ნუ გეშინია, ახლ მალე ენახავთ ჩვენებს და მოგასვენებ...

— არაფერი არ მინდა, არაფერი, მხოლოდ საღმე თავი მივდო...

მარიაკას რაღაც ხმა მოესმა, ყური მიაპყრო. გზაზე სიბნელეში ვიღაც გამოჩნდა, სახლს მიაშურა.

— აქ ჩვენები ყოფილან. წამოდი! — წამოიძახა მარიაკამ და ქეთო ააყენა.

სახლთან შედგნენ. პირველად ვერ გაარკვიეს, მერე მიხვდნენ, რომ ვიღაცა მეგრულად ლაპარაკობდა.

— დაჭრილია! — ჩაილაპარაკა მარიკამ და კარი გამოსწია.

— რომელი ხარ? — დაიძახა შიგვილაცამ.

— ჩვენ ვართ...

— არიქა, მიშველეთ, კაცი მიკვდება... აქ საიდან გაჩნდით ახლა თქვენ?..

გაბმულად ლაპარაკობდა, სახე კი არ უჩანდა.

მარიკამ ფანარი აანთო.

ახლაგაზრდა მხედრის ლამაზი სახე გამოჩნდა; მეორე ტახტზე პირადმა იწვა.

მიმოიხედა მარიკამ; კუთხეში, პატარა მაგიდაზე ჭრაჭი აღმოაჩინა. აანთო.

— ა, ძმაო, ჩემო ჯიმშერ, ბედი გქონია. შეხედე, ჩვენი ქალები მოვიდნენ, აწი ნულარ გეშინია... მართლაც სულზე მოგვისწართ ახლა თქვენ, — მიუბრუნდა ჭაბუკი ქეთოს და მარიკას: — ხმას არ იღებს. თქვენ უფრო შეატყობთ...

მარიკამ ჯიმშერს მაჯა გაუშინჯა, ფართოდ გახელილ თვალებში ჩახედა: „შოკი არ უნდა იყოს“. — სთქვა გუნებაში და ქეთოს მიმართა:

— ჩანთა გახსენი, შესახვევი მოამზადე...

ჯიმშერს ხელახლად შეხვევის დროსაც არ ამოუღია ხმა, მხოლოდ რამდენჯერმე ამოიკენესა ყრუდ. თანაც ტუნებს არხვედა ხშირად, თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო.

— როგორ ატყობთ? — შეეკითხა მარიკას ჯიმშერის ამხანაგი.

— არ ვიცი... ვნახოთ...

— არა, არა... შენი ჭირიმე, დაო... უთუოდ საიმედოა! — მღელვარედ სთქვა ჭაბუკმა და მარიკას ხელი მოხვია. — თქვენ იცით ახლა. გათენდება აგერ და პოდპოლკოვნიკი ყოველ ზომებს მიიღებს... იცით, როგორ აფასებენ მაგას ყველანი... ღმერთმა ნუ ქნას, მაგას რომ რამე მოუვიდეს... რაღად მინდა ცოცხალი თავი... რომ იცოდეთ,

რა დედა ჰყავს, რა ადამიანია! ჩვენი სკოლის მასწავლებელი... მეც მისი გაზრდილი ვარ. ამის შტრიხს არ ვაყვარებ... არა... ჰო-და... ოპ, არა, არა...

ჭაბუკის ხმაში ცრემლიანი კილო დაირხა. ჯიმშერს მიეახლა, შებლზე ხელი მოუსვა.

— ჯიმშერ, ძმაო, სთქვი, ბიჭო, რამე!

ჯიმშერმა თავი ოდნავ გადმოსწია, უცნაურად ანთებული თვალები ჭაბუკს მიაშტერა და ძლივს გასაგონი ხმით უთხრა:

— წადი... ოცეულს მიხედე.

— კი, ძმაო, შენი ჭირიმე! — წამოიძახა ჭაბუკმა. — მივდივარ, ოღონდ შენ იყავი მარჯვედ, გული არ გაიტეხო. მალე მოვბრუნდები, არაფერს არ მოგაკლებთ...

ქეთო კუთხეში მიწვა. მარიკასა უწია დაღლილობამ, მაგრამ თავს იმაგრებდა, ჯიმშერის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა. გამოცდილებით იცოდა, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი დაჭრილი ხშირად შფოთვის იწყებს, შმაგდება, შეიძლება სახვევიც შემოიგლოჯოს.

ახლა კი სდუმს; დიდრონი თვალები გახელილი აქვს; იშვიათად მოაშორებს ერთ წერტილს. ხანდახან ტუნებს ისე შეაზხვეს, თითქოს რაღაცის თქმა უნდა და ვერ ახერხებსო.

რამდენჯერმე დაიხარა მარიკა, გაესაუბრა, მაგრამ ჯიმშერმა არ უპასუხა. მერე მის ფეხებთან დაჯდა, თავი კედელს მიაყრდნო...

ჯიმშერს იმ წამს აღქმა უცნაურად გამაზვილებული ჰქონდა, იცოდა, რომ კუთხეში ქეთო მოკრუნხული იწვა, მარიკაც იქვე იყო, სულ ახლოს; გარეთ კი უტყვი ღამე იყო, თებერვლის გრძელი ღამე.

ძალიან უნდოდა ჯიმშერს მცირე რამ მაინც გაენდო მარიკასათვის იმ უამრავი გრძნობებიდან, რომელნიც ასე

მძლავრად შემოეჯარნენ, შებოქეს, საესებით დაიმორჩილეს. წელანაც სცადა დაეწყვიტა ეს საშინელი ქსელი და ამხნავს დალაპარაკებოდა. მერე რამდენი რამ ჰქონდა სათქმელი! მან კი მხოლოდ ეს-ღა მოახერხა — „წადი... ოცუელს მიხედო“...

„ჰო, მთავარი ეს იყო, — უთხრა თავის თავს ჯიმშერმა, — მიდიან ახლა ბიჭები წინ... შენ კი, ჩემო ჯიმშერ... ცუდადაა, ბიჭო, შენი საქმე, ცუდად... აქ უნდა დალიო სული... მოიცა, ჰო, აქა ვარ, დედა, აქ, — მეგრულად გაესაუბრა ჯიმშერი დედას. — შენ ხომ ვიყვარდა გმირული ამბების მოყოლა... მეც არ დამიზოგავს თავი, რაც შემეძლო... რა, სხვა უნდა გამეშვა ძელმიწურის ასაფეთქებლად და მე შორიდან მეშხირა?... არა, შენ ამას არ მეტყობდი, დედა! სხვას შეიძლება იმ წამს ისე ვერ მოესაზრებია და ჩვენ ყველანი ამოეწყდებოდით... კარგი, ნუ ტირი, გული ნუ მომიკალი... მე ისიც მეყოფა, დედა, შენი ჭირიმე დედა, აქ რომ ვრჩები მარტოდ, სულ მარტოდ“...

მწარ-ტყბილი შეება იგრძნო ჯიმშერმა, თვალებიდან რომ ცრემლები გადმოედვარა, გულზე დაწოლილი ტვირთი, ქვეყნის სიმძიმე ტვირთი ოდნავ შეუშლუბუქდა, მხედველობაც დაეწმინდა და აბლა ნათლად უდგას თვალწინ თავისი ეზო, ფართოდ ტოტებგაშლილი ცაცხვი, მალალ ბალავარზე წამოდგმული ოდა... დედა სკოლაშია, შინ მხოლოდ დეიდა ტერეზია: თოვლივით თეთრი თმის შუქი ადგას დეიდა ტერეზის ნაოქებით დაღარულ სახეზე და თვალეზში ენითუთქმელი სევდა გამოსქვივის... საოცარია, რალაცა არის ამ სევდაში მიმზიდველი და მშობლიური... იქნება ეს მხოლოდ ბავშვობის მოგონებაა?..

მაშ ჯიმშერი ველარ მივა შინ, ვერც ტერეზის გაახარებს, ვერც დედას?... რა ახლოს მოსჩანან და მაინც არასოდეს

არ დაილევა ეს გზა!..

„...ღამე მაინც დამთავრდეს, იქნება შიომ მართლა გამგზავნეს... მთავრად თავს ნუ იტყუებ, კარგად იცი, რაც გჭირს... მთავარი ძარღვი გაწყვეტილია... კაცად მაინც აღარ ივარგებ... ხომ ვინახავს, ფეხებმოკვეთილი კაცი რომ გოგრებიან სკამზე ოჯდა და საცოდავად მიავორებდა ქუჩაში... არა, ისევ სიკვდილი სჯობია... ნეტავი მალე გათენდეს! გამიგონია, სიკვდილი განთიადისას ესტუმრებოთ მომაცქდავს... მოიცა, ჯერ არა...“

ჯიმშერმა მძაფრი ტყვილი ძლივს დათრგუნა, ტუჩებზე იკბინა, მძიმე გმინვა აღმოხდა, შემდეგ კვლავ გააბა საუბარი თავისთავთან...

სუნთქვა თანდათან უძძიმდებოდა ჯიმშერს. თვალს კიდევ უჭრიდა და უკვე შეამჩნია, განთიადის მკრთალი შუქი რომ შეიჭრა ქოხის ჭუჭრუტანებში. მალე ეს სინათლე იმდენად გაღვივდა, რომ ჯიმშერს ცეცხლად შემოენთო. იგრძნო, რომ იწვოდა, გული ეფერფლებოდა... ველარ აიტანა, ჯერ რამდენჯერმე ამოიგმინა და მერე ხმა-მალლა დაიყვირა:

— ვკედები... მიშველეთ...

მარიკა წამოხტა, ჯიმშერს თავზე ხელი დაადო:

— მზიკედეს ჩემი თავი, — ჩაილაპარაკა ზარდაცემულმა.

ქეთოც წამოდგა, მომაცქდავს დაჰხედა.

— მომე, ცაც, იქნება წამალმა უშველოს.

ამო იყო. რამდენიმე წამს კვლავ იშფოთა ჯიმშერმა, მერე უცებ მოწყდა და უქანასკნელად მიაყრო განთიადის შუქს ჯერ კიდევ სხივჩაუშქრალი თვალები.

VII

კვლავ წინ

მთელი ღამის განმავლობაში მტრის ცეცხლის ქვეშ ხელმძღვანელობდა შიო

ბეროშვილი გამძაფრებულ იერიშს. ჯერ დანაყოფების არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით შეიტანა არევე-დარევა მტრის ბანაკში, შემდეგ კი ისე გაანაწილა მოიერიშე ძალები, რომ გერმანელებმა სოფლის შენარჩუნების იმედი დაჰკარგეს.

შიომ აღმოსავლეთიდან მიტანილი იერიშით დახმარება აღმოუჩინა სოფლის ცენტრისაკენ მიმავალთ, ამასთანავე ამით მან მტრის ყურადღება ააცდინა იმ ბატალიონს, რომელიც სოფელს ისეთი მხრიდან უვლიდა, საიდანაც გერმანელები არავითარ საფრთხეს არ მოელოდნენ. ან კი როგორ წარმოიდგენდნენ, თუ თებერვლის ღამეში იმ საშინელ ქაობებს ვინმე გადალახავდა და მდინარე ყუბანზე ერთდერით გადასასვლელს დაემუქრებოდა. ზოლო როცა ეს გაიგეს, მალე ბრძოლით უკანდახევას შეუდგნენ.

ჯერ სოფლის აღმოსავლეთ გარეუბანში გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა, შემდეგ კი ქუჩებსა და შესახვევებში. გერმანელებს სახლებშიაც საცეცხლე წერტილები ჰქონდათ, მაგრამ უკან დასახევი გზის მოჭრის საშისწრაფბამ თავზარი დასცათ და მწყობრი წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლეს.

ღამის ორ საათზე ჩვენები უკვე სოფლის ცენტრს დაუფლდნენ.

ლრუბლიანი განთიადის შუქი შეიჭრა ფართო შენობაში. შიომ თავი ასწია, სივრცეს გაჰხედა, მერე უცებ აღგა, გაიარ-გამოიარა. მთელი ღამის განმავლობაში ერთი წამითაც არ დაუსვენია, მაგრამ ახლა ისე ცოცხლად გამოიყურებოდა, თითქოს თბილ საწოლში გამოძინებული ყოფილიყო. მკრთალ სახეზე მიმზიდველი შუქი უკრთოდა, შეუპოვარი ბრძოლით მოპოვებული გამარჯვების შუქი.

— ხომ ვითხარი, — მიუბრუნდა შიო შტაბის ოფიცერს, — გერმანელები ახლა მდინარეზე გადასასვლელს ჩაებლაუჭებიან. გესმის, რა ცეცხლი

გაჩაღეს? უნდა ჩავახშოთ... პირველი და მეორე ბატალიონი საცაა გავლენ გავლენ... ინიციატივა ახლა ჩვენი ხელთაა, მტერი ერთი წამითაც არ უნდა შევასვენოთ... ჩვენ ახლა არმიის მოიერიშე ავანგარდის პირველ რიგებში ვიმყოფებით. ეს დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს...

შიო ტელეფონთან დაჯდა, რამდენიმე ბრძანება გასცა... მერე მაგიდაზე დაბჯენილი მარცხენა მკლავი მოკეცა და თავი ზედ დააყრდნო, ცოტა ხნით თვალი დახუჭა. პირველად ეამა ეს; ნელტკბილი განცხრომისებური ბურანის მოახლოება იგრძნო, მაგრამ წამსვე გაჰკრა რაღაცამ გულის სიღრმეში ბრჭყალი... რა მოასვენებს? რამდენი ხანია მოდიან, გზას ბრძოლით იკაფავენ... რამდენი ვეჯაკის სისხლითაა იგი მორწყული! ახლა ეს შეტევა... გაუვალი ქაობები... ჯერ კიდევ არაა აღრიცხული, თუ რამდენი დაეცა წუხანდელ ბრძოლაში... დაქრილთა გადაყვანის საშუალებაც არაა... რა კარგი იქნება, აქ რომ გავმაგრდებოდეთ, მოეწესრიგდებოდეთ. მეომრები სულს მოითქვამენ...

ერთ წამს რულმა თვალი მოსტაცა შიოს.

კარის კრიალმა შეაკრთო, თავი ასწია.

— რა მოხდა?

— პირველი და მეორე ბატალიონები მდინარეს გასცილდნენ, სარძვევე ფერმისაკენ მიიწევენ... არმიის სარდლის ბრძანებაა: დივიზიის საბრძოლო შემადგენლობამ შეუჩერებლად განაგრძოსო მტრის დევნა...

დილის ათ საათზე ბატალიონის მოიერიშე რაზმი ზუთი კილომეტრით გასცილდა მდინარეს და სარძვევე ფერმაში შევიდა. სამსონმა პოზიცია გულდას-

მით დაათვალიერა, მერე შესვენება გამოაცხადა.

მალე მეორე ბატალიონიც იქვე დაბანაქდა.

მეომრები თავიდან ფეხამდე ტალახში იყვნენ დასვრილნი, ზოგი წელამდე სველი იყო, მაგრამ დალილობას ან რაიმე ნაღველს ვერც ერთს ვერ შეამჩნევდით; ყველანი იმ ალტაცებით იყვნენ შეპყრობილნი, რომელიც გამარჯვების პირველ წუთებში ეუფლება ხოლმე ადამიანს...

რა საშინელი ღამე იყო, რა გზა გამოიარეს, რა ცეცხლი! ახლა კი მტერი უკუქცეულია, გარბის... ხოლო შენ შეგიძლია სული მოითქვა, თავისუფლად მიმოიხედო. აგერ ამ გრძელ შენობას, ამ ტრამალს, ამ ღრუბლებსაც, ცახე რომ ტყვიისფერად იგარგნებოან, ყველაფერს გამარჯვების შუქი გამოკრთის, ყველაფერი იმ მშობლიურ ძალას ეაღვრება, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში შენში ენთო და წინ მიგიძღვოდა. უკიდურესი განსაცდელის დროს ხელს დაგტაცებდა, ავამოლებდა, დაბრკოლებას დაგაძლევინებდა, სიკვდილის რკალიდან სიცოცხლის ასპარეზზე გამოგიყვანდა.

ამ უშუალო განცდის ქამს ბეერს არ ახსოვდა, თუ გულში რაიმე დარდი ჰქონდა, ამხანაგის უბრალო ოხუნჯობა გულიანად აციუნებდა.

სამსონმა ქურჭი გაიხადა, ქამარზე ჩამოკიდებული ქარქაშიდან დანა ამოიღო, ქურქს ტალახი მოაცილა. შარვალი და წალბებიც გაისუფთავა. ხელშიც დაიბანა. არც უძილობას გრძობდა, არც შიმშილს. განთიადისას კოლია ბარბაქაძემ მიაწოდა მოხარშული სიმინდი, ცოტაოდენი თევზიც დააყოლა. მაშინ მდინარის მახლობლად იყვნენ ჩასაფრებული და სამსონი იმდენად შეპყრობილი იყო ცხარე ბრძოლის მოლოდინით, რომ საჭმლის გემო არ გაუგია, მხოლოდ იგრძნო, რომ გაძლა და

ძალღონე აღიდგინა. საოცარი კაცია/ეს კოლია ბარბაქაძე! სწორედ იმ დროს გაჩნდება შენთან, როცა უმთველ არც გგონია, თუ ვისმეს იმ დროს შენთვის სცალია... ბეწვზე ვაღარჩა ამ დღით... დავითი და ვალიკოც კინაღამ დაიღუპნენ... რამდენჯერ უნდა გავიდნენ ბეწვის ხიდზე...

თამბაქო გაახვია. თივის ზეინზე მიწვა, ქურჭი შემოიხვია. თბილი ქუდი შუბლს უფარავდა, სქელ წარბებს ქვეშ წინანდებურად სხივოსნობდნენ მისი დიდრონი, მუდამ ანთებული თვალები; მრავალთა შორისაც კი მიიქცევდნენ ყურადღებას ეს თვალები თავიანთი ცხოველი ბრწყინვალეობით.

ეწეოდა თამბაქოს და თანდათან თავისუფლდებოდა იმ მძაფრი შინაგანი დაძაბულობისაგან, რითაც მთელი დღე-ღამის განმავლობაში იყო შეკრული. ნელინელ უბრუნდებოდა საკუთარი საგონებელი, რომელიც აქამდე თავისი არსების სიღრმეში ჰქონდა ვადა-მალული, უბრუნდებოდა და ისეთ სიამეს გრძნობდა, თითქო ცივ ზამთარში შინ მისულიყოს, ოდის კარი შეეღოს და ბუხრიდან თბილი შუქი შემოჰფენოდეს. მაგრამ აქ თითქო რაღაც საშუაზაროს მოჰკრა თვალი, წარბები შეკუმუნხა, თვალები მოკუტა და შორ გზას გაჰხედა... აი, ასწიეს საკაცე, ეთერმა ვაფითრებულ ტუჩს კბილები დააჭირა, ცრემლი მაინც ვერ შეიკავა. ხმა კი არ ამოუღია. ვინ იცის, რისი თქმა სურდა? იქნება უნდა ესაყვედურნა იმ ზრახვებისათვის, რაც სამსონს ეთერის და შალვას მიმართ გულში გაუტარებია... არა, მაშინ ეთერს კრილობისაგან მიყენებული ტკივილიც არ ახსოვდა, მარტოოდენ ის აწამებდა, რომ სამსონს შორდებოდა. ეს შეგნება სამსონს უდიდეს სიხარულს ანიჭებდა, მაგრამ იქვე, სადაც ამ სიხარულის სათავე იწყებოდა, წამსვე იზადებოდა

მეორე გრძნობა, მძაფრი, ცეცხლოვანი მწუხარების მომგვრელი...

თვალს მიეფარა საკაცე და ხეობაში მაშინ თითქო სულის შემხუთავი ნისლი ჩამოწვა, შავი ფრთები მოჰხვია ეთერს, აიტაცა...

შემდეგ, ვიდრე კავკასიონის მახლობლად იმყოფებოდა, გაჰხედავდა ხოლმე მთებს სამსონი და ამოდ ცდილობდა წარმოესახა, თუ სად და როგორ იარეს მთასვლელებმა, რა დღეში იყო ეთერი. ხანდახან მოეჩვენებოდა, თითქო სალი კლდის პირად იდგა და თავბრულდამხვევ სიღრმეს ჩაპყურებდა... სადღაც აქ ჩაეშვა ეთერი, ამიერიდან როგორ-ღა უნდა მიწვდეს, სად იპოვოს?.. მაშინ გაშმაგდებოდა ხოლმე და ყველას აოცებდა თავზე ხელაღებული სიმამაცით... ახლა კი, როცა ქეთოსაგან გაიგო, რომ ეთერი ვადარჩა და...

„ნეტავი ერთი წამით ვადამაფრინა ციხისძირში, — ინატრა გუნებაში სამსონმა. — შორიდან დამანახვა როგორ არის... საკვირველია, რატომ იწერება ეგნატე, იქნება სამუდამოდ არ დასწულდესო?! რატომ გარკვევით არ მატყობინებს ყველაფერს?.. არა, აქ რაღაც ცუდი ამბავია, ქეთო უთუოდ მიშალავს... ვაი, თუ თავი ტყვილა დავიშედე და ეთერი ახლა“...

წამოიშართა, მეორე პაპიროსი შეახვია. ბოლი რომ ისუნთქა, კვლავ მიწვა და გონების თვალი გაუმახვილდა... არა, ეს გონების თვალი როდი იყო, სიყვარულის თვალთ ხედავდა ეთერს, რაღაც ზენაარი იერით მოსილს, ჰაეროვანს, ისეთ მშვიდსა და უმანკოს, თითქოს მკაცრი დღეების სუსხი არასოდეს არ შეჰხებოდეს...

ბავშვობისას იყო ერთხელ სამსონი ციხისძირში. უჭკნობი სილამაზით გამოიყურებოდნენ ზღვის პირად აღმართული გორაკები, დეკორაციული მცენარეებით მორთული ბაღები, ტოტემ-გადაჭობილი ნაძვები და მავნოლიები.

რაღაც ისეთი მშვენება ჩაწვდა მაშინ სამსონს გულში, თითქოს ამ ქვეყნად არაფერი არა კედებოდეს.

არა, არა სკოდნია სამსონს წინათ, თუ რა არის სიყვარული. მხოლოდ ახლა, როცა ამდენი განსაცდელის და ბრძოლის ცეცხლში გამოიარა, მხოლოდ ახლა იცის, რომ ჭეშმარიტი სიყვარული ისაა, რომელშიაც არავეითარი ანგარება არ არის, როცა მარტოოდენ იმას შენატრი, რომ მას არ შეეხოს დღეთა სიძვე, იყოს ჯანსაღი სულითა და ხორციით.

„ჩემზე დარდითაც ნუ მოიკლავ გულს, ეთერ, — გაესაუბრა ზმანებას სამსონი, — მე რა მიშავს, გაორკვებული ძალით ვიბრძოლებ, არ შეგარცხვენ... აქედანაც გამარჯვებული გამოვალ... ოღონდ ით ასე, ახლა რომ გხედავ... შენი ხმაც რომ გამაგონა... შეიძლება ადამიანს ბედნიერება ხელთ გეპყრას, სანატრელიც არაფერი გქონდეს, მაგრამ ვერ გრძნობდე... მე კი აგერ საიდან სად ვიმშერ და ბედნიერი ვარ, სხვა არაფერი არ მინდა, ოღონდ შენ იყავი კარგად“...

საიდანღაც სროლის ხმა მოესმა. მყისვე გამოერკვა და თავი ასწია, დასავლეთს დააკვირდა. არაფერია, გერმანელებს ჯერ კონტრიერიშის თავი არა აქვთ. უნდოდა ისევ გასაუბრებოდა ეთერს, მაგრამ უცებ თვალწინ დაუდგა ამხანაგი, რომელიც წუხელის დაეცა ბრძოლაში და ახლა დაუმარხავი ასვენია სადღაც ქაობში.

საკვირველია, იქნება მეტად დიდ განსაცდელში გამოვლილ კაცს ემართება ასე: ერთი წუთის წინათ სამსონს გული ტკბილად უძგერდა, ეთერს ესაუბრებოდა. ახლა კი მოკლული მხედრის ხმა გაიგონა თითქოს, ნათლად დაინახა, თუ როგორაა იგი მიტოვებული უპატრონოდ...

„ამ დილას, — გაიფიქრა უნებლიედ, — ის ნაღმი რომ უფრო ახლო

აფეთქებულიყო, შენც ხომ იქვე დარჩებოდი“...

ეს რომ გაიფიქრა, გააყრეოლა, შიშმა შეიპყრო; სხვას რომ ვერაფერს ჩასჰქიდა ხელი, კვლავ ეთერი მოიშველია, მუდართით გასძახა: „ხომ ხედავ, რა დღეში ვარ, არ დამტოვო, ხმა მომაწვდინე!“..

— სამსონ, ბიჭებმა გთხოვეს, საუბრეზე დაგვეწვიეო.

— ა, შენ ხარ, ვალიყო?.. მოდი აგერ, კაცო, ჩამოაჯექი!

ვალიკოს ძალიან შიოდა, საუბრეზე ეჩქარებოდა, მაგრამ უფროსს ხათრი ვერ გაუტუნა, გვერდით მიუჯდა.

— შენ ციხისძირთან ახლოს ცხოვრობ და, ალბათ, ხშირად ყოფილხარ იქ... ვახსოვს, რა ნაზი ბუნებაა, რა სიმშვიდე?... ნეტავი ახლა იქ ვიყოთ... არა, მართლა, ნეტავი თუ ოდესმე მოვესწრებით იქ ჩასვლას?..

ვალიკო სახეზე დააცქერდა სამსონს. ეუცხოვა მისი გამომეტყველება, თანაც არ მოეწონა. სამსონის ქარდაკრული სახე, მთელი მისი აღნაგობა ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, გეგონებოდა, ფოლადისაგან არისო გამოჰქედილი. ახლა კი მეოცნებესავით გამოიყურება, ხმაშიაც რაღაც სიღბო შეტარვია...

— რას მიყურებ? გიკვირს, ალბათ, რა დროს ეგ არისო... ასეა, ჩემო ვალიკო, არ ვაგიგონია: კაცის გული ზღვა არისო? ვინ იცის, რამდენჯერ გაუშლია მკერდი ცისკრის ვარსკვლავისათვის, მერე რამდენჯერ აბობოქრებულა, მაგრამ ის შუქი არ დაუკარგავს, მქუხარე ტალღებში გადაუმალავს...

— რაცხა ნამეტარი კი გუნებაზე კი ხარ ამ დილას, სამსონ, მარა შიმშილით გულს მიწუხს და მოდი, ნულარ ვაგვიანებო.

სამსონმა ვალიკოს განცვიფრებით აპხედა, გამოერკვა, მწარეთ გაელიმა.

ფერმის შენობაში ცეცხლი გაჩაღებინათ, გოგრა მოეხარშათ, ცოტათი-

ნ სიმიინდიც; თეგზი ბლომად ჰქონდათ. კოლია ბარბაქაძემ სადღაც კარგად მოგორა“ პურიც იშოვნა, მანამდე სავსე ლად გაანაწილა.

— მოდი, სამსონ, გენაცვალე სულში, აგერ ჩემთან დაუგეჯი, ხომ იცი, კოლია ისე არ დადგება, რომ შენთვის რამე არ შემოინახოს.

ჰამას რომ შეუდგნენ, მცირე ხნის შემდეგ კოლიას რაღაც მოაგონდა, მუხლზე ხელი დაიკრა:

— დაწყევლოს ღმერთმა, ქე არ დამავიწყდა!.. თქვენს ხელში კაცს რა არ დაემართება... ე, ბიჭო, ნელა ჰამეთ, ახლა მინც ხომ არავინ მოგდევთ?

აღვა, ხალთიდან დიდი მათარა ამოიღო, ნადავლი. წელზე თავისი პატარა ყანწი მოიხსნა.

მეომრებს სახე გაუბრწყინდათ. რამდენიმემ ერთად წამოიძახა:

— ჩვენს კოლიას გაუმარჯოს, ჩვენს კოლიას! მაგი ისე დადგება, რომ არაყი არ გააჩინოს!

— გვაცხოუნე კაცი და ეს არის! — სთქვა ნესტორ ირემაძემ და ულვაშებზე ორი თითი გადაისევა, სწორედ ისე, სოფელში ღვინის სმის დროს რომ იცოდა. — არა, პირდაპირ ქვაში წვესს გამოადენსო, რომ იტყვიან, სწორედ ასეთია ჩვენი კოლია. არ გიკვირთ ახლა, სულ ჩვენთან იყო, სოფელში არ გასულა და არაყი სად იშონა?!

— უსინდისო ვიყო, თუ მაგისგან რამე გამიკვირდეს. — მიაწოდა ხმა დავით ჯანაიამ.

— კაი ახლა, ნუ გამაწითლეთ. — დარცხვენილივით ჩაილაპარაკა კოლიამ. — რამდენი ხანია პირში ზიარება არ ჩაგვიშვია და ახლა ამ პატარა სასმელმა ვაგაკვირვათ?

ყანწი ჩვეულებისამებრ ნელინელ გამოსცალა კოლიამ, წარბები ისე შეჰხარა, როგორც ძალიან მაგარი არყის სმის დროს იცოდა ზოლმე, მერე წაბ-

ლისფერ უღვაშებზე თითები გადაისვალა ყანწი მიფარებულად აავსო.

— ჩვენს დავითს გაუმარჯოს.

— აბა, შე კაცო, შე რატომ, ჯერ სამსონს მიაწოდე!

— კაი ახლა, ნუ პაუტობ, თუ ძმა ხარ! — უთხრა კოლიამ და დავითს ყანწი ხელში ჩაუღო.

დავითს ერთ წამს თვალები გაუმტერდა, ეტყობოდა სათქმელი ბევრი ჰქონდა, ვერ შეარჩია და მოკლედ მოსჭრა:

— ეჰ, გაგიმარჯოთ!

მოსვა თუ არა, წარბები შეიქმუხნა, ყანწი პირიდან მოიშორა, გადასწია, დაჰხედა.

— ფუი, შენ შეგარცხვინა ღმერთმა! ესაა კაცო, არაყი! შეხედეთ, რძეს გვასმევს!

ყველანი გაოცდნენ, დავითს მიაშტერდნენ. ჯერ ერთს წასკდა სიცილი, შემდეგ ყველამ ერთად გაღიზარდნენ.

— არა, ნამდვილი სასაწყულია, ბიჭებო; კოლია ბარბაქაძე და რძე! — გაიკვირვა ნესტორმა, როცა საერთო სიცილი შენელდა.

— ამ ხალხის საქმე მაოცებს, — დინჯად სთქვა კოლიამ: — სარძევე ფერმაში ეიმყოფებით და არაყი მომთხოვენ! სად გავგონილა, ძროხა რომ არაყს იწველიდეს!.. დალიეთ ეგ, ბიძია, დალიეთ, მოგიხდებათ.



შუადღე მოახლოვდა. ცაზე ღრუბლები კვლავ ტყვიისფერად იგრაგნებოდნენ. ვარემოს რალაც სხივამქრალი, კაეშნის მომგვრელი ბურუსი ჰბურავდა. შორი ტრამალები არა სჩანდნენ, ხოლო მახლობლად გაშლილ ლელიანებს ისეთი უსიციოცხო. შეთეთრნარევი ელფერი გადაჰკრავდა,

გეგონებოდათ, ამ არემარეს დაფლეთილი სულარა გადაჰფენიყო.

პოდპოლკოვნიკმა ბერძენულმა ქალაშქროდ დარაზმულ მეთვითმატეებს, მსროლელებს, მეტყვიამფრქვევებს და ტანკსაწინააღმდეგო თოფებიან ქვეგანაყოფებს ჩამოუარა. დივიზიის საბრძოლო ძალებს ამჟამად მხოლოდ ესენი შეადგენდნენ. სრული უგზობის გამო პოლკების არტილერია და ნაღმსატყარაცნები სოფელში რჩებოდნენ.

მეომრებს ჩაცმულობაც შელახული ჰქონდათ, გამხდარი სახეებიც არ უბრწყინავდით ამ ღრუბლიან დღეში, მაგრამ უფროსს ისე მხნედ აგებებდნენ მზერას, როგორც ბრძოლაში წრთობილ ვაჟკაცებს სჩვევიათ.

შოი ნაცნობ სახეებს აკვირდებოდა, ახარებდა მათი მხნე გამომეტყველება, თანაც გულის სიდრმეში ტკივილს გრძნობდა, რადგან ასე სწრაფად მტრის ზურგში გასვლა მეტად კადნიერი ნაბიჯი იყო.

მერე როგორი გზებით?

ქაობიანი, გაუვალი ლაქაშები, და ეს იმ დროს, როცა ყინული დნება და ადამიანის სიმძიმეს ვერ უძლებს.

„ძნელი საქმეა, მაგრამ უნდა შევძლოთ, — ფიქრობდა შოი, — საბრძოლო ვითარება მოითხოვს... ქართველს ბრძოლაში არასოდეს სირცხვილი არ უქამია. ახლა კი, როცა წინ ჩვენი დიდი სტალინი მიგვიძღვის, შეუძლებელიც უნდა შევძლოთ“...

მებრძოლთ კაპიტანი შალვა ყიფშიძე და უფროსი ლეიტენანტი აკაკი კაჭარავა მიუძღვებოდნენ.

ეს ორი მეთაური შესახედავდაც მეტად ლამაზნი იყვნენ. შალვას თავისნი სამოსი ჩვეულებრივად გაესუფთავებინა და კოხტად გამოიყურებოდა.

— აბა, თქვენ იცით! — მამაშვილურად უთხრა შალვასა და აკაკის შოი ბერძენულმა და ხელი მაგრა ჩამოართვა

VIII
თვალეზის სწიპი

— დასწყევლოს ღმერთმა ჩემი გაჩენა, — სასოწარკვეთილებით წამოიძახა მარიკა ნაკაიძემ, როცა მეორე დღეს დილით მედიკურ-სანიტარულ რაზმთან ერთად სარძევე ფერმაში მივიდა და იქ გაიგო, რომ ბატალიონი, რომელშიაც მისი ქმარი ილიკო კობიძე იყო, უკვე შორს იმყოფებოდა, მძიმე ბრძოლაში ებმებოდა.—რა ბედზე დავიბადე, რომ არ ვიცი! ერთი მაინც გადამეწლო იმ კაცისა თვალი! ქეთო | მეგობარს თანაგრძნობით შეაცქერდა, ეუცხოვა, მის თვალეზში რომ ცრემლთან ერთად ქალური გულჩილობა გამოკრთა, ამიტომ მუტის გულისხმიერებით მოეხვია, დაუყვავა:

— კარგი, დაიკო, დაშვიდილი! ჩვენც ზომ იქით მივდივართ...

— რამდენი ხანია მოვსდევ მაგას, გესმის, მოვსდევ და საშველი არ დაადგა!.. ვიცი, ომია და უბედურება, მარა რა იქნა, ერთ დღეშიაში ვართ და ერთხელ მაინც ვერ დაველაპარაკო!

— რას იზამ. ასეთ დღეში ვართ... შენ არ იცი, თორემ ერთი ჩემს გულშიც რომ ჩამოგახედა...

— არა, ცავ, რა მაწუხებს იცი: რაცხა ისეთ ხასიათზე იყო უკანასკნელად რომ ვნახე, გესმის, ისე გამოიყურებოდა, რომ მას შემდეგ სულ მეშინია, ვაი თუ ცოცხალი ვეღარ ვნახო-მეთქი. მე რე კიდევ რაცხა ისე მეჩვენება... რაფერ გითხრა... ისეთი თვალეზით შემომხედავს, გესმის, ცავ, ისე საცოდავად სდუმს... უნდა რაღაცა მითხრას და ვერ ახერხებს... ზანაირად გავუძლო?... გუშინ რომ იმდენი საქმე არ გავჩენოდა, ეგება ქე მომესწრო. ამიზა ვაწყენიე ეჭიძს, დაკრძლებთან სხვა დატოვე, მე ვერ მოვიციდი-მეთქი?

— საწყლები, ჯერ კიდევ წაყვანილი არ იქნებიან! — სთქვა ქეთომ, რომ

მარიკას ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა, მაგრამ იგი იმდენად დამწუხრებული იყო, რომ ქეთოს სიტყვები მის გულს არ შეჰხებია.

— ყველაფერს იღბალი უნდა, ჩემს ალაგას სხვა რომ ყოფილიყო, ეს არ მოუვიდოდა...

ამ დროს მათთან სამხედრო ფერშალი ნატალია გრიგორეენა მივიდა, მეგობრულად იკითხა:

— რაშია საქმე? რაზე თათბირობთ?

— არაფერი, — ყრულ უბასუხა ქეთომ. ვერ შესძლო გაემყვანებინა ნატალია გრიგორეენასათვის თავისი გულისწუხილი.

ნატალია გრიგორეენა ახალგაზრდა ქალი იყო, პირსავსე, ეშხიანი. ღიმილი საოცრად უზნებოდა, კიდევ უფრო აახალგაზრდავებდა; ხანდახან, როცა კარგ გუნებაზე იყო და გულიანად იცინოდა, მაშინ მოხდენილად ღვივოდნენ მისი მოსქო ტუჩები.

ახლა კი, როცა მეგობრის პასუხში გულდამბურულობა იგრძნო, გრძელი წარბები უკმაყოფილოდ შეჰხარა, შუბლი შეუწაოქდა, თითქო არასოდეს არ გაუღიმიანო. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე უცებ შებრუნდა და ცივად სთქვა:

— ეჭიმმა სამკურნალო მასალები მიიტეთო! მალე გზას უნდა გავუდგეთ...

მთელი დღე იარეს. დღეიზიის საბრძოლო რაზმების ნაკვალევს მიჰყვებოდნენ. ეს გზა როდი იყო, ეს ჭობები და ლელიანები იყო. ზოლო აჭა-იქ ღიმიანებში მივარდნილ მეთევზეთა სოფლებს გვერდს უვლიდნენ, რომ მტერს მათი მიახლოვება ვერ გაეგო.

მძიმე ღამე ჩამოწვა. ქობებს მიუახლოვდნენ. ლეიტენანტი ამბის გასაგებად დაწინაურდა, სანიტრები ვაიყო-

ლია; სხვები არხის ნაპირას ჩამოსხდნენ.

— მთავარი გასაქირი აი ეს არის, — ჩაილაპარაკა ნატალია გრიგორევენამ, — ეს დაუსრულებელი ლაშქრობა. როცა კაცი ბრძოლის ცეცხლშია, მაშინ სულ სხვაა, მაშინ მთლიანად ანთებულია და ნაღვლიანი ფიქრისათვის დრო არა რჩება...

ქეთომ ლოყა მიაყრდნო მხარზე ნატალიას, შვებით ამოისუნთქა, თითქო ამ მამაცი ქალის ძალა მასშიაც გადასულიყოს. რამდენი დაჭრილი ჰყავს ნატალიას გამოყვანილი ბრძოლის ველიდან, რა გაუტეხელი გული აქვს. ნეტავი ქეთოსაც მისცა ასეთი ნებისყოფა, რომ არაფერზე არ იდარდოს, საყვარელ ადამიანს მუდამ საფრთხეში არ ხედავდეს...

ლეიტენანტი მალე დაბრუნდა.

დივიზიის სამეთაუროს მახლობლად დაბალ ქოხში ერთი მძიმედ დაჭრილი მებრძოლი მიეყვანათ. როგორც კი ბარგი დააღაგეს, ნატალია გრიგორევენა, მარიკა და ქეთო დაჭრილის მოსაფლელად გაეშურნენ.

ღუმელზე პატარა კრაქი იდგა, მკრთალად ანათებდა. დაჭრილი კუთხეში მიდგმულ ტახტზე იწვა, სახე არ უჩანდა, მაგრამ შესვლისთანავე მოხვედა მარიკას ნაცნობი თვალების შუქი. ცეცხლი შემოენთო, სუნთქვა შეეკრა. უნდა მივიდეს, სახეზე დაჰხედოს, სული მოითქვას, მაგრამ არ ძალუძს, რაღაცამ შეჯაჭვა, ჯერ მწარ-ტებილმა, მერე კი ზარდამცემმა. ძლივს გასაგონი ხმა აღმოჩნდა:

— ილიკო, შენ ხარ?

პასუხის მოლოდინში მარიკას თავში გაუღვია, იქნება მეჩვენებო, მაგრამ ეს თვალები...

უცებ მოწყდა ადგილს, დაჭრილს მიაშურა, ჩაიჩოქა, თავზე ხელი მოხვია.

— ნუ მომკლავ, მითხარი რამე!

— ვკედები, მარიკა...

ამ სიტყვებმა, ამ სასოწარკვეთილებით სავსე ხმამ გამოაჯვრევინა მარიკა. ადგა, ნატალია გრიგორევენასა და ქეთოს მიმართა:

— მიშველეთ, მალე!..

კრილობა ხელახლა შეუხვიეს. წამალი შეუშხაპუნეს.

მცირე ხნის შემდეგ დაჭრილს თითქო გულის ხუთვა შეუნელდა. ეტყობოდა, ყველაფერს ხედებოდა, მხოლოდ ლაპარაკი მეტის-მეტად უჭირდა, ორი-სამი სიტყვის თქმას ერთად ძლივს ახერხებდა.

მარიკას რაღაც უცნაური გამომეტყველებით შეჰყურებდა; ბოლოს სახე წამოუღვივდა და თვალები ცრემლით ავესო.

— კაი ახლა, ნუ მომკლავ..... ვაჟაკი ხარ.

— ხომ გითხარი... ვკედები..

ამ სიტყვებმა მარიკა გააშმაგა, ლოყები დაიკაწრა.

ქეთომ და ნატალია გრიგორევენამ ხელები ძლივს გაუჯავეს.

— დამშვიდდი, მარიკა, არ გრცხვენია? — ეფერებოდა ქეთო. მაგრამ მარიკას მისი სიტყვები არ ესმოდა.

უცებ ილიკოს მზერა დაიჭირა, იმედი მოეცა, „შე თუ სული მედგამება, ილიკოც იცოცხლებს, არ დამტოვებს“, გაივლო გულში და შეგობრებს მიმართა:

— მამატიეთ, გონება დაჯვარგე... ილიკო არ მიღალატებს...

ილიკო კორბიძე ამ მრისხანე ომში საოცრად შეიცვალა, ფიზიკურადაც გაჯანსაღდა. ეს შესამედ დაიჭრა ბრძოლაში, თორემ ისე თავიც არ ატკივებია, ათას ვაი-უბედურებაში ერთხელაც არ გაცივებულა. წინათ კი, მასწავლებლობის დროს, წამლებს ჯიბით ატარებდა. ამ მქუხარე დღეებში ეწროთო. არასოდეს, არც ერთი ბრძანების

შესრულების დროს წარბი არ შეუხ-
რია...

ხოლო გუშინ, ნაღმის ნამსხვრევი
რომ მოხვდა და რამდენიმე ხნის შემ-
დეგ გონს მოეგო, უცებ მიხვდა, რომ
მისი დღეები დათვლილი იყო, ამ არე-
მარიდან ცოცხალი ვერ გააღწევდა.

და წელან, მარია რომ დაინახა, არ
ვაკვირებია, მხოლოდ იგრძნო, რომ
ვერ შესძლებდა ეთქვა ის, რაც გულში
დაუგროვდა.

ეს დღე ხომ მისი უკანასკნელი დღე
იყო. ამ მძიმე დღის განმავლობაში მის
თავში იმდენი აზრი აღიძრა, იმდენი
რამ წარმოესახა, რომ მთელ მის სი-
ცოცხლეს უღრიდა.

აგერ თავს ადგას ახლა ის, ვისაც
გულით ეძახდა, მაგრამ როგორ-ღა
უნდა მოუყვას, როცა ერთად ორი-
სამი სიტყვის თქმას ძლივს ახერხებს.
დროც ცოტა დარჩენია, თითქო ყო-
ველი წუთი გამოთვლილი აქვს და სა-
შინელი ტკივილით განიცდის ქამის
უღმობელ დენას. ცხადათ გრძნობს,
რომ იწვის, მიდის, შორდება ხილულ
ქვეყნიერებას, შორდება, მაგრამ ერთი
ელვარე სხივი რჩება ნუგეშად; ეს სხი-
ვი ამ წამს მარიკას თვალბში ანთია.

— მარია, ყური დამიგდე... —
ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოიწყო ილი-
კომ. — დღეს სულ გელოდი... არ დამ-
ტოვებდი...

— კაი, გენაცვალე, ილიკო, დამშვი-
დდი, შენ ახლა ლაპარაკი გაწყენს. გა-
თენდება აგერ და ჰოსპიტალში წაგიყ-
ვან, ოპერაციას გაგიკეთებენ, მორჩე-
ბი. ხომ იცი, რომ შენს მეტი არავინ
მყავს.

ილიკომ შუბლი შეიკრა, სახეზე გა-
მოუთქმელი ტანჯვა გამოეხატა, მარც-
ხენა ხელი ძლივს ასწია, მარიკას ლო-
ყაზე მოუსვა.

— მოიცა... ყური დამიგდე... ბე-
რი... ეპ, რა ბევრი მაქვს სათქმელი...
მომეცი... ხელი... ჰო, ასე... იცი, მარი...

სულელი ვიყავი... ცხოვრების მეშინო-
და... ვერ დაგაფასე... მოიცა...

მარიკას ცახცახი დაწყვიტა, მხო-
ლოდ მაშინ შეთბა, როცა ცრემლები
გადმოცვივდა. უხმოდ ტიროდა, ეთ-
ხოვებოდა ომის წლებში შეთვისებულ
ოცნებას, უშფოთველ ცხოვრებას თა-
ვის სოფელში, ამ წამს სეველიანი ნის-
ლით დაფარულს. ეთხოვებოდა ისე,
როგორც შორს მიმავალი მგზავრი,
რომელსაც თან მიაქვს მცირე იმედი,
რომ ოდესმე კვლავ დანრუნდება და
იხილავს მშობლიურ კუთხეს. სიტყვე-
ბი აღარ ესმოდა ილიკოსი, მხოლოდ
მისი ხმა, როგორც კაეშინიანი ჰანგის
გაბმული ქლერა, მიუძღვებოდა იმ შო-
რეულ ქვეყნისაკენ.

ამ განშორების გამო ტიროდა, თქვი-
სი თავი ეცოდებოდა, ობლად დარჩე-
ნილი სადღაც მიმავალ გზაზე... სადღაც
ახლა გურიის ლამაზი კუთხე, დიდი
ოდა, საუცხოოდ გაშენებული ეზო და
ცის დასალიერამდე გაშლილი ლაქ-
ვარდი, საიდანაც მთელი შენი ბავშვო-
ბა თვალში შემოგაყურებს.

მაგრამ როცა ილიკოს ენა ჩაუვარ-
და, უცებ თითქოს საზარლად შედე-
დებული წყვილიდი ჩამოწვა; მარიკას
ცრემლები შეაშრა, სული შეეხუთა;
ილიკოს მწერა მოსწყვიტა და ირგვლივ
ჩაზროდ მიმოიხედა, საშინელი ხმით
დაიძახა:

— მიშველეთ! არავინ ხართ?..

ქეთომ და ნატალიამ ხელი მოჰხვიეს,
აიყვანეს, კუთხეში დასვეს.

ერთ წამს ქოხში ისეთი სიჩუმე გა-
მეფდა, თითქოს დროის მდინარეა შე-
ჩერდაო. ამ ბნელ დუმბულში მარიკას
უთუოდ გული გაუსკდებოდა, რომ
ისევ იმ საყვარელი თვალბების სხივს
არ ეშველნა. მაცოცხლებელი ნუგეში-
ვით აენთო იგი და მარიკას იღუმლად
უხმო.

— გამიშვით! — უცნაურად მშვიდი

ხმით უთხრა მეგობრებს და ნელი ნაბიჯით გაემართა; დაიხოჭა, ილიკოს მკერდზე თავი დააყრდნო და მწარედ, მწარედ აქვითინდა.

IX

კალაბატკა

სქელ ღრუბლებში დილის სინათლემ ძლივს გამოატანა. აზოვის მხრიდან სუსხიანი ქარი უბერავდა. თემცა ვრცელ ლელიანებში წყალს ჯერ კიდევ ყინულის ფენა ჰქონდა გადაკრული, მაგრამ ირგვლივ თითქოს ყველაფერში სინესტე ჟონავდა.

შო ბეროშვილი სამეთაუროდან გამოვიდა და სივრცეს გაჰხედა. კილომეტრზე ცოტა მოშორებით მოსჩანდა მეთევზეთა სოფელი კალაბატკა, რომელიც წინა დღეს, 20 თებერვალს, გერმანელებმა უბრძოლველად დასტოვეს. დივიზიის საბრძოლო ნაწილებს, რომლებიც კალაბატკას უახლოვდებოდნენ, რამდენჯერმე მოუწყვეს თავდასხმა ჰაერიდან, მაგრამ ვერას გახდნენ. ბოლოს, როცა შალვა უფშიძისა და აკაკი კაჭარავას მოწინავე რაზმები სოფელს მიადგნენ, გერმანელებმა უკანდახევა არჩიეს.

შო ამ დღით თითქმის გამოძინებული იყო, მაგრამ ფერმკრთალ სახეზე რაღაც მოღურჯო ელფერი გადაჰფენოდა; მკაცრად გამოიყურებოდა, ემჩნეოდა, მეტად ცუდ გუნებაზე იყო. ამის საბაბი კი თითქოს არა ჰქონდა. მეომრებმა, სარძევე ფერმიდან რომ დაიძრნენ, ორი დღე-ღამის განმავლობაში არაჩვეულებრივი გამძლეობა გამოიჩინეს, ძალ-ღონის უკიდურესად დაჰკიმვამ და წარმოუდგენელი სიძნელის გადალახვამ მათში კიდევ უფრო გააძლიერა მაღალი სამხედრო სულიერი განწყობილება.

„... კი, მაგრამ, — ეთათბირებოდა შო თავის თავს: — იქნება სჯობდა

როგორმე დამერწმუნებინა არმიის სარდლობა და ასე ღრმად... კი, მკითხვე-კრილიყავი მტრის ზურგში... რა იარაღით? ტყვიამფრქვევები და ტანკაწინააღმდეგო თოფები ძლივს გამოვიტანეთ... ტყვია-წამალიც ძალზე ცოტა გვაქვს... მებრძოლთა კვებას კი ნულარ იტყვი... სავსებით გამოიფიტებიან“...

შუბლი შეიკრა.

— აბა დააკვირდი, — უთხრა თავის თავს: — კალაბატკას მოწინააღმდეგის ოპერატიულ განზრახვებში მეტად დიდი როლი აქვს უთუოდ. ეს პუნქტი გერმანელების „ცისფერ ხაზს“ ემუქრება. ამიტომ ისინი ყოველივე საშუალებით ეცდებიან, რომ ჩვენ აქედან გაგვდენონ... მოგვაყრიან ტანკებს, კავალერიას... ვაი თუ...

თავი გაიქნია, მყისვე შოიშორა სათაქილო ფიქრი.

• •

მეთევზის ქოხში, კართან, სინათლეში, მარტოდ იჯდა დავით ჯანაია და გარღვეულ ფეხსაცმელს ჰკერავდა. კოლია ბარბაქაძე, ვალიკო წულაძე, ნესტორი და სხვები სამსონთან იყვნენ; წინა დღით დაკავებულ კალაბატკის მისაღვამს ამავრებდნენ.

დავითს თავზე ქული გადაეწია და გამრავლებული ჭალარა უჩანდა; მისი გამხდარი, ეანგმოდებული სახის გამომეტყველება, ტალახში ამოსვრილი ქურქი, მიწისფერი ფეხსახვევი ისეთი სანახავი იყო, რომ მასში წინანდელი დავითის ცნობა ძნელი იყო; ვერავინ იფიქრებდა, თუ ამ შუახნის კაცს ოდესმე კოხტად გამოწყობა უყვარდა, ყოველი ახალი წიგნი უდიდესს სიამეს ჰკვირდა, აყვებოდა ოცნებას და მომავალს ვარდისფერი შუქით ჰქარავდა.

მახლობლად მესანგრეები იდგნენ და ჭოხის კართან აკაკი კაჭარავამ გაიარა;

დავითი რომ დაინახა, შეჩერდა, გაეღიმა; წინათ აბა როგორ წარმოიდგენდა, თუ თავის მეგობარს ასეთ მდგომარეობაში ნახავდა!

— როგორა ხარ, დავით? — გაეხმაურა მეგრულად.

დავითმა თავი მძიმედ ასწია, აკაკის შეაქებრდა, მოეწონა მისი გონიერი სახის მხნე იერი, ლამაზი თვალების ბრწყინვალეობა, თვითონაც გაეღიმა და მობოდიშე ხმით უთხრა მეგრულად:

— რას ვიზამ, ძმაო!.. მეშინია ამ გაუთავებელ ვაიუბედურებაში სიბერემ არ მომისწროს...

— ქალარამ არ მოგატყუოს, შენ თეთრი ისედაც აღრე გაგერიბა.

— არა, აკაკი, ქალარა რა შუაშია, გული ისევ საგულეს მაქვს. მხოლოდ... უსინდისო ვიყო, თუ ოდესმე აზრად მომსვლოდეს ასეთი რამ. სად ჩამოვარდით! რა დღეში ვართ!

— რას იზამ, ომია... გახსოვს, დავით, რემარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ რომ წავეკითხეთ და ვლაობდით?

— ჰო... ახლა მაინც ზომ ხედავ, რომ მართალი ვიყავი? იმ ოჯახაშენებულს ისე წარმოუდგენია, თითქოს აღამიანში, თუნდაც მეომარ აღამიანში ფიზიოლოგიური შიშის, ჰემა-სმისა და ფეხისაღვილების ძებნის მეტი არაფერი იყოს!.. მაგ რომ იწამოს კაცმა, ერთი მითხარი, ჩემო აკაკი, სიცოცხლეს რა ფასი ექნება?..

ფეხსაცმელს განზე გადასდო, აკაკის შეაქებრდა.

— შე კაცო, მაგას რა ლაპარაკი უნდა. — ეს სიტყვები მეგრულად სთქვა აკაკიმ, ხოლო შემდეგ ქართულად განაგრძო: — ისე კი თვალი არ უნდა დავხუჭოთ, ბევრი ატავისტური გადმონაშთია ჯერ კიდევ ჩვენში. აღამიანის სულიერი გარდაქმნა ისე სწრაფად როდი ხდება...

— ვიცი, ვიცი, — წამოიძახა დავით-

მა. — შე ეგ კი არ მქონდა მხედველობაში, არა... ავიღოთ აკაკი შენთან, ჩვენი ბიჭები... ომში რომ კაცი წაება, იბრძოლებს აბა რას იზამს. ყველაჯურის ხალხი იბრძვის, პირველყოფილი აღამიანიც იბრძოდა, მაგრამ ვისაქვს იმდენი სულიერი სიმდიდრე, რაც ჩვენში დაგროვდა.

— იცი, დავით, — დაიწყო მცირედუმილის შემდეგ აკაკიმ, — როგორც სჩანს, ზოგი ჩვენგანი აქ ჩარჩება... ორი დღეა ამეკვიატა აზრი... მინდა მოვიცილო, მაგრამ ეს საზიზღარი ლაქაშები გველენივით გარს მეხვევიან და თავს ვერ ვაღწევ... არ იფიქრო, ნერვებით. კლდესავით ვარ. დრო თუ ვიშოვე, მშვენიერად მძინავს. მაინც... ჰო-და, დავით, თუ ვინცობაა, შინ მიხვიდე და მე აღარ ვიყო, უთხარი ჩვენებს...

— გამარჯობათ, ბიჭებო! რას ქუქუნობთ ასე გულმოდგინედ?

ეს უფროსი ლეიტენანტი დუმბაძე იყო, ბატალიონის მეთაურის მოადგილე. ჩასკვნილი, ღონიერი ვაჟკაცი.

აკაკიმ სახე მიიბრუნა, თვალებში უნებლიედ ჩამდგარი ნალველი მყისვე გადამალა, ადგა, ამხანავს ხელი გაუწოდა.

• — კაცო, ეგება ერთი კაი თუთუნი გაქვს. ამ მყრალმა ნეშომ პირი გამოწყვა. — მიმართა დუმბაძემ აკაკის.

— შენი საკადრისი არაა, მაგრამ... თამბაქო გაახვიეს. მოუკიდეს.

— შენი ოჯახი ააშენა ღმერთმა! — კმაყოფილებით სთქვა დუმბაძემ, როცა თამბაქოს კვამლი რამდენჯერმე ღრმად ისუნთქა. — ახლა რომ ვინმემ გამქრას, აქაურობა თევზის სუნით ამყრალდება, იმდენი ნედლი თევზი ვჭამე ამ კვირაში.

— შენ რა გიშავს, ტანვარჯიშის ოსტატი ხარ, შენს კუნთებში აქაური შმორი ვერ შეატანს.

— მართლა, კაი მომაგონე! ვახსოვს, ფიზიკულტურას, რომ ვასწავლიდი?.. არა უშავს, კიდეც მოვესწრებით! — სთქვა ეს და სწრაფად გაბრუნდა. აკაკიმ თვალი ვააყოლა მისი ჩასკვნილი აღნაგობის მოხდენილ მიხრა-მოხრას.



სალამო მოახლოვდა. დივიზიის ქვეგანყოფილები კალაბატკაში ჯერ კიდევ არ იყვნენ მტკიცედ გამაგრებულნი. სწორედ ამ დროს გადმოვიდნენ გერმანელები კონტრიერში.

სისხლიანი ბრძოლა სალამოს 7 საათიდან ღამის 4 საათამდე გაგრძელდა. გერმანელებმა ქვეითი ჯართან ერთად ცხენოსანთა ესკადრონი და 9 ჯავშნიანი მანქანა გამოიყვანეს.

მტერს იერიში სოფელზე სხვადასხვა მხრიდან მოჰქონდა, მაგრამ პირველ ხანებში ყველაზე მძიმე ცეცხლში ის ბატალიონი მოხდა, რომელსაც შალვა ყიფშიძე ხელმძღვანელობდა.

შალვა ამ ღამეს სწორედ იქ გაჩნდებოდა, სადაც მეტი ვაჭირვება იყო, ქვეგანყოფილებს სულს უდგამდა, გამარჯვების იმედს უწერავდა.

აგერ უცებ გულმა უაზრა (სმენითაც გაითვალისწინა), ტყვიამფრქვეველებს უჭირთო გაცურდა. მტერი ახლა აქედან აპირებდა შემოვლას. დროზე მიუსწრო, უპატრონოდ დარჩენილ ტყვიამფრქვევს მიუწვა და გერმანელი შეავტომატენი უკუაქცია.

კალაბატკის აღმოსავლეთ ნაწილში გერმანელებმა რამდენიმე სახლი დაიკავეს და შიგ გამაგრდნენ. აქედან მათი განდევნა სამსონ ლომთაძის რაზმს ზედა წილად.

ამ ღამეს სამსონმა ბევრჯერ ჩაახვიდა თვალეშში სიკვდილს. უცნაური სიმამაცით იყო ანთებული, შიშის ნაცვლად რაღაც დიდი შვების მომგვრელ სიამეს გრძნობდა, როცა ამჩნევდა,

რომ თავისი მაგალითით ყველას აღფრთოვანებდა, ძალას მატებდა.

მხოლოდ ერთხელ შეეკრთა, უმაღლესე გამოერკვა, ავტომატის ტყვია მარჯვენა ყურს თითქმის შეეხო, წამსვე თითქოს ბაღე ისროლესო, ისე აშხაპუნდნენ ირგვლივ ტყვიები, ბეწვზე მოასწრო; მიწას ვაეკრა.

სამსონმა იცოდა, რომ იმ სახლს, საიდანაც ახლა გერმანელები ესროდნენ, მეორე მხრიდან კოლია ბარბაქაძე, დავითი და ვალიკო უვლიდნენ. საცაა უნდა ჩააქუმონ... რატომ იგვიანებენ?..

ანაზღად სწორედ ის გაიგონა, რასაც მოელოდა: კოლიამ, დავითმა და ვალიკომ გერმანელებს ცეცხლი შეუთეს. სამსონი წინ გაბოხდა, დრო შეურჩია, წამოიმართა...

ბევრი აღარ დაყოვნებიათ, სახლი უკვე აღებული იყო.

— სამსონ, ვალიკო დაგვეჭრა. წადი-მეთქი, ვეუბნები, არ მიჯერის.

— მძიმედაა? სად არის?

— აგერ ვარ, სამსონ!— მოესმა სიბნელიდან.— ერთცახე გამკაწრა ბარბაქაძე. ინდივიდუალური (პაკეტით შევიხვიე. სიარული არ მიჭირს. დამიჩემა— წადიო. სად უნდა წავიდე ამ ღამეში? მელსანბატი არ გეახლავს და არაფერი.

— აქ ახლოს არის დაკრძობების მისაღები პუნქტი, ჩვენი ქალები იქ არიან.

— არ მინდა, არა! რას გადაშეკიდენ, რომ არ ვიცი! მე ხომ ზელს არ გიშლით! — წამოიძახა ვალიკომ და განზე გაიწია.

ამ დროს ჯავშანოების ხმა მოესმათ. ყველანი ჩაწვენენ. ზელყუმბარები მოამზადეს.

დავითის გვერდით, სახლის კუთხეში იწვა ვალიკო; გრანატი ბოხჩიდან სწრაფად ამოიღო, მოიმარჯვა. კარგად რომ შეზარხოზდებოდა ხოლმე და სიმღერას წამოიწყებდა, სწორედ ისეთ ხა-

ძაითზე იყო ახლა, ჯაგშნიან მტერს ვუნებაში ემუქრებოდა:

— „მოდით, თუ ბიჭი ხართ! რას მობობლავთ? მოიწით, პო, მოიწით! მე თქვენ გიტირებთ დედას!.. ნამეტარი კიი ხასიათისაა აი დავითი... სამსონიც, კოლიაც... არსად არ წავალ... სულ არ მტყვი, ისე ვარ რალაცნაირად ტანში შემთბარი...“

ესენი რომ ამ ყოფაში იყვნენ, სხვა უბნებში ბევრგან სასტიკი ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. მრავალი დაეცა. დაჭრილებისათვის არავის ეცალა შალვა ყიფშიძის ბატალიონსა და აკაკი კაჭარავას მესანგრეებს ბოლოს ცხენოსნებთან შეხვდათ ბრძოლა. ზოგს უკანდახვევისას ლელიანებში გზა აებნა...

ერთ სახლს, რომელშიაც ბატალიონის სამეთაურო იყო, გერმანელები უშბოდ მიეპარნენ. სახლში მხოლოდ უფროსი ლეიტენანტი დუმბაძე იყო და შეკავშირე მიხაილენკო.

გერმანელების ოფიცერმა გადაწყვიტა, სახლში მყოფნი ტყვედ წაიყვანა. კართან წამოიშარათა, რევოლვერი გაშარათა და მრისხანე ხმით დაიძახა:

— არ გაინძრეთ! დაგვენბდით!

სადგომში სიბნელე იყო, მხოლოდ კუთხეში, ტელეფონთან ბუტეტავდა პატარა ფანარი. ოფიცერი ბუნდოვანად ხედავდა დუმბაძესა და მიხაილენკოს.

დუმბაძე კარის გაღებისთანავე წამოხტა და უმაღლე გაშეშდა, ტანში ისეთმა ძლიერმა ალმა დაუარა, თითქოს სახეებით დაიფერფლაო, მაგრამ უეცრად იგივე ალი შემოენთო, გონება გაუმახვილა. „მორჩა. ყველაფერი დამთავრდა... ტყვეობა“.. — გაუელვა თავში და გერმანელის ანთებული თვალების მრისხანება დაიჭირა. მტრის ამ საზიზღარმა შედიდურობამ საკუთარი სიამაყე მოჰგვარა, დაძაბულ სახეზე ერთი ნაკეთიცი არ შერხევიო. „ჰმ... საქვეყნოდ თავი უნდა მომჭრას... იმ დღეს ვერ მოესწრებით“...

მიხაილენკო ტელეფონთან იჯდა, არ ამდგარა, გერმანელი ოფიცერიდან მხერა დუმბაძეზე გადაიტანა. მაშინვე იდუმალმა ხმამ უკარნახა, რომ დუმბაძე საცაა ადგილიდან მოწყვდებოდა და თვითონაც მზად უნდა ყოფილიყო.

მართლაც დუმბაძე უცებ წარმოუდგენელი სისწრაფით გადახტა, ოფიცერს რევოლვერზე ხელი აუკრა, ტყვიამ მხოლოდ თმა შეურთუჯა; გერმანელი ტანადი ვაჟაკი იყო, მაგრამ ტანვარჯიშის ოსტატმა ბოლოს ძირს დასცა... სადგომში რამდენიმე გერმანელი შეიჭრა, ამათ მიხაილენკო ეკვეთა, ორი მომხდური გაგშირა; აფეთონაც დაბარბაცდა, სასიკვდილოდ დაჭრილი.

დუმბაძემ ძალა მოიკრიბა, კედელს მიეყრდნო. უეცრად თითქოს ტვინში გასწეა რალაცამ, მაშინ უცებ გაიანგარიშა, რომ რევოლვერში ოთხი ვაზნა ჰქონდა ღარჩენილი. ალბათ, ფანარი ჩაჰქრა; სადგომში ვერაფერს ხედავს, მხოლოდ ალლოთი გრძნობს, რომ კარში გერმანელები შემოდიან... ერთი ვაზნა-ლა დარჩა; ზიდრე თავის შეკავებას მოისაზრებდა, ისიც დახარჯა. ახლა ისევ თავისი მკლავების ღონემ უნდა უშველოს, მაგრამ მტერს ვერ ხედავს, რომ მოხერხებულად ჩაავლოს ხელი; ძახილი კი ესმის, ისიც თითქოს ძალიან შორიდან:

— რუსო, დაგვენბდი!

საოცარია: ირგვლივ თანდათან ბნელდება, ხოლო ამ უკუნეთის მიღმა ნათლად მოჩანს ფოთი და გურიის მთები, შინაურებიც ძალიან ახლოს არიან, მხოლოდ ხმის მიწვდენაა ძნელი... სული ისე როგორ უნდა დალიოს, რომ მათ ვერ გააგონოს განწირული გულის უკანასკნელი ძახილი?! ეს ფიქრი ცეცხლივით შემოენთო, საშინელი გმინვა აღმოხდა, ვეფხვივით გადახტა და გერმანელი ჯარისკაცი დაითრია, წიხლი ჩაართყა; ხელში სკამი მოხვდა, შმაგად დატრიალდა...

ბოლოს, ორი ტყვია რომ ზედიზედ მოხვდა, უცებ შედგა, თითქოს რაღაც უნდა გაიზაროსო; მიხვდა, რომ დაეცემოდა, ვერასოდეს ვეღარ ადგებოდა, ამიტომ უნდა მოესწრო ის, რაცაც გული სთხოვდა. შესაძლოა, ეს წამი იმდენად მძაფრი იყო, რომ მთელ მის სიცოცხლეს აიწონიდა. ჯერ აქ უნდა მოითაოს საქმე, თავის თანამებრძოლ მიხაილენკოს უთხრას რაიმე, ისეთი სიტყვა უთხრას, რომელშიაც უნაგარო სიყვარული იქნება, მშური სიყვარული, მაგრამ მისი სუნთქვაც აღარ ისმის...

„მარტო ვარ... თქვენ კი, ჩემო სახატრელნო, ძალიან შორსა ხართ“...

გაიფიქრა თუ არა ეს, მუხლები მოეკვეთა, მიწაზე სული აღარ დაჰყოლია.

დილას ამ სადგომში პირველად აკაკი კაჭარავამ შეიხედა. ორი საბჭოთა მეომრის გვერდით რვა მოკლული გერმანელის გვამი ეყარა. ოდნავ დაქანებულ კუთხეში სისხლის გუბე იდგა.

•••

ბრძოლა-გადახდილი კალაბატკა გულშელონებულ დაჭრილივით გამოიყურებოდა; სახლები ტყვიებისაგან დაცხრილული იყო, პატარა ხეებსაც ტოტები დახლეჩილი ჰქონდათ. აქა-იქ მოკლულთა გვამები ეყარა.

ველავ პირქუში დღე იყო, თებერვლის სუსხიანი დღე.

შით ბერთშეილი პოზიციებს ათვალიერებდა. მას ოფიცრები მიჰყებოდნენ: ავთანდილ კვარაცხელია, შალვა ყიფშიძე, აკაკი კაჭარავა, კოტე ტაბიძე და არჩილ მაჩხაჩელი.

ოფიცრები მებრძოლთა ჯგუფს რომ მიუახლოვდებოდნენ, თავს ისე იჭერდნენ, თითქოს ღამე მძიმე ბრძოლაში არ გაეტარებინათ. უფელამ იცოდა: თითქმის გამოუვალ ჩიხში ყვნენ მომწყვდეული, მაგრამ სწორედ ეს მდგომარეობა უკარნახებდა მათ, რომ მხნე და შეუპოვარი გამომეტყველება მიელოთ.

გამოცდილმა მებრძოლმა კარგად იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა უქვს მძაფრი განსაცდელის წამს — შერასყობს მიერ ღირსეულად თავის დაქერას. ათას ქარცეცხლში გამოვლილი მეომარიც კი ხანდახან ბავშვივით გულუბრყვილოა; ოფიცრის იმედიანი გამომეტყველება, ღიმილი, მშური სიტყვა უკიდურესი სასოწარკვეთილების დროსაც კი აღაფრთოვანებს.

აკაკი რომ დაკვირვებოდა, ყველაზე მეტად ავთანდილ კვარაცხელიას შეამჩნევდა, რომ დღეს ძალიან უჭირდა გულში დაგუბებული ნალველის დამალვა.

შალვა ყიფშიძემ გადაჰკრა რამდენჯერმე თვალი, მკლავში ზელი გამოსდო, ისე შეეკითხა, როგორც გულითად მეგობრებს სჩვევიათ:

— ხომ არაფერი გიჭირს, ბიჭო?

— ნულარ მკითხავ, თუ ძმა ხარ. ღუმბაძის სიკვდილს ისე ვერ მოვინებლებ, თუ ერთი მაგრად არ ვიძიე შური...

— განა მარტო ღუმბაძის?

— მართალი ხარ... საოცარია, შალვა, კაცის გული! რამდენი ძმა და მეგობარი დაგველუპა... მაგრამ... ამ დილას, ღუმბაძე რომ უნახე სისხლში... გაგიკვირდება: ჩემი თავიც ისეთ მდგომარეობაში დავინახე... რა ძნელი ყოფილა, კაცო, საკუთარი სიკვდილის დანახვა!..

— ნუ ბავშვობ! ბატალიონის კომისარი ხარ!

— სწორედ ეგაა, რომ კომისარი ვად და ღუმბაძე ჩემი მარჯვენა ხელი იყო. ისე რა მომასვენებს, თუ მტერს სამაგიერო არ მივეზღე.

•••

სანიტრებმა ორი საფლავი გათხარეს, ერთი მომცრო იყო, მეორე კი — ღრმა და ფართო. პირველში ღუმბაძესთან ერთად მეთაურები ჩაასვენეს,

ხოლო მეორეში — ხუთმეტამდე არ-
მეილი...

დაჭრილებს ერთ ფართო შენობაში
მოუყარეს თავი; სადგომი სამად იყო
გადატიხრული, პატარა ფანჯრები
ქონდა და შიგ მეტად მკრთალი სი-
ნათლე შედიოდა.

ზოგი ერთიმეორეზე მჭიდროდ მიდ-
გმულ საკაცეზე იწვა, ზოგი პირდაპირ
იატაკზე, თავინ ქურჭზე.

აქ ოცდახუთამდე დაჭრილი იყო,
ზოგი სთვლემდა, ზოგი შფოთავდა,
ზოგი გარინდული იყო და ერთ
წერტილს მისჩერებოდა.

შეხვევას რომ მორჩნენ, ნატალია
გრიგორეენა და ქეთო გარეთ გავიდ-
ნენ, მარიკა დაჭრილებთან დარჩა.

უსიტყვოდ იცვლიდა ადგილს მარი-
კა, ხან ერთ დაჭრილს მიჰხედავდა, ხან
მეორეს, სასთუმალს გაუსწორებდა,
შუბლზე ხელს შეახებდა; მთელი მი-
სი აღნაგობა, მისი დიდრონი თვალე-
ბი მარტოოდენ მწუხარებას გამოხა-
ტადენენ, მაგრამ ეს არ იყო უსასოო
მწუხარება, არც ქედის მოხრა სასტი-
კი ბედის წინაშე.

წინა დღეს, ქმარი რომ დამარხა,
სამარზე დაემხო და დიდხანს იტირა
ხმამალა, იმ კილოზე იტირა, როგო-
რიც ბავშვობისას გაუგონია გურიამი
მწუხარე დედებისაგან.

მერე მეგობრებმა მოაშორეს სამა-
რეს და მარიკა თითქოს გაქვედა,
თითქოს არც შიშვილს, არც დადლი-
ლობას, არც უძილობას, არაფერს არა
გრძნობდა. მხოლოდ წუხელის, ბრძო-
ლის ღროს, უცებ მოწყდა და მკვდო-
რით ჩაეძინა. ამ დილით გააღვიძეს
დაჭრილების მოსაველელად.

და ახლა ესოდენ მღელვარე საზ-
რუნავი რომ გაუჩნდა, მისი მწუხარება
ახალი შინაბრსით აღივსო, თანაც ძალ-
ლონის მომნიჭებელი გრძნობა აღეძრა.

ერთმა დაჭრილმა გურულმა იცნო

მარიკა, ეუცხოვა მისი მგლოვარობა,
თავისთან მიიხმო.

— რავე ხარ, ცაე?.. მგლოვანს სამხავი
რა იცი?

მარიკას სახე საცოდავად შეეკუმშა,
ტუჩები შეერხა; ძალა მოიკრიბა და
მოკახცახე ხმით უთხრა:

— გუშინ დავმარხე...

დაჭრილმა მარიკას მწუხარე გამო-
მეტყველებას ვერ გაუძლო, თავისი
თავიც უნუგეშო მდგომარეობაში დაი-
ნახა და პირი იბრუნა, უხზოდ ატირდა.

მარიკამ თვალბუნი მომდგარი ცრემ-
ლები მყისვე შეიშრო, დაიხარა, დაჭ-
რილს თავთან მიუჯდა, ხელი ალერ-
სით მოუსვა და უთხრა:

— კაი ძმაო, ახლა მღელვარება
გაწყენს... ნუ გეშინია, ჩვენები მო-
გვისწრებენ და გაგიყვანთ...

საოცრად მძიმეა ნაომარი კაცის ძი-
ლი. უცებ თითქოს დამყრუებელი
გრიგალის მრისხანე გუგუნე შეწყდე-
ბა და დალილი, ნატანჯი მებრძო-
ლი სიცალიერის მშვიდ საფანეში შეს-
ცურდება. ხანდახან სიზმარში აქაც არ
მოასვენებს ომის ხმა, წარმოუდგენელ
გუნსაცდელში ჩააგდებს, მაგრამ უფ-
რო ხშირად სავესებით შორდება სინამ-
დვილეს, ნანატრ ქვეყანაში გადადის,
სული თითქოს იწმინდება ყოველგო-
რი ქუჭყისაგან და საყვარელ ადო-
მიანებს ეალერსება, ხარობს მათი ღი-
მილით.

სამსონს ჩანთა ბალიშად გამოუყე-
ნებია, ბეწვის ქუდს ქვეშ მარცხენა
ხელი ამოუდვია, ცხვრის ქურქში გა-
ხვეულა, დავით ჯანაიასათვის ზურგი
მიუყრდნია და კაცი ვერ მიხვდება,
სძინავს, თუ ისეა თვალმთხუჭული და
გარინდული, რადგან მისი ფშვინეაც
არ ისმის.

კოლია ნესტორს მიხუტებია, ხოლო ვალიკო წულაძე კოლიასა და დავითს შუა მოკრუნხულა, ტყვიისაგან გაქაწრული ფეხი კი გაწვართული დარჩენია.

უკვე მეხუთე საათია სძინავთ, მაგრამ ჯერ არცერთი არ შერხეულა, მხოლოდ დავითს ემჩნევა სახეზე, რომ რაღაცა აშფოთებებს, უნდა მოიცილოს, მაგრამ ძალა არ ყოფნის.

— აღეჭით! აღეჭით! ბრძოლა იწყება: — ჩაესმა ბოლოს დავითს დათვალი მძიმედ გაახილა, მიიხედ-მოიხედა, მყისვე წამოხტა.

— ბიჭებო, აღეჭით! — დაიძახა დავითმა და კოლიას ხელი შეახო.

— ერთს ზერიანად არ მოგასვენებენ მაგ წუნკლები. — აბუზღუნდა ნესტორი და თვალები ამოიყლიძა. მერე ტუჩები შეაცამეტრა, ნერწყვი გადაყლაპა და გმინვასავით აღმოხდა.

— ე, ბიჭო, მაშამეთ რამე!

— ჩემდა თავათ, ერთ ორ დღეს კიდევ გავძლებ მშიერი, ოღონდა ერთი აქედან გამოიყვანა! — ინატრა ვალიკო წულაძემ და მტკიან ფეხზე ხელი მოისვა.

— გეხეწენ და არ ქენი, ახლა ბრძანდებოდე აქ! — მოსაყვედურე ხმით უთხრა ნესტორმა.

— რაი, დაპრილებში და მომაკვდავებში წავიდე და დაეწეე ახლა მე?! მეტი არ ადგა პიტლურის გვერდები! ნახავთ აგერ, მაგენს რომ ზღვაში გადაეყრით, მეც თქვენთან ვიქნები... ისე კი, რაეა გავამხილო, მარა ეს ოხერი ფეხი ცოტა ჭე გასივებულა.

დავითი დაინარა, ფეხზე დახედა.

— რომ გაგამიხეზდეს, მაშინ რას შერებე?

— კაი ერთი, თუ ძმა ხარ! — უპასუხა ვალიკომ და წამოდგა, წარბები უნებლიედ შეიკუმხნა, რადგან ფეხი დადგმის დროს ძალიან ეტკინა. მაინც არ შეიკმჩნია, გულმა კი იღუმალად უთხრა: „სჯობდა, რომ წასულიყავი.

იქნება იქ ცოტა საკმელიც გეშოვნა“... გერმანელები კალამატკის¹⁵ დაქარგვას ვერ შეურიგდნენ. 22 თებერვალს, ნაშუადღევს, კვლავ განაახლეს შემოტევა. წინ ათი ტანკი მოუძღოდათ.

შეო ბეროშვილი ამ იერიშს მომზადებული შეხვდა, მტერს ხანჯლისაბური ცეცხლი შეაგება.

სამსონმა თავდაცვის ზღუდე გულდასმით შეისწავლა. ყარგი პოზიცია იყო. ძალები ოსტატურად გაანაწილა. შემდეგ მოსაზღვრე რაზმისაკენ გაემართა. აქ კაპიტანი აეთანდილ კვარაცხელია შეხვდა.

— სამსონ, ხომ გაიგე: დუშმაძე მოგვიკლეს.

სამსონმა უსიტყვოდ ანიშნა — გვიგო.

ამ ბოლოს სამსონი ხანდახან ისეთ გუნებაზე დგებოდა, რომ არაფერი არ აკვირებდა, ყოველ მოვლენას გულგრილი სიღინჯით ხედებოდა, მაგრამ ახლა აეთანდილის გამომეტყველებამ განსაკუთრებით მიიჭვია მისი ყურადღება. „რაღაცა იწყის ამ კაცში, — გაიფიქრა სამსონმა. — ვითომ მეგობარი რომ მოუკლეს, ესაა, მეტი არაფერი? განა ამ ომის განმავლობაში ცოტა ამხანაგი დაეკარგეთ?.. არა, აქ სხვა რაღაცაა კიდევ“...

სამსონმა ვერ ახსნა, თუ რა იყო ის „სხვა“, მხოლოდ აეთანდილის მაშინდელი გამომეტყველება კი სამუდამოდ დაამახსოვრდა.

იმ დღეს ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. ტანკებს რომ გზა გადაეღობა და გამანადგურებელ ცეცხლში მოექცნენ, გერმანელებმა სწრაფად უკან დაიხიეს.

ამ ბრძოლის ერთი ეპიზოდი აეთანდილ კვარაცხელიას სიყვდილი იყო.

მთელ ფრონტზე გამძაფრებული ბრძოლის დროს ცხენოსანთა ესკადრონი აეთანდილის ქვეგანაყოფს მოაწყდა. ტყვიამტრქვევისა და შაშხან-



შის ცეცხლს არ ერიდებოდნენ, წინა-
ნი რომ ეცემოდნენ, უკანანი თავშეუ-
კავებლად წინ მოჰქროდნენ.

ავთანდილი მკეპარე ხმით დაიძა-
ხებდა ხოლმე:

— არ შედრკეთ! ცეცხლი! ცეცხლი!
ავტომატში უკანასკნელ ვაზნებს
იზოგავდა, აგერ ერთი ცხენოსანი
მახლობელ სანგართან მიიჭრა, ცხე-
ნიდან გადაიხარა და შემართული ხმა-
ლი ელვასავით მოიქნია. მაგრამ სწო-
რედ ამ დროს მოხვდა ავთანდილის
მიერ გასროლილი ტყვია და წელი
ალარ აუწევია, სწრაფად დაეშვა ძირს.

ავთანდილმა უმხედროდ დარჩენილ
წაბლისფერ ცხენს შეასწრო თვალი.
ცხენი არ ინძრეოდა, თითქოს პატრო-
ნის აღდგომას ელოდებოდა...

ცხენოსანთა იერიში უკვე მოგერიე-
ბული იყო, როდესაც ავთანდილს საი-
დანღაც გამოსროლილი ტყვია მოხვ-
და და უმალვე იგრძნო, რომ მისი
ცხოვრების გზა დამთავრდა; სანგარში
ჩაიკეცა და მოჭეტული თვალებით
აჰხედა ცას.

სერჯანტი ზარანდია მიეშველა, თავი
აუწია, სახეზე დახედა.

— ავთანდილ!..

სასიკვდილოდ დაჭრილმა ქუთუთო-
ები ძლივს ასწია და ზარანდიას მოე-
ჩვენა, თითქოს ავთანდილს მწარედ
გაეღიძო.

— ავთანდილ! — ჩასძახა კელავ ზა-
რანდიამ, მაგრამ ავთანდილმა თვალი
ვერ გაახილა.

X

ციცხლჭვეშ

დადამდა. კალაბატკის ირგვლივ სი-
წყნარე დამყარდა. ციდან ღრუბლები
აიკრიბნენ და აქა-იქ ვარსკვლავები
გამოჩნდნენ. ჩრდილოეთიდან სუს-
ზიანმა ქარმა მეტის ძალით დაუბერა.

დაჭრილებს ახალ პუნქტში მოუყა-
რეს თავი. მიცვალებულნი დამარხეს.

თავდაცვის ზღუდებზე გუშავთა
რიცხვი გაამრავლეს.

ვალეკო წულაძემ მშრალი ჩაღა გა-
შალა; ჩაჯდომის დროს მტკივან ფეხ-
ზე ხელები მოიშველია.

— თუ კაცი ხარ, დაეით, კოლიამ
თუ რამე მოიტანოს, გამალეიძე...

დაეითმა ვალეკო შეაქო:

— ჰო... ძალიან იმარჯვე, ვალეკო.
შენ დღეს!..

ვალეკოს ძილი მყისვე დააფიწყდა-
სახეზე ფერი მოუვიდა; ამ სასტიკი
დაღლილობის ვამსაც კი აღაფრთოვანა
უფროსი ამხანაგის გულისხმიერებამ.

— მაი რაა... შენ იგი უნდა გენა-
ხა... — წამოიწყო ვალეკომ, მაგრამ
დაეითმა შეაწყვეტინა:

— არა, ძმო, შენ დღეს პირდაპირ
სასწაული მოახდინე! ალარც ფეხის
ტკივილი, არც დაღლილობა და შიმში-
ლი, — მეგონა, ფრთები გამოეხსა-
მეთქი, ისე ამოფრინდი სანგრიდან...
შენ რომ არ ყოფილიყავი, ცუდით იქ-
ნებოდა ჩვენი საქმე.

— თავის ქება კიტრად ღირსო, ნა-
თქვამია, მარა... იცი რა? ახლა რომ
მოთხრა, დღეს რომ ჩავიდინე, იმას
ვერ ვიზამ. ზანდახან მე თვითონ მა-
კვირვებს ჩემი თავი. რამდენჯერ, საქ-
მე რომ დამთავრებულა და უკან მიმი-
ხედავს, მერე შემშინებია...

— ეგ ხშირად მართლაც აგრეა. —
დაემოწმა დაეითი. — სიკვდილის პირ-
თან რომ ხარ, მაშინ რომ ყოველი ნა-
ბიჯი მოზომილად გადადგა, უთუოდ
გატყდები...

— იცი, რაშია საქმე? — განმარტა
ვალეკომ: — გაიხედავ, კაცო, და უცებ
დაგაელებს რაღაცა ხელს, აგიტაცებს,
მაშინ წინ გაგანია ცეცხლი რომ ენ-
თოს, სულ ერთია, გაარღვევ და გახ-
ვალ...



სამსონმა მეთაურთა თათბირის დამ-
თავრების შემდეგ საგუშავოებს ჩა-

მოუარა და მძიმე ნაბიჯით გაემართა ამხანაგებისაკენ. თავის გასართობად ცას რამდენჯერმე აშხედა, მაგრამ ვარსკვლავები თითქოს არ დაუნახავსო, იმდენად შეპყრობილი იყო ნაღვლიანი ფიქრებით.

„ტყვია-წამალი გველევა, მოტანა კი არსაიდან არ ხერხდება... არმიის მოწინავე ნაწილებმა დაიგვიანეს. ასე სანამდე უნდა გავძლოთ?.. არც არტილერია... ტანკებს ცარიელი ხელით როგორ უნდა ვებრძოლოთ? ამ დასაქცევ კალაბატკას მტერი არ მოეშვება, შემოტევას განახლებს... ეს შიომაც კარგად იცის, მაგრამ რა ქნას?.. ამ ორ დღეში არმიის მარცხენა ფრთა მოგვისწრებსო, ესაა ახლა ერთადერთი იმედი“...

სანგრების მახლობლად შედგა სამსონი. ავთანდილ კვარაცხელია მოაგონდა.

„როგორ უშფოთველად დალია სულს!.. კარგია ასეთი სიკვდილი... თუ მეც ამ ომში სიკვდილი მიწერია, ნეტავი ისე არ დავეცე, რომ დიდხანს ვიწვებო... რაო?!. ეს რა გაიფიქრე? ეთერმა რომ იმდენხანს იტანჯა? ახლაც ხომ აეადაა?..“

ამ მოგონებამ გამოაცოცხლა სამსონი, მიხვდა, რომ ეთერის წინაშე დანაშაული ჩაიდინა.

„სულ წახდი, ბიჭო, შენ ამ ბოლოს, — უთხრა თავისთავს. — ყოველდღიურმა ვაიუბედურებამ ჩაგითრია და არაფერი არ გახსოვს... ხანდახან ტანჯვაც ხომ ტკბილია... ვთქვათ, ახლა რომ ვინმემ გითხრას, მთელ სიცოცხლეში ყავარჯენებით სიარული მოგიწევს, ეთერი კი კარგად გეყოლებათ“...

შუბლი შეიკრა, იგრძნო, რომ ამ გვარი ფიქრები მას არ შეეფერებოდა. რალაც შინაგანი უძლურება ხომ არ ეუფლება?.. საიდან მოდის იგი? ვითომ შიმშილის ბრალაია?..

ფეხაკრეფით მივიდა მძინარე ამხანაგებთან. რამდენიმე წუთის შემდეგ მასაც ჩაეძინა.

გენერალთა

•
•
•

იმ ღამეს მტრის ბანაკიდან ჩქამი არ ისმოდა. ხანდახან ძალიან შორს აენთებოდნენ ცისიერში ალისფერი მარშალები. მტერი თითქოს ძალშიღვე იყო და ისვენებდა; მაგრამ 23 თებერვალი ჯერ კიდევ კარგა გათენებული არ იყო, რომ მეტად მწყობრი შემოტევა დაიწყო.

შიო ბეროშვილმა უმაღვე გაიანგარიშა, რომ ძალები აშკარად არათანაბარი იყო. მაინც შესძლებდა მოგერიებას, მაგრამ ტყვია-წამალი არ ყოფნიდათ. ერთად-ერთი გზა ისევ ბრძოლით უკანდახევა იყო, ძალების მოხერხებულად მანევრირება.

მთელ ხაზზე სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ჩვენმა მეომრებმა ამ დაუფიწყარ დღეს საოცარი შეუბორორობა გამოიჩინეს; გერმანელების მიერ ფართოდ მოფიქრებული იერიში თითქოს ზღვის ტალღასავით საღ კლდეს დაეჯახათ, იგრიალა და უქუქცა. მერე ჩხრილა ნაკადებივით იწყო კვლავ დენა.

პოლკის მეთაურმა ბატალიონების უკანდახევისას ტანკსაწინააღმდეგო თოფებიან ვაეკაცებს უბრძანა.

— სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იდექით! მტერი არ გამოუშვათ!

ტანკები ურჩხულებივით ახლოვდებოდნენ.

ჩვენებმა ცეცხლი გახსნეს. ორი ტანკი დააზიანეს, დანარჩენები შედგნენ.

სწორედ ამ დროს გამოეღიათ ტანკსაწინააღმდეგო თოფების ვაზნები. ხელი შაშხანებს ჩასჭიდეს და უკანდახევა იწყეს. მახლობელ ზღუდიდან მათ ტყვიამფრქვეველნი უპირდნენ მხარს.

ადგილზე მხოლოდ ტანკაწინააღ-
მდგომ თოფიანთა ორი გუნდი დარჩა,
რათა სხვებისათვის უკანდახევის სა-
შუალება მიეცათ.

ამ ოთხმა გმირმა — ჩახეაძემ, კაჭა-
რავამ, ჭანტურიძემ და კახელმა კოლ-
მეურნე გიგუაშვილმა საღ კლდესავით
შეაგებეს მკერდი სიკვდილს.

უკანასკნელი ხელყუმბარები მოი-
მარჯვეს, მიწას გაეკრნენ.

დაიძრა მოწინავე ტანკი, მცელავი
სროლით მოემართება, მოგუგუნებს.

გიგუაშვილს გულმა არ მოუთმინა,
თავი ოდნავ ასწია და ცალი თვლით
უკან მიიხედა, ამხანაგები სამშვიდო-
ბოზე გავიდნენ თუ არაო. ვერავინ ვერ
დაინახა. ეგონა: სწორედ ეგ უნდოდა;
ის ზომ იმიტომ დარჩა აქ, რომ მტერს
გზა გადაუღობოს და ამხანაგები იხს-
ნას. მაგრამ როცა მათი სიახლოვე ვე-
ლარ იგრძნო, ისეთმა ელდამ დაჰკრა,
თითქოს მთელი სიცოცხლე მოწყდა და
საშინელ უფსკრულში ჩახვადაო. მის
მახლობლად ჭანტურიძე იწვა, ეს კარ-
ვად ახსოვდა, მაგრამ ამ წამს ამაშიაც
დაეჭვდა, ზოლო როცა თანამებრძო-
ლის თვალთა სხივი დაიჭირა, მცირე-
ოდენი კავშირი კვლავ გაება მასსა და
ჭვეყნიერებას შორის. მაშინ იგრძნო,
თუ რა ცოდვა ყოფილა სიკვდილის წი-
ნაზე მარტოდ-მარტო დარჩენილი ადა-
შინი... გრანატაზე შემოჭობილმა თი-
თებმა აგრძნობინა საკუთარი ძალა და
გული მოეცა. არა, ჯერ კიდევ სიცოცხ-
ლობს კახელი ვაჟკაცი, ზელთ მტრის
შემძუსრავი ყუმბარა უპყრია და დეე
მოვიდეს, უფრო შოახლოვდეს ეს სა-

ზარლად მორახრახე ტანკი. ვინ იცის,
იქნება ბედმა არ გასწირობს ეს მშვენიერ-
რალს გადაბიჯოს. ~~სტანკი~~ მისამ
პირში სული უდგას, თავის თავს ვერ
შეეღვევა.

ტანკი კი მოიწევს, ზესკნელი ცეცხ-
ლშია გახვეული, მიწა თითქოს ქა-
ნაობს, საცაა უნდა დაყირავდეს და გი-
გუაშვილს დასაყრდენი გამოაცა-
ლოს, — მოდის, საზარლად მოჩახჩა-
ხებს.

ამ დროს ხმა მოესმა, სულის ჩამდგ-
მელი ხმა თანამებრძოლისა:

— არ შედრკე, ბიჭო! მაგრად
იყავი!..

ეს ჭანტურიძის ხმა იყო. ამ ძახილით
ჭანტურიძე თავის თავსაც ამხნევებდა;
ხოლო გიგუაშვილს ამხანაგის სიახლო-
ვემ ძალა გაუორკეცა და სიყვარულით
გასძახა:

— ნუ გეშინია, აქა ვარ, დედას ვე-
ტირებ!..

ამ სიტყვებმა ააგზნო იგი, მთლად
ცეცხლად აქცია; ახლა თითქოს მასში
არაფერია ისეთი, რასაც ტკივილის
ეშინია, არც სიკვდილს გაურბის, რად-
გან მასში ახლა მარტოდენ ყოვლად
შეუპოვარი ცეცხლი ანთია, სიცოცხ-
ლის შემოქმედი ცეცხლი!..

მაგრამ როცა ტანკის დინგი გამოჩ-
ნდა, ვიდრე გრანატს მოიჭნევედა, ერთ-
ხელ კიდევ გასწვა რალაცამ გულში და
უკან მიხედვა მოუნდა.

შეწავედ დაწყდა გული, რადგან
დრო აღარ რჩებოდა: მთელის ძალით
მოქნეულ გრანატს სული თან გაა-
ყოლა..

(მაგრძელება იქნება)

მ თ ა შ ი



გზებზე წაშლილა ქარბუქის კვალი,
ძინავს მთის წვერზე თეთრფრთიან ღრუბელს,
მთებს მიანათა ზაფხულმა თვალი
და ყვავილებით აუვსო უბე.

კლდემ შესთავაზა მგზავრს წყაროს წყალი,
წამოახურა ქოლგად ქაღარი...

კვლავ ახმაურდა სოფელი წყნარი,
მთის აგარაკად მთებში ჩამჯდარი.

ტყით და ნიავეთ ახარებს მუდამ
სტუმართმოყვარე მიდამო მნახველს;
როგორც მერცხლები, ეწვიენენ გუნდად
დამსვენებლები ყოველგან სახლებს.

ხალისი იგრძნეს სტუმრებმა მყისვე,
ჩაუნავარდეს ნაძვნარს და სათიბს.
მიდამოს ქებად გაისმა ისევ
ტყის ბილიკებზე სიმღერა მათი.

ვის დააფიქრებს აღმართი, დალლა,
ან მთის ნადირის შეხვედრის შიში!
ტყის მღვლელების შწვანეზე ლალად
მიმოიფანტნენ ნაძვების ჩრდილში.

... აქ არის გმირიც და ძალას იკრებს,
ახალ დიდებას უღიმის ფიქრით;
სექტემბრის დილით გასაშლელ წიგნებს
გოგონა ხედავს ნაძვნარის იქით.

მათი ხალისით მადლიერ სოფელს
წყაროს თვალივით უცინის სახე,
ტყეს შეჰფოფინებს—სიცოცხლის მშობელს,
ფრთას ფრინველივით რომ ასხამს მნახველს.

ტყე კი ზვიადი, ჩვეული ქებას,
გაღიმებული თვალს ავლებს მთა-ბარს
და სიოს ნელი სიმღერით ჰყვება
თავისი დიდი სიკეთის ამბავს.



მთარ გეგუორი

რიონის სიმღერა



შორიდან მოველ ჯახანით, თეთრი ლოდები ავეარე,
 ფასის მთით აფეთქებულმა მზის მოსვლა შემოგახარეთ!
 სანაპიროდან შხუილით სულ მინდა, რომ ვინაეარლო,
 გადავებვიო ქუთაისს, სამაისოს და საეარდოს.
 ბაგრატის ტაძრის კედლები თავზე დამცქერის დღეს მშვიდად,
 ბევრჯერ იქ დაქრილ ვაეკაცებს ცვარი ვაპეურე პეშვითა.
 ოქროს ჩარდახის ქვებიდან ასხმული, ანატოტები,
 აგერ ჭადარი შრიალებს, აცახცახებულ ფოთლებით.
 აქ ჯულაშვილის მარჯვენა ხალზში აბნევედა იმედებს.
 მზედ ჰყაედათ დაფიცებული ქართლის არწივი იმერლებს.
 აქ ციხის კედლებს სმენიათ სიმღერა თავისუფლების.
 ციდან უსმენდნენ ფრინველნი, ველზე დგებოდნენ გუთნები.
 ისმენდნენ გმირის დაძახილს, გულს ინახავდნენ იმედად,
 და როცა საშას თვალეზი სიკედილმა გამოიმეტა,
 წამოდგა ვეფხვი მწუხარედ, ცრემლი სდიოდა ღვარებდად.
 კილითკიდემდე ისმოდა ბელადის ამქუხარება.
 ახლა შორიდან ჯახანით თეთრი ლოდები ავეარე,
 ფასის მთით აფეთქებულმა მზის მოსვლა შემოგახარეთ.
 მოვედი ამღერებული, ჩემი ქალაქის კარებთან.
 მისი მარჯვენა მაჩვენეთ, რომელიც გულს მიხარებდა,
 რომლისთვის მოვიჩქაროდი, მთებიდან მთებზე ჯახანით,
 თმაშევერცხლილი მოხუცი, თეთრჩოხიანი მაყარი.
 შევდექე, ბელადის ქანდაკი თავზე დამნათის ნათელით,
 იმერულ ნანას ვიმღერით ტალღები — დამენათევი.
 სად ჩანს სახება დეკაცის, ცადატყორცნილი, მთებური,
 მე მისკენ მიეხარები, მისი მზით განათებული!

საშუალო მოძღვრებით

სიბინძურის სიძლია



რიონის პირად ეიზრდებით, გალაღებული დარებით,
ფესვებთან ჩაგვიფართქალებს ჩასუქებული შწყერი.
ციდან გვიცქერენ ღრუბლების გათეთრებული კარვები,
მთებიდან ზღვამდე ვირწვეით სიცოცხლის კელაპტარები,
ულვაშზე ბურნუთნაფრქვევნი ხელში ბოთლებით ვმღერით:

— აჰ, რიონის ტალღებო, ხომ არ გგონივართ მაყარნი,
იმერულ გარიყრაყებში რომ დასტოვებენ სუფრას?
კოლექტიური მარჯვენით ვართ მზეზე ლერწმებნაყარნი,
თქვენგან ვადარწყულ ყაშირებს მარგალიტებით დაცხარით,
თქვენ თვითონ თეთრი ნისლებით ტანზე გვეხვევით სუფთად.

ლურჯო ტალღებო, კარგებო, შავი ზღვის პირი გასცურეთ,
ტრაპიზონამდე თუ მიხვალთ, იქ ჩვენ დობილებს ნახავთ.
გვალვისგან გადაყვითლებულ მოწყენილ ლაზის ასულებს
მაგ თქვენი მაცოცხლებელი შხეფები თავზე ასხურეთ.
როდის იქნება, იმათაც რომ იშრიალონ ლაღად?

ეკონომიკური და სოციალური, იბერიად არის მიჩნეული და ცნობილი. ეს, რა თქმა უნდა, დიდად ართულებს ჩვენი საკითხის გადაწყვეტას. როდის გაბატონდნენ ქართველი აღმოსავლეთ საქართველოში? ჩვენი გაბატონებული არ არის. ჩვენი ისტორიკოსის, აკად. ივ. ჯავახიშვილის, აზრით ეს უნდა მომხდარიყო მეორე-მესამე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ („ქართ. ერის ისტორია“, I. 1913, გვ. 89—90), მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. ჩვენი აზრით, ქართველის თუ ქართლებების გაბატონება აღმოსავლეთ საქართველოში მეექვსე საუკუნემდის არ უნდა მომხდარიყო. მეექვსე საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლოს სპარსელებმა ბოლო მოუღეს იბერთა სახელმწიფოს. იბერთა უკანასკნელი მეფე გურგენი 523 წელს თავისი ოჯახითა და ფრიად დიდი ამალითურთ გადასახლდა ბიზანტიაში. ამის შემდეგ სპარსელების პოლიტიკის მეოხებით და მათი შეგნებული დახმარებით, ძალაუფლება ქართლის აზნაურებმა ანუ ერისთავებმა იგდეს ხელში. აქედან იწყება ქართლის პერიოდი ჩვენს ისტორიაში.

ეს აზრი, რა თქმა უნდა, ბევრს მეტად საეჭვოდ მოეჩვენება. საიდან სადაო, იტყვიან მკითხველი; მთელი ჩვენი ისტორია ქართლის მეფეებზე, ქართლის გაქრისტიანებაზე და ქართლის მწერლობაზე მოგვითხრობს, ჩვენ გვაქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „ქართლის ცხოვრება“, „მატიანე ქართლისაჲ“, „ქართული დამწერლობა“ და არა „იბერთა მოქცევა“, „იბერთა ცხოვრება“, „იბერთა ლიტერატურა“ და სხვა. ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ჩვენამდის მოღწეული მთელი ლიტერატურა ეკუთვნის ქართლის პერიოდს ისტორიისა. ქართველი, რა თქმა უნდა, ქვემეცდომნი და მონაწილენი იყვნენ იბერთა სახელმწიფოსი, იბერთა ისტორიისა და კულტურისა. მათ ერთი და იგივე წარმართული სარწმუნოება ჰქონდათ, ერთად მიიღეს ქრისტიანობა, მაგრამ როდესაც, მეხუთე საუკუნის დასაწყისში, საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანულ ლიტერატურას, ეს ლიტერატურა აღმოცენდა გაბატონებულ იბერთა კილოკავზე. ხოლო როდესაც სახელმწიფოს სათავეში იბერების მაგიერ ქართველი ანუ ქართლები მოექცნენ, მათ იბერთა ლიტერატურა თანდათან გამოაქართულეს და ქართლის კილო გახდა ქართველი ერის სალიტერატურო ენად.

იბერთა პერიოდის ქრისტიანული ლიტერატურის ნაშთი მხოლოდ ამ ბოლო ხანს გამოშვეურდა ჩვენი უნივერსიტეტისა და მეცნიერების მედგარი მუშაკების მეოხებით. ეს გახლავთ ივ. ჯავახიშვილის მიერ ახლად აღმოჩენილი მცირეოდენი ხანშეტი ტექსტები.¹

¹ ამ საკითხის ლიტერატურისათვის იხ. ნაშრომები: ივ. ჯავახიშვილი, „ახლადმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, გვ. 313—391; აკ. შანიძე, „ლიტერატურული ცნობა ახლადმოჩენილი ქართული ტექსტების შესახებ შეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში“. იქვე, გვ. 417—424; აკ. შანიძე, „ხანშეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ერის ისტორიისათვის“. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, გვ. 354—388; მისივე „ხანშეტი მრავალთავი“. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, გვ. 98—159; მისივე „ქართული ხელნაწერები გრაკში: ხანშეტი ლექციონარი“. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX, გვ. 310—353; მეორე გამოცემა—სერიაში „ძველი ქართული ერის ძეგლები“, ნაკვ. I, თბილისი, 1944; ეს ლექციონარი, რომელიც აკ. შანიძის დათარიღებით მუშავდა საუკუნის მეორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი უკუკავშირებით აღმოჩენილია შორის ერთადერთი ძეგლია, რომელსაც პირვანდელი სახით

სხვადასხვა სახელების მატარებელი ქართველი ტომები მართო სახელებით-
 კი არ განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან, არამედ ერთ, უმეტეს შემთხვევაში
 კილოკაეებითაც. როგორც ცხადად ემჩნევა, იბერების კილოკაევი ~~რამდენიმედს~~
 განსხვავდებოდა ქართვების კილოკაეისაგან, როგორც დასავლეთ საქართველო-
 ში ეგრების ანუ მეგრელების კილოკაევი განირჩევა ლაზ-ქანთა კილოკაეისაგან-
 და, თქმა არ უნდა, კიდევ უფრო ამაზე ნაკლებად. იბერთა კილოკაეის თვალ-
 საჩინო თვისება ხანმეტობა ყოფილა, ქართლის კილოკაეისა კი ჰამე-
 ტობა. ხანმეტ ტექსტებში „ხანი“ ნახმარია პრეფიქსებად სამი-
 ფუნქციისათვის: ზმნებში მეორე პირის სუბიექტისა და მესამე პირის ობიექ-
 ტის გამოსახატავად, ზოლო სახელები ზედსართავთა შედარებით — აღმატე-
 ბითი ხარისხის საწარმოებლად. ყველა ასეთ შემთხვევაში ჰამეტ ტექსტებში
 „ჰაე“ იხმარება ანუ ივლისხმება. მაგალითად: ხრქუა მას იესუ — ჰრქუა მას
 იესუ; ხიპყართ — ჰიპყართ; ხიქმნა — ჰიქმნა; ხუმჯობეს — ჰუმჯობეს; ხუფ-
 როს — ჰუფროს; ხყოფდით მათა — ჰყოფდით მათა; ხიყო — ჰიყო; ხიხარებს —
 ჰიხარებს და სხვა.¹

აწ განსავენებული ჩვენი სახელოვანი მეცნიერი აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვი-
 ლი, რომელმაც პირველად გამოაქვეყნა, პალიმფესტების მიხედვით, ხანმეტი-
 ტექსტები, პრეფიქსების საკითხში იმ აზრისა იყო, რომ ქართულ ენაში ჯერ-
 იყო ხანი, რომელიც მერმე იქცა ჰაედ და შემდეგ კი სულ მთლად გაქრა.
 მეორე ჩვენი მეცნიერი აკ. შანიძე, დიდი სპეციალისტი და ჩვენს დია-
 ლექტოლოგიაში ფრიად დახელოვნებული, რომელმაც საუცხოო სრული
 განმარტებით გამოსცა სხვადასხვა ხანმეტი და ჰამეტი ტექსტები (იხ. ზემოთ
 შენიშვნაში აღნიშნულნი), არ იზიარებს ივ. ჯავახიშვილის შეხედულებას. ის
 სწერს: „პრეფიქსების საკითხში საერთო ქართული ნიშანია ჰაე და არა ხანი.
 საზოგადოდ ყველა ის ქართული კილოები, რომელთაც ვიცნობთ ჩვენ ისტო-
 რიულად ძველი ძეგლებიდან, თუ ცოცხლად დღეს, ისეთ ფორმებს გვაძლევს
 უღვლილებასი, რომ აღნიშნული პრეფიქსების ძირითად ფონეტიკურ სახედ
 უნდა მივიჩნიოთ ჰ, დანარჩენი სახეები (ნული, ჯ, ა, ხ, ლ, ზ, ე, უ) ამ ძირი-
 თადი სახისაგან არის განვითარებული ბგერათა შენაცვლების ნიადაგზე“
 (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, გვ. 359 — 360). დამოკიდებულებას
 ხანმეტსა და ჰამეტ ტექსტებს შორის აკ. შანიძე ასე განმარტავს: „ჩემთვის
 უეჭველია, რომ განსხვავება ხანმეტ და ჰამეტ ტექსტთა შორის იმდენად
 ქრონოლოგიური კი არ არის, რამდენადაც დიალექტური, ე. ი. ისინი იმდენად
 სხვადასხვა ეპოქას კი არ ეკუთვნიან, რამდენადაც სხვადასხვა კილოს; ხანმეტი

მოღწევა ჩვენამდის. სხვა ნაკლები ხანმეტი ტექსტები ჯერხანად მხოლოდ პალიმფესტების-
 სახით არის ცნობილი; ს. ჯანაშია. „კიდევ ერთი ნაშთი ხანმეტობისა თანამედროვე
 ქართულში“. ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადი, I, გვ. 117 — 118.
 1924 წ.; ე. ევკელიძე. „ხანმეტი და ჰამეტი ტექსტები. ლიტერატურული მიმოხილვა“
 „წელიწადი“, I, გვ. 261 — 267; ს. კაკაბაძე. „სახარების ქართულ თარგმანთა შესახებ
 V — VI საუკუნეში ხანმეტ ტექსტებთან დაკავშირებით“. საისტორიო ძიებანი, გვ. 1 — 37;
 ა. ჩიქობავა. „ხანმეტი და ჰამეტი ტექსტების აღმოჩენისათვის“. ჩვენი მეცნიერება“,
 წელიწადი III, № 3 — 4, გვ. 65 — 84.

ამას გარდა არის კიდევ აკადემიკოს ნ. მარის და ა. გენკოს კრიტიკული განხილ-
 ვა ივ. ჯავახიშვილის აღნიშნული ნაშრომისა და მასში წამოყენებული ზოგიერთი დებულებისა-
 სიხ. „Тексты и разыскания по Кавказской филологии“, т. II, გვ. 50 — 60.

¹ ეს ნიმუშები ამოღებულია ივ. ჯავახიშვილისა და აკ. შანიძის მიერ
 გამოქვეყნებულ ტექსტებიდან, რომელნიც ზემოთა შენიშვნაშია მითითებულნი.

ტექსტები ერთ კილოზეა დაწერილი და ჰაემეტი კი მეორეზე. ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოღწეული ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ ჰაემეტ ტექსტებს და უცილობლად ძველია მათზე, რა [წინა] უნდა თავისთავად ჯერ კიდევ არ სწყვეტს საკითხს იმის შესახებ, თითქოს ქართული ლიტერატურა პარალელურად არ არსებობდა ჰაემეტ კილოზე-დაც, ან კიდევ ხანმეტის ლიტერატურა საზოგადოდ უხეველად ხნიერი იყოს ჰაემეტზე. მაგრამ კიდევაც რომ გამოიჩვენეს საბოლოოდ, რომ სწორედ ხანმეტი იყო ის კილო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ სალიტერატურო ენას, ეს მაინც არ მოგვეცემს იმის საბუთს, რომ „ჰაე“ ისტორიულად „ხანის“ განვითარების მეორე საფეხურად ვცნოთ. რა ერქვა სახელად იმ ტომს, რომელიც ხანმეტ კილოზე ლაპარაკობდა და წერდა, ან იმას, რომელსაც ჰაემეტობა ახასიათებდა, არ ვიცით. არც ის ვიცით დანამდვილებით, თუ როგორი იყო მათი გეოგრაფიული საზღვრები. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ხანმეტი კილო საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იყო (ასე ვსთქვათ, მცხეთა-ბოლნისის რაიონისა და მიმდგომ მხარეებში), ხოლო ჰაემეტი კილო კი მის დასავლეთით“. (იქვე, გვ. 361).

ხანმეტ კილოს, აკ. შანიძის თქმით, უეჭველად დიდი კვალი დაუმჩნევია ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისათვის, მაგრამ იგი რაღაც მიზეზების გამო სალიტერატურო ასპარეზს ჩამოშორებია და მას გზა დაუთმოა ჰაემეტი კილოსათვის. როდის მოხდა ეს და როგორ მოისპო ან გაითქვიფა სხვა კილოებში ხანმეტი კილო, არ ვიცით; როგორც სალიტერატურო ენა კი იგი უკუდგებული ჩანს მერვე-მეცხრე საუკუნეებში. რა მოხდა ისეთი, რამაც ასეთი რამ უყო აღნიშნულ კილოს შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ გარემოებას ხელი შეუწყო არაბთა შემოსევამ მეშვიდე საუკუნეში, თუმცა ძნელი დასაჯერებელი კია, რომ ამდენად ედებოდეს ბრალი მარტო არაბთა შემოსევას. ყოველ შემთხვევაში, მეცხრე საუკუნიდან მოკიდებული, ქართული სალიტერატურო ენის მთავარი წყარო არის ჰაემეტი კილო, რომელშიც ჰაემეტობა უკვე გადაგვარებულია. ისტორიული განვითარების პროცესში ჰაემეტობა გადაგვარდა, ხმოვნების წინ ჰაე სრულიად დაიკარგა, ხოლო ე. წ. დედის თანხმოვნების წინ, ასიმილაციის ძალით, ხანი და შინი მოგვცა თავის ნაცელად (იქვე, გვ. 361 — 362).

ა. ჩიქობავა თავის წერილში „ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისათვის“ (ჩვენი მეცნიერება, წელიწადი III, № 3 — 4, გვ. 65 — 84) ივ. ჯავახიშვილის თეორიას უნიტარულ თეორიას უწოდებს, აკ. შანიძისა და ნ. შარის თეორიას კი დიალექტურს. მისი აზრითაც ლიტერატურულად ხანმეტი წინ უსწრებს ჰაემეტს. ავტორს მოაქვს ბევრი დადებითი და ამასთანავე ბევრი უარყოფითი საბუთი ერთი და მეორე თეორიისათვის და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჯერჯერობით არცერთი არ შეიძლება გადაჭრით მიღებულ იქნას და ამ საკითხზე სწორი პასუხის გაცემა მომავლის საქმეა (გვ. 83 — 84).

ჩვენც ჩვენი მხრით არ ვებეზობთ საკითხს, ქართულისათვის ხანია პრეფიქსების პროტოტიპულად სახე თუ ჰაე, ეს საკითხზე ჯერ კიდევ საცილობელია და მას ჩვენი ლინგვისტები გამოარყვევენ საბოლოოდ. ¹ აქ მხოლოდ იმას ვიტყვი.

¹ ივ. ჯავახიშვილი თავის დებულებას იცავს შემდეგ გამოქვეყნებულ დიდ ნაშრომში „ქართული ენის ისტორიის შესავალი“, წიგნი II, ტფილისი, 1937, გვ. 446 — 448. იხ. აგრეთვე გვ. 334 — 336.

რომ აკ. შანიძის აზრი, ხანმეტი ტექსტები ერთ კილოზეა დაწერილი და ჰემეტი მეორეზეო, სრული ჭეშმარიტებაა. სრული ჭეშმარიტებაა არის აგრეთვე დებულება, რომ ხანმეტი კილო, როგორც სალიტერატურო ენა, უკუგდებულა უკვე მერვე-მეცხრე საუკუნეებში და, მეცხრე საუკუნიდან მოკიდებული, ქართული სალიტერატურო ენის მთავარ წყაროდ იქცევა ჰემეტი კილო, რომელშიაც ჰემეტობა ფონეტიკურად უკვე გადაგვარებულია. მაგრამ ჩვენი აზრით, სწორედ ხანმეტი იყო ის კილო, რომელმაც საბირველი ჩაუყარა ქართულ ლიტერატურას და ეს კილო იყო იბერთა ტომის კილო. იბერთა კილო დღემდისაც თვალსაჩინოდაა შემორჩენილი ეგრეთწოდებულ ფხოურ კილოებში: (ფშაურში, ხევსურულში, მოხეურში და თუშურში). ამას ნათელყოფს თვით აკ. შანიძის გამოკვლევანი და მის მიერ გამოქვეყნებული მასალები (იხ. „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, გვ. 130 და აგრეთვე „ბესარიონ გაბუურის ხევსურული მასალები“, აკაკი შანიძის რედაქტორობით გამოცემული; წელიწდეული, ტფილისი, 1923 — 1924, გვ. 119 — 336). განსაკუთრებით შესანიშნავია ბ. გაბუურის მასალები, რომლებშიც უხეად გვხვდება ხანმეტობა. მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს: „ვისაც ბილეთი არ ჰქონივ“ (გვ. 174); „ვეფხვს მახკლავს, ტყავსა ჩაუტანს, ჩავა ერეკლეს კარზედა“ (გვ. 175); არ ჰყადრებს თავსაო“; „ცეცხლი ჰკრა პირის წამალთა“ — გვ. 185); „თეთრს ვინც აიღებს ხევსური, ვინაც მახკიდის ხელია, გაუწყრეს, ნეფევ ერეკლევ, ის სალოცავი ჩვენია“ (გვ. 163) და სხვა. აგრეთვე ფხოურ კილოებშია სრულად დაცული ძველი გამოთქმა ბგერაკარისა, რომელიც ახასიათებდა, უნდა ვიფიქროთ, აგრეთვე იბერთა კილოკავს და რომელიც ქართულში თანდათან გაქრა და „ხან“ ბგერად შეიცვალა, მაგრამ დამწერლობაში ზოგიერთ სიტყვას მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე შემორჩა. ეს ასე ვთქვათ, „ეპარეტობა“ ახასიათებს გამოქვეყნებულ ფხოურ მასალებს.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი არც ჰანურს და არც მეგრულს არც ხმოვნის და არც თანხმოვნის წინ შერჩენილი არა აქვს, ხოლო სვანურში კი შენახულია არა თუ მეორე და მესამე პირის, არამედ პირველი პირის თავსართადაც. ეტყობა, სვანური უძველეს დროში უფრო დაახლოებული ყოფილა იბერულთან, ვიდრე მეგრულ-ჰანურთან. მართლაც, ჩვენ მოგვებოგება ისტორიული დამოწმება ლეონტი მროველისა, რომ ძველ დროში სვანები მოსაზღვრე ყოფილან იბერეებისა, მათ სუერიათ არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს კავკასიის მთიანეთი, რომელიც ახლა უქრიაეთ, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიც. ისინი საზღვებულან დიდოეთიდან ვიდრე ეგრისამდე („ქართლის ცხოვრება“ მარიამ დედოფლის ვარ., გვ. 23; ანა დედოფლისა, გვ. 19; ბროსეს გამოცემა ტ. I, გვ. 33). ამას ბ. ინგროოყვაც აღნიშნავს თავის წერილში¹. რაც შეეხება ჰემეტობას, თვით აკ. შანიძე ერთს თავის შენიშვნაში შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ხანმეტობის მიტოვების შემდეგ ქართლის ჰემეტ კილოზე განეგრძოს ლიტერატურას განვითარება. (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, გვ. 361, შენიშვნა 1-ლი); მაგრამ ამას უკავშირებს

¹ „ქართულ მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“. „მნათობი“. 1939 წ. № 1, გვ. 174.

მეორე მოსაზრებას, რომ შესაძლოა „სომეხი“, როგორც ტომობრივი ტერმინი, თავდაპირველად ხანმეტ კილოზე მოუბარი ტომის სახელწოდება ყოფიდა პირველად ქართული სამწერლობო ენა გაჩნდა სომხითის (ხანმეტ) კილოზე, ხოლო შემდეგ ეს კილო მიტოვებულ იქნა და მის ნაცვლად ქართლის (ჰამმეტ) კილოზე განაგრძო ლიტერატურამ განვითარება.

პროფესორი კ. კეკელიძეც სწორედ ამ რაიონს აკუთვნებს ხანმეტი ლიტერატურის წარმოშობას, მაგრამ იგი სხვანაირად მსჯელობს, მისი შეხედულებით ხანმეტი უნდა ვეძიოთ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ეკუთვნოდა სხვათა შორის, მცხეთის და ბოლნისის რაიონი (მათი ხანმეტი ემიგრაციული წარწერებით), ესე იგი ძველი დროის ეთნოგრაფიული ქართლი, რომელსაც ბერძნები „გოგარენს“, ხოლო სომეხები „გუგარქს“ ეძახდნენ და რომლის ერთ ნაწილს შემდეგში ქართველებმა სომხითი უწოდეს. ცნობილიაო, — განაგრძობს კ. კეკელიძე, — რომ ამ რაიონში ყველაზე ადრე შემოვიდა ქრისტიანული კულტურა და ამიტომ აქ ჩაეყარა საფუძველი ჩვენს მწერლობას (ანბანის შემომღებნი, სომეხთა ისტორიკოსების ცნობით, აქ მოქმედებენ), ამ რაიონმა ჩაიგდო ხელში კულტურული ჰეგემონია მეოთხე საუკუნის ნახევრიდან გაერთიანებულ აღმოსავლეთ საქართველოში (გუგარქიბერი). ეს ჰეგემონია გრძელდებოდა იბერიის საბოლოო გაქრისტიანებამდე, რაც არც ისე მალე დამთავრებულა... მეშვიდე საუკუნის გასულისა თუ შერევის დასაწყისისათვის ქართულ კულტურულ ასპარეზზე აქტიურ ძალად გამოდიან იმ დროისათვის საბოლოოდ გაქართველები იბერები. ავტორის აზრით, ამას ხელი შეუწყო არაბთა შემოსევამ: მათი სისასტიკე და სიმწვავე პირველად ქართველს დაატყდათ თავს და ამიტომ იბერიასთან შედარებით ქართლი უფრო გატყდა წელში და მერვე საუკუნისათვის მან კულტურული ჰეგემონია დაუთმო იბერიას, რომელმაც ამ დროისათვის შეითვისა „ხანმეტობის რაიონის კულტურულ-ლიტერატურული მიღწევანი“. ამიტომ მწერლობაში ფეხს იკიდებს ჰამმეტი კილო, რომლის ჩამომავალიც ყოფილა ქანურ-მეგრული, და აქედან იბერულიც. ასე რომ ჰამმეტობა ქართულ მწერლობაში ივერიზმად უნდა იყოს ცნობილი (იხ. „ლიტერატურული მიმოხილვა ხანმეტ და ჰამმეტ ტექსტებისა“. მიმოხილველი, 1926 წ., გვ. 264 — 266). მსგავსი აზრები იბერია-გუგარქის შესახებ კ. კეკელიძეს გამოთქმული აქვს აგრეთვე სხვა თავის მონოგრაფიაში („ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“, მიმოხილველი, I, გვ. 53), რომელშიც ის სამართლიანად ასხვავებს ეთნოგრაფიულ ქართლს და იბერიას, მაგრამ მას იბერიად ჰერეთი აქვს მიჩნეული, ხოლო ქართლად ჩვენი პროვინცია სომხითი, სომეხების გუგარქი და ბერძნების გოგარენე. ამის მსგავსი აზრები ს. კაკაბაძესაც ჰქონდა წინათ გამოთქმული (იხ. „წმინდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში“, ტფილისი, 1912, გვ. 3—14); მაგრამ შემდეგ მან უპაჰყო თავისი დებულებანი (იხ. „საისტ. კრებული“, I, 1924, გვ. 129 — 131). ორთავე ავტორის აზრები და დებულებანი ურცლად და პოლემიკურად აქვს გარჩეული ივ. ჯავახიშვილს თავის დიდ ნაშრომში („ქართ. ერის ისტორია“, I, ტფილისი, 1928, გვ. 187 — 202). ივ. ჯავახიშვილი არ სცნობს, რომ კლასიკურ მწერალთა იბერია ქართული ჰე-

რეთის შემცველი იყოს, არამედ, მისი აზრით, საზოგადოდ მთელი აღმოსავლეთი საქართველო იმ დროს, ქრისტიანობის მიღების ხანაში, ქართლის—სამეფოს შეადგენს. ეს, რასაკვირველია გასაგებია, რაკი მან, როგორც მოციხსენიეთ, აღმოსავლეთ საქართველოში ქართვების გაბატონება მეორე-მესამე საუკუნეს მიაწერა. მას შემდეგ, მისი აზრით, უცხო მწერალთა იბერიად ქართლი და ქართლის სახელმწიფო იგულისხმება, ჩვენი აზრით კი, როგორც აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ საქართველოში მეექვსე საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლომდის იბერთა სახელმწიფო სუფევს და ქართლებების ჰეგემონია მეექვსე საუკუნიდან იწყება—პირველად ქართლის სამთავროს, სპერიოსთავოს სახით და მეცხრე საუკუნის დასასრულიდან კი ქართველთა სამეფოს სახით (აღარანსე II, ქართველთა მეფის დროს, 899 წელს). ამიტომ კეკელიძის შეხედულებას, რომ იბერებმა მერვე საუკუნის დასაწყისისათვის შეითვისეს ქართვების ხანმეტი რაიონის კულტურულ-ლიტერატურული მიღწევანი და იგდეს ხელში კულტურული ჰეგემონია, სამწუხაროდ ვერ დავეთანხმებით. ჯერ ერთი, არსაიდან არ ჩანს, რომ ქართვები კულტურულად მალა იდგნენ იბერებზე, ხოლო იბერთა თვალსაჩინო კულტურა კარგად ცნობილია სტრაბონის მოწმობით და საკმაოდ ვამუქებულია ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას მიერ¹. ქართვების იმ დროის კულტურაზე კი ცნობა არა გვაქვს. ამას გარდა, თუ ხანმეტი ქართვების კილო იყო და ჰემეტი იბერებისა და უკულტურო იბერებმა შეითვისეს მერვე საუკუნის დასაწყისისათვის ქართვების კულტურულ-ლიტერატურული მიღწევანი და იგდეს ხელში კულტურული ჰეგემონია, მაშინ, თქმა არ უნდა, ქართული ლიტერატურა ამ ხანმეტ კილოზე უნდა განეგრძოთ და არა თავიანთი ჰემეტ კილოზე. იბერების გაქართვება, პირველ ყოვლისა, ქართული სალიტერატურო ენისა და კილოს შეთვისებაში უნდა გამოხატულიყო. ამას გარდა, კულტურული ჰეგემონია პოლიტიკური ჰეგემონიის თანმხლები უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ ქართვები, კ. კეკელიძის თქმით, არაბების მიერ განადგურებული იყვნენ. ამ შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოში იბერთა სამეფო უნდა დაარსებულიყო და თუ იბერთა სახელმწიფო უწინაც იყო, მას ამ სახელწოდებით, უნდა განეგრძო არსებობა, მაგრამ ჩვენ ვეცით, და ამას მოწმობს ყველაფერი.—ეპიგრაფიკული ძეგლები და ჩვენამდის მოღწეული ლიტერატურა,— რომ შეექვსე საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში შეფობა მოისპო და დაარსდა რიგი ერისთავთა სამფლობელოებისა, რომელთაც ქართლის ერისთავები განაგებდნენ. ქვის წარწერათა შორის სახელწოდება „ქართლი“ პირველად გვხვდება მცხეთის ჯვარის ეკლესიის წარწერაში, რომელშიც ერთი ამშენებელთაგანი, სტეფანოზ I ქართლის პატრიკოსად არის მოხსენებული და არა იბერიის პატრიკოსად. წარწერა, ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, 591-სა და 600 წლებს შორის არის ამოჭრილი („ქართული პალეოგრაფია“, გვ. 156). ქართულ ორიგინალურ ლიტერატურაში კი ქართლი პირველად იხსენიება „შუშანიკის წამებაში“. ეს ძეგლი, მიუხედავად პოლ პეტერსის სასტიკი კრიტიკისა, რომელმაც ის ფსევდო-ეპიგრაფიულ ნაშრომად იცნო², ყველა ქართველი მეცნიერის მიერ სამართლიანად ცნობილია უძველეს ქართულ

¹ „Государственный строй древней Грузии и древней Армении. СПб. 1905.

² Paul Peeters — „Sainte Sousanik, matrire en Armeno — Géorgie“, Analecta Bollandiana, t. LIII, fasc. III — IV. Bruxelles. 1935.

ორიგინალურ თხზულებად¹. თუმცა ენის მხრივ ის პირვანდელი სახით ჩვენამდის არ მოღწეულა (ტექსტი უსათუოდ ხანმეტი იყო და შემდეგ დაქართულებული) და წერილმანი ნაკლულევანება თუ მიმატება-შინაარსისა ცეხება, წარმოშობით ეს ძეგლი უსათუოდ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის და, მამასადამე, ჩვენი თეზის თანახმად, იბერთა ხანას ჩვენი ისტორიისას. ამ თხზულებაში მოხსენებულია ვარსკენ ქართლისა პიტიახში, ქმარი შუშანიკისა, რომელმაც ქრისტიანობას უღალატა, მახდენობა მიიღო და თან შეეცადა შუშანიკიც მოექცია მახდენობაზე, მაგრამ ვერას ვახდა და ამიტომ ციხეში ჩასვა შუშანიკი, რომელიც იქ გარდაიცვალა ექვსი წლის გაწამებული სიცოცხლის შემდეგ, 475 წელს. მოლაღატე რენეგატი ვარსკენი კი ვახტანგ გორგასალმა მოაკლევინა 484 წ. „შუშანიკის წამება“ დაწერილია მისივე კარის მღვდლის, იაკობ ცურტაველის მიერ, დაახლოვებით 476 — 483 წლებს შორის და ის უძველესი ძეგლია ქართული ორიგინალური მწერლობისა. როგორც აღენიშნეთ, ვარსკენი, შუშანიკის ქმარი, ამ თხზულებაში ქართლის პიტიახშიად არის მოხსენებული. ქართლის პიტიახშიადვე იხსენიება თხზულებაში ვარსკენის მამა, არშუშა პიტიახში. ამის მიხედვით მკითხველს შეუძლია დაასკვნას, რომ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულა უკვე ქართლისა და არა იბერთა სახელმწიფო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ქართლად აქ იგულისხმება არა მთელი აღმოსავლეთი საქართველო, არამედ ერთი მისი შემადგენელი ნაწილი, ერთი პროვინცია, რომელიც ჰერეთის მოსაზღვრედ ჩანს და იმ დროს სპარსეთს ემორჩილება, თუმცა ნომინალურად იბერიის ნაწილს შეადგენს. ეს არის ჩვენი მერმინდელი დროის სომხითი, როგორც სამართლიანად ფიქრობს ჯ. კეკელიძე. შუშანიკის მარტილობაში ქართლის მეფე სრულიად არ იხსენიება. ვარსკენი სპარსეთის მეფის სრულს განკარგულებაშია. უკანასკნელი იწვევს მას თავის კარზე, ჰვზავნის ჩორდში (დარუბანდში), აომებს ჰუნებთან და სხვა.

იმ დროს ჰერეთი და ქართლი შეადგენდა ერთ საპიტიახშოს, რომელიც, როგორც აღენიშნეთ, ნომინალურად იბერთა სახელმწიფოს ეკუთვნოდა, მაგრამ ფაქტიურად ირანს ემორჩილებოდა, ირანის მეფის პიტიახშის განკარგულებაში იყო. ამ აზრს მხარს უჭერს ბოლნისის ბაზილიკის გარშემოთხრობისას აღმოჩენილი წარწერაც 493 — 494 წლისა. თუ „შუშანიკის წამება“ ქართული ორიგინალური ლიტერატურის, უძველესი ძეგლია, ბოლნისის წარწერაც უძველესი ეპიგრაფიკული ქართული ძეგლია, ჩვენამდის მოღწეული.²

¹ ივანე ჯავახიშვილი. „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“; გამოცემა მეორე, გვ. 13 — 26. ილია აბულაძე — „იაკობ ცურტაველი, მარტილობა შუშანიკის“. ქართული და სომხური ტექსტები. თბილისი, 1938. ჯ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურა, მეორე გამოცემა, გვ. 110.

² ლ. მუსხელიშვილი. „ბოლნისი“, ენიშის მოამბე, III, 1938, გვ. 325, სურათები 10 და 11. ჯ. ხუბინაშვილი. „Болниса“. „ენიშის“-ს მოამბე, IX, გვ. 69. ამ შესანიშნავ ნაშრომებში წარმოდგენილია აუარებელი ნახაზები, სურათები და დეტალები შენობისა ყოველგვარის განმარტებით. ზოლო საზოგადო გვემის შესახებ (გვ. 7 — 8) ნათქვამია, სხვათა შორის, რომ ბაზილიკის თავ კარბუსს აღმოსავლეთის მხრივ მიშენებული აქვს, შედარებით ძველს დროს, ცალკე ეკლდერი, იმავე მასალით აგებული, რომლითაც, თავი ტაძარი. შესასვლელი აქვს ერთი, ტაძრის მხრიდან. ის შეუჭრიათ ჩრდილო ნეფის აღმოსავლეთ კედელში (იხ. სურათი 1, გვ. 8). არ არის განმარტებული, თუ რა დანიშნულება ჰქონდა, ან რას წარმოადგენდა ეს ეკლდერი?

მაგრამ უცნაურია, რომ წარწერა სრულებით არ იხსენიებს იმ დროის ადგილობრივ მეფეს — იყო ეს იბერიის თუ ქართლის მეფე; არ ხსენდება ან იმ დროის პიტიახშს, არც სხვა ხელისუფალს ან მოხელეს. წარწერაში ნათქვამია მხოლოდ, რომ შენობა დაუწყიათ მეოცე წელს ირანის მეფის პეროზის მეფობისას (478—479) და ათხუთმეტი წლის შემდგომად გაუთავებიათ (493—494). მოსალოდნელი იყო, რომ წარწერაში მოხსენებული ყოფილიყო ვახტანგ გორგასალი, რომელმაც ქართულ ეკლესიას დამოუკიდებლობა მოუპოვა და თვით ბოლნელიც წარჩინებულ ეპისკოპოსად გახადა. ამშენებული ეკლესიისა, დავით ეპისკოპოსი, რა თქმა უნდა, იმ დროის პირველხარისხოვანი მოღვაწეა თუნდაც მარტო იმ ფაქტის მიხედვით, რომ ის ასეთ შესანიშნავ და გასაოცარ, დიდებულ ტაძარს აშენებს. ამას გარდა, ის მონაწილეობს ალბანეთის, სომხეთის და იბერიის გაერთიანებულ საეკლესიო კრებაში, რომელიც იყო მოწვეულად ღვინში 506 წელს, და ამ კრების აქტებს ხელს აწერს მეხუთე ადგილზე. რით უნდა აიხსნას სიჩუმე, მოუხსენებლობა ადგილობრივი მეფისა, ან იმ დროის პიტიახშისა, ან ირანის იმ მეფისა, რომლის დროსაც დამთავრდა ბოლნისის ბაზილიკის შენება? ამ კითხვის პასუხს იძლევა გ. ჩუბინაშვილი, რომელსაც არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ. მისი აზრით, ეს გამოწვეულია დავით ეპისკოპოსის პოლიტიკური სიფრთხილით. ბოლნისი იმ დროს საპიტიახშო რაიონში შედიოდა და პიტიახში აღარ სცნობდა თავის დამოკიდებულებას ადგილობრივი მეფისაგან. ამიტომ დავითი, სიფრთხილის გამო, არ იხსენიებს არც ადგილობრივ მეფეს, არც იმ დროის პიტიახშს, არამედ მხოლოდ ირანის გარდაცვლილს მეფეს, რომლის დროსაც დაწყებულა შენობა (ხსენებული ნაშრომი, გვ. 84).

ბერძენ-რომაელთა ისტორიკოსები და საზოგადოდ უცხოელი მემკვიდრეები და მწერლები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მარტო იბერთა სახელმწიფოს იცნობენ, იბერთა შეფეებს იხსენიებენ, ხოლო ქართლის სამეფო, სახელი „ქართლი“ და „საქართველო“ მათთვის უცნობია. მეორეს მხრით, საქართველოს თუ ქართლის ისტორიკოსთა არცერთ ჩვენამდის მოღწეულ თხზულებასა და მატრიანში სიტყვა „იბერია“, „იბერი“ ანუ „იბერნი“ არ იხსენიება. მათ არ იციან იბერთა ტომის და იბერიის სახელმწიფოს არსებობა ქართლის ტერიტორიაზე, ან, თუ იციან ან გაუგონიათ, განგებ არ იხსენიებენ — იმ რწმენით და მოსაზრებით, რომ იბერები იგივე ქართლები იყვნენ. ჩვენამდის მოღწეული, უცხო ენებზე დაწერილი ეპიგრაფიკული ტექსტებიც იბერთა მეფეებსა და იბერებს იხსენიებენ მხოლოდ.

მაგრამ არსებობს ერთი ჩვენთვის ფრიალ საყურადღებო ძეგლი, რომელზედაც, ჩვენის აზრით, იბერებთან ერთად — დამახინჯებულად, მაგრამ

ამიტომ ნებას ვიძლევა ჩვენს თავს გამოვსთქვათ მოსაზრება, რომ ეს უნდა იყოს სამარხი ბოლნისის სიონის აღმშენებლის, დავით ეპისკოპოსისა, მისი გარდაცვალების შემდეგ, სულ ახლო ხანში მიშენებული. ასეთი შეგუბილი ზარზმადან ვიცით: სერაპიონ ზარზმელი დამარხულია აღმოსავლეთის მხრით მიშენებულ განცალკევებულ ეკდარში (იხ. ჩვენი „შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ“. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, I, გვ. 118—120). ასეთი სამარხის ხასიათი უნდა ქონდეს აგრეთვე ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთ ეკდარს, რომელიც აღნიშნულია რუს. მეფისაშვილის საკანდიდატო დისერტაციაში. ეკდარი აქაც უნდა წარმოადგენდეს ეკლესიის აღმშენებლის — ნიკოზელი ეპისკოპოსის სტეფანეს — სამარხს.

მინც — იხსენიება ქართულელებიც. ეს ძეგლი არის პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის მედალთა განყოფილებაში დაცული ონიქსის საუკეთესო ნიმუში, რომელზედაც წარმოდგენილია სასანიდურ ყაიდაზე ამოკვეთილი მარტრეტი — თქმა არ უნდა, ბეკედის პატრონისა, პატიახშის ხელისუფლების მქონე პირისა. ამ ბეჭედს და მის წარწერას უკვე აქვს ვრცელი „ლიტერატურა, რომელიც ნაჩვენებია პოლ პეტერსის სტატიაში: „Sainte Sousanik, matrire en Armeno — Géorgie“, *Analecta Bollandiana*, t. LIII fasc. III — IV. Bruxelles, 1935. P. 274—279. ბეჭედს ბერძნულად აწერია: „უხას (უშას) პიტიაქეს იბერონ კარხედონ“. ამ ოთხ სიტყვაში ორი ნათელია და არავითარ ეჭვს არ იწვევს. ეს არის „პიტიაქეს იბერონ — იბერთა პიტიახში“. მკვლევარნი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ სიტყვა „პიტიაქეს“ ქართული „პიტიახში“ ფორმით არის წარმოდგენილი და არა სომხური „ბღეზმ“-ის, ან ბერძნულ-ლათინური „vitax“, „vitaxa“-სი. ამასთანავე ყველამ ერთხმად აღნიშნეს, რომ პირველი სიტყვა ასონაკლულად არის წარმოდგენილი, და რომ მასში უნდა ვიგულისხმოთ „(არშ) უშა“, და ეს არშუშა არის „შუშანიკის მარტილობაში“ და ლაზარ ფარპიელის ისტორიაში მოხსენებული არშუშა პიტიახში. ის კი ვერავის აუხსნია დანამდვილებით, თუ რით არის გამოწვეული მისი სახელის, ასონაკლულად გამოსახვა. ზოგი ამას ასოების ამომჭრელის შეცდომით ხსნიდა.

პეტერსმა კი ეს საკითხი სხეანაირად გააშუქა. მისი აზრით, ეს სიტყვა შედგება ორი ნაწილისაგან და მათგან „არშ“ თავსართია, პრეფიქსია, რომელიც სხვა სიტყვებშიც გვხვდება (მაგალითად „არშა-ლოის“ (რეირაიკი“), რომლის ჰეორე ნაწილი „ლოის“ — ნიშნავს „სინათლეს“). ეს აფიქრებინებს ავტორს, რომ ხსენებული პრეფიქსი აღმატებულობის პატივის შემცველია და მას შესადაარებლად მოაქვს სახელებიც: არშ-აკ, არშ-არუნი, არშ-ავირ, არშ-ოტს (-აშოტ), ვალ-არშ, ვალ-არშაკ. ყველა ეს მაგალითი, პეტერსის აზრით, იმის მანვენებელია, რომ აქ სიტყვის ამომჭრელის შეცდომა კი არ არის, არამედ, ფალაური და ქართული დამწერლობის ჩვეულებისამებრ, ეს სახელია შემოკლება, დაქარაგმებაა (იხ. ხსენებული ნაშრომი, გვ. 274 — 275).

მაგრამ, ამგვარი ახსნაც, თქმა არ უნდა, მიუღებელია. ქართულ დამწერლობაში არსად არ შეიმჩნევა, რომ ქარაგმით შემოკლებულ სიტყვას პირველი ნაწილი, თუნდაც პრეფიქსი, სრულიად მოშორებული ჰქონდეს. შემოკლებული სიტყვა ყოველთვის იწყება იმ ასოთი, რომლითაც უნდა იწყებოდეს შეუშოკლებელი სიტყვაც, ქარაგმით გამოსახული. ამიტომ, ჩვენის აზრით, პიტიახშის სახელი ბეჭედზე უცვლელად, უნაკლოდ არის წარმოდგენილი და ეს სახელია უშა, ანუ, უკედ რომ ითქვას — და ამას ჩვენ ხაზს ვუსვამთ — უჩა. როგორც ვიცით, ბერძნულ ენაში არც ბგერა „შინი“ მოიპოვება და არც „ჩინი“. ერთსაც და მეორესაც ბერძენი უცხო ენიდან ნასესხებ სიტყვაში „სანით“ გამოხატავს. ზემოაღნიშნული ორი ვარიანტიდან კი უფრო მისაღებია უჩა, რადგანაც ეს მამაკაცის სახელი ახლაც ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. ამის მიხედვით სრულიად ზედმეტი და მიუღებელი იქნება, რომ ჩვენს ბეჭედზე მოხსენებული პიტიახში არშუშად ვიცნოთ.

ქართულ ძეგლებში ორი არშუშა პიტიახშია ცნობილი: ერთი მეხუთე საუკუნისა, „შუშანიკის წამებაში“ მოხსენებული ვარსკენ პიტიახშის მამა, მეორე

მეექვსე საუკუნის მეორე ნახევრისა, ესტატე მცხეთელის მარტივილობაში მოხსენებული. არც ერთ მთავანს ჩვენი ბეჭდის პიტიახშთან კავშირე არაა დასტურებული. ჩვენი ბეჭდის უნა თუ უშა უფრო ადრინდელი პიტიახში არის, ვიდრე ჩვენი ბეჭდის ხსენებული ორივე არშუშა.

საქართველოს ისტორიაში ერთ ხანს ამ ორი არშუშას გარდა სხვა პიტიახში ცნობილი არ იყო და მკვლევარნი იძულებულნი იყვნენ ბეჭდის წარწერაში ეცნოთ მეტოეთ საუკუნის არშუშა პიტიახში. მაგრამ მცხეთა-არმაზის გათხრების შედეგად გამოჩვეულია, რომ საქართველოში ძველი დროიდანვე არსებულა მთელი ინსტიტუტი პიტიახშებისა, უმცროსთა და უფროსთა, ანუ ღიდთა: ამრიგად წარწერის პირველი სამი სიტყვის მნიშვნელობა გამოჩვეულია. დაგვჩნა სიტყვა კარხედონ. ამ სიტყვამ აზრთა უფრო მეტი სხვადასხვაობა გამოიწვია მკვლევართა შორის. ზოგის შეხედულებით აქ იგულისხმება გუგარქის მცხოვრებნი, ზოგის აზრით კახეთის მცხოვრებნი. პეტერსმა მესამე მოსახრებაც წამოაყენა: მისი შემეცნებით კარხედონში უნდა იგულისხმებოდეს კოლხიდონ, ე. ი. კოლხთა ტომი (იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 275 — 277).

ამ ბეჭდის წარწერის ახსნა სცადა პ. ინგოროყვამაც. მისი აზრით, ქვემო ქართლის, გოგარენეს პიტიახშებს, გარდა „შუშანიკის წამება“-ში მოხსენებული არშუშასი და მისი ძის, ვარსქენისა (V საუკ.) ეკუთვნოდა კიდევ ბარცამ-უშა, ქართველი მთავარი, რომელიც, თანახმად თეოფანე ეპითაღმწერლისა (1,39) დაიღუპა თბილისის ბრძოლაში — 618 წელს, ირაკლის ლაშქრობის დროს და აგრეთვე უშა ქართველთა პიტიახში კარქედისა, რომელიც გამოსახულია პარიზში დაცულ მის სატეფარ ბეჭედზე, წარწერით:

„უსას (უშას) პიტიაქეს იბერონ კარხედონ“.

ე. ი. ჭუშა, პიტიახში ქართველთა (იბერთა) კარქედისაჲ“.

უკანასკნელ სიტყვას პ. ინგოროყვა ასე განმარტავს: ქვემო ქართლის პიტიახშთა რეზიდენცია განიანში იყო, მაგრამ მათ მეორე, საზაფხულო რეზიდენციაც ჰქონდათ. კლდე-კარში, რომლის პარალელური სახელი ყოფილა კარქედით. ეს ახსნაც, რა თქმა უნდა, მიუღებელია: არსაიდან არ ჩანს, რომ კლდეკარის მეორე სახელი ყოფილიყო კარქედი — ეს ხელოვნურადაა შეთხზული. ამას გარდა, აშკარაა, რომ „კარხედონ“, ისევე როგორც „იბერონ“, ტომის სახელია და ორივენი მრავლობითი, რიცხვის ნათესაობით ბრუნვაშია მოქცეული.

ჩვენ გვგონია, რომ „კარხედონ“ ბერძნული დამახინჯებული გამოთქმა სიტყვისა — „ქართველთა“. ასეთი დამახინჯება ქართული სახელებისა ბერძნულში ჩვეულებრივია. საქმარისია დავსახელოთ საეკლესიო კრების (506 წელს) მონაწილე ეპისკოპოსთა ნუსხა, ბერძნულიდან სომხურად თარგმნილი, რომელშიც გეოგრაფიული სახელები ისეა დამახინჯებული, რომ შეუძლებელი ხდება ზოგიერთი ეპისკოპოსის სამწყსოს გამოცნობა. აგრეთვე ორი საერისთაოს სახელი, რომელიც ადარნასე ქართველთა მეფის და კურაპალატის საკუთრებას შეადგენდა, კონსტანტინე პორფიროგენეტის წიგნში ისეა დამახინჯებული, რომ მათი გამოცნობა შეუძლებელი ხდება (იხ. ჯავახიშვილი. „ქართ. ერის ისტორია“, 1913, II, გვ. 397). კოლხთა სახელით ახსნა სადაო სიტყვისა შეუძლებელია, რადგან კოლხიდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს შეადგენდა და ორ სხვადასხვა სახელმწიფოს ერთი პიტიახში შეუძლებელია ჰყოლოდეს. აგრეთვე მიუღებელია სიტყვა „ჭახთა“ იგულისხმობთ კარხე-

დონ-ში, ვინაიდან, ძველ დროს, რომელსაც ეკუთვნის ბეჭედი, კახეთი ალბანეთის ნაწილს შეადგენდა და ალბანეთის სახელით იქნებოდა მტკიცე და მტკიცე („ალბანონ“). კიდევ უფრო ნაკლებ მისაღებია გუგარელთა მცხოვრებლობის ხმით კარხედონ-ში, თუ კი გუგარქი იგივე ქართლი არ არის და მისი მცხოვრებნი ქართველები არ იყვნენ. ამას გარდა, თვით ტექსტის შინაარსი გულისხმობს, რომ უჩა არის პიტიახში ორი ტომისა, რომელნიც ერთად ცხოვრობენ და ერთ სახელმწიფოში არიან გაერთიანებული. იბერთა სახელმწიფოც ორი მთავარი ტომისაგან შედგებოდა — იბერებისა და მათი ახლობელი მონათესავე ქართვების, ანუ ქართლელებისაგან. ამის მიხედვით შეუძლებელია „კარხედონ“-ში სხვა ხალხი, სხვა ტომი ვიგულისხმოს, თუ არ ქართლელები. ამიტომ ამ საყურადღებო ბეჭდის წარწერის ქართული თარგმანი ჩვენ ასე გვაქვს წარმოდგენილი:

„უჩა პიტიახში იბერთა-ქართლელთა“.

ამრიგად, ბეჭედზე გამოხატული პიტიახში არ არის არშუშა პიტიახში, ვარსკენ პიტიახშის მამა, არამედ სხვა პიტიახშია, უფრო ძველი დროისა. არშუშა და მისი შვილი ვარსკენი მართო ქართლის პიტიახშიები არიან და არა იბერიისა, უჩა კი სახელმწიფოს ორივე ამ ნაწილის პიტიახშია, იბერიისა და ქართლისა. ეს ის დროა, როდესაც მთელი იბერია სპარსეთის ვასალად არის ქცეული და სპარსთა მიერ დადგენილი ერისთავი ანუ, მათი სიტყვით, პიტიახში, თვალყურს ადევნებს იბერიის მეფის მოქმედებას. ჯურადლების ღირსია, რომ სპარსელები თავიანთ პიტიახშიებად უფრო ხშირად მათ მომხრე იბერიელებს თუ ქართლელებს ადგენენ და მათი საშუალებით უფრო დიდ შედეგებს აღწევენ. არშუშა და ვარსკენ პიტიახშიები ქრისტიანი ქართლელებია და მხოლოდ შემდეგ იღებენ მაზდეანობას. როდესაც არშუშამ მაზდეანობა მიიღო, მისი ძე ვარსკენი ქრისტიანად დარჩა, მაგრამ როდესაც თვითონ გახდა ქართლის პიტიახშიად, მაშინ მანაც მიიღო მაზდეანობა. როგორც ეტყობა, ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია სრულ ვასალურ დამოკიდებულებაში ყოფილა სპარსეთთან. ეს იყო ვახტანგ გორგასალის გამეფებამდე, IV საუკუნეში და V საუკუნის დასაწყისში და ამ დროს უნდა ყოფილიყო უჩა, იბერთა და ქართლელთა პიტიახში. იბერია სპარსეთის ვასალობისაგან პირველად ვახტანგმა გაათავისუფლა, მაგრამ ბოლო დროს ერთი ნაწილი იბერიისა — ქართლი (ე. ი. მერმინდელი „სომხითი“) და ჰერეთი — მაინც სპარსეთის საპიტიახშიოდ გადაიქცა და როდესაც ვარსკენმა პირადი ანგარიშით მეტისმეტი ერთგულება გამოიჩინა სპარსეთისადმი, მაზდეანობა მიიღო და შუშანიკი აწამა, ვახტანგმა ის მოაკვლევინა.

მეექვსე საუკუნიდან, როდესაც ჰეგემონიას ქართლელები იგდებენ ხელში, იბერები თანდათან ჰკარგავენ თავის დამოუკიდებელ სახეს. მერვე საუკუნის ბოლოსათვის ბარის იბერები ითქვიფებიან გაბატონებულ ქართლელებში და ჰკარგავენ თავიანთ ხანმეტ კილოს, მაგრამ მათ წარმომადგენლებს (ყოველ შემთხვევაში ლინგვისტურად), კავკასიონის მთებში შეხიზნულ ჯგუფებს, ფხოველებს, ეს ხანმეტობა ასე თუ ისე დღესაც დაცული აქვთ.

იბერთა და ქართვების ტერიტორიის საზღვარი ჯერ კიდევ საძიებელია, მაგრამ ის კი უდაოდ უნდა ჩაითვალოს, რომ ქართვების საცხოვრებელი მოქცეული იყო იბერთა, მესხთა და სომეხთა ტერიტორიებს შორის. მესხებს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის მიჯნაზე უკვე ის ტერიტორია ეკირათ, რომე-

ლიც მათ შერჩათ საქართველოს ჩამოყალიბების შემდეგ, ე. ი. ზემო ქართლი; ხოლო ქართველს იბერებისაგან ჰყოფდა, საზოგადოდ, მტკვარი: იბერებს ეძღვნოთ ამ მდინარის ჩრდილოეთით მდებარე მხარე. ჩვენ განვებ ვამბობთ: „საქართველოდ“, ვინაიდან ზოგ ადგილებში ორსავე მხარეზე იქნებოდა, თქმა არ უნდა, შეჭრილი ანუ შერეული მოსახლეობა ორთავე ტომისა. იბერთა წარმომადგენელი — მთიულნი, მოხევეები და თუშ-ფშავ-ხევსურები, დღესაც ზომ მტკვრის ჩრდილოეთით ცხოვრობენ. მცხეთა იყო იბერთა თავი ქალაქი, ხოლო არმაზი ქართლის ტერიტორიას ეკუთვნოდა და უძველესი დროიდან მას თითონ ეწოდებოდა ქართლი, მანამ, სანამ იქ არ აღმართეს კერპი არმაზისა. ამას ამოწმებს ლეონტი მროველიც („ქართლის ცხოვრება“, მარამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 5, ანასეული ვარიანტი, გვ. 4). აზრი, ვითომც არმაზი უფრო ადრე იყოს აშენებული, ვიდრე მცხეთა (ლ. მელისქეთბეგი, ჟურნალი „მომავალი“ № 2, 1921 წ.) სწორი არ უნდა იყოს და ეს მართებულად აქვს აღნიშნული ს. კაკაბაძესაც („საისტ. კრებული“, 1, 1924, გვ. 13).

3. ინგოროყვა უფრო შორსაც მიდის და ამბობს: „არმაზი იყო იბერიის სამეფოს ნამდვილი დედაქალაქი, პირველი მეტროპოლია და რელიგიური ცენტრი ქვეყნისა, ხოლო შემდეგ, როდესაც, I საუკუნეში, სრულიად იბერიის მეფეთა რეზიდენცია გადატანილ იქნა მცხეთაში, არმაზს ამის შემდეგაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, არმაზი რჩება რელიგიურ ცენტრად. აქ არის იბერიის სამეფოს პანთეონი, არმაზი ჰკარგავს პოლიტიკურ და რელიგიურ მნიშვნელობას IV საუკუნის პირველ ნახევარში, ქრისტიანობის მიღების შემდეგ.“¹ მაგრამ ეს ეწინააღმდეგება „ქართლის მოქცევის“ ცნობებს, რომელთა მიხედვითაც არმაზის შენობები და იქ აღმართული კერპები ეკუთვნიან ფარნავაზს და მის მომდევნო მეფეებს — საურმაგს, მირვანს, არსაკს და არიკს, ხოლო ახალი მცხეთის შენება დაიწყო ბრატმან მეფემ, განაგრძო მირვანმა და დაამთავრა როკმა.

მცხეთა უძველესი ქალაქია აღმოსავლეთ საქართველოსი. „ქართლის მოქცევის“ მატეიანის ცნობით ქართლები აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის დროს გაჩნდნენ. როდესაც ალექსანდრემ მტკვრის ნაპირები დაიპყრო და იქ მცხოვრებ პონებს და ბუნ-თურქებს მახვილი დასცა, მას თან ახლდა „აზოა, ო არიან“ ქართლისა მეფისა და როდესაც ალექსანდრე წავიდა, მან ამ აზოს „მიუბოძა მცხეთა საჯდომად და სამშლვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთად ცროლია“. ამის შემდეგ „ესე აზოა წარვიდა არიან ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვა სახლი და ათნი სახლნი მამამძმქეთანი და დაჯდა ძველ მცხეთას“ (იხ. ჩვენი „Описание рукописей Общества распространения грамотности.“ ტ. II, გვ. 709). არმაზი კი, იმავე მატეიანის ცნობით, დააარსა იმავე აზომ (იქვე). ეს ყველაფერი ლეგენდაა, მაგრამ მცხეთის ქალაქის არსებობა ალექსანდრეს დროს ფაქტია.

ერთი ერის, თუნდაც ტომის, გაბატონება მეორეზე ნებაყოფლობით არ ზდება. გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, თითქოს მაგალითად დასავ-

¹ „ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა“. „ენიმიკ“-ის მოამბე, X, 1941.

² ამ სიტყვას ჩვენ და სხვებიც მატეიანის ზელნაწერის განახლებული ტექსტის მიხედვით „არან“-ად ვვითხოვდით. განსვ. აკად. ს. ჯანაშიამ კი ცხადჰყო, რომ აქ ძველ ტექსტში „არიან“ წერებულა (იხ. „ენიმიკის“ მოამბე, V — VI, თბილისი, 1940, გვ. 648).

ლეთ საქართველოში კოლხებმა თავის ნებით დაუთმეს ლაზებს ჰეგემონი-
ან ლაზებმა შემდეგ აფხაზებს. ასეთი რამ ხომ ყოველთვის ხანგრძლივად მდგრადი
შედგება. რა თქმა უნდა, ასეთსავე მოვლენას ექვემდებარება ადმოსავლეთ
ადმოსავლეთ საქართველოში. როგორც ეტყობა, ქართველთა და იბერელების შო-
რის წინათაც ყოფილა ცხარე ბრძოლა სახელმწიფოს მეთაურობისათვის და
ერთხელ ქართველი კიდევაც გამოყოფიან იბერებს და შეუქმნიათ სეპარატუ-
ლი სახელმწიფო არმაზში. ამ მოვლენის გამოძახილი დაცულია ჩვენს უძვე-
ლეს ქრონიკაში, „ქართლის მოქცევა“-ში. ეს არის ეგრეთწოდებული „ორ-
მეფობა“ ადმოსავლეთ საქართველოში, რომელიც პროფესორ პატარიძის სა-
საცილოდ არ ჰყოფნიდა და მან „ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობებს, მათ და-
სამცირებლად, ისეთი ინტერპრეტაცია გაუყეთა, თითქოს იქ ნათქვამი იყოს,
რომ ორთავე სამეფოს მთავარი ერთ დღეს იწყებენ მეფობას და ერთსა და-
იმევე დროს კედებიან. ნამდვილად კი „ქართლის ცხოვრება“-ში ამის მსგავსი
არაფერი არ არის. იქ მხოლოდ ზოგადი ქრონოლოგიური ხაზებით იგულის-
ხმება პარალელური მეფობანი და ეს მთავარი ხაზები სრულიადაც არ ნიშ-
ნავს იმას, რომ ორივე მხარის მეფენი ერთ დღეს აღიოდნენ ტახტზე და ერთ-
დღეს კედებოდნენ.

ეს ორმეფობა იწყება მცხეთის მე-11 მეფის, როკის დროს. მათიანე ამას
გვამცნობს შემდეგი სიტყვებით: „და მეფობადა ორად გაიყო, ორნი მეფენი
დასხდეს იმიერ (არმაზს) და ამიერ (მცხეთას)“. თავდება ორმეფობა მეჩვიდ-
მეტე მეფის მირდატის დროს, რომლის შესახებ მათიანეში სწერია: „და ამი-
საზე მოაკლდა არმაზი სამეფო და მცხეთას ოდენ იყო მეფობა“ (იხ. ჩვენი
«Описание рукописей Общества грамотности...» ტ. 11, გვ. 709—710)¹.

ცხადია, ქართველმა მთელ ადმოსავლეთ საქართველოს მეთაურობა ვერ
ჩაიგდეს ხელში, მაგრამ შესძლეს გამოყოფა იბერებისაგან და შექმნეს არმა-
ზის სეპარატული სახელმწიფო. ხოლო ექვსი მეფის გამოცვლის შემდეგ იძუ-
ლებულნი გახდნენ კვლავ დამორჩილებოდნენ მცხეთის იბერთა მეფეებს. ამ
აზრს ვერ დაარღვევს ისტორია ლეონტი მროველისა, რომელსაც ქართლის
მოქცევის ცნობა თავისებურად გადაუყეთებია და ისე წარმოუდგენია, თით-
ქოს მეფე ადერკიმ განუყო შეილებს თავისი სამეფო: „ვიდრე ადერკისამდე
ერთი დაჯდის ქართველთაგანი მეფედ, რაზომცა მრავალი იყვნენ შეილნი
მეფეთანი და ამას ადერკის ესხნენ ორი ძე, რომელთა განუყო ქალაქი მცხე-
თა და ქუეყანა მტკვარსა შიგა ქართლი, მცხეთა, მუხრანით კერძო და ყოვე-
ლი ქართლი მტკვარისა ჩრდილოით პერეთიდგან ვიდრე თავამდე მტკვარისა
და ეგრისისა ესე მისცა ბარტომს, ძესა თვისსა, ხოლო არმაზით კერძო ქალაქი,
მტკვარსა სამხრით ქართლი, ხუნანიდგან ვიდრე თავამდე მტკვარისა და
კლარჯეთი მისცა ქართამს, ძესა თვისსა“ (მარიაშვილი. ვარიანტი, გვ. 31,
ანასეული, გვ. 26, ბროსის გამოცემა, გვ. 57). ამათივე შეილები მეფობენ,
ლეონტის ჩვენებით, მცხეთას და არმაზს ორმეფობის დაცემამდის. მაგრამ
ეს სრულებით არ შეეფერება, როგორც აღვნიშნეთ, „ქართლის მოქცევის“
ქრონიკის ცნობას. მცხეთის და არმაზის სახელმწიფოთა გეოგრაფიული გა-
მიჯვნა კი სწორი უნდა იყოს. და თუ ეს ასეა, შესხები არმაზის, ესე იგი

¹ ქვემოთ უვლვან „ქართლის მოქცევის“ ამ გამოცემას ვუჩვენებთ.



ქართლის სამეფოს სფეროში მოქცეულან, რადგანაც მტკვრის სათავე, ხემა წელი, და კლარჯეთის უმეტესი ნაწილი მაშინ მესხებს ეჭირათ. მასთანადამე, ჰეგემონიისათვის ბრძოლა იბერთა და ქართველთა ნათაც ყოფილა, მაგრამ მეთაურობა აღმოსავლეთ საქართველოში ქართულ-ლებმა მხოლოდ VI საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლოდან იგდეს ხელში, სპარსელების ვერაგული პოლიტიკის დახმარებით და სახელმწიფოს სუვერენობის შეწირვით. საქმე ის არის, რომ მეხუთე საუკუნის იბერიაში ერთი მხრით გაჩაღებული იყო ბრძოლა ქართლის წარჩინებული აზნაურების ანუ ერისთავებისა მეფის ხელისუფლების შეზღუდვისათვის, რომელსაც მხარს უჭერდნენ, უნდა ვიფიქროთ, იბერთა აზნაურებიც, და მეორე მხრით თვალსაჩინოდ იმატა სპარსეთის სასანიდების გავლენამ და მიდრეკილებამ იბერიის სამეფოს დაპყრობისადმი. სპარსელებმა დაუჭირეს მხარი ქართლის აზნაურებს, დაამარცხეს მათ წინააღმდეგ ამხედრებული უკანასკნელი მეფე იბერიისა გურგენი, რომელიც თავის იმედებს ბიზანტიელების დახმარებაზე ამყარებდა, ამ უკანასკნელთა დაპირისპირებისამებრ, მაგრამ რომელსაც ბიზანტიელებმა შესაფერი დახმარება ვერ აღმოუჩინეს. ამის შემდეგ გურგენ მეფე იძულებული გახდა თავისი ოჯახით და დიდი ამალითურთ გადასულიყო ჯერ დასავლეთ საქართველოში, ლაზთა სახელმწიფოში, ხოლო იქიდან სულ გადასახლებულიყო ბიზანტიაში. ეს გადასახლება კატასტროფული გამოდგა იბერიის სახელმწიფოსათვის. მას აღმოსავლეთ საქართველოსათვის უფრო ცუდი შედეგი მოჰყვა, ვიდრე ვახტანგ VI გადასახლებას რუსეთში XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლოს; როგორც მეფეს გადაჰყვა რუსეთში ქართლის სამეფოს დიდრიცხოვანი და საუკეთესო წარმომადგენელი, რომელნიც საუკუნოდ ჩამოშორდნენ სამშობლოს და რომელთა შთამომავალი რუსთა შორის გაითქვიფნენ, ასევე, უნდა ვიფიქროთ, და უფრო მრავალრიცხოვანი წარჩინებული ნაწილი იბერიებისა, გურგენის მომხრე აზნაურები, ერისთავები და საეკლესიო მსახურნი, გადაყვნენ თავიანთ მეფეს ბიზანტიაში, სამუდამოდ მოშორდნენ სამშობლოს და დიდად შეასუსტეს თავისი ერი და ქვეყანა. ამით ისარგებლეს სპარსელებმა, იბერთა მეფობა გააუქმეს და მათი მომხრე ქართლის აზნაურები ანუ ერისთავები დაასაუქრეს ლატიფუნდიებით, ადგილ-მამულთა შემატებით, მისცეს მათ შეუვალობის სიგელები და ზოგიერთი ძალა-უფლება მმართველობის სფეროშიც. რაკი მეფე აღარ იყო, თითოეული ერისთავი ცალკე ექვემდებარებოდა სპარსელების მეთაურობას, თვით განაგებდა თავის საერისთავოს, ხარკს აძლევდა სპარსელებს. სწორია ჯუჟანშერის ქრონიკის მოწმობა: „დაუწყო (სპარსთა მეფემან) ზრახვად ერისთავთა ქართლისათა, აღუთქვა კეთილი დიდი და დაუწყრა საერისთავთა მათთა მამულები შეილითი შეილამდე და ესრეთ წარიბირა ლიქნითა და განდგეს ერისთავნი თვის თვისად, ხარკსა მისცემდეს ქასრეს ამბარვეზსა“ (მარიამისეული, გვ. 189 — 190, ანასეული, გვ. 142). მაგრამ ქართლის აზნაურების ხელსაყრედი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. სპარსთა ბატონობამ თანდათან უფრო სასტიკი ხასიათი მიიღო. ეს გამოიხატა როგორც აუტანელი ხარკის შემოღებაში, ისე ქრისტიანული რელიგიის გაუქმებაში

¹ ვანსე. აკად. ს. ჯანაშიას ფრიად საუფრადღებო ნაშრომში „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“ (თბილისი, 1935 წ.) მკვლევარად არის გამოქვეყნებული ქართლის აზნაურთა ერთობლივი ბრძოლა ქართლის მეფის წინააღმდეგ, მეფობის გაუქმება და ფეოდალიზმის საბოლოო გამარჯვება VI საუკუნეში.

და მასდენური რელიგიის გავრცელებაში. ამან აზნაურთა შორის რაქცია გამოიწვია. უკვე 571—573 წლებში ისინი სომხებთან და ბიზანტიელებთან ერთად აწარმოებდნენ ომს სპარსელების წინააღმდეგ, ვინმე გურგენის ანუ გურგენის წინამძღოლობით. ამას გადმოგვცემს თეოფანე ბიზანტიელი. რომელიც მოგვითხრობს, რომ „ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის ომის განახლების დროს სომხებმა მოკლეს (მარზაპანი) სურენა, გაუდგინენ სპარსელებს და მიემხრნენ რომაელებს (ე. ი. ბიზანტიელებს) და სპარსელებს მაშინვე გადაუდგინენ იბერებიც და მიემხრნენ რომაელებს: მათ მთავრობდა (მეთაურობდა) გორგენი, ხოლო იბერთა დედაქალაქი ტფილისი იყო.“¹ ექვს გარეშეა, რომ ეს გორგენი ანუ გურგენი ერისთავი ყოფილა, ვინაიდან თუ არა ერისთავი, იმ დროს ვინ იქნებოდა იბერთა მთავარი ანუ მეთაური, წინამძღოლი? ამიტომ ბოლო დროს ამ გურგენს სამართლიანად მიაწერენ ვერცხლის ფულს, რომელზედაც სწერია მონოგრამა ბნ² მაგრამ ჩვენს ქართულ წყაროებში ეს გურგენი ცნობილი არ არის, ისე, როგორც ცნობილი არ არის იბერიის უკანასკნელი მეფე გურგენი. აღმოსავლეთ საქართველოში მეფობის გაუქმებას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და სხვა მისსავე ცნობაზე დამყარებული ქრონიკები ბაყურ მეფის დროს მიაწერენ. დაუსრულებელი ბრძოლა სპარსთა და ბიზანტიელთა შორის ამიერ-კავკასიის სამეფოთა თავიანთ მფლობელობაში მოქცევისათვის VI საუკუნის მეორე ნახევრიდან ბიზანტიელების გამარჯვებისაკენ გადაიხარა და ეხლა უკვე სპარსელების მიერ ყოველმხრივ შევიწროვებული ქართლის აზნაურები გონს მოვიდნენ, მათ პირი იბრუნეს ბიზანტიელებსაკენ და გადასწყვიტეს შეეჭმნათ ახალი, დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, მეფის მაგიერ დიდი ერისთავის ანუ ერისთავთ-ერისთავის მეთაურობით. ასეთ ერისთავად მათ განაჩინეს თუ გამოითხოვეს გუარამი, რომელსაც ბიზანტიის იმპერატორმა კურაპალატის ხარისხი მიანიჭა და ამით თავის მოკავშირედ გაიხადა იგი. თქმა არ უნდა, ამ განაჩენით ქართლის ერისთავებს თავის პრივილეგიებზე ხელი არ აუღიათ: მათ კვლავინდებურად შეინარჩუნეს ლატიფუნდიები და სრული გამგეობა თავიანთი მამულებისა; ახლად დადგენილი ერისთავი იყო მხოლოდ პირველი ერისთავი სხვა თანასწორ ერისთავთა შორის (primus inter pares), ანუ, როგორც ჯუანშერი ამბობს, „ერისთავთა მთავარი“ (გვ. 93).³ მაგრამ გუარამის არჩევას მანც უღარესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ის ითვლებოდა სახელმწიფოს მეთაურად და შეერთებული სამხედრო ძალების წინამძღოლად გარეშე მტერთა წინააღმდეგ, ამით დაიწყო დაშლილი სახელმწიფოს აღდგენა-განახლება და ჩამოყალიბდა ქართლის ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია ტიპური ფეოდალური სახისა, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ხანგრძლივი ევოლუციის შემდეგ, იქცა საქარ-

¹ ს. ყაუხჩიშვილი. „პირველი ბერძნული ცნობა ტფილისის შესახებ“. საქართველოს მეზღუდის მოაზრე, IV, გვ. 283.

² ამ ფულის შესახებ იხ. ს. ჯანაშია — *op. cit.*, გვ. 96; დ. კაპანაძე. „რამდენიმე შენიშვნა ე. წ. ქართულსასაწერი დრამების შესახებ“, საქართველოს „მეცნიერებათა აკადემიის მოაზრე“, ტ. VII, 1946, № 1—2.

³ გუარამ ერისთავს იოანე საბანისძე ერისთავთა-ერისთავის უწოდებს და აკად. ს. ჯანაშიას კვლევაზე უფრო რეალურად სწორედ ეს ტერმინი მიანიჩა (*op. cit.*, გვ. 92 100).



თელოს ფეოდალურ მონარქიად. ამრიგად VI საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში იბერთ სამეფო შესცვალა ქართლის სახელმწიფოში ისტორიის რაულინსონი არსებობდა — ს ა ე რ თ ო დ, იბერიის ისტორიის ხუთ პერიოდად ჰყოფს:

პირველი პერიოდი — კვიროსის მიერ იბერიის დაპყრობიდან (550-იან წლებში ქრისტეს წინ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდის, 331 წელს ქრისტეს წინ).

მეორე პერიოდი — მითრიდატ დიდის ამალვებამდის (112 წ. ქრისტეს წინ) იბერია დამოუკიდებელია.

მესამე პერიოდი — 112 წლიდან (ქრისტეს წინ) — 66 წლამდის (ქრისტეს წინ), ე. ი. იბერიაში და ალბანეთში პომპეუსის ლაშქრობამდის — იბერია იმყოფება მითრიდატ პონტოელის გავლენის ქვეშ.

მეოთხე პერიოდი — 66 წლიდან (ქრისტეს წინ) 364 წლამდის (ქრისტეს შემდეგ) — იბერია ფაქტიურად დამოუკიდებელია, მაგრამ ნომინალურად ირიცხება რომაელთა სუზერენიტეტის ქვეშ.

მეხუთე პერიოდი — 364 წლიდან 600 წლამდის, როდესაც იბერიი ჰქრებიან ისტორიის სარბიელიდან¹.

ჩვენი აზრით სწორია მოსაზრება, რომ იბერია მე-VI საუკუნემდის არსებობდა და ამ საუკუნეში ის ქართლის სამეფომ თუ არა, ქართლის ერისთავთა სამფლობელომ მაინც შესცვალა და შემდეგ კი ქართლის სამეფოდ იქცა. მაგრამ ეს მოხდა 523 წლიდან და არა 600 წელს. მართკ ამ მხრივ უნდა შესწორდეს რაულინსონის დასკვნა. სხვაფრივ მისი უკანასკნელი დებულება სწორია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის იბერული პერიოდი არის იმავე დროს მცხეთის პერიოდი, ხოლო ქართლის პერიოდი იწყება თბილისში და ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქად ხდება თბილისი, რომელიც, რა თქმა უნდა დიდი ხნით ადრეც იყო ცნობილი, ნამეტნავად როგორც ციხე-სიმაგრე.² ეს ცვალებადობა სატახტო ქალაქისა მშვენივრად არის მოთხრობილი „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაში, რომელიც, აღნიშნავს

¹ ზოგიერთი კრიტიკული შეხედულება რაულინსონის შესახებ იხ. წერილში „შესავალი აღროდიელ ტომთა ისტორიისა“ (თბ. საბ. უნივერსიტეტის შრომები, III, გვ. 279 — 280).

² „ქართლის მოქცევის“ ქრონიკით თბილისის ქალაქი ჯა მისი ციხე „კალა“ უკვე აშენებული ხანს მეფე ვარაზ-ბაკურის დროს (IV საუკ. ნახევარში), ვინაიდან იქ ციხეთხლოვით (გვ. 720): „და შაშინ მოიღდა ქრამ-ხუარ-ბორჯად, სპარსთა მეფისა პიტიახში, ტფილისად ქალაქად ციხედ“ (მელიქის ვარიანტით: „ტფილის და ედ ციხედ“, ესე იგი „ტფილისისა თა კალად ციხედ“). ლეონტი მროველს ეს ცნობა ისე გადაუცემებია, თითქოს თბილისი მცხეთის ციხედ სპარსთა ერისთავს აეშენებინოს: „შემოვიდეს (სპარსნი ქართლს, აღაშენა ერისთავიან სპარსთამან ტფილისი კართა შორის ციხედ მცხეთისა“ (მარიამისეული, გვ. 114; ანასეული, გვ. 86). მართალია მხოლოდ ის, რომ ამიერიდან თბილისი სპარსთა პიტიახშუმის რეზიდენციად იქცა, საიდანაც ივინი თვალუერს აღვჩენებდნენ მცხეთის ვასალური მეფეების მოქმედებას. ჯუანშერის ცნობით, ტფილისის საფუძველი ვახტანგ გორგასალმა დადო: „და ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისსა და საფუძველი ოდენ დადო“ (მარიამისეული გვ. 180). შუორე, ანონიმური ცნობა „კითომც ვახტანგმა არა თუ აღაშენა ტფილისი, არამედ მცხეთა ქალაქი შენ მისცევალ“ (თ. ეორდანია, „ქრონიკები“, II, გვ. 50). ჩვენი აზრით, არ არის მართალი, თუმცა ხ. კაკაბაძეს ეს სჯერა („სპარსთათი კრებული“, II, 1928, გვ. 64). ჯუანშერის ცნობით გურამ I დიდი კისარმა მცხეთას გამოგზავნა: „ამას გურამს მისცა კისარმან კურამალატობა, და წარგზავნა მცხეთას“ (მარიამისეული, გვ. 110; ანასეული, გვ. 142). მასთანავე, ვახტანგის დროს თბილისი სატახტო ქალაქად არ ყოფილა.

რა მეფობის მოსპობას აღმოსავლეთ საქართველოში, განაგრძობს: „მაშინ მცხეთად ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემტყდნენ მცხეთის და კალაი გაძლიერდებოდეს“ (გვ. 724).

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მესხების შემდეგ არსებობს ჯერ იბერთა სახელმწიფო; იგი 523 წლიდან ქართლის ერისთავთა სამთავროებით შეიცვალა; შემდეგ, მეცხრე საუკუნის დასასრულიდან, ქართლის სამეფოდ იქცა და ბოლოს, მეათე საუკუნის დასასრულიდან, გაერთიანებული საქართველოს სამეფოდ ჩამოყალიბდა. ძველ დროში იბერები და ქართველები ენობრივად უფრო ახლო იყვნენ ერთმანეთთან, ვიდრე ლაზ-ჭანები და მეგრელები, მაგრამ კილოკავებით მაინც განიჩქნოდნენ: იბერთა კილოკავი უმთავრესად¹ იყო ხანმეტი და, ამას გარდა, ისინი „კარ“-ს გამოსთქვამდნენ ხორხისმიერი ბგერით, რაც დღემდე შეინარჩუნეს ფხოველმა ტომებმა. ქართვების კილოკავი ამ ბგერას გამოსთქვამდა, როგორც „ხან“-ს (ლიტერატურაში კი ბგერა „კარით“ წერა შემორჩენილი იყო XIX ს-ის 1-ლ ნახევრამდე). უძველესი ქართული მწერლობა იბერთა ხანმეტ კილოზე წარმოიშვა და ჩამოყალიბდა, მაგრამ ქართვების გაბატონების შემდეგ თანდათანობით მათს ჰემეტ კილოზე გადავიდა. ეს პროცესი თითქმის სამ საუკუნეს გაგრძელდა. მეცხრე საუკუნიდან ქართლებების ჰემეტი კილო გაბატონდა და ქართულმა დამწერლობამ და ლიტერატურამ ამ ენაზე იწყო განვითარება. თუ ხანმეტობა ლიტერატურაში მე-9 საუკუნიდან ისპობა, იგივე არ ითქმის კარმეტობაზე. კარმეტობა ლიტერატურაში თითქმის მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდის გაგრძელდა. ხალხის სასაუბრო ენაში ის, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ადრე ისპობა, მაგრამ ლიტერატურაში გრძელდება, ოღონდ „ჭართი“ დაწერილ სიტყვებს „ხან“ ბგერით გამოსთქვამდნენ ხოლმე. ასეთია მდგომარეობა სალიტერატურო ენაში და თვით იმ ბარის იბერთა სახალხო ენაშიც, რომელნიც ენობრივად გაქრნენ. მაგრამ მისმა მთიულმა წარმომადგენლებმა, ფხოველთა ტომებმა, ხალხურ ენაში, ასე თუ ისე, დღემდის შეინარჩუნეს ხანმეტობაც და კარმეტობაც.

ამრიგად, ჩვენი აზრით, წოდება, „იბერიის მეფე“ და მაშასადამე იბერთა სახელმწიფოც ისპობა 523 წელს, გურგენ მეფის ბიზანტიაში გადასახლებისას და მას შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში იწყება ქართვების ანუ ქართლების მფლობელობა. თავდაპირველად განცალკევებულ ერისთავთა მფლობელობით, ხოლო 899 წლიდან, ადარნასე II მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღების შემდგომ, ქართველთა სამეფოს დამკვიდრებით. XI საუკუნეში, ბაგრატ მესამის დროს, როდესაც აფხაზეთი და ქართლი გაერთიანდა, შეიქმნა საქართველოს მთლიანი სახელმწიფო.

¹ ჩვენ ვაშბობთ „უმთავრესად“, კინაიდან სხვა წერილში განსხვავებანი აგრეთვე უსათუოდ არსებობდა.

პანო პალარი

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები კულტურის შესახებ



მარქსიზმ-ლენინიზმი წარმოადგენს კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი კულტურის უმაღლეს მიღწევას. მარქსმა და ენგელსმა საძიარკველი ჩაუყარეს კომუნისტურ მსოფლმხედველობას. მათ თავიანთ შრომებში მოგვცეს კულტურის დიალექტიკურ-მატერიალისტური ახსნა.

მარქსისა და ენგელსის შემდეგ მათი მოძღვრება ახალ პირობებში განავითარეს და გაამდიდრეს ლენინმა და სტალინმა.

მთელი ჩვენი მუშაობა კულტურის დარგში მარქსიზმ-ლენინიზმის მტკიცე საფუძველს ემყარება. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებში მოცემულია პირდაპირი მითითებანი ჩვენი კულტურის მშენებლობის თეორეტიკულ და პრაქტიკულ ამოცანათა გადასაჭრელად. ღრმად დაეუფლო მარქსიზმ-ლენინიზმს—ეს ნიშნავს დაეუფლო კულტურის უმაღლეს მწვერვალს.

ამ წერილში მოკლედ განხილულია მხოლოდ ძირითადი საკითხები მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებისა კულტურის შესახებ.



წინააღმდეგ იდეალიზმისა, რომელიც ამტკიცებს, თითქოს ობიექტური სამყარო (ბუნება) რეალურად არ არ-

სებობს და თითქოს კაცობრიობის ისტორიას იდეები ან „სული“ მართავენ, მარქსიზმ-ლენინიზმი იქიდან გამოდის, რომ ობიექტური სამყარო არის მატერია, რომელიც მუდამ არსებობდა და იარსებებს რეალურად, ადამიანის ნებასურვილის დამფუძვლებლად, რომ სამყაროს მრავალფეროვანი მოვლენებში წარმოადგენენ მუდამ მოძრაობასა და ურთიერთკავშირში მყოფ მატერიის სხვადასხვა სახეებს, რომ მატერიალური სამყარო ვითარდება განსაზღვრული კანონზომიერებით, დიალექტიკურად.

ადამიანი ამ მატერიალური სამყაროს ნაწილია. ადამიანის ტვინი არის უმაღლესად განვითარებული, ორგანიზებული მატერია, რომელსაც უნარი შესწევს იაზროვნოს იმავე დიალექტიკური კანონის მიხედვით, შეიგრძნოს და შეიცნოს სამყარო, ბუნების მოვლენათა ურთიერთობანი და მოძრაობა, გადაიღოს მათი სახე, ასლი.

ადამიანის მიერ ობიექტური სამყაროს შეგრძნება, შეგნება, ასახვა მიახლოებითია, მაგრამ ეს მიახლოება თანდათან ზუსტდება, კეშმარიტდება. ამ სიზუსტის შემოწმება ხდება პრაქტიკაში. პრაქტიკა თეორიის კრიტერიუმი.

„...მატერია პირველადია, ვინაიდან იგი წარმოადგენს შეგრძნებათა, წარ-

მოდგენათა, ცნობიერების წყაროს, ცნობიერება კი მეორადი, წარმოებულა, ვინაიდან იგი წარმოადგენს მატერიალის ანარეკლს, ყოფიერების ანარეკლს...¹

მარქსმა და ენგელსმა დაადგინეს ცნობიერების დამოკიდებულება ყოფიერებისაგან, ზედნაშენისა ბაზისისაგან, თეორიისა პრაქტიკისაგან, ხელოვნებისა სინამდვილისაგან. მარქსის კლასიკური განსაზღვრით „...საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც ცნობიერების განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმები შეესაბამება. მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განსაზღვრავს სოციალური, პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრების პროცესს საზოგადოდ. ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას“.²

„საზოგადოებრივი ურთიერთობანი, — ამბობს ლენინი, — იყოფიან მატერიალურ და იდეოლოგიურ ურთიერთობებად. უკანასკნელნი წარმოადგენენ მხოლოდ ზედნაშენს პირველებზე, რომლებიც ყალიბდება ადამიანის ნებისყოფისა და შეგნების გარეშე“.³

მაშასადამე, საზოგადოებრივ სულიერი ცხოვრების, სულიერი კულტურის (იდეების, თეორიების, პოლიტიკური

დაწესებულებების, ხელოვნების, ლიტერატურის...) ჩამოყალიბებულს წყაროს უნდა ეძებდეთ *„კლასიკურებში“*, არა „გამოჩენილ ადამიანთა თავებში“, „სულში“, „ღმერთში“... არამედ საზოგადოების მატერიალურ ცხოვრების პირობებში.

მაგრამ როგორ წარმოიშვა და განვითარდა სულიერი კულტურა?

ცვლიდნენ რა ბუნებას თავის სასარგებლოდ, ადამიანები იმავე დროს ცვლიდნენ თავის თავსაც: შრომის პროცესში ისინი ეცნობოდნენ ბუნების თვისებებს, აგროვებდნენ გამოცდილებას, ცოდნას, რომელსაც ერთმანეთს უზიარებდნენ, თაობიდან თაობას გადასცემდნენ.

„შრომა, — ამბობს მარქსი, — პირველ ყოვლისა, არის პროცესი ადამიანსა და ბუნებას შორის, პროცესი, რომელშიაც ადამიანი თავის მოქმედებით განსაზღვრავს, აწესრიგებს და კონტროლს უწყვეს ნივთიერების ცვლას თავისსა და ბუნებას შორის. ბუნების ნივთიერებას თვით ადამიანი უპირდაპირდება, როგორც ბუნების ძალა. მას მოძრაობაში მოჰყავს თავისი ორგანიზმის ბუნებრივი ძალები: მკლავები და ფეხები, თავი და ხელი, რათა ბუნების ნივთიერება თავისი არსებობისათვის გამოსადეგი ფორმით მიითვისოს. ამ მოძრაობის საშუალებით იგი მოქმედობს გარეშე ბუნებაზე, შეაქვს, მასში ცვლილება და იმავე დროს შეაქვს ცვლილება თავის საკუთარ ბუნებაშიაც. იგი ავითარებს ამ უკანასკნელში მთვლემარე სხვადასხვა ნივთს და მათ ამოქმედებას თავის საკუთარ ძალას უმორჩილებს“.⁴

მაშასადამე, ბუნებაზე შრომითი შემოქმედების დროს ადამიანი არა მარტო ჰქმნის მატერიალურ დოვლათს, არამედ ვადის ერთგვარ „სკოლასაც“.

¹ ნ. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“. 1939 წ. გვ. 673.

² კ. მარქსი. „ჩრდილი ნაწილები“. ტ. I. 1935 წ. გვ. 317.

³ ციტატი ამოღებულია წიგნიდან „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი“, წიგნი 2, 1934 წ. გვ. 405.

⁴ კ. მარქსი „კაპიტალი“, ტ. I. გვ. 138.

იგი ანეითარებს როგორც კუნთებს, ისე ტვინს, აზროვნებას, გონებას. წარმოების პროცესში ადამიანის ტვინი სულ უფრო და უფრო სწორად ასახავდა ბუნებას, ანზოგადობდა მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას და იყენებდა მას თვით ბუნებაზე გასაბატონებლად.

„ადამიანის გონება იმისდა პროპორციულად ვითარდებოდა, როგორც ადამიანი სწავლობდა ბუნების შეცვლას“, — ამბობს ენგელსი.¹

მაგრამ შრომის განვითარება-გართულების განსაზღვრულ საფეხურზე შრომა დანაწილდა: სულიერი კულტურა მატერიალურს გამოეყო.

შრომის ნამდვილი დანაწილება, როგორც მარქსი ამბობს, მაშინ წარმოიშვა, როცა საწარმოო იარაღების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე გონებრივი შრომა ფიზიკურს გამოეყო.*

თუ მანამდე ადამიანთა იდეები, წარმოდგენები, აზროვნება, უშუალოდ გადახლართული იყო მატერიალურ წარმოებასა და ადამიანთა მატერიალურ ურთიერთობასთან, ამ მომენტიდან ადამიანის გონებამ, აზროვნებამ მიაღწია იმას, რომ შექმნა „სუფთა“ თეორია, ფილოსოფია, ეთიკა, რის შედეგად ზოგიერთ გონებრივ მუშაქს შეექმნა ისეთი წარმოდგენა, თითქოს მისი აზროვნება მატერიალური ცხოვრებისაგან დამოუკიდებელი რამ არის. სინამდვილეში კი იგი არა მარტო წარმოიშვა მატერიალური წარმოების განსაზღვრულ ეტაპზე, არამედ წარმოადგენდა ამ მატერიალური ცხოვრების ასახვასა და პრაქტიკული გამოცდილების განზოგადობას.

ამგვარად, „ხელების, მეტყველების ორგანოებისა და ტვინის ერთობლივი

მუშაობის წყალობით, როგორც ცალკე პიროვნულად, ისე მთელს საზოგადოებაში, ადამიანმა მოიპოვა შესაძლებლობა სულ უფრო რთული ოპერაციების შესასრულებლად, მას შეეძლო დაესახა და სისრულეში მოეყვანა უფრო მაღალი მიზნები. თვით, შრომა თაობიდან თაობამდე ღებულობდა სხვა ხასიათს, უფრო სრულს და მრავალმხრივს. ნადირობასა და მესაქონლეობას დაემატა მიწის მუშაობა და ამას კიდევ რთვა და ქსოვა, ლითონების დამუშავება, მექურპლეობა, ნაოსნობა. ეპიჭობა-მრეწველობასთან ერთად ადგილს იკერს ხელოვნება და მეცნიერება; ტომებიდან განვითარდნენ ერები და სახელმწიფოები. განვითარდა სამართალი და პოლიტიკა და მასთან ერთად რელიგიაც — ეს ფანტასტიკური ასახვა ადამიანის თავში ადამიანთა მდგომარეობისა. ყოველივე ეს კაცს ეჩვენება, უწინარეს ყოვლისა, თავის (გონების) მოქმედების პროდუქტებად და ამიტომ უფრო უბრალო ნამოქმედარი ადამიანის ხელისა უკანა ადგილს იკერს მათთან შედარებით, მით უფრო, რომ საზოგადოების განვითარების სულ აღრინდელ საფეხურზე, (მაგ., პირველყოფილ ოჯახში) თავი, რომელიც ადგენდა მუშაობის გეგმას, ცდილობდა შეასრულოს ეს სამუშაო სხვისი ხელებით. თავს, ტვინის განვითარებას და მოქმედებას მიაწერეს მთელი დამსახურება სწრაფად მიმდინარე ცივილიზაციისა: ხალხი შეეჩვია თავისი მოქმედების განმარტების დროს გამოსულიყო აზროვნებიდან და არა საჭიროებისაგან, (რომელიც რასაკვირველია, ცნობიერდება, აისახება თავში): ამრიგად, დროთა განმავლობაში წარმოიშვა... იდეალისტური მსოფლმხედველობა“...¹

¹ ციტატი ამოღებულია წიგნიდან „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი“, წიგნი 1, 1934. გვ. 199.

² К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. IV, стр. 21.

¹ ფრ. ენგელსი „შრომის როლი“... (კ. მარქსი და ფრ. ენგელსი სახალხო განათლების შესახებ“, გვ. 20).

წინააღმდეგ იდეალიზმისა, მარქსიზმ-ლენინიზმი სულიერ კულტურას (იდეოლოგიას) უკავშირებს მატერიალურ ბაზისს (ეკონომიკას), როგორც მის წყაროსა და მისი განვითარების ერთ ძირითად განმსაზღვრელთაგანს, მაგრამ ამავე დროს ხაზს უსვამს მის შედარებით დამოუკიდებლობას.

მატერიალური წარმოების განმსაზღვრელი მნიშვნელობის აღიარებიდან სრულებითაც არ გამოდის ის დასკვნა, თითქოს სულიერ კულტურას-საზოგადოებრივ იდეებს, თეორიებს, დაწესებულებებს, ხელოვნებას... მნიშვნელობა არ ჰქონდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თითქოს ისინი არ ახდენდნენ პირუტყუ გავლენას საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, ეკონომიკის განვითარებაზე და პასიური იყვნენ. ზევით ლაპარაკი იყო სულიერი კულტურის წარმოშობაზე, რაც შეეხება მის როლს და მნიშვნელობას, იგი სერიოზულ როლს თამაშობს საზოგადოების ცხოვრებაში, ისტორიაში. მას შეუძლია შეაფერხოს ან დააჩქაროს საზოგადოების განვითარება. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ეს თეორიები, იდეები, დაწესებულებები.

რეაქციული, დრომოკმული იდეები, თეორიები და სხვ. ხელს უშლიან საზოგადოების წინსვლას, პროგრესს, განვითარებას.

ახალი, მოწინავე იდეები, თეორიები, ხელოვნება... რომლებიც საზოგადოების მოწინავე ძალთა ინტერესებს ემსახურებიან, ხელს უწყობენ საზოგადოების განვითარებას.

„ახალი საზოგადოებრივი იდეები და თეორიები, — ამბობს ამხანაგი სტალინი — აღმოცენდებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებამ საზოგადოებას ახალი ამოცანები დაუ-

სახა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი აღმოცენდნენ, ისინი ხდებიან უაღრესად სერიოზულ ძალად, რომელიც აადვილებს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებით დასახული ახალი ამოცანების გადაჭრას, აადვილებს საზოგადოების წინსვლას. სწორედ იქ იჩენს თავს ახალი იდეების, ახალი თეორიების ახალი პოლიტიკური შეხედულებების, ახალი პოლიტიკური დაწესებულებების უდიდესი მორგანიზებელი, დამარაზმავი და გარდამქმნელი მნიშვნელობა. ახალი საზოგადოებრივი იდეები და თეორიები სწორედ იმიტომ წარმოიშებიან, რომ ისინი აუცილებლად საჭირონი არიან საზოგადოებისათვის, რომ მათი მორგანიზებული, დამარაზმავი და გარდამქმნელი მუშაობის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მომწიფებული ამოცანების გადაჭრა. წარმოიშენენ რა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებით დასახული ახალი ამოცანების ბაზაზე, ახალი საზოგადოებრივი იდეები და თეორიები გზას იკაფავენ, ხალხის მასების კუთვნილებად ხდებიან, რაზმად იქმნებიან, აორგანიზებენ მათ საზოგადოების მომაკედავი ძალების წინააღმდეგ და ამრიგად, აადვილებენ დამზობას საზოგადოების მომაკედავი ძალებისას, რომლებიც საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებას აფერხებენ“.¹

მარქსი ამბობს:

„თეორია ხდებდა მატერიალურ ძალად, როგორც კი იგი მასებს დაეუფლება“.²

მარქსიზმ-ლენინიზმის ძალა და ცხოველმყოფელობა იმაში მდგომარ-

¹ ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“, 1939 წ. გვ. 679 — 680.

² კ. მარქსი და ფ. ენგელსი. ტ. I. გვ. 406.

რეობს, რომ იგი ეყრდნობა მოწინავე თეორიას, აჰყავს თეორია მის შესაფერ სიმალღეზე და ბოლომდე იყენებს მის დამრჩაზე. მაორგანიზებულ და გარ-დამქმნელ ძალას.

ისტორია დღემდე არსებული მთე-ლი საზოგადოებისა არის კლასთა ბრძოლის ისტორია, ამბობდა მარქსი.¹

პირველყოფილი საზოგადოების შემდეგ, კლასების წარმოშობისთანავე, ისტორიის მამოძრავებელ მთავარ ძა-ლად იქცა კლასობრივი ბრძოლა, ბრძოლა კლასობრივი ინტერესებისათ-ვის.

ყოველი საზოგადოება* დაყოფილი იყო ორ ძირითად ბანაკად: მჩავერელ და დაჩაგრულ კლასებად. მონათ-მფლობელურ წყობილებაში ერთიმეო-რეს ებრძოდნენ მონები და მონათ-მფლობელები, ფეოდალიზმის დროს— ყმები და მემამულეები, კაპიტალის-ტურ ეპოქაში — პროლეტარიატი და ბურჟუაზია.

მაგრამ ბრძოლის შედეგად ერთი მჩავერელი კლასი იცვლებოდა მეო-რით: მონათმფლობელი — მემამულეთ, მემამულე — კაპიტალისტი. მხოლოდ პროლეტარიატის კლასობრივმა ბრძო-ლამ, ოქტომბრის დიდმა სოციალის-ტურმა რევოლუციამ მოუღო ბოლო ექსპლოატაციას, ანტაგონისტური კლა-სების არსებობას, მან შექმნა საბჭო-თა კავშირში წარმოების სოციალის-ტური სისტემა.

კლასობრივ საზოგადოებაში სულიე-რი კულტურაც კლასობრივი ხასიათის მატარებელია, კლასობრივი ბრძოლის იარაღია, რადგან ყოველი ადამიანი წარ-მოადგენს არა საზოგადოებისაგან იზო-

ლირებულ ინდივიდს ან ცხოვრების/ვა-სიურ მჭერეტელს, არამედ ცხოველური კლასის წარმომადგენელს, რომელიც დობრივ ცხოვრებაში აქტიურად მოქმედ პიროვნებას, რომელსაც გააი-ნია გარკვეული კლასობრივი მსოფლ-მხედველობა, რწმენა, მისწრაფება და რომელიც იბრძვის ცხოვრების გარ-დაქმნისათვის თავისი კლასობრივი ინ-ტერესებისა და მისწრაფებების შესა-ბამისად.

კლასობრივ საზოგადოებაში არ არ-სებობს ზეკლასიური, „თავისუფალი“ იდეოლოგია.

ლენინმა თავის მრავალ შრომაში და განსაკუთრებით სტატიაში „პარტიუ-ლი ორგანიზაცია და პარტიუ-ლი ლიტერატურა“ მოგვცა ლიტერა-ტურის პარტიულობის გენიალური განსაზღვრა:

„...სოციალისტურმა პროლეტარიატ-მა, — სწერდა ლენინი, — უნდა წა-მოაყენოს პარტიული ლიტე-რატურის პრინციპი, განავითა-როს ეს პრინციპი და ცხოვრებაში გაა-ტაროს იგი რაც შეიძლება უფრო სრუ-ლი და მთლიანი ფორმით.

რასი მდგომარეობს პარტიული ლი-ტერატურის ეს პრინციპი? ეს პრინცი-პი მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ სოციალისტური პროლეტარიატი-სათვის ლიტერატურული საქმე არ შეიძლება პირთა თუ ჯგუფთა მოგების იარაღი იყოს, იგი საზოგადოდ არ შეიძ-ლება იყოს ინდივიდუალური საქმე, საერთო პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებელი. ძირს უპარტიო ლი-ტერატორენი! ძირს ზეკაცნი ლიტერა-ტორები! ლიტერატურული საქმე უნ-და გახდეს საერთო-პროლეტარული საქმის ნაწილი, „პატარა ბორბა-ლი და ხრახნი“ ერთი მთლიანი, დიდი სოციალ-დემოკრატიული მექანიზმისა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს მთე-ლი მთშათა კლასის მთელ შეგნებულ

¹ კ. მარქსი, „ჩრეული ნაწილები“. ტ. I, 1935 წ. გვ. 176.

ავანგარდს. ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს შემადგენელი ნაწილი ორგანიზებული, გეგმაშეწონილი, გაერთიანებული, სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობისა.¹

იდეალისტები აყენებდნენ რეაქციულ თეორიას მხატვრული შემოქმედების ზეკლასობრიობისა და აბსოლუტური თავისუფლების შესახებ; ისინი ამტკიცებდნენ (და მოითხოვდნენ) მწერლის დამოუკიდებლობას საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, ხალხისაგან, კლასისაგან. ლენინმა ეს შეაფასა როგორც ცრუ, ბურჟუაზიული ლაყბობა. წერილში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ ლენინი სწერდა:

„... თქვენი სიტყვები აბსოლუტური თავისუფლებაზე მხოლოდ ფარისევლობაა. ფულის ბატონობაზე დამყარებულ საზოგადოებაში, საზოგადოებაში, სადაც მშრომელთა მასები დატაკობენ და ერთი მუჭა მდიდრები მუჭთახობობენ, შეუძლებელია იყოს „თავისუფლება“ რეალური და ნამდვილი. განა თქვენ თავისუფალი ხართ თქვენი ბურჟუაზიული გამომცემლისაგან, ბატონო მწერალო? თქვენი ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან, რომელიც თქვენგან მოითხოვს პორნოგრაფიას ჩარჩობსა და სურათებში, პროსტიტუციას „წმინდა“ სასცენო ხელოვნებისადმი „დამატების“ სახით? ეს აბსოლუტური თავისუფლება ხომ ბურჟუაზიული თუ ანარქისტული ფრაზაა (ვინაიდან, როგორც მსოფლმხედველობა, ანარქიზმი უკულმა გადმობრუნებული ბურჟუაზიულია). არ შეიძლება საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო“²

ყოველი მხატვრული ნაწარმოები გაყვნილია ეპოქის კლასობრივი

ბრძოლის სულით, პარტიული ტენდენციით.

კულტურის, ლიტერატურის, პარტიული ბუნების მარქსისტულ — ლენინურ განსაზღვრიდან სრულებითაც არ გამომდინარეობს ის დასკვნა, თითქოს ყოველი კულტურული მოღვაწე შეზღუდულია, „დაბრმავებულია“ იმ კლასის ინტერესებით, რომელმაც იგი წარმოშვა სრულებითაც არა. ხშირად მშრომელთა ინტერესებს გამოხატავს ექსპლოატატორთა წრიდან გამოსული ადამიანი. შთაგარი არის არა სოციალური წარმოშობა, არამედ ის, თუ ვის ინტერესებს ემსახურება ადამიანი. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ყოველ მოღვაწეს აფასებენ არა მისი სოციალური წარმოშობის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებს ის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რეაქციულს თუ პროგრესიულს, რამდენად ეხმარება ის საზოგადოების განვითარებას, წინსვლას.

ლევ ტოლსტოი წარმოშობით დიდგვარიანი იყო, მაგრამ ლენინმა მას რევოლუციის სარკე უწოდა, რუსეთის პატრიარქალური გლეხობის ინტერესების გამომხატველად მიიჩნია. ამით ლენინმა სწორად განსაზღვრა ტოლსტოის შემოქმედების წყარო და ფუნქცია, მისი როლი და მნიშვნელობა.

პუშკინი, კლერმონტოვი, გოგოლი, ნეკრასოვი... წარმოშობით დიდგვარიანი იყვნენ, მაგრამ მათი შემოქმედება გამოხატავდა არა ვიწრო აზნაურულ ინტერესებს და მისწრაფებებს, არამედ ეპოქის პროგრესიულ იდეებს. ეს დიდგვარიანი მწერლები კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენდნენ სინამდვილისადმი, მათ კარგად ენმოდათ გაბატონებული კლასების უარყოფითი მხარეები და, თუმცა ისინი ხშირად სცდებოდნენ საზოგადოებრივ პროგნოზებში, მაგრამ სწორად გვიხატავდნენ თავისი დროის წინააღმდეგობებით

¹ კრებული „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, 1945 წ. გვ. 8.

² იქვე, გვ. 11.



ეროვნული
განმათავსებელი

აღსავსე ცხოვრებას; ისინი გამოხატავდნენ ეპოქის მოწინავე იდეებს. ისინი პროგრესიული ადამიანები იყვნენ. ამიტომ ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა მათ კულტურულ მემკვიდრეობას.

ცნობილია აგრეთვე თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდნენ მარქსი და ენგელსი გაბატონებული კლასებიდან გამოსულ ესქილეს, შექსპირს, გოეტეს, ბალზაკს...

თუ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ასეთ დამოკიდებულებას იჩენდნენ ექსპლოატატორთა კლასებიდან გამოსულ კულტურულ მოღვაწეთა მიმართ, ცხადია, მათ არ შეეძლოთ განსაკუთრებული გულისხმიერებითა და მზრუნველობით არ მოპყრობოდნენ იმ მოწინავე კლასებიდან გამოსულ მოღვაწეებს, რომლებიც თავის შემოქმედებას მთლიანად უჭვემდებარებდნენ ხალხის სამსახურს, პროლეტარიატისა და გლეხობის ინტერესებს, სოციალიზმის საქმეს.

მარქსი და ენგელსი იმიტომ აძლევდნენ მაღალ შეფასებას ჰეინესს, ჰერვესს, ვეერტს, ჩარტისტულ პოეზიას, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, რომ ეს უკანასკნელი თავის შემოქმედებას უკავშირებდნენ გლეხობის ან პროლეტარიატის გამათავისუფლებელ მოძრაობას.

შელინსკი და ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და უსპენსკი, მაქსიმ გორკი, მაიაკოვსკი და სხვა მრავალი მწერალი, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს რუსული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში, რომლებმაც რევოლუციონერთა არა ერთი თაობა აღზარდეს, განსაკუთრებით დაფასებულნია ლენინისა და სტალინის მიერ. შესანიშნავია ამ მხრივ ლენინისა და სტალინის ყველასათვის ცნობილი მზრუნველობა და ხელმძღვანელობა გორკისადმი.

მატერიალური წარმოების ცვლილება იწვევს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცვლილებას, პირველის განვითარება-გართულება — მეორის განვითარება-გართულებას. რაც უფრო ძლიერდება და რთულდება შრომის განაწილება, მით უფრო მეტი წინააღმდეგობანი წარმოიშობიან ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ამ პროცესის განსაზღვრულ საფეხურზე ანტაგონისტური კლასები წარმოიშვნენ.

ამიერიდან ადამიანები გაიყვნენ ორ ძირითად ჯგუფად: ჩაგრული კლასი, რომელსაც ადამიანთა დიდი ნაწილი შეადგენს, აწარმოებს ფიზიკურ შრომას, ე. ი. ჰქმნის უმთავრესად მატერიალურ კულტურას, კაცობრიობის საბარსებო მატერიალურ დოვლათს, საზოგადოების მეორე, უფრო პატარა ჯგუფი კი, რომელსაც უმთავრესად გაბატონებული კლასი მიეკუთვნება, დაკავებული „სულიერი კულტურის“ წარმოებით, გონებრივი მუშაობით.

შრომის ასეთმა განაწილებამ უსათუოდ პროგრესიული როლი ითამაშა ისტორიაში, რადგან მან ხელი შეუწყობიარდ ინიციატივას, ინდივიდუალურ ნიჭისა და უნარის განვითარებას. როგორც ენგელსი ამბობს, სანამ ადამიანის შრომა იმდენად არანაყოფიერი იყო, რომ არსებობისათვის აუცილებელ საჭირო საშუალებათა გარდა მხოლოდ უმნიშვნელო რამესღა ჰქმნიდა, კულტურა ძლიერ ვერ განვითარდებოდა. საწარმოო ძალთა განვითარება, ვაჭრობის გაფართოება, სახელმწიფოსა და სამართლის განვითარება, ხელოვნებისა და მეცნიერების წამოწყება შესაძლებელი იყო მხოლოდ შრომის ძლიერი განაწილებისას, რომელსაც საფუძვლად უნდა დასდებოდა

შრომის დიდი განაწილება უბრალო ფიზიკური მუშაობით დაკავებულ მანუალებსა და პრივილეგირებულ ადამიანთა იმ პატარა ჯგუფს შორის, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ ამ შრომას, მისდევდნენ ვაჭრობას, სახელმწიფო მოღვაწეობასა და ბოლოს ხელოვნებასა და მეცნიერებას.¹

მაგრამ ეს პროგრესი როგორც საერთოდ, ისე კერძოდ კულტურის დარგში, თავიდანვე წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა, რადგანაც თვით საზოგადოება დაყოფილი იყო ანტაგონისტურ კლასებად.

გაბატონებული კლასები დაინტერესებული იყვნენ საწარმოო ძალთა განვითარებით, მატერიალური დოვლათის შექმნით, რადგან ეს მათ ამდიდრებდა. ავითარებდნენ რა საწარმოო ძალებს, ეს კლასები, თავისდაუნებურად, ჰქმნიდნენ სულიერი კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების მატერიალურ წინაპირობებს.

მაგრამ ამავე დროს ამ მატერიალურ წინაპირობათა შექმნა ხდებოდა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის (მშრომელთა კლასების) მკაცრი ექსპლოატაციის გზით, ე. ი. მოსახლეობის ფართო მასების ინდივიდუალური ნიჭისა და უნარის ჩახშობის გზით, მათი ადამიანური თვისებების, მათი სულიერი, მხატვრული ინტერესებისა და მისწრაფების უხეში და დაბალი, მატერიალური ინტერესებისადმი დამორჩილების გზით.

კლასობრივ საზოგადოებაში, როგორც წესი, დაჩაგრული კლასი ვერ აღწევს თავისი კულტურის განვითარების მაღალ დონეს, რადგანაც გაბატონებული კლასი მას ხელს უშლის, სდევნის, არ აძლევს სწავლა-განათლების საშუალებას, უქმნის ფიზიკური

შრომის აუტანელ პირობებს, ახშობს მშრომელთა კულტურულ განვითარების შესაძლებლობას, ნიჭსა და უნარს.

ამიტომაც, რომ კლასობრივ საზოგადოებაში, კულტურაშიაც ის კლასია გაბატონებული, რომელიც მატერიალურ წარმოებაში და პოლიტიკურ ცხოვრებაში ბატონობს.

მარქსის თქმით „კლასი, რომელიც საზოგადოების გაბატონებულ მატერიალურ ძალას წარმოადგენს, ამავე დროს არის მისი გაბატონებული სულიერი ძალა. კლასი, რომელსაც თავის განკარგულებაში აქვს მატერიალური წარმოების საშუალება, ამით ფლობს სულიერი წარმოების საშუალებასაც“².

თუმცა გაბატონებული კლასის კულტურის გვერდით, როგორც წესი, მოიპოვება აგრეთვე დაჩაგრული კლასის კულტურა, მაგრამ კლასობრივ საზოგადოების მთელი ისტორიის მანძილზე არასოდეს არც ერთ ეკონომიურად და პოლიტიკურად დაჩაგრულ კლასს — არც მონებს, არც ყმა გლეხებს, არც მუშათა კლასს — არ მიუღწევია თავისი კულტურის აყვავებისათვის, რადგან არცერთ მათგანს არ ჰქონდა ეკონომიური და პოლიტიკური პირობები საკუთარი ნიჭისა და უნარის განსავითარებლად. ეს პირველი შეიქმნა დედაშივის ერთ მეექვსედ ნაწილზე, მხოლოდ მას შემდეგ, როცა ექსპლოატირებულმა კლასმა სოციალისტური რევოლუციის გზით მიაღწია ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობას, დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება.

აქედან იწყება სრულიად ახალი ეპოქა კაცობრიობის კულტურის განვითარებაში.

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XIV, стр. 183—184.

² К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. IV, стр. 36.

ფეოდალური ფორმაციის წიაღში ჩაისახა და თანდათან განვითარდა კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი, ბურჟუაზიული კულტურა. ეს იყო ახალი, ფეოდალურთან შედარებით გაცილებით უფრო პროგრესიული წყობილება, მოწინავე კულტურა და ამიტომ მას მაღალ შეფასებას აძლევდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები. ისინი ყოველთვის მკვეთრად განასხვავებდნენ ბურჟუაზიული კულტურის პირველ, კლანიკურ, ანუ გმირულ პერიოდს, რასაც ადგილი ჰქონდა კაპიტალიზმის აღმავლობის დროს, მერმინდელი, „ვეულგარული“ პერიოდისაგან.

წინააღმდეგ ბურჟუაზიული კულტურის მერმინდელი წარმომადგენლებისა, რომელთაც ღრმად განიცადეს შრომის კაპიტალისტური განაწილების მახინჯი გავლენა და რომელთა შემოქმედებაც ხასიათდება ბურჟუაზიული შეზღუდულობითა და ცალმხრივობით, ენგელსი დიდად აფასებდა ალორძინების (რენესანსის) ეპოქას, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარების ამ პირველი საფეხურის, მოღვაწეთ. ეს იყო, ამბობს ენგელსი, უდიდესი პროგრესიული გარდატეხის ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში, ეპოქა, რომელსაც ტიტანები ესაქიროებოდა და რომელმაც ტიტანები წარმოშვა, ტიტანები აზრის ძლიერებით, ვნებით და ხასიათით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით. ადამიანები, რომლებიც თანამედროვე ბურჟუაზიის ბატონობას ამკვიდრებდნენ, ყველაფერი იყვნენ, მხოლოდ ბურჟუაზიულად შეზღუდულნი არ ყოფილან... მაგრამ რაც მათთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია, ეს ის არის, რომ ისინი თითქმის ყველანი მათი დროინდელი მოძრაობის შუაგულში

იმყოფებიან, პრაქტიკულ ბრძოლაში არიან ჩაბმული, ამა თუ იმ კლასის მხარეზე დგანან და იბრძვიან მტყუთა და წერით, ვინ ხმლითა და ვინ კიდევ ორივეთი. აქედან გამოდის ხასიათის ის საცება და ძალა, რომელიც მათ მთლიან ადამიანებად ზდიდა.¹

როცა ახალგაზრდა ბურჟუაზია ებრძოდა ფეოდალიზმს, შუა საუკუნეების სიბნელესა და უვეცობას, რელიგიისა და სქოლასტიკის ბატონობას, ის აყენებდა პროგრესიულ იდეებს, იბრძოდა პოლიტიკური ჭაეისუფლებისათვის, განათლებისათვის, მეცნიერების წინსვლისათვის. მაშინ ბურჟუაზია შედარებით რევოლუციურ კლასს წარმოადგენდა და მისი იდეები ნაწილობრივ შეესაბამებოდა და ემთხვევოდა საზოგადოების უმრავლესობის ინტერესებს. ამიტომ იგი თავის ბურჟუაზიულ აზრებს წარმოადგენდა როგორც საერთო სახალხო, საერთო საკაცობრიო აზრებს.

ამის შესახებ მარქსი და ენგელსი სწერდნენ, რომ რევოლუციური კლასი მარტო იმის გამო, რომ იგი უპირისპირდება რომელიღაც კლასს, გამოდის არა როგორც კლასი, არამედ, როგორც მთელი საზოგადოების წარმომადგენელი, რადგან მისი პირვანდელი ინტერესები ნამდვილად ძლიერ არიან ჯერ კიდევ დაკავშირებული სხვა არა გაბატონებულ კლასებთან საერთო ინტერესებთან.²

ამ დროს ბურჟუაზიული იდეები, პროგრესიული იდეები იყო. ამიტომ მარქსიზმის კლასიკოსები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ამ პერიოდის ისეთ წარმომადგენლებს, როგორცაა დანტე, შექსპირი, სერვანტესი, ბალზაკი და სხვ.

მაგრამ ფეოდალიზმზე გამარჯვების

¹ ფრ. ენგელსი „უნების დიალექტიკა“ დანტე, 1940 წ. გვ. 9—10.

² К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. IV, стр. 38.

შემდეგ, განსაკუთრებით კი 1848 წლის რევოლუციის შემდეგ, ბურჟუაზიამ რეაქციისაგან იბრუნა პირი, რაც თავის გამოვლინებას ჰპოვებდა კულტურაშიაც.

ჯერ კიდევ მარქსი და ენგელსი აღნიშნავდნენ, რომ კაპიტალისტური წყობილება ხელოვნებისა და ლიტერატურის მტერიაო, რომ საერთოდ საზოგადოების მატერიალური წარმოებისა და სულიერი კულტურის განვითარებაში ხშირად ადგილი აქვს შეუსაბამობას. მაგალითად, ანტიკური ეპოქის მატერიალური წარმოების დაბალ დონეზე მეცნიერება და ხელოვნება აყვავდა. კაპიტალიზმის დროს კი ხელოვნება და ლიტერატურა გაცილებით უფრო დაბალ საფეხურზე სდგას კოლოსალურ მამულებზე განვითარებულ საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობასთან შედარებით.

აღნიშნავდნენ რა კაპიტალიზმის ისტორიულ პროგრესიულობას, მარქსი და ენგელსი ამავე დროს ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ ბურჟუაზიულ წყობილებაში კულტურისა და ხელოვნების განვითარებისათვის მეტად შეზღუდული და არახელსაყრელი პირობები არსებობს, რადგანაც იქ გაბატონებულია კაპიტალისტური ექსპლოატაცია, რადგანაც როგორც საერთოდ შრომა, ისე, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „...ეგრეთწოდებული შრომის მაღალი სახეები — გონებრივი, მხატვრული და სხვ. — გადაიქცევენ ყიდვა-გაყიდვის საგნებად და, ამრიგად, დაკარგეს თავისი ადრინდელი შარავანდედი“.¹

ბურჟუაზია ბოჭავს ხელოვნების, ლიტერატურის, საერთოდ კულტურის განვითარებას, უმორჩილებს მათ თავის კლასობრივ ინტერესებს. ბურჟუაზია არ აძლევს ხალხს ნამდვილ განათ-

ლებას. ცნობილია, რომ განათლება „საერთოდ დამოკიდებულია ცხოვრების პირობებზე“.² ბურჟუაზია ზნეობრივი აღზრდის სახით გულისხმობს ბურჟუაზიული პრინციპების შთანერგვას და რომ ბურჟუაზიულ კლასს არ აქვს სახსრები მისცეს ხალხს ნამდვილი განათლება, ხოლო კიდევ რომ ჰქონოდა მას ეს სახსრები — მაინც არ გამოიყენებდა“.³

ბურჟუაზია მუშებს განათლებას აძლევს „მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მის ინტერესებს შეიცავს“.⁴ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული კულტურა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაცემის გზას დაადგა. ამ დროიდან ბურჟუაზიული კულტურა, ისევე როგორც მთელი მისი წყობილება, ლბება და დაღუპვისაკენ მიექანება. ბურჟუაზიული ხელოვნება, ლიტერატურა, ფილოსოფია ეშვება დაცემულობის, მისტიციზმის, ნაციონალიზმისა და გარყვნილების ჭაობში.

მარქსი და ენგელსი ხაზს უსვამდნენ იმ მდგომარეობას, რომ „გაბატონებული კლასის არსებობა ყოველდღე სულ უფრო დიდ დაბრკოლებად იქცევა მრეწველობის საწარმოო ძალთა და სწორედ ასევე მეცნიერების, ხელოვნების, განსაკუთრებით კი თანაცხოვრების კულტურული ფორმების განვითარებისათვის“.⁵

დროთა განმავლობაში ეს წინააღმდეგობა სულ უფრო და უფრო მწვავედება და თავის უმაღლეს წერტილს აღწევს იმპერიალიზმის ეპოქაში.

ამ მარქსისტულმა მოძღვრებამ შემდგომი განვითარება და კონკრეტიზა-

¹ К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. V, стр. 557.

¹ К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. V, стр. 547.

² К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. III, стр. 402.

³ К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. XV, стр. 13.



ცია ახალ პირობებში ჰპოვა ლენინის და სტალინის ცნობილ შრომებში იმპერიალიზმის შესახებ. მათ გენიალურად განსაზღვრეს, რომ ერთადერთი გამოსავალი კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა იმ ჩიხიდან, რომელსაც ადგილი აქვს იმპერიალიზმის ეპოქაში არის სოციალისტური რევოლუცია. მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციას შეუძლია გადასჭრას წინააღმდეგობა კოლოსალურ საწარმოო მატერიალურ ძალთა და იმ საწარმოო ურთიერთობათა ფორმებს შორის, რომლებიც ბოჭავენ საზოგადოების განვითარებას ინდივიდუალურ ნიქსა და უნარს, კულტურას, ხელოვნებას, ლიტერატურას... მხოლოდ სოციალიზმისა და კომუნიზმის დროს იქმნება სათანადო პირობები საზოგადოებრივი ცხოვრებისა ინდივიდის ინტელექტუალური განვითარებისათვის, მეცნიერებისა და ხელოვნების აყვავებისათვის.



ხაზს უსვამდნენ რა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული კულტურის დაქვეითებას XIX საუკუნის ნახევრიდან, მარქსი და ენგელსი ყოველთვის ღრმა პატივისცემას ამკლავებდნენ რუსული კულტურისადმი, ლიტერატურისადმი, რადგანაც იგი იყო პროგრესიული, დემოკრატიული ძალების მატარებელი.

მარქსი და ენგელსი მონდომებით სწავლობდნენ რუსულ ენას და აღტაცებით ლაპარაკობდნენ მასზე. ისინი იცნობდნენ პუშკინის, გრიბოედოვის, ნეკრასოვის, შედრინის ნაწარმოებებს. XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსულ რომანებს ენგელსი სთვლიდა „ჩინებულ რომანებად“. განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით ლაპარაკობდნენ მარქსი და ენგელსი ჩერნიშევსკიზე და დობროლიუბოვზე—

ამ „ორ სოციალისტურ ლესინგზე“, რომელთა ნაწარმოებებშიც ენგელსი ყველა იმაზე მაღლა აყენებდა, რაც კი რამ შექმნილა გერმანიის და საფრანგეთის ოფიციალური ისტორიული მეცნიერების მიერ.

XIX საუკუნის რუსული კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის მრავალი საკითხი გენიალურად არის გაშუქებული ლენინისა და სტალინის შრომებში. მათში ნახვენება რუსული კულტურის მსოფლიო მნიშვნელობა და როლი გამანათავისუფლებელ მოძრაობაში.

ლენინი აღნიშნავდა, რომ რუსეთი XIX საუკუნეში კაპიტალისტური განვითარების გზაზე შედგა, მაგრამ ეს განვითარება შეიძლებოდა წარმართულიყო როგორც პრუსიული, ისე ამერიკული გზით. პირველის დროს „ლათიფუნდიები რჩებიან და თანდათანობით ზღვებიან მიწის კაპიტალისტური მეურნეობის საფუძვლად, — ეს არის აგრარული კაპიტალიზმის პრუსიული ტიპი. მდგომარეობის ბატონ-პატრონად აქ იუნკერი გვევლინება მთელი ათეული წლების მანძილზე დაცული მისი პოლიტიკური უპირატესობა და გლეხის სიბეჩავე, დამცირება, სიღატაკე და უმეცრება. საწარმოო ძალთა განვითარება ძალიან ნელი ნაბიჯით მიიწევს წინ მსგავსად იმისა, როგორც ეს ხდებოდა რუსეთის მიწათმოქმედებაში 1861 წლიდან 1905 წლამდე“; მეორის დროს „...რევოლუცია აღგვის შემამულეთა მფლობელობას. კაპიტალისტური მიწათმოქმედების საფუძვლად ზღვება თავისუფალი ფერმერთა ავსი სუფალ, ე. ი. საშუალო საუკუნური ნაგავისაგან გასუფთავებულ მიწაზე. ეს არის აგრარული კაპიტალიზმის ამერიკული ტიპი, სა-

1 K. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XV, стр. 235.
2 ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. XII, გვ. 351.

წარმოთ ძალთა ყველაზე უფრო სწრაფი განვითარება იმ პირობებში, რომელნიც კაპიტალიზმის ყველა სხვა შესაძლებელ პირობათაგან ყველაზე უფრო ხელსაყრელია ხალხის მასისათვის“.¹

რუსეთის განვითარების პრუსიული გზა (ფორმა, ტიპი, ტენდენცია) ნიშნავდა მემამულეთა მიწათმფლობელობის ხელუხლებლობას, თვითმპყრობელობის შენახვას, ისეთ რეფორმებს, რომელთა შედეგადაც მრავალმილიონიანი გლეხობა კვლავ ეკონომიურსა და პოლიტიკურ ტანჯვაში დარჩებოდა. ამერიკული გზა კი ნიშნავდა ქვეყნის ეკონომიკის რევოლუციურ-დემოკრატიული გზით გარდაქმნას, მემამულეთა მიწათმფლობელობისა და თვითმპყრობელობის მოსპობას, გლეხობის ხსნას ბატონყმური უღლიდან.

განვითარების ამ ორი ტენდენციის ბრძოლას და მის გამოვლინებას რუსულ ლიტერატურაში ჩვენ ვამჩნევთ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ბოლოდან (რადიშჩევის ეპოქიდან) ვიდრე 1917 წლამდე (მკვეთრად იგი 1860-იანი წლებიდან ვლინდებოდა). ამ ბრძოლაში ვადაძმევეტ როლს თამაშობდა რუსი ხალხი, რომელიც გამოდიოდა სოციალური ჩაგვრისა და პოლიტიკური დესპოტიზმის წინააღმდეგ, იბრძოდა თავისუფლებისათვის, პროგრესისათვის, კულტურისათვის. ეს ბრძოლა ასულდგმულედა მოწინავე რუსულ კულტურას, ხელოვნებას, ლიტერატურას. პრუსიული გზის მომხრეთა რიცხვი რუსულ ლიტერატურაში უმნიშვნელო იყო, ხალხის პროგრესიულ იდეებს კი სხვადასხვა დროს სხვადასხვა კლასებიდან გამოსული აუარებელი მწერლები გამოხატავდნენ.

და იმის მიხედვით, თუ რომელი კლასის წარმომადგენელი გამოდიოდნენ მთავარ პროგრესულ ძალად ამა

თუ იმ პერიოდში და რამდენად ახლო იდგნენ ისინი ხალხთა მიწათმფლობელობის განსაზღვრა სამი ძირითადი ტიპის განმთავისუფლებელ მოძრაობაში.

„განმთავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში, — სწერდა ლენინი, — გაიარა სამი მთავარი ეტაპი, შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვამდნენ: 1) თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოვებით 1825 წლიდან 1861 წლამდე; 2) რაზნოჩინცული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოვებით 1861 წლიდან 1895 წლამდე; 3) პროლეტარული — 1895 წლიდან დღევანდლამდე“.¹

ამავე აზრს ლენინი იმეორებს სტატიაში „გერცენის ხსოვნას“.

„საპატივცემულო ზეიმს ვუმართავთ რა გერცენს, ჩვენ ნათლად ვხედავთ სამ თაონას, სამ კლასს, რომელნიც რუსეთის რევოლუციაში მოქმედობდნენ. თავდაპირველად — თავადაზნაურები და მემამულენი, დეკაბრისტები და გერცენი. ვიწრო იყო ამ რევოლუციონერთა წრე. საშინლად დაშორებულნი იყვნენ ისინი ხალხისაგან. მაგრამ მათი საქმე არ დაღუპულა. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი. გერცენმა გააჩალა რევოლუციური აგიტაცია.“

იგი განავრცეს, გააფართოვეს, განამტკიცეს, გამოწვრთნეს რევოლუციონერ-„რაზნოჩინცებმა“, დაწყებული ჩერნიშევსკით და გათავებული „ნაროდნიკი ვოლიას“ გმირებით. გაფართოვდა მებრძოლთა წრე, უფრო დაუახლოვდნენ ისინი ხალხს. „მომავალი ქარიშხალის ახალგაზრდა მტურმანებიო“ — უწოდებდა მათ გერცენი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო თვით ქარიშხალი.

¹ იქვე.

¹ „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, გვ. 56

ქარიშხალი — ეს თვით მასების მოძრაობაა. პროლეტარიატი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, სათავეში ჩაუდგა ძათ და პირველად ამხედრა აშკარა რევოლუციური ბრძოლისათვის გლეხთა მილიონები. ქარიშხლის პირველი შეტევა იყო 1905 წელს. შემდგომი ჩვენს თვალწინ იწყებს ზრდას“.¹

როგორც ვხედავთ, განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაციის საზომად ლენინი იღებს ამ მოძრაობის მონაწილეთა სიახლოვეს ხალხთან, პირველ რიგში — გლეხობასთან, რადგანაც მე-19 საუკუნის რუსეთის ცხოვრების თავისებურ ისტორიულ პირობებში სწორედ გლეხობა იღვა ყურადღების ცენტრში. ფეოდალური წინააღმდეგობანი, რომელნიც დასავლეთის ქვეყნებში ბურჟუაზიული რევოლუციის გზით გადაიჭრა, რუსეთში ჯერ კიდევ გადაჭრილი არ იყო. რუსეთში ის უნდა გადაჭრილიყო არა ბურჟუაზიული, არამედ გლეხური რევოლუციის გზით, რადგანაც რუსეთის ბურჟუაზია სუსტ და კომპრომისულ ძალას წარმოადგენდა (პროლეტარიატი კი ჯერ მცირერიცხოვანი იყო). თვით დასავლეთის ბურჟუაზიაც მოწინავე ანტიფეოდალური კლასიდან რევოლუციის შემდეგ კონსერვატიულ ძალად იქცა.

ამგვარად, რუსეთის მრავალმილიონიან გლეხობას, რომელიც უშუალოდ თავის კისერზე განიცდიდა ბატონყმური უღლის მთელ სიმძიმეს და რომელიც, დასავლეთისა და რუსეთის ბურჟუაზიის კონსერვატორულობის პირობებში, ერთადერთ დიდ რადიკალურ ანტიფეოდალურ ძალას წარმოადგენდა რუსეთში, — გლეხური რევოლუციის გზით უნდა გადაეჭრა თავისი ქვეყნის ძირითადი სოციალური

საკითხი — ფეოდალური წინააღმდეგობანი.

მაგრამ ბატონყმური ფეოდალური ალზრდილ გლეხობას ორგანიზებულობა და კულტურა აკლდა. ის უმთავრესად სტიქიურ ძალას წარმოადგენდა... და ამიტომ მის ინტერესებსა და განწყობილებებს, მის პროტესტს სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ და მისწრაფებებს თავისუფლებისაკენ, მის იდეებს და იდეალებს ლიტერატურაში გამოხატავდნენ არა გლეხობიდან, არამედ სხვა კლასებიდან. გამოსული მოწინავე ადამიანები.

ასეთ ადამიანებად პირველ ეტაპზე (მე-18 საუკუნის ბოლოდან მე-19 საუკუნის ნახევრამდე) გვევლინებიან რადიკალური, დეკარისტები, გერცენი და აზნაურთა წრიდან გამოსული სხვა სახელოვანი პროგრესისტი მწერლები. მაგრამ რუსეთის რევოლუციონერთა ეს პირველი თაობა ჯერ კიდევ საკმაოდ დაკავშირებული არ იყო ხალხთან.

ხალხს მჭიდროდ დაუკავშირდა რუსეთის რევოლუციონერთა მეორე თაობა — ჩერნომეცკი და მისი ჯგუფი, „ნაროდნაია ვოლიას“ გამირები — „რახნოჩინცები“, გლეხური რევოლუციის იდეოლოგები, რომლებიც მოღვაწეობდნენ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და რომელთა წინამორბედადაც ბელინსკი გვევლინება.

მესამე ეტაპზე — მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან მრავალმილიონიანი რუსეთის ჩაგრულ გლეხთა ნამდვილ ხელმძღვანელად გამოდის ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი. რუსეთის პროლეტარიატმა, გლეხობასთან ერთად, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, რევოლუციის გზით მოსპო მემამულეთა და კაპიტალისტების ბატონობა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე და შექმნა მშრომელთა ინტერესების დამ-

¹ იქვე, გვ. 69 — 70.

ცველი და გამოძახებული დიდი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო.



ბურჟუაზიის იდეოლოგებს არ შეეძლოთ საზოგადოებრივი განვითარების კანონების შეცნობა. პირიქით, ისინი დაინტერესებულნი იყვნენ ამ კანონების ბურჟუაზიის გახვევით.

მხოლოდ პროლეტარულ, კომუნისტურ იდეოლოგიას, მარქსიზმ-ლენინიზმს შესწევს უნარი შეიქნოს საზოგადოებრივი განვითარების ქეშმარიტი კანონები და დასახოს მოქმედების სწორი გეგმა. პროლეტარული იდეოლოგია, მარქსიზმი, წარმოიშვა გასული საუკუნის ნახევარში. ეს იყო უდიდესი გადატრიალება კაცობრიობის კულტურის ისტორიაში.

მაგრამ პროლეტარული იდეოლოგიის გასაბატონებლად, სოციალისტური კულტურის ასაყვავებლად საჭირო იყო სოციალისტური რევოლუციის მოხდენა.

რატომ?

იმიტომ, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროლეტარიატი და საერთოდ მშრომელი მასები ჩაყენებული არიან ბარბაროსულ პირობებში. რევოლუციამდე კულტურის მთელი მონაპოვარი გაბატონებული, პრივილეგიური კლასის კუთვნილებას შეადგენდა. ხალხისათვის იგი მიუწვდომელი იყო. მასები მოკლებული იყვნენ სწავლა-განათლებას. რევოლუციის გარეშე მუშათა კლასი და მშრომელთა ფართო მასები ვერ მიადწვდნენ კულტურული განვითარების მაღალ დონეს; ბურჟუაზიის ბატონობის პირობებში მათ შეეძლოთ შეექმნათ მხოლოდ თავისი კულტურის ელემენტები.

თუ ბურჟუაზიული ეკონომიკა და კულტურა იქმნებოდა, როგორც ამას ლენინი და სტალინი გვასწავლიან,

ფეოდალური წყობილებიდან წიაღში, სოციალისტური კულტურა ვერ შეიქმნებოდა რევოლუციის გარეშე. სწავლა ძველად გაბატონებული კლასები — მონათმფლობელები, ფეოდალები, კაპიტალისტები — მდიდრები იყვნენ, მათ შესაძლებლობა ჰქონდათ სწავლა განათლება მიეღოთ. მშრომელთა მასები კი დაჩაგრულნი იყვნენ არა მარტო მატერიალურად, არამედ ისინი მოკლებული იყვნენ პოლიტიკურ უფლებებს და სწავლა განათლებას. ეს უფლებები მათ მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მოიპოვეს. ოქტომბრის რევოლუციიდან იწყება ახალი ეპოქა კაცობრიობის განვითარებაში საერთოდ, კულტურის სფეროში კერძოდ.

„სოციალისტური წყობილების დროს, რომელიც — ჯერჯერობით მხოლოდ სსრ კავშირშია განხორციელებული, წარმოებით ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება. აქ უკვე აღარ არიან არც ექსპლოატატორები, არც ექსპლოატირებულნი. წარმოებული პროდუქტები ნაწილდება შრომის მიხედვით თანახმად პრინციპისა: „ვინც არ მუშაობს, ის არცა სჭამს“. ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებანი წარმოების პროცესში აქ ხასიათდება, როგორც ექსპლოატაციისაგან თავისუფალი მუშაკების ამხანაგური თანამშრომლობისა და სოციალისტური ურთიერთდახმარების ურთიერთობანი. აქ წარმოებითი ურთიერთობანი სავსებით შეესაბამებიან საწარმოო ძალთა მდგომარეობას, ვინაიდან წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ხასიათი გამაგრებულია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრებით.

იმიტომ სსრ კავშირში არსებული სოციალისტური წარმოებისათვის უცნობია ჭარბი წარმოების პერიოდული

კრიზისები და მათთან დაკავშირებული უაზრობანი.

ამიტომ საწარმოო ძალები აქ დაჩქარებული ტემპით ვითარდებიან, რადგან მათი შესაბამისი წარმოებითი ურთიერთობანი მათ სრულ გასაქანს აღეკვეს ასეთი განვითარებისათვის.¹

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში მუშათა კლასი მთელ მშრომელ ხალხთან ერთად არა მარტო სპობს წინათ გაბატონებული კლასების ნაშთებს, არამედ ჰქმნის მატერიალურ და იდეოლოგიურ წინამძღვრებს უკლასო საზოგადოების შესაქმნელად.

მხოლოდ პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში აღების შემდეგ შესძლო მუშათა კლასმა დღის წესრიგში დაესვა კულტურული რევოლუციის საკითხი.

ლენინი ამბობდა, რომ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ „გამარჯვებული პროლეტარიატის წინაშე აღმოჩნდა მიწა, რომელიც დღეს საერთო-სახალხო კუთვნილებად იქცა, და ის შესძლებს მოაწყოს ახალი წარმოება და მოხმარება, სოციალისტური პრინციპების მიხედვით. წინათ აღამიანის მთელი გონება, მთელი მისი გენიოსობა ჰქმნიდა მხოლოდ იმისათვის, რომ ზოგიერთებისათვის მიეცა ტექნიკისა და კულტურის ყველა სიკეთე, სხვებისათვის კი მოესპო უსაქიროესი რამეები — განათლება და განვითარება. ახლა კი ტექნიკის ყველა საკვირველება, კულტურის ყველა მონაპოვარი საერთო-სახალხო კუთვნილებად გახდება და ამიერიდან აღამიანის გონება და გენიოსობა არასოდეს არ გადაიქცევა ძალმომრეობის საშუალებად, ექსპლოატაციის საშუალებად“.²

კლარა ცეტკინთან საუბრის დროს ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა: სოციალისტური რევოლუციის უნდადს მნიშვნელობას კულტურის აყვავებისათვის:

„რევოლუცია ხელ-ფეხს უხსნის ყველა მანამდე შებოჭილ ძალას და სიღრმიდან ცხოვრების ზედაპირზე მოერეება. აი თქვენ ერთი მაგალითი მრავალთაგანი: ჩაუფიქრდით იმ გავლენას, რასაც ახდენენ ჩვენი ფერწერის, სკულპტურისა და არქიტექტურის განვითარებაზე მეფის სასახლის მოდა და ფინიანობა, აგრეთვე ბატონი არისტოკრატებისა და ბურჟუაზიის გემოვნება და ახირება. საზოგადოებაში, რომელიც კერძო საკუთრებას ეყრდნობოდა, მხატვარი საქონელს ბაზრისათვის აკეთებს, ის მყიდველს საჭიროებს. ჩვენმა რევოლუციამ მხატვრები გაათავისუფლა ამ მეტად პროზაული პირობების უღლისაგან. ამ რევოლუციამ საბჭოთა სახელმწიფო მათს დამცველად და შემკვეთლად აქცია. ყოველ მხატვარს, ყველას, ვინც ასეთად სოვლის თავს, უფლება აქვს შექმნას თავისუფლად, თავისი იდეალის თანახმად, ისე რომ არაფერზე იყოს დამოკიდებული.“

— მაგრამ, გასაგებია, ჩვენ კომუნისტები ვართ. ჩვენ გულზე ხელდაკრეჭილნი კი არ უნდა ვიდგეთ, როდი უნდა ვაძლევედეთ ქაოსს საშუალებას განვითარდეს, საითაც მოეპრიანება. ჩვენ სავსებით გვეგაზომიერად უნდა ეხელმძღვანელობდეთ ამ პროცესს და ვაყალიბებდეთ მის შედეგებს“.¹

ლენინი გვასწავლის, რომ ხელფენება და ლიტერატურა უნდა იყოს უაღრესად პარტიული და ხალხური, ამ სიტყვის ჭეშმარიტად უმაღლესი და უკეთილშობილესი მნიშვნელობით. ხელოვნება და ლიტერატურა უნდა იკრეფდნენ თავის ძალებს ხალხიდან.

¹ ი. სტალინი „ლენინიზმის საკითხები“, 199 წ. გვ. 692 — 693.

² „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, გვ. 29.

¹ „ლენინი ლიტერატურის შესახებ“ 33
222 — 223

უნდა გამოდიოდეს ხალხის გულიდან და ემსახურებოდეს ხალხს.

„ხელოვნება ხალხს ეკუთვნის. იგი თავისი უღრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების თვით შეუგულში უნდა მიდიოდეს. იგი გასაგები და საყვარელი უნდა იყოს ამ მასებისათვის. იგი უნდა აერთიანებდეს ამ მასების გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას, აღაგზნებდეს მათ. იგი მათში მხატვრებს უნდა აღვიძებდეს და ავითარებდეს“.¹

საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასებმა კულტურის ფრონტზე უდიდესი გამარჯვებანი მოიპოვეს იმიტომ, რომ მათ ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტია, ლენინ-სტალინის პარტია.



ლენინმა და სტალინმა დასახეს და განახორციელეს კულტურული რევოლუციის დიადი გეგმა. მათ სწორად განსაზღვრეს, რომ სოციალისტური რევოლუცია ჰქმნის კულტურისა და ხელოვნების განვითარების, კულტურული რევოლუციის საუკეთესო პირობებს, მაგრამ „კულტურული ამოცანის ისე სწრაფად გადაწყვეტა შეუძლებელია, როგორც პოლიტიკურ და სამხედრო ამოცანებისა. უნდა გავიგოთ, რომ ამეამად წინსვლის პირობები სხვაგვარია. კრიზისის გამწვავების ხანაში პოლიტიკურად შეიძლება გაიმარჯვო რამდენიმე ვერსიაში, ომში შეიძლება გაიმარჯვო რამდენიმე თვეში. კულტურულად კი ასეთ ვადაში ვერ გაიმარჯვებ, თვით საქმის დედაარსის გამო აქ საჭიროა უფრო ხანგრძლივი ვადა“.²

საქმე იმაშია, რომ ახალი კულტურა „მიშველ ადგილზე“ არ იქმნება, იგი წარმოიშობა ძველის წიაღში. თვითე-

ული ახალი თაობა, იწყებს რა ცხოვრებას, ხედება ყოველივე მსგავსე წინათაობამ შექმნა.

ახალ თაობას, ენგელსის სიტყვებით რომ ვსთქვათ, თავის განკარგულებაში აქვს წინამძღვრის სახით განსაზღვრული მასალა, რომელიც მას გადაცეს მისმა წინამორბედებმა და რომლიდანაც ის გამოდის. ახალი თაობა აგრძელებს და ანვითარებს ძველი კულტურის განსაზღვრულ ტრადიციებს.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ყოველთვის იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ, ვინც უარყოფდა კულტურულ მემკვიდრეობას. ასე, მაგალითად, ენგელსი თავის ცნობილ შრომაში „ანტიდუარინგი“ მკაცრად აკრიტიკებდა დიუარინგს წარსული ლიტერატურისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების გამო. ასევე ლენინი გამოხატავდა ბოგდანოვის იმ მანერ თეორიას, რომელიც მითხობდა პროლეტარული კულტურის „მიშველ ნიადაგზე“ შექმნას, კლასიკური მემკვიდრეობის უარყოფას. „რაც ლამაზია, — ამბობდა ლენინი, — უნდა შევიწინააღმდეგოთ, ნიმუშად გავიხადოთ იგი, დავეყრდნოთ მას, თუნდაც იგი „ძველი“ იყოს. რატომ უნდა შევაქციოთ ზურგი ქეშმარიტად მშვენიერს, უარი ვთქვათ მასზე, როგორც შემდგომი განვითარების გამოსავალ პუნქტზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩგი „ძველია“? რატომ უნდა მოვიხაროთ ქედი ახლის წინაშე, როგორც ღმერთის წინაშე, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ, მხოლოდ იმიტომ, რომ „ეს ახალია“?“. ³

ლენინი მუდამ ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ კულტურისა და ხელოვნების ნამდვილი განვითარებისათვის აუცილებელია, ჯერ ერთი, სოციალისტური რევოლუციის მოხდენა, და მეორეც — წარსული კულტურული მემკვიდრეობის დაუფლება, მისი კრი-

¹ იქვე, გვ. 223 — 224.

² კრებული „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, გვ. 31.

³ იქვე, გვ. 23.

ტიკული ათვისება. ლენინი გამოდიოდა იმ მარქსისტული დებულებიდან, რომ კომუნისტური კულტურა იქმნება არა „შიშველ ადგილზე“. ის თავისებური გაგრძელება და განვითარებაა ძველი კულტურის ყველა იმ პროგრესიული, ჯანსაღი ტრადიციებისა, რომლებიც შექმნა კაცობრიობამ თავისი მრავალსაუკუნოვანი ზრსებობის მანძილზე, რომელიც შეიქმნა მონათმფლობელური, ფეოდალური და ბურჟუაზიული ფორმაციების დროს.

„მარქსიზმმა, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიამ, თავისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა იმით მოიპოვა, რომ მან, მარქსიზმმა, არა თუ უკუაგდო ბურჟუაზიული ეპოქის უძვირფასესი მონაბოვარი, არამედ, პირიქით, შეითვისა და გადაამუშავა ყველაფერი, რასაც კი ფასი ჰქონდა ადამიანის აზრისა და კულტურის ორიათას წელზე უფრო ხანგრძლივ განვითარებაში. ნამდვილი პროლეტარული კულტურის განვითარებად შეიძლება აღიარებულ იქნას მხოლოდ შემდგომი მუშაობა ამ საფუძველზე და ამავე მიმართულებით...“¹

მეორე ადგილს ლენინი სწერდა: „ჩვენ შეგვიძლია უაშენოთ კომუნიზმი ცოდნათა, ორგანიზაციათა და დიფერენციალურებთანა მხოლოდ იმ ჯამით, ადამიანთა ძალებისა და საშუალებების იმ მარაგით, რაც ძველი საზოგადოებისაგან დაგვრჩენია. მხოლოდ მაშინ, თუ ძირიანად გარდავქმნით სწავლის საქმეს, ახალგაზრდობის ორგანიზაციას და აღზრდას, შევძლებთ ჩვენ მივიღწიოთ იმას, რომ ახალი თაობის მეცადინეობას შედეგად მოჰყვეს ძველისაგან განსხვავებული საზოგადოების, ე. ი. კომუნისტური საზოგადოების, შექმნა.“²

მაგრამ ლენინი და სტალინი ყოველთვის ხაზს უსვამდნენ შემოქმედებას: მემკვიდრეობის კრიტიკულ ათვისების აუცილებლობას. რატომ კრიტიკულად? იმიტომ, რომ სოციალისტური კულტურა არა მარტო გაგრძელებაა და შემდგომი განვითარება ძველი კულტურისა, არამედ იმავე დროს სრულიად ახალი მოვლენაც. იგი აღმოცენებულია სოციალისტურ ნიადაგზე, სადაც ადგილი არა აქვს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას. ძველი კულტურა კი — მონათმფლობელური, ბურჟუაზიულ ექსპლოატატორთა კლასების კულტურა იყო და ამ კლასების ინტერესებს ემსახურებოდა. ძველ კულტურაში ბევრია ისეთი რამ, რაც ჩვენი სოციალისტური კულტურისათვის სრულიად მიუღებელი და მავნეა. ამიტომ საჭიროა კრიტიკული მიდგომა მემკვიდრეობისადმი. წარსული კულტურიდან ჩვენ უნდა მივიღოთ მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც პროგრესიულია, რაც გვეხმარება კომუნიზმისაკენ წინსვლაში.

სოციალისტური კულტურა მემკვიდრეობიდან იღებს მხოლოდ პროგრესულ, დემოკრატიულ ელემენტებს და ბრძოლას უცხადებს და ააშკარავებს ყოველივე რეაქციულს.

მაღალ შეფასებას აძლევენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები სულიერი კულტურის მემკვიდრეობის ყველა იმ ელემენტებს, რაც გვეხმარება წარსულის შესწავლაში და ახალის შენებაში.

ცნობილია, თუ, რა დიდ მნიშვნელობას აძლევენ მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი ჰომეროსის, შექსპირის, დანტეს, ბალზაკის, სერვანტესის, გოეტეს, მუშკინის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ტოლსტოის შემოქმედებას.

ის ადამიანი, — ამბობს ენგელსი, — რომელიც წარსული კულტურის მოღვაწეს აფანებს არა იმ ძვირფასის,

¹ „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, გვ. 36 — 37.

² იქვე, გვ. 38.

პროგრესიულის მიხედვით, რაც მის მოღვაწეობაში იყო, არამედ იმის მიხედვით, რაც გარდამავალი, რეაქციული იყო, — ასეთი ადამიანი უკეთესია ჩუმად იყოსო.¹

მაშასადამე, მარქსიზმ-ლენინიზმი მოითხოვს კულტურული მემკვიდრეობის ღრმად, კრიტიკულად შესწავლასა და გამოყენებას.

ვინაიდან კულტურის წინსვლას და ხასიათს განსაზღვრავს არა მარტო ეკონომიური განვითარების დონე, არამედ თვით სულიერი კულტურის განვითარებაში მიღწეული დონეც, ცხადია, გამორიცხული არაა ისეთი მდგომარეობა, როცა, ენგელსის სიტყვებით რომ ვსთქვათ, ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებს შეუძლიათ ითამაშონ კულტურის სფეროში ხელმძღვანელი როლი² ეკონომიური და კულტურული განვითარების დონე ყოველთვის როდი შეესაბამებიათ ერთიმეორეს



მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს უკლანო, მთლიანი ნაციონალური კულტურა.

ბურჟუაზიული ეპოქის ყოველი ნაციის მოსახლეობა იყოფა ორ ძირითად ნაწილად: გაბატონებულ და დაჩაგრულ კლასებად. პირველი მიისწრაფვის თავისი ბატონობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ და ყველაფერს ამისწრაფებას უმორჩილებს. საზოგადოების უდიდესი ნაწილი, მშრომლები, კი იბრძვიან სოციალური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის. კლასთა

ეს ბრძოლა თავისებურად ანსახება ლიტერატურასა და ხელოვნებაში: ფილოსოფიასა და საეტიკურ სიტუაციურ კულტურაში. ამიტომ, როგორც ლენინი გვასწავლის, „არის ორი ერი ყოველ თანამედროვე ერში... არის ორი ეროვნული კულტურა ყოველ ეროვნულ კულტურაში. არის ველიკორუსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვებისა და სტრუვევებისა, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკორუსული კულტურა, რომელიც ხასიათდება ჩერნიშევსკისა და პლენხანოვის სახელებით. არის ასეთივე ორი კულტურა უკრაინელობაში, ისევე როგორც გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ებრაელებში და ა. შ.“³

მეორე ადგილას: „ყოველი ნაციონალური კულტურა შეიცავს დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის, თუნდაც განუვითარებელ, ელემენტებს, ვინაიდან ყოველი ერი შეიცავს მშრომელ და ექსპლოატირებულ მასას, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ-იდეოლოგიას. მაგრამ ყოველ ერს აქვს აგრეთვე ბურჟუაზიული (უმრავლეს შემთხვევაში აგრეთვე შავრაზმული და კლერიკალური) კულტურაც — ამასთან არა მარტო „ელემენტების“ სახით, არამედ გაბატონებულ კულტურის სახით“.⁴

თუ ბურჟუაზიული კულტურა გამოხატავდა გაბატონებული კლასის ეგოისტურ ინტერესებს, საბჭოთა კავშირში, სადაც მოსპობილია კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე, ლიკვიდირებულია ანტაგონისტური კლასები, ხოლო ნაციონალური ჩავკრა და შუღლი შეცვლილია ხალხთა მეგობრობით, თანამშრომლობით და მთელი

¹ К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. XXVIII, стр. 328.

² ციტატი ამოღებულია წიგნიდან „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი“, წიგნი 2, 1934 წ. გვ. 420.

³ „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, გვ. 13.

⁴ „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, გვ. 18 — 19.



საბჭოთა მოსახლეობის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობით, აქ, როგორც ლენინი და სტალინი გვასწავლიან, კულტურა შინაარსით სოციალისტურია და ფორმით ნაციონალური, კულტურის ნაციონალური ფორმა სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში მისი სოციალისტური შინაარსის გამოსახვის საშუალებაა.

თუ ბურჟუაზიული კულტურის დამახასიათებელი თვისებაა ინდივიდუალიზმი და ნაციონალიზმი საბჭოთა კულტურა ხასიათდება სოციალისტური და ინტერნაციონალური შინაარსით. ბურჟუაზია გამოდის სხვა ერების (განსაკუთრებით კოლონიალური ქვეყნების) კულტურის დამხშობის როლში, კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება კი ყოველგვარ ღონეს ხმარობენ ყველა ხალხთა კულტურის ასაყვავებლად, ხალხთა მეგობრობის განსამტკიცებლად.

აქედან ნათელია, რომ თუ ბურჟუაზიის ბატონობის პირობებში „ნაციონალური კულტურის“ ლოზუნგი რეაქციული იყო, საბჭოთა ხელისუფლების დროს იგი რევოლუციური ლოზუნგია. ამის შესახებ ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ჩვენ ვაშენებთ პროლეტარულ კულტურას. ეს სრული სიმართლეა. მაგრამ ისიც მართალია, რომ პროლეტარული კულტურა, თავისი შინაარსით სოციალისტური ენის, ყოფაცხოვრების და სხვ. განსხვავების მიხედვით, სხვადასხვა ფორმას და გამოხატულებას ღებულობს სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულ სხვადასხვა ხალხთა შორის. თავისი შინაარსით პროლეტარული, ფორმით ნაციონალური — ასეთია ის საკაცობრიო კულტურა, რომლისაკენაც მიდის სოციალიზმი. პროლეტარული კულტურა კი არ სპობს ნაციონალურ კულტურას, არამედ აძლევს მას ფორმას. ნაციონალური კულ-

ტურის ლოზუნგი იყო ბურჟუაზიული ლოზუნგი მანამდე სანამ ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია იდგა და ერების კონსოლიდაცია ბურჟუაზიული წყობილების პირობებში ხდებოდა. ნაციონალური კულტურის ლოზუნგი პროლეტარულ ლოზუნგად იქცა მას შემდეგ, რაც პროლეტარიატი მოექცა ხელისუფლების სათავეში, ხოლო ერების კონსოლიდაცია საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიმდინარეობს“.¹

საბჭოთა ხელისუფლების დროს, ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობისა და კულტურული თანამშრომლობის პირობებში, მოწინავე, უფრო განვითარებული საბჭოთა რესპუბლიკების ძმური დახმარებით, ძველად ჩამორჩენილმა ერებმა დიდი მიღწევები მოიპოვეს სოციალისტური ეკონომიკისა და სოციალისტური კულტურის შექმნის ფრონტზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსული კულტურის წამყვანი და ხელმძღვანელი როლი სოციალისტური კულტურის განვითარებაში. ეს როლი იმით აიხსნება, რომ საბჭოთა კავშირში შემავალ ეროვნებათაგან რუსი ხალხი წარმოადგენს ყველაზე უფრო გამოჩენილ ერს, რომელმაც სამართლიანად დაიმსახურა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა ღრმა პატივისცემა და სიყვარული.



საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მოკლე ხნის განმავლობაში უდიდესი მიღწევები მოიპოვა კულტურის ფრონტზე. ლენინი და სტალინი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის განვითარებას.

¹ ი. სტალინი „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი“, 1934 წ. გვ. 211.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის პირველ დღეებშივე, როცა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო ლენინისა და სტალინის მეთაურობით გააფთრებთ იგერიებდა თოთხმეტი კაპიტალისტური სახელმწიფოს იერიშებს, სამოქალაქო ომის მძიმე წლებში, როცა ინტერვენტები და რევოლუციის „შინაური“ მტრები შშრომელთა სახელმწიფოს ბლოკადითა და შიმშილით დახრჩობას ცდილობდნენ, ლენინი ერთი წუთითაც არ ანელებდა მზრუნველობას ხელოვნებაზე და ლიტერატურაზე.

ოქტომბრის რევოლუციის მეორე დღეს, 8 ნოემბერს გამოქვეყნებულ დეკრეტებს მიწის, ზავისა და სახკომსაბჭოს დაარსების შესახებ ორი დღის შემდეგ მოჰყვა სახკომსაბჭოს დეკრეტი ლენინის ხელმოწერით ბეჭდვითი სიტყვის საკითხებზე. 1918 წლის 2 აგვისტოს „იზვესტიაში“ — გამოქვეყნდა ლენინის ხელმოწერით სახკომსაბჭოს დადგენილება სოციალიზმის, რევოლუციისა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა ძეგლების დადგმის შესახებ. გამოჩენილ მოღვაწეთა სიაში, რომელთაც მონუმენტები უნდა დადგმოდა მოსკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში, შეტანილი იყო 20-მდე მწერლის სახელი — რადიშჩევი, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, ტოლსტოი, შევჩენკო და სხვ.

ინტერვენციისა და ომის მძიმე წლებში ათასგვარი საქმეებით გადატვირთული ლენინი იშვიათ გულისხმიერებასა და მზრუნველობას იჩენდა მაქსიმ გორკის ჯანმრთელობაზე, სახეგეო წერილს სწერდა შვილის დაღუპვით დამწუხრებულ მწერალ სერაფიმოვიჩს.

ლენინის სიკვდილის შემდეგ ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელო-

ბით საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ არნახული ენერგიით განაგრძეს მუშაობა მწერლების ფრონტზე.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და მთლიანი კოლექტივიზაციის გატარების შედეგად შეიქმნა სოციალიზმის მატერიალური კულტურა.

საბჭოთა კავშირში, პირველად კავშირების ისტორიაში, მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარებას მივეყვართ არა გონებრივი და ფიზიკური შრომის დაშორების გაძლიერებისაკენ, (როგორც ეს რევოლუციამდე იყო), არამედ მათი დაახლოვებისა და თანდათან გაერთიანებისაკენ.

ჯერ კიდევ მარქსი აღნიშნავდა:

„...იწყება თუ არა შრომის დანაწილება, თვითეული ადამიანი შედის თავისი მოღვაწეობის გარკვეულ, განსაკუთრებულ წრეში, რომელიც მას თავზე მოახვეებს და რომლისაგანაც მას გამოსვლა არ შეუძლია: ის არის მონადირე, მეთევზე ან მწყემსი, ანდა კრიტიკული კრიტიკოსი და უნდა დარჩენილ ასეთად, თუ არ სურს დაკარგოს ცხოვრების სახსრები. კომუნისტურ საზოგადოებაში კი, სადაც თვითეული არ არის შეზღუდული მოღვაწეობის განსაკუთრებული წრით და შეუძლია სრულყოფა ყოველ დარგში, საზოგადოება აწესრიგებს მთელ წარმოებას და სწორედ ამიტომ ქმნის ჩემთვის შესაძლებლობას დღეს ვაკეთო ერთი, ხვალ კი მეორე, დილით ვინადირო, ნაშუადღევს თევზი ვიჭირო, საღამოს ვაწარმოო მესაქონლეობა, სადილის შემდეგ მივეცე კრიტიკას — როგორც მომესურვება, — მაგრამ ამით მე არ ვხდები მონადირე, მეთევზე, მწყემსი ან კრიტიკოსი.“¹

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. IV, стр. 23.



უდიდესი კულტურული მუშაობის შედეგად საბჭოთა კავშირში „წარმოიშვა და ჩამოყალიბდა მრავალრიცხოვანი ახალი, საბჭოთა ინტელიგენცია, მუშათა კლასისა, გლეხობისა და საბჭოთა მოსამსახურეების რიგებიდან გამოსული, ჩვენი ხალხის ზორცი-ზორციოვანი, სისხლი — სისხლთაგანი“.¹

კბილებამდე შეიარაღებულ ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში საბჭოთა ხალხმა უდიდესი გამარჯვება იმით მოიპოვა, რომ მთელმა ჩვენმა ხალხმა საბჭოთა პერიოდში შექმნა უდიდესი მატერიალური და სულიერი კულტურა. დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე და იმპერიალისტურ იაპონიაზე გაიმარჯვა ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა ეკონომიკამ, საბჭოთა სახელმწიფომ და საზოგადოებრივმა წყობილებამ, ლენინ-სტალინის პარტიის იდეოლოგიამ, ჩვენმა კულტურამ.

კულტურის გიგანტურმა ზრდამ საბჭოთა კავშირში აშკარა გაახდა ყველასათვის, რომ მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის შედეგად, მხოლოდ სოციალიზმის დროს იქმნება სათანადო პირობები მატერიალური და სულიერი კულტურის ასაყვავებლად. მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელ ხალხს შეუძლია მოიპოვოს სოციალისტური და პოლიტიკური თავისუფლება და მიაღწიოს კულტურის მწვერვალებს.

იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში კულტურა მომწყვდევლია ჩიხში, როცა ბურჟუაზიული კულტურა გადაგვარებისა და ლობობის პროცესს განიცდის, საბჭოთა კავშირში

კულტურა ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე მუდმივად მიდის წინ, და სულ ახალ-ახალ მსახვევებს აღწევს. რაც მეტი დრო გადის, მით უფრო აშკარა ხდება საბჭოთა კულტურის მსოფლიო მნიშვნელობა.

ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიოს მისცა ლენინი და სტალინი, რომელთაც კაცობრიობას შესძინეს დიდი მოძღვრება და უჩვენეს მაგალითი ცხოვრების სოციალისტური გარდაქმნისა. საბჭოთა ხალხი, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, გადაიქცა მსოფლიოში ყველაზე უფრო კულტურულ ხალხად, პროგრესიული კაცობრიობის აფანგარდად, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, რომელიც ამდიდრებს მსოფლიო კულტურას მრავალი მეცნიერული შრომით, ხელოვნებისა და ლიტერატურის უკვდავი ძეგლებით, პრაქტიკული მუშაობის არანახული მაგალითებით.

თუ ბურჟუაზიული იდეოლოგია გამოხატავს ბურჟუაზიული კლასის რეაქციულ ინტერესებს და ამართლებს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, საბჭოთა იდეოლოგია გამოხატავს მშრომელთა მასების ინტერესებს, ემსახურება ხალხს, გამსჭვალულია ჰუმანისტური იდეებით.

საბჭოთა კულტურას ჰქმნის მოწინავე ახალი საბჭოთა ადამიანი, რომლისათვისაც უცხოა ექსპლოატაციის უღელი, რომელსაც გავლილი აქვს სოციალიზმის მშენებლობის დიდი სკოლა. საბჭოთა წყობილება ადამიანს აყენებს ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან შეუდარებლად მაღლა. ამხანაგ სტალინი ამბობდა, რომ საბჭოთა უკანასკნელი მოქალაქე, თავისუფალი კაპიტალისტური ზუნდებიდან, გაცილებით უფრო მაღლა დგას მაღალი თანამდებობის ყოველ საზღვარგარეთელ მოხელეზე.

¹ ი. სტალინი „ლენინიზმის საკითხები“, 1939 წ. გვ. 729.

რომელიც კაპიტალისტურ მონობის უღელს ატარებსო.¹

სოციალიზმის მშენებლობაში მოპოვებულმა მიღწევებმა და სამამულო ომში გამარჯვებამ საბჭოთა ადამიანი, საბჭოთა კულტურა აიყვანა ისეთ სიმაღლეზე, რომელსაც ვერასოდეს ვერ მიაღწევს ბურჟუაზიული კულტურა.

საზღვარგარეთული მეცნიერების ახალი აღმოჩენები, რომლებიც ექსპლოატატორთა ხელშია თავმოყრილი, განადგურებით ემუქრებიან მთელ კაცობრიობას, მთელ კულტურას, „ატომური ციებ-ციხლება“ ფანამედროვე ბურჟუაზიული კულტურის გვირგვინად იქცა.

საბჭოთა ხალხმა კი მსოფლიო კულტურა გადაარჩინა დაღუპვას. დღე ახლაც ჩვენი საბჭოთა ქვეყანა მთელ მსოფლიოში აღიმართება როგორც პროგრესიული კაცობრიობის საიმედო დროშა, როგორც დემოკრატიზმისა და მშვიდობიანობის ბურჯი, როგორც მოწინავე კულტურის გიგანტური კერა.

ეს, ცხადია, არ მოსწონთ მსოფლიო რეაქციას, ამერიკელ და ევროპიელ იმპერიალისტებს.

„ბურჟუაზიულ სამყაროს არ მოსწონს ჩვენი წარმატებანი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. მეორე მსოფლიო ომის შე-

დეგად სოციალიზმის პოზიციები განმტკიცდა. სოციალიზმის უკეთესი უღელის წესრიგშია დასმულ ჯეჭვოვან მსმვერ ქვეყანაში. ეს არ მოსწონთ ყველა ჯურის იმპერიალისტებს, მათ ეშინიათ სოციალიზმისა, ეშინიათ ჩვენი სოციალისტური ქვეყნისა, რომელიც ნიმუშს წარმოადგენს მთელი მოწინავე კაცობრიობისათვის. იმპერიალისტები, მათი იდეური მსახურნი, მათი ლიტერატორები და ჟურნალისტები მათი პოლიტიკოსები და დიპლომატები ყოველნაირად ცდილობენ ცილი დასწამონ ჩვენს ქვეყანას, არასწორად აჩვენონ იგი, ცილი დასწამონ სოციალიზმს. ამ პირობებში საბჭოთა ლიტერატურის ამოცანა არა მარტო ის არის, რომ დარტყმით უპასუხოს დარტყმებზე, მთელი ამ საზიზღარი ცილისწამებისა და ჩვენს საბჭოთა კულტურაზე, სოციალიზმზე თავდასხმების წინააღმდეგ, არამედ გაბედულად გაამთრახოს და თავს დაესხას ბურჟუაზიულ კულტურას, რომელიც მარაზმის და გახრწნის მდგომარეობაშია“.²

თუ საბჭოთა კულტურა, ყველაზე უფრო მოწინავე კულტურა კაცობრიობის ისტორიაში, სწრაფად მიდის წინ კომუნისმის მწვერვალებისაკენ, ბურჟუაზიული კულტურა შეუჩერებლად მიეჭანება უფსკრულისაკენ.

¹ ა. სტალინი „საინგარიშო მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე საქავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ“.

² აშ. ჟდანოვის მოხსენებიდან ჟურნალის „ზევლისა“ და „ლენინგრადას“ შესახებ.

ილია ჭავჭავაძე და „მესამე ღასი“

ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ფილოსოფიური საფუძვლები, რომელთა შესახებ ჩვენ წინა წერილში ვილაპარაკეთ¹, წარმოადგენენ თეორიულ საყრდენს, რომელზედაც აშენებულია მწერლის მთელი კონცეფცია, — მისი საზოგადოებრივი შეხედულებების მთელი სისტემა. ილია მრავალმხრივი მოაზროვნე იყო და მან დაგვიტოვა ღირსშესანიშნავი ნაწერები ცოდნის მრავალი დარგიდან, როგორცაა: ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნების თეორია, პოლიტიკური ეკონომია, ენათმეცნიერება, იურისპრუდენცია, პედაგოგია, ფსიქოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობა და სხვ. შეგვეძლო გავყოლოდით ილიას აზრთა მსვლელობას ცოდნის თვითიულ ამ დარგში და ყველგან დავინახავდით მის ერთიან, გარკვევით ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობას, — აღმოვაჩინდით მთლიან და მწყობრ სისტემას აზრებისას, განვითარებულს საოცარი სიღრმითა და თანმიმდევრობით.

მაგრამ ამჟამად ჩვენი წერილის მიზანია გაარკვიოს მხოლოდ ერთი ცალკე პრობლემა, სახელდობრ: ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება „მესამე ღასთან“ და მასთან დაკავშირებით — რევოლუციურ მარქსიზმთან. ვფიქრობთ, ამ საკითხების გარკვევის დიდი მნიშვნელობა და აქტუალობა უდავოა, მით უმეტეს, რომ ახლახან აღ-

მოჩნდა ი. ჭავჭავაძის მეტად საინტერესო ხელნაწერები, რომლებიც ახალ შუქს ჰფენენ რევოლუციურ მარქსიზმთან ილიას დამოკიდებულების საკითხს².

ილია ჭავჭავაძემ, რომელიც მოვლენათა მუდმივი მოძრაობისა და განვითარების თვალსაზრისზე იდგა, ძალიან კარგად იცოდა, რომ „ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა“; მან იცოდა, რომ თუ ცხოვრება ჯანმრთელია, — „მისნი ძალანი, მისნი ძარღენი მარად დაუძინარნი არიან. იგინი დაუღალავად, დაუყოვნებლივ მოქმედობენ, მოძრაობენ, წარმოებენ, როგორც ყოველიფერი, რასაც კი სიცოცხლე აქვს მინიჭებული“; მან იცოდა აგრეთვე, რომ „ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აქვს თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა; რომელიც ბერდება კი, მაგრამ იმ სიბერის ნაყოფზედ ისევ არ ამოვა განახლებული, განათლებული სიახლის მშვენიერ გვირგვინითა — ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტვერი დღემამის ზურგიდამ“³.

გამოდირდა რა ასეთი შეხედულები-

¹ იხ. გაზ. „კომუნისტი“, 16/VI, 1948 წ.

² თხზ. სრ. კრებული ტ. II, გვ. 39 — 41.

³ იხ. უფრ. „მნათობი“ 1947 წ. № 7 — 8.

9. „მნათობი“ № 8.

დან, ყოველ ახალს მოძრაობას აზრისას ილია განიხილავდა რრგორც თავისი ქვეყნის ცხოვრების განახლებისა და წინსვლის ნიშანს ამიტომ იყო, რომ იგი გულწრფელად ნატრობდა ახალი თაობის გამოჩენას, მოელოდა ახალ დასს და სულითა და გულით შესტროფოდა ახალგაზრდობას, რომელსაც, მისი აზრით, ხალხისათვის ბედნიერება უნდა მოეტანა.

ამ აზრის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს ილიას ერთი პატარა, მაგრამ უაღრესად საყურადღებო წერილი, რომელიც დაწერილია 1886 წელს და რომელიც ატარებს სათაურს „ახალი დასის მოლოდინში“. ამ წერილში ილია აღიარებს რა, რომ ცხოვრებამ ჩვენში ფერი იცვალა და რომ „ახალმა დრომ — ახალი მოთხოვნილება დაბადა ხალხის ცხოვრებაში“, — ღრმა სინანულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ არა სჩანს ახალი, განათლებული თაობა, რომელსაც „ახალის ცხოვრების მოთხოვნილება ესმის და გზის ჩვენებაც შეუძლიან“. იგი სწერს: „მწარე ფიქრები წარმოგვიდგება ხოლმე თავში, როდესაც ჩვენს განათლებულს კაცებს ვუფიქრდებით. შეჭხედეთ სხვა ქვეყნებს... ერთობ ყოველ დაწინაურებულ განათლებულ ქვეყანაში თითქმის ყოველ ათს წელში ცხოვრება ფერს იცვლის... ყოველ ამგვარ მოძრაობას... ახალი მოთხოვნილება მოსდევს და საქვეყნო სარბიელზე ახალის დასის ხალხი გამოდის. ძველ თაობას ახალი სცვლის, ან გერდში უდგება. ახალახალის ცოდნით, ახალის ცხოვრების გამოცდილებით, მეტის ჯანით და ღონით, ცხოველის ძალით არის შეჭურვილი და ამიტომ ცხოვრების მიმდინარეობას შესამჩნევ მოძრაობას აძლევს. ამ მოძრაობის ტალღები ვრცლად გადის და ცხოვრების ვარამსა და ვაგლახსა პრეცესს... სანუგეშოდ ის მაინცა რჩება, რომ ცხოვრება იქ დახვე-

ბულ გუბედ არ გადაიქცევა. სიტყვა მოძრაობაა, იქ სიცოცხლეც რჩება... წერილი ასეთი დამაზნისაა, რომელიც სიტყვებით მთავრდება: „ცხოვრება წინ წავიდა... ცარიელი მოედანი ცხოვრებისა პლალადებს და იწვევს იმ განათლებულ მშრომელთა, მაგრამ ლაღი ჯერ არავის ესმის და მოწვევაზედაც ჯერ არავინ მოდის“.

ასე მოელოდა ილია ახალ თაობას, მოელოდა განათლებულ და მომზადებულ ახალგაზრდობას, რომელსაც უნდა შეეცვალა ახალიდროისათვის უკვე შეუფერებელი წინანდელი თაობა. ილიამ კარგად იცოდა, რომ ადრე თუ გვიან ასეთი ახალი თაობა აუცილებლად უნდა მოსულიყო, რადგან ამას მოითხოვდა და საჭიროებდა თვითონ ცხოვრება, რომელც „იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა“. აქედან გამომდინარეობდა ილიას ურყევი რწმენა უკეთესი მომავლისადმი. ამიტვე აიხსენებოდა მისი ცდები დაეჩქარებია მომავალი, ხელი შეეწყო ახალგაზრდობის წინსვლა — განათლებისათვის, თავისი დიდი მეგობრისა და თანამებრძოლის აკაკი წერეთლის მსგავსად, ილია ეძახდა გმირებს, რომლებსაც უნდა დაეხსნათ მშრომელი ხალხი ტანჯვა-წვალებისაგან. მან, აკაკის მსგავსად, — პირდაპირ იწინასწარმეტყველა ქართველი ხალხის იმ დიდი გმირის გამოჩენა, რომელიც არა მარტო ქართველი ხალხის განმანთავისუფლებლად მოგვევლინა, არამედ მთელი მსოფლიოს ჩაგრულ და განაწამებ ხალხთა იმედი და მხსნელიც შეიქმნა. ამ დებულების დასადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ ილიას შესანიშნავი ლექსი „ბაზალეთის ტბა“, რომელიც მიძღვნილია იმ გმირ ყრმისადმი, „ვისაც

1 თხზ. სრ. კრებული, ტ. II, გვ. 172 — 73

2 იქვე, გვ. 173.

დღე-ღამე ნატრულობს ჩემს ნატრითა ქართველი.“

მაგრამ ილია ჭავჭავაძე ისეთი ადამიანი არ იყო, რომ ნამდვილი ახალი თაობა, რომლის გამოჩენასაც იგი მოელოდა და შესტრფოდა, ვერ გაერჩია ცრუ ახალი თაობისაგან და ქვეყნის მხსნელად მიეჩნია ყოველი მხსავანა, რომელიც ახალი თაობის სახელით გამოდიოდა. რჩებოდა რა აქაც თავისი პრინციპების ერთგული, ი. ჭავჭავაძე ახალ თაობას უადრესად შეაკრ მოთხოვნებს უყენებდა. მიუხედავად იმისა, რომ ილია ყველაზე მწვავედ გრძნობდა ახალი თაობის გამოჩენის საჭიროებას და უყვარდა, შესტრფოდა მას, — მიუხედავად ამისა, და სწორედ ამიტომ, იგი შეაკრად კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა ყველას, ვინც ამ სახელს უსაფუძვლოდ ეპოტივებოდა.

ჩვენ აქ საჭიროდ მიგვჩინია ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საკითხი ახალ თაობის რაობის გამორკვევისა და ძველ თაობასთან მისი დამოკიდებულების შესახებ, არ არის ისე უბრალო საკითხი, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს ეს საკითხი უადრესად რთულია, რადგან იგი ბუნებრივად უკავშირდება ახალი თაობის მიერ ძველი მემკვიდრეობის კრიტიკული გადაამუშავებისა და ათვისების საკითხს. სათანადოდ დააფასო ძველი კულტურული მემკვიდრეობა, ახალი, მოწინავე თვალთახედვით კრიტიკულად გადაამუშავო იგი, აითვისო ყოველივე კარგი, რაც კი წინანდელი თაობის მოაზროვნეებს შეუქმნიათ და მათთან შედარებით გადასდგა ნაბიჯი წინ. ცხოვრების ახალი ვითარების შესაბამისად, — ასეთია ყოველი პროგრესიული ახალი თაობის ამოცანა. დაახლოებით ასე ესმოდა იგი ილია ჭავჭავაძეს.

თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას აძლევდა ილია ამ საკითხს, გვთქვავს (მაშინდელი საქართველოს ცხოვრების ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით), ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 80-იან წლებში მან ამ საკითხს მიუძღვნა წერილების მთელი სერია¹, რომელშიც მატერიალისტური დიალექტიკის გამოარჯვების ბევრი ბრწყინვალე ნიმუში მოგვცა და უდიდესი მეცნიერული სიღრმით გააშუქა ძველისა და ახლის დამოკიდებულების რთული პრობლემა.

ეკამათებოდა რა „დროებაში“ მოთავსებული ფელეტონების ავტორს, რომელსაც თავი მოჰქონდა „ახალი რაზმის“ კაცად ილია ამბობდა:

„ამისთანა ახალნი იქნება ახალ-გაზრდანი არიან, მაგრამ ახალ-თაობის კაცნი კი არა, აქ ახალის თაობისა და ახალის დროისა არა არის რა და, ღვთის მოწყალებით, თავისდღეშიაც ამისთანა რამ არც იქნება, არც ახალის თაობისა და არც ახალის დროის ნიშნად. ესე ყოველი არ ახალია — ძველია. ესე ყოველი ახალი დრო და ახალი რაზმი კი არ არის, არამედ „ქისრულის“ ავტორის საკუთარი დროა და საკუთარი რაზმი და მართლა ახალს დროს და ახალს რაზმს აქ არაფერი მონაწილეობა არა აქვს.“¹

შემდეგ:

„ჩვენ საზოგადოდ ახალს თაობას კი არ ვყოფთ უარს, არამედ იმას, ვინც მაგ სახელს ფართი-ფურთობისათვის ტყუილად იჩენებს. — ახალი თაობა ახალთა აზრთა წინამძღოლობაში, ახალთა აზრთა მოძღვრებაშია და არა

¹ მხედველობაში გვაქვს წერილები: „მითამ და „ახალის რაზმის კაცი“, „ახალი დღის მოლოდინში“, „თურგ-დალეულნი“ და ახალი თაობა“, „ბულვარის აკადემია“. „უარყოფილობა ჩვენში“ და სხვ.

¹ თხზ. სრ. კრებ., ტ. II, გვ. 169.

იმაში, რომ მე დღეს დაეწიე წერა და შენ გუშინაო“.¹

წერილში „ბულვარის აკადემია“ ნათქვამია:

„ავსაც და კარგსაც, ტყუილსაც და მართალსაც თავისი საკუთარი ბუნება აქვს და თვითოეული თვისდა ბუნებობისამებრ უნდა გაიჩინოს და გამოიზომოს და არა სიახლით და სიძველითა.“

„ყველას, ძველია თუ ახალი, მინამ მსჯავრს დასდებდეთ, კბილი კი არ უნდა უსინჯოთ, ბუნება უნდა გამოუჩნდრიკოთ და მართო მაშინ დაეჭდევა თქვენს მსჯავრს ადამიანის საკადრისი ღირებულება და ფასი“.²

შემდეგ:

„არასფერი ქვეყანაზედ არც იმით დაიწუნება, რომ ძველია, არც იმით მოიწონება, რომ ახალია. ამ სადა ქვემარტებს დიდი ღარი და ხაზი არ უნდა, არც მეტის-მეტი გონების გახსნილობა, რომ ეაკმა ახალი ტალახი ძველს ვარდს არ ამჯობინოს მარტო მის გამო, რომ ტალახი ახალია და ვარდი კი ძველი“.³

განსაკუთრებით ღრმავაროვანი და საინტერესოა სტატია „უარყოფლობა ჩვენში“, რომელშიც ნათქვამია:

„... „ჰოც“ ისეთივე უარყოფაა „არასი“, როგორც „არა“ „ჰოსი“, და თუ სიმართლე, სიმბრძნე და ღიბერალობა მართო უარყოფაშია, „ჰოსაც“, ვით „არას“ უარყოფელს, ისეთივე პატივი

უნდა ჰქონდეს, როგორც „არას“ „ჰოს“ უარყოფელს.

შორს რომ არ წავიდეთ, „გზნა“ მსგავსი თებრ, სქოლასტიკა უარყოფელობა არ იყო გონების თავისუფლად მსჯელობისა? განა ეგრეთწოდებული „ეპოქა განახლებისა“ უარყოფა არ იყო სქოლასტიკისა? განა ერთსაცა და მეორესაც ერთსა და იმავე დროს თავისი „ჰო“ არა ჰქონდათ, რომლის სახელითაც სხვის „ჰოს“ უარსაყოფდნენ? ორივე ერთმანეთის უარყოფელნი იყვნენ და თუ ცარიელი უარყოფა სასახლეოა და საპატიო, მამ განახლების ეპოქის უარყოფელი სქოლასტიკა ისეთივე სასახლეოდ მისაჩნევი უნდა იყოს უარყოფელთა მოძღვრებისათვის, როგორც განახლების ეპოქისაგან უარყოფა სქოლასტიკისა... გვიკვირს, უარყოფელრბა თავის-თავად, როგორც, ერთი რამ ცალკე განსაკუთრებული მოძღვრება, — როგორ ჰმოგინობს ადამიანის საღს გონებაში და ან კაცის გონება როგორ იშვენეს და ჰკადრულობს ამ სასაცილობას“.¹

ასეთივე მოწინავე, მეცნიერული თვალსაზრისით უდგებოდა ილია ახალითაობის შეფასების საკითხს. დაუნდობლად ებრძოდა რა ყველა ჯურის არამკითხეებს, რომლებიც ახალითაობის დროშას ეპოტინებოდნენ, ამით იგი გზას უკაფავდა ნამდვილ, ქვემარტ ახალთაობას, იფარავდა მის წმინდასახელს, ასწავლიდა მას მტერ-მოყვარის გამოცნობას და ეკობრიობის

¹ იქვე, გვ. 170.

² იქვე, გვ. 184.

³ იქვე, გვ. 182.

¹ იქვე, გვ. 189.

კულტურულ მონაპოვართა ღირსეულ დაფასებას.

აი, უკვდავი სიტყვები, რომლებიც მთელი სიმღვირით დაღაღებენ დიდი ალიას გულის მხურვალეებაზე და ქვეშე-მარიტი ახალი თაობისადმი შის უსაზღვრო სიყვარულზე:

„... პირველი ანბანი ზნეობისა და ადამიანობისა შერყეულია, ჩვენში, და ჩვენდა სამწუხაროდ — შერყეულია ახალ-თაობის სახელითა, ესე იგი იმ თაობის სახელითა, რომელზედაც დამყარებულია ჩვენის ზნეობის ამოღების იმედი, ჩვენის განკარგულების სასიკეთა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ დანაშაულობაში ნამდვილი და ქვეშეპირტი ახალი თაობა არაფერს შუაშია, და მით უფრო ვწუხვართ, რომ მის წმინდა სახელს ასე ამოად და მოურიდებლად ამ უკადრის ქცევაში იხსენიებენ. შორს, შორს ახალ-თაობისაგან ის, ვინც ადამიანის პიროვნებას, ადამიანის სინილისს ფეხ-ქვეშ სათელავ მჩვრადა ხდის. რა არის მთელი პროგრესი კაცობრიობისა, თუ არ ის, რომ ადამიანის პიროვნება, ადამიანის სინილისი, ყოფა-ცხოვრება, — უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ არავისაგან ხელშეხებულ არ იყოს, არავისაგან შემწიკვლულ, შეგინებულ და შევიწროებულ. რაც გინდა სთქვით, როგორც გინდა მოიქციეთ, ოღონდ ახალ-თაობის წმინდა სახელს ნუ მოჰყენთ უკადრისს ქცევასა, უკადრისს სიტყვასა. ახალი თაობა სხვა არის, სხვა ნუგეშია, სხვა იმედია. ყველა ჩხავანა ახალი თაობა არ არის. ახალი თაობა გონიერებაა. ახალი თაობა პატიოსნებაა, ახალი თაობა ცოდნაა, მეცნიერებაა, ახალი თაობა საქმეა და არა ჩხავილი... ახალი კაცი ძლიერია თავისის აზრით, მსჯელობით, ცოდნით. იგი თავმოსაწონებელს სახელს ახალის კაცისას მართლა და ახალის აზრით, მსჯელობით და ცოდნით დამისაბურებს და არა ყვირილით და ფიცით, ღმერთმანი, ახალი კაცი ვარო.

ვისაც დაუკარგავს თავისი თვისი პატივი და, მაშასადამე, უკადრისობა იმისათვის, ვინც უნდა ღირსეულად დავეითოთ. დეე იმან ამ გზაზე და ამ იარაღით იბრძოლოს. დრო, კეთილ-გონიერება და თითონ ახალი თაობა თავის უტყუარს განაჩენს თავის დროზედ იტყვის.“¹

ასეთი იყო ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ახალი თაობისადმი.

სწორედ ამ ფაქტების სინათლეზე უნდა იქნას განხილული იმ ბრძოლის ისტორია, რომელსაც ცხრაასიან წლებში ადგილი ჰქონდა, ერთის მხრივ, ი. ჭავჭავაძესა და მეორეს მხრივ, „მესამე დასის“ უმრავლესობის მესვეურ ნ. ჟორდანიას შორის. ეს ბრძოლა დაიწყო გაზ. „კვალის“ ფურცლებზე ნ. ჟორდანიას დემაგოგიური გამოხვლებით, რასაც თან მოჰყვა ილიას საპასუხო პოლემიკური წერილები. ილია, რომელიც აქამდე ოცნებობდა ახალი თაობის გამოჩენაზე და სასიკეთით მოელოდა მას, ახლა სასტიკ და გააფთრებულ ბრძოლაში ჩაება „მესამე დასის“ უმრავლესობასთან, — იმ დასისა, რომელიც გამოდიოდა, როგორც ახალი თაობა, — როგორც ახალი, უდიდესი მეცნიერული მოძღვრების — მარქსიზმის მქადაგებელი.

რატომ მოხდა ეს? ცხადია, იმიტომ, რომ ილია არ სთვლიდა ნ. ჟორდანიას და მის ჯგუფს არც ახალი თაობისა და არც მარქსიზმის ნამდვილ წარმომადგენლებად.

მაგრამ განვიხილოთ ეს საკითხი უფრო დაწვრილებით.

II

იმისათვის, რომ ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ „მესამე დასის უმრავლესობის გალაშქრებას სწორი შეფასება მივცეთ, ზედმეტი არ იქნება მოვაგო-

¹ ნაწერ. სრ. კრებ ტ. VI, გვ. 343 — 45.

აქვე უნდა ითქვას, რომ „მესამე დასის“ უმრავლესობიდან ისეთებიც კი, რომლებიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის გათიშვის შემდეგ ბოლშევიკებს მიემხრნენ თითქმის არასოდეს არ ყოფილან თანამიმდევარი მარქსისტი — ლენინელები და მათ შემდეგშიც არა ერთი პრინციპული შეცდომა დაუშვიათ. ამ აზრის დასადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ ნაციონალურ-უკლონისტური გადახრა საქართველოს კომუნისტურ პარტიაში. ეს გადახრა ფეოდალიზმის ნაშთების გამოხატულებას წარმოადგენდა ქართველ თავად-აზნაურთა და კულაკთა ინტერესებს ასახავდა. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ ნაციონალ-უკლონისტთა ოპოზიცია, როგორც სამართლიანად ამბობს აშხ. ლ. პ. ბერია, „დაადგა რა პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის გზას, ქართული მენშევიზმის პოზიციებზე დაქანდა“.¹

ასეთი იყო „მესამე დასის“ უმრავლესობის პოლიტიკური ფიზიონომია. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, უნდა ვალიაოთ, რომ „მესამე დასის“ უმრავლესობის ბრძოლა ი. ჯავახიძის პოლიტიკური კონცეპციის, მისი მსოფლმხედველობის წინააღმდეგ, ისტორიულად მაინც სწორი და სამართლიანი ბრძოლა იყო. რატომ? იმიტომ, რომ ეს იყო ახალი, მოწინავე მსოფლმხედველობის ბრძოლა ძველ, უკვე დრომოკმულ მსოფლმხედველობასთან; იმიტომ, რომ ის საზოგადოებრივი შეხედულებები, ის თეორია, რომლის სახელითაც „მესამე დასელები“ გამოდიოდნენ, იყო მოწინავე შეხედულებები, მოწინავე თეორია, რომელიც შეეფერებოდა ახალ ვითარებას, — კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებისა და მისგან გამომდინარე შედეგებით შექმნილ ვითარებას; ხოლო ილიას კონცეფცია, მისი პოლიტიკური შეხედულებე-

ბი, მისი თეორია, რომელიც 60-იანი წლებისათვის მოწინავე რევოლუციურ და დადებით როლს ასრულებდა დროისათვის, დაძველდა და აღარ შეეფერებოდა ახალ ვითარებას. ეს თეორია, რომლის არსი ამ პერიოდში კლასთა შერიგებისა და მათი ჰარმონიული შეხმატკბილების განხორციელებაში მდგომარეობდა, ღირსი იყო უკუგადახრისა, დაგმობისა, დამსხვრევისა. და აქ „მესამე დასელები“ საესტაბლიშმენტით მართალი იყვნენ.

მაგრამ იმ შეზღუდულობის გამო, რომელიც „მესამე დასელების“ უმრავლესობას ახასიათებდა და რომელიც მის მიერ რევოლუციური მარქსიზმის უცოდინარობიდან, გაუგებლობიდან და დამახინჯებიდან გამომდინარეობდა, ამ უმრავლესობამ ვერ გააჩნია ერთმანეთისაგან ილიას პოლიტიკური შეხედულებანი, ე. ი. მისი პოლიტიკური კონცეფცია და ის დამოუკიდებელი ძალა და მნიშვნელობა, რომელიც მის მხატვრულ ნაწარმოებებს გააჩნდათ. „მესამე დასელთა“ უმრავლესობას არ ესმოდა რევოლუციური მარქსიზმი და ცხადია, რომ არ გააჩნდა უნარი მოემარჯვებია მარქსისტული დიალექტიკა საზოგადოებრივ მოვლენათა ასახსნელად. ამით აიხსნება, რომ ილიას კლასთა შერიგების დრომოკმული თეორია მათ გაიგივებს მთელ მის შემოქმედებასთან და უარჰყვეს მისი მხატვრული ნაწარმოებების ყოველგვარი დამოუკიდებელი მნიშვნელობა. მათ ვერ გაიგეს, რომ ილია — მხატვარი გაცილებით მალა დგას თავის პოლიტიკურ მოძღვრებაზე და რომ მისი ნაწარმოებების ძალა და მნიშვნელობა ბევრად სცილდება მათს აზრობრივ შინაარსს; მათ ვერ გაიგეს, რომ დახატა რა ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილი საზოგადოების, ე. ი. 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდის საქართველოს ცხოვრების შესანიშნავი, რეალისტური სურათები, ამით ილიამ ხელი შეუწყო

¹ იქვე, გვ. 214.

ქართველი გლეხობის გათვითცნობიერებას, მათს გარევიოლუციონერებას და ჩვენში გზა გაუყავა 1905 წლის რევოლუციას.

თუ კი ლევ ტოლსტოიზე შეეძლო ეთქვა ლენინს, რომ ის რუსეთის რევოლუციის საარკვე იყო, ეს სიტყვები მით უმეტეს ითქმის ი. ჭავჭავაძის შესახებ. მაგრამ საკითხის სწორედ ეს მხარე ვერ გაიგო „მესამე დასელთა“ უმრავლესობამ და ამით აიხსნება, რომ მან ხელალებით უარყო ილიას მთელი შემოქმედება ისე, რომ არავითარი ანგარიში არ გაუწია მისი მხატვრული ნაწარმოებების მასებზე შედგომქმედების მნიშვნელობას.

ამავე დროს, ი. ჭავჭავაძეს ხალხის ფართო მასები იცნობდნენ სწორედ როგორც მხატვარს, როგორც დიდ მწერალს და არა როგორც „კლასთა ზავის“ მქადაგებელ პოლიტიკურ მოღვაწეს. ილიას პოლიტიკური კონცეფცია, უმთავრესად და ძირითადად გამოთქმული იყო მის პუბლიცისტურ წერილებში, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ავტორის ხელმოწერადა იბეჭდებოდა და ილიასადმი მათს კუთვნილებაზე ბევრმა არც კი იცოდა, მაშინ, როცა „კაკო ყაჩაღი“, „აჩრდილი“ და ილიას სხვა შედეგები ხალხმა თითქმის ზეპირად იცოდა.

ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ რევოლუციური მასები, 1905 წლის აქტიური მებრძოლნი, იგივე კაკოები და გაბროები, რომლებსაც საესეებით სამართლიანად მიაჩნდათ ილია თავის საყვარელ მწერლად, არ იზიარებდნენ ჟორდანიას და მისი ჯგუფის პოზიციას. ისტორიული სინამდვილეა, და ამას ვერაფერ ვერ უარკყოფს, რომ ქართველი ხალხი არასოდეს არ შერიგებია ი. ჭავჭავაძის რეაქციონერად და მშრომელთა მოსისხლე-მტრად გამოცხადების ცდებს. ეს ფაქტი მტკადა დამახასიათებელია.

საკიროდ მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ, რომ მარქსიზმისა და ქართველ გლეხობის მტრები, — სწვადასხვა ზეპირად მხატვრული — რეაქციონერები ძველი ქართველი ინტელიგენციის წრეებიდან, ძალიან მარჯვედ იყენებდნენ „მარქსისტების“ შეცდომებს ი. ჭავჭავაძის მნიშვნელობის შეფასებაში და ეფარებოდნენ რა დიდი მწერლის ავტორიტეტს და ხალხში მისი სახელის პოპულარობას, ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ რევოლუციური მარქსიზმისათვის. ამიტომ მესამე დასელთა უმრავლესობა თავისი ხელალებით და განურჩეველი ბრძოლით ილიას წინააღმდეგ ისევე, როგორც ამ ბრძოლის გამოხმაურება და გაგრძელება, რომელსაც უკვე ჩვენს დროში ჰქონდა ადგილი, მარქსიზმის საქმეს კი არ ემსახურებოდა, არამედ მარქსიზმის მტრების წისკვილზე ასხამდა წყალს.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ „მესამე დასის“ უმრავლესობის, კერძოდ კი მისი მეთაურის ნ. ჟორდანიას ბრძოლა ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ სწარმოებდა არა მარქსისტული, არამედ ვულგარულ-მექანისტური პოზიციებიდან, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რევოლუციურ მარქსიზმთან. როგორც ცნობილია, მარქსიზმის ვულგარიზატორები ფიქრობდნენ, რომ მწერალს შეუძლია ასახოს მხოლოდ იმ სოციალური ჯგუფის, ან კლასის ფსიქოლოგია, რომელსაც იგი ეკუთვნის და ისიც თავისი კლასობრივ-ეგოისტური თვალსაზრისით. ამიტომ ისინი მწერალს აფასებდნენ არა იმ როლის მიხედვით, რომელსაც მწერლის შემოქმედება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასრულებს, არა იმის მიხედვით თუ რამდენად სწორად ვადმოგვემს ის ცხოვრების მოვლენებს, თავისი ეპოქის იდეებს, არამედ მისი სოციალური წარმომომბნის მიხედვით. ამიტომ, მათი აზრით, თუ მწერალი თავად-აზნაურთა წრიდანაა, მას დაუნ-

დობელი ომი უნდა გამოვეცხადოთ, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორი შინაარსისაა მისი შემოქმედება.

ცხადია, ასეთ ვიწრო, მექანიკურ შეხედულებას არაფერი აქვს საერთო რევოლუციურ მარქსიზმთან, ლენინისა და სტალინის მოძღვრებასთან კლასიკური მეტყვიდრეობის ათვისების მიმართ.

ასეთია საქმის ვითარება ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ „მესამე დასის“ უმრავლესობის ბრძოლის შეფასების მხრივ.

III

გამოსარკვევი დავერჩა საკითხი: როგორი-ღა იყო „მესამე დასის“ რევოლუციური უმცირესობის დამოკიდებულება ი. ჭავჭავაძესთან, აგრეთვე იმ ბრძოლასთან, რომელსაც ამ დასის უმრავლესობის მესვეურები ილიას წინააღმდეგ ეწეოდნენ?

როგორც ცნობილია, 1898 წელს „მესამე დასის“ შემადგენლობაში შევიდა ამხანაგი სტალინი, რომელმაც სიახლე და რევოლუციურობა შეიტანა ამ დასის ცხოვრებაში. ამ დროიდან „მესამე დასის“ შიგნით ჩაისახა და ჩამოყალიბდა რევოლუციური მარქსისტული ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ ამხანაგები: ი. სტალინი, ს. წულუკიძე და ლადო კეცხოველი. ეს ჯგუფი, როგორც ამხანაგი ლ. პ. ბერია ამბობს, წარმოადგენდა „მესამე დასის“ უმცირესობას, — მის რევოლუციურ — მარქსისტულ ინტერნაციონალისტურ ფრთას, რომელიც მთელ რიგ საკვანძო საკითხებში არ ეთანხმებოდა უმრავლესობის პოზიციას და რომელმაც დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღა „მესამე დასის“ უმრავლესობის წინააღმდეგ ლენინური „ისკრის“ პრინციპებისათვის.

„გადამკრულ და შეუჩივებელ ბრძოლაში — ამბობს ამხანაგი ლ. პ. ბერია —

ქართული ლეგალური მარქსიზმის წინააღმდეგ, „მესამე დასის“ უმცირესობის წინააღმდეგ, მარქსისტულ-სოციალურ თავეში ედგა ნ. ეორდანი, ჩაისახა, ჩამოყალიბდა და გაიზარდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით რევოლუციური ლენინური-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ბოლშევიკური ორგანიზაცია ამიერ-კავკასიაში“.¹

აქედან ცხადია, რომ ჩვენთვის გადამწყვეტი და განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს იმ პოზიციის გამორკვევას, რომელიც ი. ჭავჭავაძის მიმართ „მესამე დასის“ უმცირესობას ამხანაგ სტალინის მეთაურობით ეკირა.

რევოლუციური მარქსიზმის დიდ კლასიკოსებს ლენინსა და სტალინს, აგრეთვე მათს უახლოეს თანამებრძოლებს, არ ჰქონიათ შემთხვევა თავიანთ ნაწერებში მოეცათ საქართველოს 90-იანი წლების პროგრესული მოძრაობის კერძოდ კი ამ მოძრაობის იდეური ბელადის ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობის როლისა და მნიშვნელობის ამომწურავი შეფასება. მაგრამ, სამაგიეროდ, ლენინისა და სტალინის მოძღვრება, მათი დებულებები, თუ მათ კარგად ჩაუფიქრდებოდათ და თუ შეესძლებოდათ მათს მომარჯვებას, საესეებით ნათლად და გარკვევით აგვიხსნიან ი. ჭავჭავაძისა და მისი პროგრესული ჯგუფის ნამდვილ მნიშვნელობას, მათს კლასობრივ რაობას, მათს ისტორიულ როლსა და ადგილს. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრულიადაც რომ არ მოგვეპოებოდეს რაიმე პირდაპირი ცნობა, რომელიც მიგვითითებდა „მესამე დასის“ რევოლუციური უმცირესობის პოზიციაზე ი. ჭავჭავაძესთან და-

¹ ლ. ბერია, „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, 1939 წ. გვ. 21.

მოკიდებულების საკითხში, მაინც მარქსისტი მკვლევარისათვის არ უნდა წარმოადგენდეს განსაკუთრებულ სიძნელეს ამ საკითხის სწორი გარკვევა.

თუ გავითვალისწინებთ საკაცობრიო კულტურისადმი დამოკიდებულების საკითხში მარქსიზმის იმ დიად პრინციპებს, რომლებითაც ლენინი და სტალინი სამოღვაწეო ასპარეზზე მათი გამოსვლის პირველი დღიდანვე ხელმძღვანელობდნენ, აგრეთვე 900-იანი წლების კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებას, — ყოველ ეჭვს გარეშე მივალთ იმ ერთადერთ სწორ დასკვნამდე, რომ „მესამე დასის“ რევოლუციურ უმცირესობას ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით არ შეეძლო გეზიარებია და არც იზიარებდა ამ დასის უმრავლესობის ეულგარულ-მექანიკურ თვალსაზრისს ი. ჭავჭავაძის შემოქმედების მიმართ.

ვიმეორებთ: მარქსისტი მკვლევარისათვის ეს დასკვნა არავითარ ეჭვს არ გამოიწვევდა მაშინაც კი, რომ ასეთი მსჯელობისათვის რაიმე პირდაპირი საბუთი არ არსებობდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ სათანადო საბუთიც მოგვეპოვება.

როგორც ცნობილია, ბათუმის პოლიტიკური დემონსტრაციის შემდეგ (1902 წლის 5 (18) აპრილს ამხანაგი სტალინი დააპატიმრეს და ჯერ ბათუმის საპატიმროში მოათავსეს, ხოლო შემდეგ, 1903 წლის გაზაფხულიდან ქუთაისის საპატიმროში გადაიყვანეს.

სტალინის ამ პერიოდის მოღვაწეობის შესახებ ამხანაგი ლ. პ. ბერია შემდეგს წერს:

„ამხანაგი სტალინი ქუთაისის საპატიმროშიც, ისე როგორც ბათუმის საპატიმროში, დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწევა პატიმართა შორის, ამყარებს კავშირს პოლიტიკური პატიმრების ყველა საკანთან, ეწევა მათ შორის ლენინურ-ისკრული იდეების პროპაგანდას, მკაცრად ამხელს „მესამე და-

სის“ უმრავლესობის, გაზეთ „კალის“ და ნოე ყორღანიას კომპოტუნის, პროლეტარიატის ჰეგემონის კონცეფციას და გლახთა მოძრაობისათვის პროლეტარული ხელმძღვანელობის გაწევის აუცილებლობის პროპაგანდას ეწევა.“¹

სწორედ ამ პერიოდს შეეხება ცნობილი რევოლუციონერის პ. დ. საყვარელიძის მოგონება, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტის“ 1935 წლის 17 მაისის ნომერში, სათაურით: „ი. ბ. სტალინის რევოლუციური წარსულიდან“. მოგონების ავტორი 1903 წლის ზაფხულში, სტალინთან ერთად იმყოფებოდა ქუთაისის საპატიმროში და დაწვრილებით ცნობებს გეაწვდის ამხანაგ სტალინის მოღვაწეობის შესახებ ამ პერიოდში.

აი, რა არის ნათქვამი ამ მოგონებაში: „სოსო განირჩეოდა ეკონომიური და სოციალისტურ ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნით. უკვე სავსებით დასრულებული, განათლებული, ორტოდოქსალური მარქსისტი იყო. ზედმიწევნით იცნობდა „ისკრულ“ პოლიტიკას და ტაქტიკას. სწავლობდა გერმანულს, იცოდა კარგად რუსული და ქართული მწერლობა. თავისუფლად მოყავდა მთელი ადგილები რილეევიდან, პუშკინიდან, ნეკრასოვიდან, ჭავჭავაძიდან, ბარათაშვილიდან. არ იზიარებდა „კვალის“ ცალმხრივი გალაშქრების ნასიათს ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ (ყორღანიას „პრესა“) და მოითხოვდა გარჩეულიყო მისი მხატვრული შემოქმედებაც, რომელსაც დიდათ აფასებდა“. (ხაზი ჩემია, პ. რ.).

ეს უაღრესად ძვირფასი და საინტერესო ცნობაა, რომელიც სავსებით ნათლად და გარკვევით გვიხსნის ჩვენს საკითხს. ამ ცნობის ნამდვილობა არავითარ ეჭვს არ იწვევს არა მარტო იმი-

¹ იქვე, გვ. 33.

ტომ, რომ მისი ავტორი სავსებით ნდობის ღირსია, არამედ იმიტომაც, რომ სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამ დოკუმენტიდან აშკარად ჩანს, რომ ამხანაგი სტალინი იმთავითვე ხედავდა განსხვავებას ი. ჭავჭავაძის პოლიტიკურ კონცეფციასა და მის მხატვრულ შემოქმედებას შორის. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ იგი არ ეთანხმებოდა ილიას მიმართ „მესამე დასის“ უმრავლესობის ვულგარულ-მექანისტურ პოზიციას და როგორც ამხ. პ. დ. საყვარელიძე გადმოგვცემს, „მოითხოვდა გარჩეულიყო მისი მხატვრული შემოქმედებაც, რომელსაც დიდათ აფასებდა“.

სწორედ ილიას მხატვრული შემოქმედების გარჩევა არის ის გასაღები, რომელიც მიგიყვანს ამ დიდი მწერლის ნამდვილი მნიშვნელობის სწორ შეფასებასთან. ეს არის ის შემაერთებელი ხიდი, რომელიც გადებულია 60-იანი წლების პროგრესიულ მოძრაობასა და იმ ნამდვილ ახალ თაობას შორის, რომლის გამოჩენაზეც ი. ჭავჭავაძე ოცნებობდა.

საკითხის ამგვარი და ერთად-ერთი სწორი დაყენების სინათლეზე, ვფიქრობთ, სავსებით გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ არ ჩაითვლება შემთხვევითად ის ფაქტი, რომ მეფის მოხელეები ილია ჭავჭავაძეს სთვლიდნენ — და არც თუ უსაფუძვლოდ — თბილისის სასულიერო სემინარიის მსმენელთა შორის მომხდარ არეულობათა მიზეზად, სწორედ ისევე, როგორც შემთხვევითი არ იყო ახალგაზრდა სტალინის ლიტერატურული თანამშრომლობა ი. ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“.

ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელია. ასე უნდა იქნას გაგებული „მესამე დასის“ რევოლუციური უმცირესობის პოზიცია ი. ჭავჭავაძისა და იმ ბრძოლის მიმართ, რომელსაც ამ დროს ოპორტუნისტული უმრავლესობა ნ.

ქორდანისა მეტაფორობით მის წინააღმდეგ ეწეოდა.

რაც შეეხება ამხ. ფ. მახარაძის პოზიციას, საჭიროა სრულიად გარკვევით ითქვას, რომ ამ საკითხში იგი იზიარებდა იმავე ვულგარულ-მექანისტურ თვალსაზრისს, რომელსაც „მესამე დასის“ უმრავლესობა ქადაგებდა და არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავდა რევოლუციური მარქსიზმის პოზიციას. ი. ჭავჭავაძის შემოქმედების დაფასებისა და მისი მემკვიდრეობის ათვისების საქმეში ამხ. ფ. მახარაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს არაფერი აქვთ საერთო „მესამე დასის“ უმცირესობის ბოლშევიკურ ხაზთან, — კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების ლენინურ-სტალინურ მოძღვრებასთან.

„მესამე დასის“ უმრავლესობის უხამსი შეხედულებანი ი. ჭავჭავაძის მიმართ, სამწუხაროდ, სიცოცხლის უნარიანი აღმოჩნდნენ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც კი ზოგჯერ სწამლავდნენ ადამიანთა შეგნებას. მაგრამ ჩვენმა პარტიამ გადაჭრით დაძვმო მარქსიზმის ვულგარიზატორთა პოზიცია. სტალინურმა ზრუნვამ მკვდრებით აღადგინა და თავის საყვარელ ხალხს დაუბრუნა XIX საუკუნის დიდი მწერალი და ჰუმანისტი, სამშობლოს ღირსეული შვილი — ილია ჭავჭავაძე. ასრულდა ის, რასაც ილია მოელოდა: ნამდვილმა ახალმა თაობამ გამოიტანა თავისი უტყუარი განაჩენი!

IV

ამრიგად, ჩვენ დავამთავრედ „მესამე დასთან“ ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულების საკითხის არსის გამორკვევას. მაგრამ იმისათვის, რომ ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ „მესამე დასის“ უმრავლესობის მესვეურთა ბრძოლის ისტორია ბოლომდე ნათელი გახდეს, საჭიროდ

ლად უმეცარი მარქსისტი“, „ძალად მარქსისტი“, „მარქსისტების თუთიყუ- ში“, „სასაცილო მარქსისტი“ და ა. შ.¹

მეორე აღსანიშნავი მომენტი ილიას პალემიკური წერილებისა ის არის, რომ ავტორი არ სთვლის თავისთავს მარქსიზმის მცოდნეთ და ამის გამო შეგნებულად იკავებს თავს მარქსიზმის ძირითად პრინციპებზე მსჯელობისაგან. იგი თავისთავს უფლებას არ აძლევს შეედავოს ეორდანიას მარქსის მოძღვრების ამა თუ იმ მხარეზე და გამოსთქვას მასზე თავისი აზრი.

მაგრამ ისმება კითხვა: მაშ რით-ღა ამტკიცებს ილია, რომ ეორდანია არაა ნამდვილი მარქსისტი? ხომ არ რჩება მისი ბრალდებანი დაუსაბუთებელ ლიტონ სიტყვებად? რა თქმა უნდა, არა. დაუსაბუთებელი ბრალდებებით ბრძოლა ილიას ბუნებას არ შეეფერებოდა.

იმის დასამტკიცებლად, რომ ეორდანია არ არის და არც შეიძლება იყოს ნამდვილი მარქსისტი, ილია იკვლევს მის შეხედულებებს ისეთ საკითხებში, რომლებშიც თვითონ იგი (ილია) მცოდნეა და აქ ადასტურებს ეორდანიას ქარაფშუტობასა და ზერელობას. ილია ეფექტიანად ამტკიცებს, რომ ეორდანია ვერ ერკვევა პოლიტიკური ეკონომიისა და სოციოლოგიის ელემენტარულ საკითხებში და აქედან ასეთი დასკვნა გამოჰყავს: კაცმა, რომელმაც არ იცის ხსენებულ მეცნიერებათა ანბანი, შეუძლებელია ნამდვილად იცოდეს ისეთი რთული და ღრმა მოძღვრების არსი, როგორცაა მარქსიზმი.

აი რას ამბობს ამის შესახებ თვითონ ილია:

„ბ-ნი ეორდანია მიწყრება, რომ მისს „ფინანსების“ არცოდნას გამოვეკიდე და ვეებერთელა ფელეტონები მოვანდომე. პირველ შეხედვით ეს ჩემი საქციელი მართლა წყრომის ღირსია...

ხოლო ამ შემთხვევაში რომ შიგ ჩახედვით განმიკითხოთ, ეცხვან მსხვას პბრძანებდით. კაცი რომ თავმოწონებით მარქსისტობდეს და არ გაეგებოდეს—კი „ფინანსები“ რა ხილია, იგი სასაცილო მასხარაა და არა მარქსისტი. მას რა დაეჯერება? მას ვინ უნდა აჰყვეს, სულელის მეტი, როცა მაღალ ფარდების საგნებზე ლაპარაკობს? აი მიზეზი მისი, რომ ბ-ნი ეორდანიას საანბანოდ საცოდნელ სიტყვების გამო გამოვეკიდე, თორემ მეც ვიცი, რომ „ფინანსების“ ასე თუ ისე ახსნა არავისათვის საჭირო არ არის და დიდი არაფერია“².

სხვა ადგილას ილია ნ. ეორდანიას უეკიენებს, რომ მან არ იცის „რა არის საკრედიტო დაწესებულება და რაა ფინანსიური“, და ვანაგრძობს: ეს ანბანი პოლიტიკურ-ეკონომიის მეცნიერებისა რომ ვერ გაუგია და ვერ უსწავლია, მოდით და ახლა დაუჯერეთ, რომ ბ-ნი ნოე ეორდანია გაგებული და შიგ-ჩახედული მარქსისტი“.

უნდა ითქვას, რომ ასეთი ხერხით პოლემიკის წარმოება საერთოდ ძნელია და ნაკლებ ეფექტიური, მაგრამ ილიას გონების ძალა აქაც გარკვევით ჩანს, იგი ოსტატურად იკერს ეორდანიას ელემენტარული საკითხების უცოდინარობაში და სასაცილო მდგომარეობაში აედებს მას. (ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ეორდანიას იმ წერილის კრიტიკა, რომელიც კახეთში მის მგზავრობას შეეხება).

მესამე და უაღრესად საინტერესო მომენტი ხსენებულ წერილების ისაა, რომ აქ ილია ახდენს მეცნიერულ წინასწარ განჭვრეტას, რომელიც შემდგომში საოცარი სიზუსტით დაამტკიცა ცხოვრების მსვლელობამ.

¹ იხ. იქვე. გვ. 145, 147, 149, 150, 164.

² იქვე. გვ. 148 — 149.

ემყარება რა საქართველოს მაშინდელი ცხოვრების ვითარების შეცვლის ფაქტს და ამასთანავე გრძნობს რა მარქსიზმის სიდიადეს, იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ადრე თუ გვიან, გამოჩნდება ჭეშმარიტი ახალი თაობა და მასთან ერთად გამოჩნდება ადამიანი, რომელიც ჩანსწვდება როგორც ჩვენი ცხოვრების საჭიროების დედა-აზრს, ისე მარქსიზმის ნამდვილ არსს და გამოამჟღავნებს ქორდანიას და მისი ჯგუფის უმეცრებას, — დამტკიცებს მათ მიერ მარქსიზმის უცოდინარობას.

ილია თავისი მძლავრი გონებით, მთელი თავისი არსებით გრძნობდა, რომ ქორდანია და მისი ჯგუფი არ არის ის თაობა, რომელმაც ბედნიერება უნდა მოუტანოს ქართველ ხალხს; იგი გრძნობდა, რომ ისეთ მყვირალა და უციც ადამიანებს, ისეთ „უჭკუო უმეცრებს“, როგორც ქორდანია იყო, არა თუ ბედნიერების მოტანა, არამედ ბევრი რამის გაფუჭება და მამასადამე, უბედურების მოტანა შეუძლიათ საქართველოსათვის. ამიტომ იყო, რომ ასე გააფთრებით ესწმოდნენ იგი თავს ქორდანიას და მოხუცებულობის მიუხედავად, არ ზოგავდა თავის ძალღონეს მისი ნამდვილი ბუნების გამოსამჟღავნებლად.

მაგრამ ამასთანავე ერთად, ილია კარგად გრძნობდა თავისი პოზიციის სისუსტეს, რაც გამოწვეული იყო მის მიერ მარქსიზმის არა სათანადოდ ცოდნით და რამაც აიძულა კიდევ იგი შეეზღუდა კამათის სფერო და შეევიწროებინა საკამათო საკითხების წრე; იგი გრძნობდა, რომ ქორდანიასთან ჯერ კიდევ არ არის ანგარიში გასწორებული და რომ საჭიროა მის წინააღმდეგ ისეთი ადამიანის გამოსვლა, ვისაც მასზე (ილიაზე) მეტი ცოდნა და ძალა ექნება ვინც ნამდვილად იცის მარქსიზმი და ვისაც ამავე დროს უყვარს თავისი ხალხი და თავისი სამშობლო.

და მთელ თავის იმედებს ილია ამქარებს რწმენაზე, რომ გაიზრდება ახალი თაობა, რომ მოვა ვინმე, ვინც გაიჭრება ვეცს და მზეზე გამოაფენს ქორდანია ნამდვილ კაცობას.

„თავისის თავის მაქებარი, — ამბობს ილია — შორს მანძილს ვერ გაივლის, მალე ჩააყეცინებენ მუხლსა, როცა დაუფიქრლებიან და შეატყობენ, რომ შიგ არა ყრია-რა. ამისი დრო, როცა ექნება, მოვა, და იგი ბალები, რომელთა წინაშე დღეს ბ-ნი ქორდანია უმეცრებისა და უციცობის მალაყს ტაშის-ცემით გადადის, გაიზრდებიან, ისწავლიან, ცოდნით შეივსებიან და გამოარკვევენ, რა არაობის მადანია ეს ჩვენი ახალი პუბლიცისტი ყოველის ფრით, ნიჭი გნებათ, ცოდნა, თუ კეთა“.

ეს აზრი არა ერთგან აქვს განმეორებული ილიას თავის წერილებში. მაგრამ ჩვენ მოვიყვანთ კიდევ მხოლოდ ერთ ყველაზე დამახასიათებელ ამონაწერს, რომელიც ამასთანავე ერთგვარად აჯამებს კიდევ ჩვენს მიერ ილიას პოზიციის შესახებ ყოველივე ზემოთქმულს:

„... ბ-ნი ნოე ქორდანია უცოდინარი, უციცი კაცია და არც სურვილი აქვს იცოდეს რამე, არც უნარი რამ მწერლობისა ღმერთს იმისთვის მიუმაღლებია... საკუთარი აზრი არაფერში არ აბადია: რაც სხვისაგან თუთიყუშივით არ გაუზებირებია, ისიც ღმერთმა იცის, როგორ, და რაც მისს საკუთარს ჰკუთნებ მივარდნილა, იქ ყველგან ფეხი მოსხლეტია და სრული არაობა გამოუჩენია. ეა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად, აქაო და ხუთი-ექვსი ფრაზა რუსულ მარქსიზმისა უსწავლია, ისიც იმისთანა მარქსისტებისაგან, რომელთანაებზე თითონ მარქსმა სთქვა: რაც გინდათ დამარქვით, ოღონდ მარქსისტობას — კი ნუ დამწა-

მებთო. ასე იუარა მარქსმა იმისთანა მარქსისტები, როგორც დღეს ჩვენში ბ-ნი ნოე ყორღანია და მისნი წილა-დობილნი. დრო მოვა და ყოველივე ეს მზეზე გამოიფინება და განკითხვის დღისა წინაშე გამოსჭიმავს ვინმე ამ ჩვენს ვაებატონს მთელის თავისის სიგრძე-სიგანითა. მე-კი რის ღონე და შეძლებაც მჭონდა, მარტო იმას მოვი-დე. ხელი და მეტს აღარას შევეჭიდე“.¹

დიდი მოაზროვნის ეს მეცნიერული დასკვნა ცხოვრებამ მთელი სიცხადით დაადასტურა. მარქსმა და მისი საჭმის დიდმა გამგებებებმა ლენინმა და სტალინმა მართლაც იუარეს და უკუაგ-დეს ისეთი „მარქსისტები“, როგორც იყვნენ „ნოე ყორღანია და მისნი წილა-დობილნი“. განკითხვის დღე მალე დად-ვა. ილიას ზემოთმოყვანილი სიტყვე-მის გამოქვეყნ ბიდან ოთხი წელიც არ

იყო გასული, რომ დაიწერა სტალინის გენიალური შრომა „გაგვიჩვენებენ უთანხმოებაზე“, რომელშიც „მარქსისტე-რებულია ნ. ყორღანიას მენშევიერ-ობორტუნისტული შეხედულებანი“.

მაგრამ, საშუაზაროდ, მოხუცი ილია-სათვის, რომელიც ამ დროისათვის აღარ იმყოფებოდა საქართველოს სწრაფად ცვალებადი ცხოვრების მოვ-ლენათა ცენტრში, ძნელი და თითქმის შეუძლებელი იყო იმ ჭეშმარიტი ახალი თაობის დანახვა, რომელიც არაღეგა-ლურად უკვე ხელმძღვანელობდა მშრომელი მასების მოძრაობას და დი-დი სტალინის წინამძღოლობით სჭედ-და, როგორც ქართველი ხალხის, ისე საერთოდ რუსეთის იმპერიაში მცხოვ-რებ ყველა მშრომელთა ბედნიერ მო-მავალს.

¹ იქვე, გვ. 131.

რუსული პოეზიის ანთოლოგია ქართულ ენაზე



ლიტერატურული თარგმანის ტრადიცია საქართველოში საკმაოდ ძლიერი და ხანგრძლივია. ჯერ კიდევ ჩვენი დიდი კლასიკოსები გატაცებით სთარგმნიდნენ რუსული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს. შეიძლება ითქვას, რომ ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი ერთერთნი პირველნი იყვნენ, რომელთაც რუსული პოეზიის სურნელება შემოიტანეს ქართულ ლიტერატურაში. ალ. ჭავჭავაძე სთარგმნიდა ალ. პუშკინს („ყვავილი“, „ანჩარი“, „სიზმარი“, „ზეავი“ და სხვ.), გრ. ორბელიანი — კ. რილეევს („ნალივიაკოს აღსარება“), ალ. პუშკინს („ჯიღლო ამოა“, „ლხინი“), ვ. ჟუკოვსკის, ი. კრილოვის იგავ-არაკებს და მ. ლერმონტოვს. მართალია, ეს არ იყო თარგმანი იმ გაგებით, როგორც ეს ჩვენ ახლა გვესმის, ხშირად ეს უფრო მიბაძვა იყო, ან გადმოკეთება, მაგრამ ერთი რამ ახასიათებდათ ჩვენი კლასიკოსების თარგმანს, — ისინი, პირველ ყოვლისა, დიდ ყურადღებას აქცევდნენ ამათჟიმ ნაწარმოების აზრისა და შინაარსის გადმოცემას. და ეს კარგი ტრადიცია მათ შემდეგ თაობებსაც უნდერძეს. ილია ჭავჭავაძემ ეს დიდებული ტრადიცია ახალ საფეხურზე აიყვანა. მისი თარგმანები პუშკინიდან („წინასწარმეტყველი“, „ქეშმარიტება“, „ანგელოზი“) და ლერმონტოვიდან („წინასწარმეტყველი“, „ცი-

ცაბო კლდე“, „სიზმარი“ და სხვ.) ამის უტყუარი მაჩვენებელია. არანაკლების პასუხისმგებლობით სთარგმნიდნენ რუს პოეტებს გ. ერისთავი, აკ. წერეთელი, რაფ. ერისთავი და სხვ.

მაგრამ ქართული ლიტერატურის ისტორიას ჯერ არ ახსოვს რუსი პოეტების ქართულად თარგმნის ისეთი დიდი მასშტაბი, როგორც ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხდა. ახლახან გამოცემული „რუსული პოეზიის ანთოლოგია“ — ამის დამამტკიცებელია. ეს თითქოს თავისებური შეჯამებაა მთელი იმ თარგმნითი კულტურისა, რომელიც კი არსებობდა ქართულ ლიტერატურაში.

ცხადია, საბჭოთა თარგმანის მეთოდოლოგია ახლა სულ სხვაა, ვიდრე ეს უწინ იყო. ლექსი, როგორც განსაზღვრული იდეურ მხატვრული ნაწარმოები, მოითხოვს ადექვატურ თარგმანს, სადაც იდეური მხარე, სახელდობრ — ლექსის შინაარსი, აზრი, სახეები, ემოციები და განწყობილება, პირველადია, მხატვრული მხარე კი — რითმები, მეტრი, ტექნიკა, — უნდა გამომდინარეობდეს პირველისაგან. საბჭოთა თარგმანი მოითხოვს პოეტ-მთარგმნელისაგან ავტორისადმი მეცნიერულ-ოპიკტურ მიდგომას, რაც გულისხმობს არა სიტყვა-სიტყვით მექანიკურ გადმოღებას, არამედ დიდი

შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას ავტორის იდეის, მისი შთანთქმის გადმოცემისათვის, ტექსტის რევიზიის უარყოფას (გამოტოვების და გამოცვლის ხაზით), იმას, რასაც მოითხოვდა ბელინსკი, როდესაც ამბობდა, რომ „в художественном переводе не позволяется ни выпусков, ни прибавок, ни изменений“.

თარგმანი ისეთივე დიდი ხელოვნებაა, როგორც ლიტერატურის სხვა დარგი. ლექსის მთარგმნელი ასლის უბრალო გადმომღები როდია, რომელიც სიტყვა-სიტყვით მონურად მისდევს უცხო ენის ლექსიკას, მორფოლოგიას და სინტაქსისს. ზომა და რითმები ყოველთვის როდი იძლევიან პოეტურობის გარანტიას. ნაჭიროა მეტი ყურადღების მიქცევა ლექსის შინაგანი მუსიკალურობისადმი, აზრისა და ემოციის მოძრაობისადმი. ხშირად მთარგმნელი ე. წ. „ექვირიტიმის“ (დედნის რიტმიკის გადმოცემა) გულისათვის უგულვებელჰყოფს ისეთ სახეებსა და ეპიტეტებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ლექსის აზრის გაგებისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არ თავსდებიან ექვირიტიმიის პროკრუსტოსის სარეცელზე, ნამდვილი მთარგმნელი—სიტყვის ოსტატია, მხატვარი, პოეტი, თანაავტორი — ამ სიტყვის მხატვრულ-შემოქმედებითი გაგებით. მთარგმნელის ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ დედნის საფუძველზე შექმნას თავისი საკუთარი მხატვრული ნაწარმოები, მთავარი მიზანია — უცხო ავტორის ხელახალი აღდგენა მთარგმნელის მშობლიურ ენაზე. ამისათვის კი, მთარგმნელმა უნდა განიცადოს უცხო ავტორის ფსიქო-იდეოლოგია და შეიცნოს მისი შინაგანი ქვეყანა. ლიტერატურის ისტორიას კარგად ახსოვს ისეთი ადექვატური თარგმანები, როგორც, მაგ., ივ.

მაჩაბლის შექსპირი, კუროჩხინის ბერანეე, ბლოკის—ჰაინე, ვერპარნი და სხვ. ხშირად მომავალ ხოლმე მთარგმნელებს, როგორც იდეალი, ეუკოვსკის მიერ თარგმნილი ბალადები. მაგრამ, დღეს საბჭოთა ლიტერატურალ-მკოდნეობამ უკვე საკმარისად დაამტკიცა, რომ ეუკოვსკი თავის „თარგმანებში“ უფრო თავისებურად ჰყვება ამბავს ან გადმოაკეთებს ხოლმე მას, ვიდრე თარგმნის. ამას თვითონ ეუკოვსკიც არ უარყოფდა, როდენაც სწერდა, რომ „характер моего авторского творчества: у меня почти все или чужое, или по поводу чужого—и все, однако, моё“.

ცხადია, საბჭოთა მთარგმნელი ვერ წავა ამ გზით, როდესაც კ. ჩუკოვსკის მოსწრებული თქმით, მთარგმნელი „переводит себя“ (მაგ., ბალმონტის „შელი). იგი არ უნდა აღარიბებდეს ავტორს ან თავისი საკუთარი ფერით აფერადებდეს მას, არამედ უნდა ამდიდრებდეს და აცხოველებდეს, მაგრამ არა შელამაზებისა და გასწორების ხაზით. ამიტომ მთარგმნელმა რაც შეიძლება მეტად უნდა შეზღუდოს თავისი საკუთარი შემოქმედებისადმი მიდრეკილება და ერიდოს ე. წ. „отсебятина“-ს. სამწუხაროდ, ჩვენი მთარგმნელები ხშირად ივიწყებენ ამ მბანურ ჰემარიტებას და რითმების ძიებით ვატაცებულნი ვერ ამჩნევენ ლექსის აზრის დამახინჯებას.

როგორია ამ მხრივ „რუსული პოეზიის ანთოლოგია“, აკმაყოფილებენ თუ არა მასში მოთავსებული თარგმანები ზემოთმოყვანილ მეთოდოლოგიურ პრინციპებს? მაგრამ ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ „ანთოლოგიის“ გამოცემა უთუოდ დიდმნიშვნელოვანი კულტურული მოვლენაა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. სწორედ ამ სა-

კითხს ენება ანთოლოგიის წინასიტყვაობის ავტორი გ. ნატროშვილი, რომელსაც განხილული აქვს აგრეთვე რუსული და ქართული ლიტერატურის ურთიერთობა და რუსული პოეზიის როლი და მნიშვნელობა ქართული პოეზიის განვითარებისათვის. წინასიტყვაობა ტემპერამენტით და საგნის კარგი ცოდნით არის დაწერილი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ე. გორგაძის მიერ მოცემული „განმარტებები“ და ბიოგრაფიული ცნობები ვერ დგანან ამ ანთოლოგიისთვის საჭირო დონეზე. რას ნიშნავს „განმარტებები“? ალბათ იგივეს, რაც კომენტარები, მაგრამ მთელი რიგი სახელების და საგნებისა თვითონ ლექსების ტექსტში აუხსნელი რჩება. მაგალ., პლენირა, პორფილიევი და მრავალი სხვა. რაც შეეხება ბიოგრაფიულ ცნობებს ეს უფრო ანოტაციებია ამათუიმ მწერლის შესახებ, რომელნიც მეტად წააგავენ ერთი მეორეს მასალის დაწყობით. გარდა იმისა, რომ ზოგიერთ მომენტებში ისინი არასწორ ცნობებს იძლევიან, მაგალ., ეუკოვსკი 1815 — 1817 წლებში უმთავრესად დორპატში ცხოვრობდა და არა პეტერბურგში, იაზიკოვს არ დაუმთავრებია პეტერბურგის სამთო კადეტთა კორპუსი და დორპატში მხოლოდ 1822 წელს შევიდა უნივერსიტეტში და სხვ., ეს ანოტაციები პოეტურ შემოქმედების თითქმის არავითარ იდეურ დახასიათებას და სოციალურ-კლასობრივ ანალიზს არ იძლევიან. შემდეგ ქართულ ანთოლოგიაში არ შეიძლება ბიოგრაფიულ ცნობებში არ იყოს მოყვანილი ამათუიმ რუსი პოეტის საქართველოში ყოფნისა და ჩვენი ხალხისა და ბუნების მათს შემოქმედებაზე ზეგავლენის ამბავი. დროა ამ შემთხვევაში თავი დავადწიოთ იმ შაბლონს, რომელიც გამეფებულია ასეთი ხასიათის გამოცემებში და საცა საჭიროა

„კავკასიის“ მაგიერ საქართველო ვახსენოთ, მაგალ., ე. გორგაძის წყნარ „გრიბოდოვს... ავხანინის... სხვა...“ ში“, პუშკინი „გამომეგზავრა კავკასიაში“, „ოდოევსკი გადაიყვანეს კავკასიაში“, „ნიეგეგოროდის პოლი, რომელიც კავკასიაში იღვა“ (ლერმონტოვის შესახებ) და სხვა. გარდა ამისა, საჭირო იყო მოკლედ მაინც აღნიშვნა იმ ურთიერთობისა, რომელიც არსებობდა ქართველი და რუსი პოეტების შორის (მაგ., რილევის „ნალივაიკოს აღსარების“ თარგმნა გრ. ორბელიანის მიერ და მისი მნიშვნელობა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის და სხვ.).

ახლა, რაც შეეხება თვითონ ანთოლოგიას. უნდა ითქვას სიმართლე, რომ რუსი პოეტების შერჩევის მხრივ და მათი ნაწარმოებების განფენილობით, ანთოლოგია მრავალმხრივი და მდიდარია. მასში წარმოდგენილია 64 რუსი პოეტი, დაწყებული ლომონოსოვით და გათავებული დოლმატოვსკით, მათგან 30-ამდე საბჭოთა პოეტია. ორმოცამდე ქართველმა პოეტმა-მთარგმნელმა მიიღო მონაწილეობა ამ დიდ და საპასუხისმგებლო საქმეში და მთარგმნა 300-ამდე ლექსი. კარგია, რომ ჩვენი კლასიკოსების მიერ თარგმნილი ზოგი რუსი პოეტის ლექსიც არის წარმოდგენილი ამ ანთოლოგიაში, მაგალ., ილია ჭავჭავაძის სამი თარგმანი („ქეშმარიტება“ პუშკინისა, „ციცაბო კლდე“ და „წინასწარმეტყველი“ ლერმონტოვისა), ალ. ჭავჭავაძის ერთი თარგმანი (პუშკინის „ყვავილი“), აკაკი წერეთლის სამი თარგმანი (კრილოვის იგავ-არაკები „ყვავი და მელა“, „მგელი და კრავი“ და „ბატები“) და რაფ. ერისთავის თარგმანი (კრილოვის „კატა და ბულბული“). კარგი იყო გრ. ორბელიანის ერთი რომელიმე თარგმანიც რომ ყოფილიყო მოთავსებული, მაგალ., იმავე კრილოვის „ვირი და ბულბული“, რომელიც

თარგმანის ახლანდელ მოთხოვნებზეს საესეებით აკმაყოფილებს.

ცხადია, ანთოლოგიის გადაფურცვლისას, პირველ ყოვლისა, გვიანტერესებს, თუ როგორ არიან წარმოდგენილი ქართულ ენაზე მსოფლიო სახელის მქონე ისეთი რუსი პოეტები, როგორებიც არიან: ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ნ. ნეკრასოვი, ფ. ტიუტჩევი, მაიაკოვსკი და სხვა. ამიტომ ჩვენც ამ პოეტებით დავიწყებთ თარგმანების განხილვას, რადგან ამ პოეტების თარგმანების ავ-კარგიანობაზე არის დამოკიდებული საერთოდ მთელი ანთოლოგიის ავ-კარგიანობაც. ეტყობა ანთოლოგიის რედაქტორებმა ამ გარემოებას ანგარიში გაუწიეს და ყველაზე მეტი ლექსი სწორედ ა. პუშკინის (37 ნაწარმოები), მ. ლერმონტოვის (24 ნაწარმოები), შემდეგ ვ. მაიაკოვსკის, ნეკრასოვის, კრილოვისა და ტიუტჩევის არის წარმოდგენილი. ცხადია, ეს ასეც უნდა ყოფილიყო. რუსული პოეზიის გენიოსს — პუშკინს — საესეებით კანონიერად და სამართლიანად დიდი ადგილი აქვს დათმობილი. პუშკინის ოცამდე ლექსი, ნახევარზე მეტი, თარგმნილია პოეტ კ. ჭიჭინაძის მიერ, დანარჩენი — ვ. ვაფრინდაშვილის, ვ. ვაბესკირიას, ვ. ვაჩეჩილაძის, შ. აფხაიძის, მ. პატარაძის, ს. ჩიქოვანის, ვ. გორგაძის, ს. ფაშალიშვილის, ვ. წულუკიძისა და კ. ნადირაძის მიერ.

რადგან ყველაზე მეტი პუშკინიდან პოეტ კ. ჭიჭინაძეს აქვს თარგმნილი, ამიტომ პირველ რიგში გადავხედავთ მის მიერ თარგმნილ პოემას — „ბახჩისარაის შადრევანი“ — და სხვა ლექსებს. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ, ზოგიერთ გამოწვევის გარდა, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, უმრავლესობა კ. ჭიჭინაძის მიერ თარგმნილი ლექსებისა მეტად დაშორებულია დედანს და უფრო თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს, ვიდრე აღექ-

ვატურს. მაგ., ლექსი „დავასამარე სურვილი ყველა“ უაღრესად ნათესავე ფალი თარგმანია: „დავასამარე სურვილი ყველა, და ოცნებაც კი მომძულდება (?)“, ვულს გამოფიტულს, დაწრეტილს ნელა (?) მხოლოდ ნაღველი არ დაჰკლებია“. „Остались мне одни страдания, плоды сердечной пустоты“. აქ აშკარად არის გატარებული აზრი, რომ პოეტს დარჩენია მხოლოდ იტანჯოს და ეს ტანჯვა არის გულის სიცალიერის ნაყოფი. რა შუაშია აქ „ნაღველი“, „გამოფიტული“, და „ნელა დაწრეტილი“? ცხადია ჩვენ სრულიადაც არ მოვითხოვთ სიტყვასიტყვითი თარგმანს, მაგრამ პოეტის აზრი, განწყობილება არ უნდა იყოს დამახინჯებული.

„Так поздним хладом пораженный, как бури слышен зимний свист“ თარგმნილია ასე: „ამნაირადვე, თრთვილდაფენილი (?)“, როცა ზამთრის წინ (?) ზუზუნებს ქარი (?)“ საკვირველია, რატომ „თრთვილდაფენილი“ ან და „ზამთრის წინ“, როდესაც აქ აშკარად ლაპარაკია ზამთრის შესახებ? მაგრამ ყველაფერი ეს ხდება იმიტომ, რომ მთარგმნელი რითმების წყობით გატაცებული იფიწყებს შინაარსს და ამახინჯებს აზრს: ავიღოთ, მაგალ, პუშკინის შემოქმედებაში ისეთი თვალსაჩინო ნაწარმოები, როგორც „წიგნის გამყიდველის საუბარი პოეტთან“. დედანშია „В ней грёзы чудные рождались“, თარგმანში: „ჰვეთქავდა მასში აზრი შობილი“, სად „грёзы“ და სად „აზრი“? „В гармонии соперник мой“ — „პარმონიაში მე ჩამომგავდა“. შეიძლება ერთმანეთს ჩამოვგავდეთ, მაგრამ მეტოქეები მაინც არ ვიყოთ. „Вы разошлись по рукам“ არც კია თარგმნილი და მის მაგიერ მოცემულია სულ სხვა რაღაც: „აწ ზედმეტია მის გამო წყენა და გარდასულის გამოკიდება“. რა

შუაშია აქ „წყენა“ ან „გარდასულის გამოკიდება“? ტექსტის არასწორი ინტერპრეტაცია ამბინჯებს არამარტო ცალკეულ სიტყვას ან ფრაზას, არამედ ავტორის მთელ შინაარსსა და დედაზრს: „Блажен кто молча был поэт и терном славы не увитый презренной чернию забытый, без имени покинул свет“ — ასეა თარგმნილი — „ნეტა იმ უცნობს და უდაფნოსა მხოლოდ თავისთვის (?) პოეტად მყოფელს (?), ვინც უსახელოდ, ვით უდაბნოსა (?) ბრბოს მოწყვეტილი (?) მოსცილდა სოფელს“. აქ აშკარა დამახინჯებაა აზრისა: „თავისთვის პოეტად მყოფელი“ ეს ძალიან წააგავს პოეტს, რომელიც ქადაგებს „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“, აქ კი პუშკინი ისეთი პოეტის შესახებ ლაპარაკობს, რომელიც არ ხმაურობს და წყნარად, უჩუმრად პოეტობს, შემდეგი „ბრბოს მოწყვეტილი“ კი არ არის, პირიქით ბრბოს მიერ მივიწყებულია. ან და რას ნიშნავს „მოსცილდა სოფელს ვით უდაბნოსა“, რომელ „უდაბნოზეა“ აქ ლაპარაკი. „Обманчивей и снов надежды что слава? Шопот ли чтеца? Гоненье ль низкого певежды? Иль восхищение Флупца? თარგმნილია ასე „მტკნარი (?) უმეტეს ვიდრე ზმანება რაა სახელი? მკითხველთა ჩქამი, ცოფმორცული (?) უმცერის შხამი (?) თუ მოსულელს ალფრთოვანება“. აქ თითქმის რამდენიც სიტყვაა, იმდენი დამახინჯებაა! „Поэт казнит, поэт венчает; злодеев громом вечных стрел в потомстве дальнем поражает“ — „პოეტი სჯის და პოეტი სწყალობს (?) გულდაცხრილული მისი ისრებით დროთა სიღრმეში (?) სიმზეცე (?) წვალობს (?)“. პუშკინის აზრი შემდეგში მდგომარეობს: პოეტი ზოგს სჯის, ზოგს კი აგვირგვინებს, ქებას უძღვნის, აქ „წყალობა“ არაფერ შუაშია,

„დროთა სიღრმეში“ შეიძლება წარსულ დროთა მიმართაც ლექსში კი მხოლოდ მომავალ შემთხვევებზე არის ნათქვამი. „Для них пишите; их ушам приятно весть Анакреона“ „სწერეთ იმათთვის; გაფანტეთ დარდი (?) მშვენიერის და თავმომწონისა (?)“. შეიძლებოდა კიდევ ბევრი ასეთი მაგალითების მოყვანა ამ ლექსიდან, მოვიყვანთ კიდევ მხოლოდ ერთს და ამით დავემყოფილდებით: „Теперь оставя шумный свет, и муз, и ветренную моду, что ж выберете вы?“ ეკითხება წიგნისგამყიდველი პოეტს, „როცა აცილდათ (?) ხალხისგან რბევა (?), როცა წაართვით მუზას უფლება (?), რა და გსურთ ახლა (?)“. ამაზე მეტი დამახინჯება შეუძლებელია!

შედარებით უკეთესად აქვს თარგმნილი კ. ჰიჯინამეს ლექსები „ღემონი“ და „კერნისადმი“, თუმცა უკანასკნელში „в томленьях грусти безнадежной, в тревогах шумной суеты“ არა სწორად არის თარგმნილი „როდესაც ნაღველს მასმეფდნენ დღენი, როცა იმედი გულში ჰქრებოდა“, მართალია დედანში არსებობს სიტყვა „безнадежной“, მაგრამ განა შეიძლება ამ ერთი სიტყვის ოთხ სიტყვად გადაქცევა „როცა იმედი გულში ჰქრებოდა“ აქ მოცემულია ზედმეტი სიტყვები, რომელიც პუშკინს არა აქვს, სამაგიეროდ რჩება გადაუთარგმნელი „в тревогах шумной суеты“. ასეთ მანიპულაციებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს! ლექსში „ქარიშხალი“ „блеском алым... озаряя“ თარგმნილია „ელვის გაკრთომა... ცივ კამკამითა“, „небо в блесках без лазури“ — „კარგია ცაზე ეღვათ სისინი“, მაგრამ „სისინი“ იმიტომ არის აქ, რომ შემდეგში რითმა იყოს დაცული „ისინი—სისინი“. აქედან უაზრობა! პუშკინის შესანიშნავი ლექსი „ანგელოზი“ ძა-

ლიან სუსტად არის თარგმნილი. „Дух отрицанья, дух сомненья на духа чистого взирал и жар невольный умиленья впервые смутно познавал“ თარგმნილია ასე „მარად უკმეხი (?) და ექვეყნული სპეტაკ ანგელოზს წააწყდა თვალით (?), შეერთა, პირველად აზრდაბნეული (?) ის ალტაცების უეცარ ალით“. სად „дух отрицанья“ და სად „უკმეხი“, „взирал“ და „წააწყდა თვალით“, „познавал“ და „შეერთა აზრდაბნეული“, „умиление“ და „ალტაცება“?

„ჯილდო ამოა და შემთხვევითი“—ეს უფრო მთარგმნელის ვარჯიშია პუშკინის საფუძველზე, ვიდრე თვითონ პუშკინის ლექსი. მაშ რას ვერჩიით გრ. ორბელიანს, მან სათურად „მიბაძვა პუშკინისა“ მიიხსილ დააწერა ამ ლექსის თარგმანს. და მიბაძვა რომ გვდომებოდა მაშინ გრ. ორბელიანის „მიბაძვა“ მოგვეთავსებინა უკეთესი არ იქნებოდა? რა აქვს საერთო პუშკინის ტექსტთან, მაგ., შემდეგს: „ან ბედისწერის დასკვნა წყევითი, რად განმამზადებს მუღმივი წვისთვის“, რაც უნდა ნიშნავდეს „или зачем судьбою тайной ты (ესე იგი жизнь) на казнь осуждена?“. ან „გული გამოშრა მღუმარებს ენა“ — „сердце пусто, празден ум“ ან კიდევ „და გამიღვიძა აზრი მძინარი“ — „ум сомнемем взволновал“, „მძინარი აზრი“ პუშკინს არასდროს არ ახასიათებდა, როგორც პოეტს. ლექსში „Не пой красавица“ მთარგმნელი რატომღაც ქართულ სიმღერას „სამარის ხმას“ უწოდებს, მაშინ, როდესაც დედანშია „твои жестокие напевы“. მაგრამ ეს ვასაკვირველი არ არის, რადგან, როგორც ყოველთვის აქაც კ. ტიქინაძეს რითმა დასჭირდა „მთვარისა — სამარისა“.

ასეთი თარგმანების გვერდით გვხვდება კარგი თარგმანებიც, მაგ.,

„მონასტერი მყინვარზე“, საკვირველია, თუ კი ამ ლექსში შესძლფა ტიქინაძემ ლექსის აზრისა და შენაწარმის შენაწარმისთან შეთანხმება, რატომ სხვა ლექსებში ვერ მიიღწია ამას? უნდა ვიფიქროთ, რომ, თუ მთარგმნელი ვატიცებით და კეთილსინდისიერად იმუშავებს, შედეგსაც უფრო კარგს მიიღწევს. ასეთივე კარგი თარგმანია „ღრუბელი“, „ელეგია“. უკანასკნელში მხოლოდ აფუქებს ლექსს „მაგრამ არა მსურს, მეგობრებო, სიკვდილი კიდევ“ — „Но не хочу, о други умереть“. რა საჭიროა სიტყვა „კიდევ“, მეორედ ზომ არ აპირებს პოეტი სიკვდილს? ლექსი „საქართველოს მთებზე“ ვერ არის კარგად თარგმნილი, „სალამოს ბინდი“ არ ნიშნავს „Ночная мгла“, „არავი... მიბორგავს“ არ არის კარგი, „დამეუფლა დაღვრემილება ისე მსუბუქი, თითქოს რულია“ ვერ გამოხატავს პუშკინის „Унынья моего ничто не мучит, не тревожит“ და სხვ. ლექსი „დავეხეტები ქუჩის ხმაურში“ მთლიანად დამაკმაყოფილებლად არის თარგმნილი, მაგრამ აქაც ზოგი ადგილები მეტად დამორბეულია დედნისაგან: „პირში თუ ლხინის აურზაურში ყველგან და მუღამ ერთი მაქვს აზრად“ — „сизуль меж юношей безумных я предаюсь моим мечтам“. კარგად არის თარგმნილი ლექსი „დეკაბრისტებს ციმბირში“, ცნობილი ლექსი „19 თქტომბერი“, პუშკინის ლირიკის ერთერთი შედეგური, არ არის მთლიანად კარგად | თარგმნილი, სამწუხაროდ გვხვდება ასეთი ადგილები, როგორც „მოდი, ამბავი მომიყევი მოქარგულ (?) ენით („приди: огнем волшебного рассказа“), გაახალისე გული ჩემი ბინდით ფარული (?) („сердечные преданья оживи“), აკვაცეცხლებენ (?) კაკეასის მქუხარე დღენი, დიდი შილერი დიდებანი და სიყვარული“ („Погово-

იმ о бурных днях Кавказа, о Шиллере, о славе, о любви“) მეტის-მეტად დაშორებული თარგმანია. არ ვარგა „შეფერხებული მეგობარი“ — „запоздалый друг“, რატომღაც ჩამატებულია მეექვსე თავში „ო, მოძულეე მკვდარ სიჩუმისა“, სამაგიეროდ გამოტოვებულია მთელი მეჩვიდმეტე თავი (რვა სტრიქონი). საკითხავია, რა უფლებით? მართალია რევოლუციამდე დედამთავრებში ეს თავი გამოტოვებულია, მაგრამ რა უფლება აქვს საბჭოთა მთარგმნელს არ ისარგებლოს საბჭოთა გამოცემით, სადაც აღდგენილია მეფის ცენზურის მიერ ყველა გამოტოვებული ადგილი? აქ ხომ რუსი იმპერატორის ალექსანდრე პირველის შესანიშნავი და მკვეთრი დახასიათებაა მოცემული: „Он человек! им властвует мгновенье, он раб молвы, сомнений и страстей“, რატომ უნდა დავუმალოთ ქართველ საბჭოთა მკითხველს ეს მრავალმეტყველი სტრიქონები? ამ უხეში შეცდომის დაშვებაში ბრალი მიუძღვის არა მართო მთარგმნელს, არამედ ანთოლოგიის რედაქტორებსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში მთარგმნელი და ერთ-ერთი რედაქტორიც ხომ ერთი და იგივე პირია — კ. ჭიჭინაძე.

ა. პუშკინის ცნობილ ლექსს „წინასწარმეტყველი“ ქართველი მკითხველი იცნობს ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის თარგმანით, რომელიც შესრულებული იყო 1858 წელს. ამის შემდეგ უკვე 90 წელმა განვლო, და ამჟამად უნდა ითქვას, რომ ილიას თარგმანი რომ შეგვეტანა ანთოლოგიაში, უკეთესი იქნებოდა, მით უფრო, რომ კ. ჭიჭინაძის ახალი თარგმანი ზოგ მომენტში პირდაპირ იმეორებს ილიას სიტყვებს, მაგალ, „სერაფიმი ჯვარდინ გზაზე“, „ჩემთა ყურთა შეეხო ისა“, „საქენჯნელი ბრძენი გველისა“, „მკერდი განმიპო მახვილით“ და სხვ. მართალია,

ილიას თარგმანშიაც არის არასწორი გამოთქმა მაგალ, „სასულღიერო წყურვილი“, „მჩატე თითებო“ ან „კრალუცივილი ხელი“, რაც ჩვენს ყურს დღეს უკვე ეჩოთირება, მაგრამ სამაგიეროდ არსად, არცერთ სტრიქონში პუშკინის აზრი და განწყობილება ილიას არა აქვს დამახინჯებული, რასაც ვერ ვიტყვით კ. ჭიჭინაძის ახალი თარგმანის შესახებ, მეტადრე ეს ენება ლექსის ბოლოს, სადაც პუშკინის მთელი პოეტური კრედაა მოცემული ლაკონიურ და ზუსტი გამოთქმით: „Восстань, пророк и виждь, и внемли, исполнись волею моею“, კ. ჭიჭინაძეს „виждь и внемли“, რაც მეტად მნიშვნელოვანია მთელი კონცეფციისათვის, რატომღაც გამოუტოვებია და ასე უთარგმნია: „წინასწარმეტყველო! დასცხრა წყლულები, აღსდეგ, აღიყვებ ჩემის ნებითა“. ნახეთ, ილიას რა შესანიშნავად აქვს „წინასწარმეტყველო ს ჭ ვ რ ე ტ დ ე, ი ს მ ე ნ დ ე, ჩემის ნებითა აღიყვებოდე“. შემდეგ „глаголом жги сердца людей“, — ილიას ასე აქვს თარგმნილი: „სიტყვითა გულებს უნთებდე კაცთა“, შეიძლება ეს ვერ გამოხატავდეს დედნის სიძლიერეს სათანადოდ, მაგრამ აზრი მაინც ნათელია და გარკვეული. სამაგიეროდ კ. ჭიჭინაძე ასე სთარგმნის „და ამოშანთე კაცთა გულე-ბი... მეტყველებითა“, ესე იგი შანთით ამოსწვი, ძირფესვიანად ამო-ბუჯე, ამოგადე გულეზიო, რაც სრულიად ეწინააღმდეგება პოეტის აზრს. უფრო უკეთესი იქნებოდა გვეხმარა აქ სიტყვა „აღაგზნე“. ეს იქნებოდა პუშკინის აზრის ნამდვილი შესატყვისი თქმა. ლექსში „პოეტს“ „дорогой свободной иди, куда влечет тебя свободный ум“, თარგმნილია ასე: „გაპყვე შენს გრძნობებს (?), თავისუფალ გზის დამსახვითა“, თითქოს გრძნობები უსახვენ პოეტს

თავისუფალ გზას, რაც სრულიად ეწინააღმდეგება პუშკინის აზრს. შემდეგ აქვე „взыскательный художник“ თარგმნილია როგორც „მხატვარო დინჯო“. ლექსში „რათა მშობელი გეზილა მხარე“ კ. ჭიჭინაძე ასე სთარგმნის „შეყინულ ხელებით მსურდა შენი გული ჩემთან დამება“ ღედნის: „мои хладеющие руки тебя старались удержать“. „სადაც კლდეთა (?) ქვეშ მუნჯად (?) გარინდებულან მთელემარნი წყალნი“ ვანა გამოხატავს ღედნის უბრალო და ლაკონიურ თქმას: где тень оливы легла на воды“?

არ არის დამაკმაყოფილებელი აგრეთვე ისეთი დიდი პოემის თარგმანი, როგორიცაა „ბალჩისარაის შადრევანი“. აქაც კ. ჭიჭინაძე მეტად დაშორებული თარგმანით ზშირად ამახინჯებს პოეტის აზრს. საკმარისია მხოლოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანა: „Но повелитель горделивой махнула рукой нетерпеливой“ თარგმნილია: „მაგრამ მან მზერა აღმართა ცხელი (?) და შეაქნია ერთბაშად ხელი“. საჭურისის შესახებ პუშკინი ამბობს, რომ „святую заповедь Корана не строже наблюдает он“, ე. ი. ყურანის საღმთო მცნებას საჭურისი ისეთი სისასტიკით არ იცავს, როგორც ხანის ბრძანებას, ჰარამხანაში მყოფ ცოლებს რომ უთვალთვალებდეს. მთარგმნელი სულ სხვა, საწინააღმდეგო აზრს ანიჭობს: „იგი (ე. ი. საჭურისი, რომელსაც მთარგმნელი რატომღაც „ევენუქად“ სთარგმნის) უცქერის, დარაჯად მდგარი, რომ აღასრულონ ყურანის მცნება? ვინ უნდა აღასრულონ ყურანის მცნება? გირეის ცოლებმა? შემდეგ „ცამ ტყე-ველი და სოფლები მშვიდი... დაადღუმა“ სთარგმნის კ. ჭიჭინაძე. მაგრამ რა შუაშია აქ ცამ? ცამ კი არ დაადღუმა ტყე-ველი, არამედ ომმა... „Грузинка все душе твоей родное что-то

пробудило, все звуками забытых дней невинтно вдруг заговорило“, მთარგმნელს ასე აქვს „тотототот“ შეწერილი (?) რაღაც ახადეს, ქართველო ქალო, შენს მძინარ სულსა (?), თითქოს მოგესმა ხმა მშობლიური, თითქოს ისარი (?) მოხედა მზიური ვადაეიწყებულ უჩინარ წყულუსა (?). მეტისმეტად დაშორებულია: ღეთისმშობლის ზატი და ჯვარი რომ დიანახა, ქართველ ქალში რაღაც მშობლიურმა გაიღვიძა და დაეიწყებულ დღეების ხმები მის სულში გაურკვეველად ერთბაშად ახმაურდნენ, რა საჭიროა აქ „ზეწარი“, „მძინარე სული“, „ისარი მზიური“ და „უჩინარი წყული“? არ არის საჭირო სიტყვებისა და ეპიტეტების, მეტადრე სახეებისა და სურათების თვითნებური შესწორება და შეცვლა, მით უფრო თუ ასეთი შეცვლა აუარესებს ღედანს და არაფერს შატებს, პირიქით უგულვებელყოფს პოემის ღედააზრს. ასეთი მაგალითები ბევრია პოემის თარგმანში. „ბალჩისარაის შადრევანი“ ამ სახით მოთავსება ანთოლოგიაში საბჭოთა მკითხველისა და თვითონ პუშკინისადმი უპატივისმცემლობაა. პოემა საჭიროებს ხელახალ თარგმანს.

სხვა პოეტების მიერ პუშკინის ლექსების თარგმანი უფრო მეტის ადექვატურობით არის შესრულებული. მაგ., განსვენებულ პოეტ ვალე ვაფრინდაშვილის მიერ თარგმნილი „სიმღერა გრძნულ ოლეგზე“ და „არიონი“, მ. პატარიძის „კავკასიონი“, ვ. წულუკიძის მიერ თარგმნილი „ძეგლი“ გამოირჩევა პუშკინის აზრისა და შინაარსის სწორი გადმოცემით. ვ. გორვაძეს ლექსში „ჩაადაევისადმი“ ზოგიერთი ადგილები ვერა აქვს სათანადოდ თარგმნილი: „пока свободою горим“ არ გამოითქმება ასე: „ვიდრემდის შვების წყურვილით ვსუნთქავთ“, „Тихой славы“ რატომ „ამაყ

სახელის“, ან „КАК СОН“ „ვით კვამლი“? ასეთივე მდგომარეობაშია შ. აფხაიძის მიერ თარგმნილი ლექსი „იაზიკოს“. კარგად თარგმნილ ადგილების გვერდით გვხვდება ასეთი: „ფეიცავ ოვიდის ლანდს სასოებით რომ, იაზიკოს, მყოფი შენს გვერდით“, რატომ „შენს გვერდით მყოფი“, როდესაც დედანშია „Языков, близок я тебе“, აქ ხომ ფიზიკური სიახლოვე არ იგულისხმება. ან და „тебя со мною обнимет в сельском шалаше мой брат по крови, по душе“ თარგმნილია ასე: „ორივეს მაშინ გადაგვეხვევა სოფლის კარავში ჩემი ტკბილი ძმა სისხლით და სულით“. აქ ლაბარაკია ა. დელვიგზე, რომელიც იმ დროს პუშკინთან, სოფელ მიხაილოვსკოეში იმყოფებოდა და, იაზიკოვო, როცა ჩამოხვალ, ჩემთან ერთად შენ დელვიგიც გადაგვეხვევაო და არა „ორივეს... გადაგვეხვევა“. კარგი თარგმანია „ნ. სოლოგუბის ქალს“, „მე თქვენ მიყვარდით“ (ვ. გაბესკირია) და „ზამთრის დილა“ (ს. ჩიქოვანი). საკვირველია მხოლოდ ლექსი „მე თქვენ მიყვარდით“ რატომ არ არის გამოყოფილი ლექსისაგან „ანგელოზი“ და არც სარჩევშია ნახსენები. უთუოდ კარგი თარგმანია კ. ნადირაძის მიერ შესრულებული „გასუბი“ (ანუ „თაზიტი“), მხოლოდ ერთი შენიშვნა: „И с бою взятыми рабами суда в Анапе нагружать“ თარგმნილია ასე „და ბრძოლით წასხმულ მონების, ხელით (?) ტვირთის გემები ანაპის ახლოს“. საქმე იმაშია, რომ აქ მონებით იტვირთება გემები, და არა მონების ხელით სხვა რამ.

გადავიდეთ ახლა მ. ლერმონტოვის ლექსების თარგმანებზე. ლექსი „ბოროდინო“ თავისი ხალხური ინტონაციებით მეტად ძნელი სათარგმნია, უნდა ითქვას, რომ დ. გაჩეჩილაძემ შესძლო ამ ლექსისათვის შესაფერი

ქართული შესატყვისის გამოხატვა, მხოლოდ ერთი რამ არის კრიტიკის საგანი: „ახლანდელ კაცებს ვერაფერცნენ სახით“. აქ სიტყვა „სახით“ ზედმეტია, რადგან პოეტს ფიზიკური სახე კი არ აინტერესებს, არამედ თავისდროინდელ თაობას ეკამათება. კარგია დ. გაჩეჩილაძის თარგმანები: „როდესაც ყვითლად შეფერილი ბიბინებს ყანა“ და „ხანჯალი“. რაც შეეხება „დავას“ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: დედანშია „Перед толпою соплеменных гор“ ნათარგმნია „თანაშობილ მთების სანახავად“, რაც არ ვარგა. ეგვიპტეში ნილოსი „მდუმარ ველებს“ არ „მისდევს“, პირიქით იქ უდაბნოებია და ეს ლერმონტოვს კარგად აქვს გამოხატული პატარა დეტალით „Нил... вечно чуждый тени“. „ბედუინი ფერად კარავს აღარ ესხმის თავზე“ ვერ გამოხატავს „Бедуин забыл наезды для цветных шатров“, ე. ი. ბედუინი ახლა აღარავის ესხმის თავზე, ზის ფერად კარავში, ვარსკვლავებს ითვლის და თავის წინაპრების გმირობას უმღერს. ლექსში „სამშობლო“ (ვ. გორგაძე) „ცეკვა-თამაში.. ფეხების ბაკუნია... მთვრალ საუბართან შეერთებული“ ვერ გვიხატავს პოეტის მიერ დახატულ იმდროინდელი, რუსული სოფლის ტიპურ სახეს სალამოს ეამს: „пляска.. под говор пьяных мужичков“. გ. ცეცხლაძის მიერ კარგად არის თარგმნილი „სურვილი“ და „შვილო, ცრემლებით უმხურვალესით“. პოეტ კ. ნადირაძის თარგმანები გამოირჩევიან ლერმონტოვის აზრისა და მხატვრობის შესანიშნავი გადმოცემით. ამ მხრივ აღსანიშნავი არიან: „პალესტინის რტო“, „გამოველ მართოდ“ (თარგმნილია დ. გაჩეჩილაძესთან ერთად), „პოეტი“ (მხოლოდ „КОЛЬЧУГА“ „ფარი“ არ არის), „ა. ი. ოდოევსკის ხსოვნას“ (ამ ლექსში რატომღაც გამოტოვებულია მეხუთე და მეექვსე თა-

ვები, სულ 21 სტრიქონი), მეტადრე კარგია „ვალერიკი“ და „ბავშვისადმი“. ცნობილია, რომ ლექსი „ბავშვისადმი“ მიძღვნილია პოეტის ყოფილ სატრფოს ვარინკა ლოპუხინას ბავშვისადმი. კ. ნადირაძე არ თარგმნის სიტყვა-სიტყვით „говорят ты на нее похож“ არამედ „ამბობენ... რომ დედას ჰგევხარ“, რაც ამელავენებს მთარგმნელის მიერ ლერმონტოვის ბიოგრაფიის დეტალების კარგ ცოდნას.

უთუოდ გამოირჩევა კ. ჭიჭინაძის მიერ თარგმნილი პოემა „დემონი“. ეტყობა მთარგმნელს სიყვარულით და კეთილსინდისიერად უმუშავენია ამ თარგმანზე. პოემის მთელი რიგი თავები ჩინებულად არის თარგმნილი, მაგალ., მეშვიდე, მეათე, ბოლო თავები, დემონის ფიცი, და სხვ., მაგრამ ამ პოემის თარგმანის უფრო მეტი სრულყოფისათვის გვინდა ზოგიერთი შენიშვნა მიეცეთ მთარგმნელს: „ის მოწყვეტილი (?) სამოთხეს მარად კავკასიონის მთით მიღელავდა“ (?). არ ვარჯა „მოწყვეტილი“ და „მიღელავდა“: „И над вершинами Кавказа изгнанник рая пролетал.“ „განუსჯელი, უგუნური ვთხოვ შეაფარო მონასტერს წყნარსა შენი ასული შეუპოვარი“ — რა საჭიროა ამდენი „განუსჯელი“, „უგუნური“, „შეუპოვარი“ ერთი სიტყვის „безрассудная“-ს მაგიერ. შემდეგ, როცა თამარს, საკურთხევლის წინ დამხობილს, „საზეიმო გალობის ვაშს“, ესმოდა ნაცნობი ხმა, მაშინ იგი სრულიადც არ „აფრქვევდა ცრემლების ნაშსა“, ან როცა ნაცნობი სახე ჩნდებოდა ტაძარში, დემონი „ქალს შორიდან“ კი არ „უმშერდა წყნარად“, არამედ „манил и звал он... но куда?“ სამწუხაროდ ამ პოემაშიაც კ. ჭიჭინაძე ზოგჯერ რითმების ვულისათვის უმატებს არა საჭირო სიტყვებს, რითაც ხშირად მახინჯდება აზრი, მაგალ., „შორს იმზირება... სივრცეა ფართო“,

ხეობაში საიდან გაჩნდა ფართო სივრცე, მაგრამ მთარგმნელმა, ექვთიმე ქაიკვიძის რითმისათვის „ფართო... სივრცე“ ან რითმებისათვის „წვიმას—იმას“ თარგმნის „ღვრის დიდი ხანი ცრემლების წვიმას“, მაშინ, როდესაც დედანშია „вдыхает и томится“. დემონის ფიცში: „— ენება დაშრეტილ ანგელოზთ ხმლებსა“, რატომ „ხმლებსა“, როდესაც დედანშია „мечтами ангелов бесстрастных“. გუდალის წინაპარი მთარგმნელს მგზავრების „მკვლელადაც“ გამოჰყავს, მაშინ როდესაც ის იყო მხოლოდ „მძარცველი“. და ბოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა მთარგმნელს „ქართველნი ყმანი“ და „ბატონის ამაღა“ ჰყავს გამოყვანილი, მაგრამ მაინც რატომ „დაფრთხნენ ლაჩრულად“? არც ერთი, არც მეორე არ არის მისაღები. „бежали“ როდია „დაფრთხნენ“ და „робкий“ არ ნიშნავს „ლაჩარს“. ლექსში „მადლობა“ ლერმონტოვი არა სთხოვს ღმერთს „მომეცი ნებაო“, შემდეგ „უღაბნოში გამეყინა გული გზნებული“ ვერ გამოხატავს ლერმონტოვის თქმას „жар души растраченный в пустыне“, ე. ი. პოეტმა უღაბნოში (იგულისხმება ცხოვრებაში) ტყუილ-უბრალოდ გააწინავე, დახარჯა თავის სულის სიმდიდრე, ამიტომ აქ „გამეყინა“ არ გამოდგება. კარგად არის თარგმნილი ლექსები „სიზმარი“ და „რატომ“. ამას ვერ ვიტყვით ლექსზე „И скушно и грустно“: „რა არის ენება? გამწარდება უტკბესი სენი... გონებისაგან“, ჯერ ერთი აქ „недуг“ უფრო სატიკივარს და უძღურობას ნიშნავს, ვიდრე სენს და ავადმყოფობას, მეორეც, რატომ „გამწარდება“, როდესაც დედანშია „исчезнет при слове рассудка“? გარდა ამისა პოეტი სულაც არა სვამს საკითხს, „ვის მივსცე ხელი?“ პოეტი როდი ეძებს, თუ ვის გაუწოდოს ხელი, არამედ იძლევა ფაქტის კონსტა-

ტაციას, ის ამბობს, არავინ არის, რომ გაეუწოდო ხელი — „некому руку подать“, „რაა სულ ამია სურვილი შწველი“ ვერ გამოხატავს პოეტის „Что пользы напрасно и вечно желать“. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს საყვარელი ლექსი ღირსია იმისა, რომ უკეთ იყოს თარგმნილი. კარგად არის თარგმნილი მ. პატარიძის მიერ ლექსი „ავკასია“. როგორც გავიგეთ ამ პოეტს ეკუთვნის აგრეთვე თარგმანი ლექსისა „ყაზბეგს“. საკვირველია, როგორ მოხდა, რომ ამ ლექსის მთარგმნელად სარჩევში გამოცხადებულია... ბაბილინა?

შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია ნ. ნეკრასოვის ლექსების თარგმანი „უცნობ მეგობარს“ და „სამშობლო“ ვ. გაფრინდაშვილისათვის ჩვეულებრივად არის თარგმნილი. ვ. გორგაძის თარგმანში „თავისუფლება“ „Сможешь-под небо взовешься орлом“ უნდა იყოს „შესძლებ“ და არა „ისურვებ“. თარგმანი „რაინდი ერთი საათით“ მთლიანად დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული, მხოლოდ ნეკრასოვის ცნობილი სტრიქონები „уведи меня в стан погибающих за великое дело любви“ უფრო ძლიერს, შესატყვისს თარგმანს მოითხოვდა, ვიდრე ეს აქვს ვ. გორგაძეს: „გადამიყვანე იმით ბანაკში, ვინც ეწირება სიყვარულს დიადს“. შემდეგ „клен“ ქართულად ნეკერჩხალია და არა წიფელი, „ель“ ნაძვია და არა ჟიქვი. შეიძლება ეს ბოტანიკური შეცდომები შეგნებულად აქვს მთარგმნელს ჩადენილი, მაშინ ამას არავითარი გამართლება არა აქვს. რა საჭირო იყო აქ შეცვლა ხეების სახელწოდებინა? შედარებით უკეთესად არის თარგმნილი „ელეგია“. ხ. ვარდოშვილის თარგმანში „რკინიგზა“, რომელიც მთლიანად დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული, მეტ სისწორეს მოით-

ხოვს ერთი ადგილი: „Вот ваш народ — эти термы и бани художественства — он все растаскал“ (ქვემოთ). თქვენმა ხალხმა ხელოვნების ეს სასწაული შენობები-აბანოები და სასახლე-კოშკები — ყველაფერი გაანადგურა, მთარგმნელს კი ეს სულ სხვანაირად აქვს გააზრებული. „აბა რა შექმნა თქვენმა ხალხმა? მხოლოდ აბანო, გაანადგურა კი ნამდვილი მან ხელოვნება“. დამეთანხმებით, რომ ამას არაფერი საერთო არა აქვს ნეკრასოვთან. უნდა აღინიშნოს, რომ ვრ. ცეცხლაძემ მეტად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა ნეკრასოვის აზრისა და განწყობილების გადმოცემისათვის, ამ მხრივ ყურადღებას იპყრობენ „დავიწყებული სოფელი“, „პოეტი და მოქალაქე“ და „სიმღერა იერემიასათვის“. შედარებით სუსტად არის თარგმნილი „ფიქრები საპარადო მისასვლელთან“. აქ არის ზოგიერთი ადგილები, რომელსაც მთარგმნელმა ვერ მოუხანა სათანადო ქართული ექვივალენტი, ზოგი ადგილი კი უფრო მეტ სიზუსტეს მოითხოვს, მაგ., „осаждают убогие лица: прожекторы, искатели мест и преклонный старик, и вдовница“. ამ აღმანიების მიმართ, ნეკრასოვი არავითარ შებრალებას, მით უფრო სიმპატიას, არ გამოსთქვამს, ამიტომ აქ სიტყვა „УБОГИЙ“ უფრო „უბადრუკს“ გამოხატავს, ვიდრე „ღარიბ-ღატაკს“, მით უფრო უადგილოა აქ „წამების შეილნი“, მეტადრე პროექტიორების მიმართ, რომელნიც, როგორც ფანტასტიური ჯგუფების / შემდგენელნი, დამრწიან ერთი ადგილიდან მეორეზე, ამიტომ ვ. ცეცხლაძის თარგმანი „ღარიბ-ღატაკნი აწყდებიან, წამების შეილნი ვინც ცუდად არის, სამსახურის ადგილი უნდა: ღრმა მოხუცებიც კი, ქვრივებიც, ძაძით მოსილნი“ ვერ გამოხატავს ნეკრასოვის აზრს.

მისალმების ღირსია, რომ ანთოლო-

გიაში სათანადო ადგილი არის დათმობილი ფ. ტიუტჩევის პოეზიისათვის. ამ თავისებური პოეტის ფილოსოფიური ლირიკა მოითხოვს მთარგმნელისაგან მისი შინაარსის გაგებას, ღრმად ჩაწვდომას მის აზრში, რადგან ტიუტჩევის ყოველი სახე, ყოველი ეპიტეტი სათანადო აზრის და განწყობილების გამომხატველია. ამიტომ მთარგმნელს მეტი სიფრთხილე და სიზუსტე მართებს, რომ არ გააღარიბოს და გაუბრალოვებამდე არ დაიყვანოს პოეტის სახეთა სიმდიდრე და აზრთა სიღრმე. სულ ცამეტჯ ლექსია თარგმნილი; მთვან შვიდი ეკუთვნის შ. აფხაიძეს. ლექსში „შეგხვდი ოცნებას“ — „Я встретил вас“ მთელი რიგი ადგილებისა მეტად დაშორებულად არის თარგმნილი: „Я вспомнил время золотое и сердцу стало так легко“ ქართულად ასეა: „მე გავიხსენე დრო მოოქრული (?), გულს გაპკრა სითბომ (?), და სიხალისემ (?) — ჯერ ერთი, „მოოქრული“, ხომ „позолоченный“ არის, მერე, რა შუაშია აქ „სითბო“ და „სიხალისე“? შემდეგ: „так весь проникнут дуновеньем тех дней душевной полноты“ — თარგმნილია: „ასევე თითქოს კვლავ შეპარება ქროლვა იმ წელთა მე მოცახცახე“. ტიუტჩევის სულ სხვა აზრი აქვს გატარებული. როგორც გვიანი შემოდგომის დროს არის ხოლმე დღე ან საათი, როდესაც გრძნობ თითქოს გაზაფხულმა დამხერაო, ასე თქვენ რომ შეგხვდით, იმ ბედნიერი ოქროს დღეების სულიერმა სისავსემ დამხერაო, — ამბობს პოეტი. „თითქოს შეპარება იმ წელთა მოცახცახე ქროლვა“ ვერ გამოხატავს პოეტის განწყობილებას. „И вот слышнее стали звуки не умолкавшие во мне“ თარგმნილია: „და აი უფრო აქლერდნენ ხმები, რომ არ ცხრებოდნენ ჩემს ყოველ თქმაში“; გაუგებარია,

რომელ თქმაში? აქ იგულისხმება პოეტის ტრფობა, ე. ი. პოეტის ქველმეორ დადუმებულან ტრფობას (სიმშვიდე) „სიმშვიდე“ „успокоение“ „მუხა ძირს გართხმული... მიწას ებრძოდა“ სულ სხვაა, ვიდრე ტიუტჩევის „Еще курясь лежал высокий дуб... А уж давно... пернатых песнь раздалася“, ე. ი. მაღალი მუხა, მეხით გამსკდარი, ჯერ კიდევ ბოლაედა, მიწაზე გართხმული, ფრინველთ სიმღერა კი უკვე დიდხანია, რაც მოისმოდა უფრო მეტის ხმით. ამიტომ მთარგმნელის „განვლო ხანმა“ არღვევს პოეტის მიერ შექმნილ სურათს. ლექსში „1837 წ. 29 იანვარი“, რომელიც პუშკინის გარდაცვალებას ეხება, ტიუტჩევის ცნობილი თქმა პუშკინის შესახებ, მთარგმნელს კარგად აქვს გადმოცემული: „შენ კი, როგორც პირველ სიყვარულს, არ დაგივიწყებს რუსეთის გული“. მაგრამ აქვე გაუგებარია: „დამნაშავეა ის თუ მართალი, მაინც ზეციურ მსაჯულის ხელით დადაღულია, ვით მეფის მკვლელი, ამ ქვეყნიური სიმართლის ძალით“. თუ ზეციური მსაჯულის ხელით არის მკვლელი დადაღული, როგორ იქნება „ამ ქვეყნიური სიმართლის ძალითაც“. აზრი კი ასეთია: დამნაშავეა ის თუ მართალი ამქვეყნიური სიმართლის წინაშე, ზეციური მსაჯულის ხელით ის სამუდამოდ დადაღულია, როგორც „მეფის მკვლელი“. ლექსში „Я помню время золотое“ იგივე შეცდომაა დაშვებული, რაც ლექსში „შეგხვდი ოცნებას“. იქ იყო „დრო მოოქრული“, აქ „ოქროთი მოოქვილი“. არც ერთი ვარგა და არც მეორე. გარდა ამისა პოეტი ნამდვილ ნანგრევებზე ლაპარაკობს და არა „ნანგრევთა ჩრდილზე“, ამ „ჩრდილის“ გამო რალაც გაუგებრობა გამოდის. როგორ შეიძლება ნანგრევთა ჩრდილის ხავსიან ქვაზე ქალი იყოს მხარმიყრდნობილი? „ცის კიდე ფერფლად ქრთოდა

სხივებში“ ვერ გამოხატავს ტიუტჩევის სურათს „Край неба дымно гас в лучах“. ლექსში „О, этот юг! О эта Ницца!“, რატომ „თეთრი“ ნიცა? შემდეგ დაჭრილს თუ გული არ უფეთქს, მაშასადამე იგი მკვდარია, რაც ეწინააღმდეგება პოეტის აზრს, რომ არ ძალუძს ფრენა, არც ფრთების მოქნევა, რადგან „ჩამომტვრეული ჰკილია ფრთები“. „Нет ни полета, ни размаху“. ლექსი „სილა ფხვიერი“ კარგად არის თარგმნილი. ცნობილ ლექსში „О чем ты воешь ветер ночной“—მიწნარ გრიგალეებს, ო, ნუ აღვიძებ, მათ ქვეშ ქაოსის ირხევა ვნება“, სიტყვა „ვნება“ ზედმეტია, რადგან აქ კოსმიურ ამბებზეა ლაპარაკი და არა რალაც ქაოსის ვნებაზე („О, бурь уснувших не буди, под ними хаос шевелится“), შემდეგ: „Как жадно мир души ночной внимает повести любимой“ თარგმნილია, „ეით უსმენს ღამის სულის სამყარო საყვარელ ამბავს აღბეჭდილს გულზე“. ჯერ ერთი სიტყვა „жадно“ აქ ბევრის მთქმელია და მისი გამოტოვება არ შეიძლებოდა, მეორე— აქ ივულისხმება ღამის ქარის საყვარელი ამბავი, რა საჭიროა „გულზე აღბეჭდილი“? ეს ტიუტჩევის არ შეეფერება. ტიუტჩევის განთქმული ლექსი „Silentium“ ჩინებულად არის თარგმნილი კ. ნადირაძის მიერ. მეტადრე კარგად არის დაცული აფორიზმული თქმა: „აზრი ყალბია თუ გამოითქმის“. წარმატებით აქვს თარგმნილი გრ. ცეცხლადეს ტიუტჩევის ორი ლექსი „გამოკრთობა“ და „ცრემლები“. საჭირო იყო მხოლოდ ზოგიერთ მომენტებში მეტი სიზუსტე, მაგ. | ანგელოზისო— შენ იტყვი—ქნარი ზეცისთვის (?) ჰგოდებს მტვერში ჩაფლული“, ან „არის ქვეყანა საამო რულში (?) სიზმარს, ხედავს და ელიძება“. დ. გაჩეჩილაძის მიერ თარგმნილ ლექსში „ციცერონი“

თვითონ ციკერონის სიტყვები / არ არის ბრჭყალებში ჩასმული, რადგან ვიდანვე გაუგებრობას იწვევს, რადგან პირველივე სტრიქონი ტიუტჩევის ლექსისა ციკერონის სიტყვას წარმოადგენს და არა თვითონ პოეტისა. თარგმანში კი ასეა: „ეამს მძვინვარების, შფოთვის, წყრომისა, რომაელ რიტორს აღმოხდა ასე“ და სხვ. ვარდა ამისა „ეამს მძვინვარების, შფოთვის, წყრომისა“ სუსტად გამოხატავს იმ საპოქალაქო ომის ამბებს, რომელიც გადაიტანა ციკერონმა, და რასაც ტიუტჩევი ხაზს უსვამს „Средь бурь гражданских и тревоги“. შემდეგ რიტორი ბერძნული სიტყვაა, აქ კი უფრო გამოდგებოდა ლათინური „ორატორი“ ტიუტჩევიც ხომ ამ სიტყვას ხმარობს „оратор римский говорил“, რა საჭირო იყო ამის შეცვლა? კარგად არის თარგმნილი „ელიზიუმში ღანდებისა“ იმავე მთარგმნელის მიერ. ლექსი „ალპები“ თარგმნილია კ. ჭიჭინაძის მიერ მთლიანად დამაკმაყოფილებლად. მხოლოდ გაუგებარია, რას ნიშნავს ალპები „მკვეთრობენ ყინულოვან საშინელებით“. ლექსში ასეა: ყინულოვანი საშინელებით გვაოცებენ, თავზარსა გვცემენ ალპები, „разят“ აქ წარმოიშვება სიტყვისაგან „разить-поразить („льдыстым ужасом разят“), ამიტომ „მკვეთრობენ“ აქ არაფერ შუაშია. „თითქოს ავ სენით (?) ბნ ჯადოს ძალით შეპყრობილი“ „властью некой обаянны“, არა „об'ятые“, არამედ „обаянны“, სიტყვისაგან „обаяние“ ე. ი. რალაც ძალით მოჯადოებულნი სთვლემენ და სხვ. თუმცა ა. კოლცოვის შესახებ ბელინსკი სწერდა, რომ „Он непереводим ни на какой язык“, მაინც უნდა ითქვას, რომ ვ. გორგაძემ („სიმღერა“) და კ. ჭიჭინაძემ („ტყე“ და „მოსაველი“) წარმატებით სთარგმნეს მისი ლექსები. მხოლოდ ლექსში „მოსავე-

ლი“ „В копны частые снопы сложены“ თარგმნილია „ხშირ ღერობად ძნები აწყვია“, „ღერობები“ აქ არ გამოდგება, „копны“ ზვინებია, ან გროვა. ი. ნიკიტინის ლექსში „Русь“ ვ. გორგაძის მიერ თარგმნილია „მაგრამ როგორც კი ბრძოლად მოუხმეს, უცებ ყოველ მხრით აღსდგა რუსეთი“ მაშინ როდესაც დედანშია „Но лишь кликнул царь свой народ на брань“ მთარგმნელს თითქოს შეეშინდა სიტყვისა „царь“ და გადასწყვიტა ნიკიტინის გათანამედროვეება. ლექსები „მთხოვარი“ (იასამანი) და „პა, სადაცაა დაემხოება“ (ვ. გორგაძე) კარგადაა თარგმნილი.

ი. კრილოვის თორმეტ იგავ-არაკიდან ოთხი ძველი თარგმანია (აქ. წერეთლისა და რაფ. ერისთავისა), დანარჩენი იგავ-არაკები წარმატებით თარგმნილია ჩვენი პოეტების მიერ (კ. ჭიჭინაძე, ი. მოსაშვილი, დ. ვაჩეჩილაძე და ხ. ვარდოშვილი). იგავ-არაკში „ფუტკარი და ბუჭები“ (თარგმანი ხ. ვარდოშვილისა) ეტყობა ტექნიკური დაუდევრობის გამო, ლექსის დასაწყისი ბოლოშია მოქცეული (8 სტრიქონი). დეღვივის ლექსები კარგად აქვს თარგმნილი გრ. ცეცხლაძეს, მეტადრე „რუსული სიმღერა“. საშუალო დონეზეა ვ. გორგაძის მიერ შესრულებული კ. რაღვევის ოთხი ლექსის თარგმანი („მედროვე“, „ო, მეგობარო“, „ა. ბესტუფეეს“, და „მოქალაქე“). ვ. ფუკოვსკი შედარებით სუსტად არის თარგმნილი. ლექსში „ზღვა“ (ვ. გორგაძე) გამოტოვებულია „чем дышит твоя напряженная грудь“, გარდა ამისა „ვერცხლად ლივლივებ“ ვერ გამოხატავს „льешься... лазурью“. ლექსში „მოგონება“ იმავე მთარგმნელის მიერ „რწმენით გვაცოცხლებდნენ და სულთ გვზრდიდნენ“ ვერ გამოხატავს პოეტის აზრს, რომ თანამგზავრები

ჩვენთან ერთად გზის გავლით ჩვენს ცხოვრებას აცოცხლებდნენ“ უღრეგიაში „სალამო“ (ვ. გორგაძე) ქუჩკოვსკი იგონებს თავის საყვარელ მეგობრებს ა. ტურგენევის, რომელიც 1803 წელს გარდაიცვალა და ს. როძიანკოს, რომელიც პანსიონის დამთავრების შემდეგ კუჭაზე შეიშალა: „Один (ე. ი. ტურგენევი), — минутный цвет — почил, и непробудно, и гроб безвременный любовь кропит слезой“. აქ წერტილია. შემდეგ იგონებს ს. როძიანკოს სიგიჟეს და ამბობს „другой... О, не-бо правосудно!“ როგორც სჩანს მთარგმნელს ეს ადგილი ვერ გაუგია და ასე სთარგმნის: „ერთმა — ცხოვრება წუთიერი წამებით განვლო (?) და მის უდროო საფლავს აფრქვევს მდულარე ცრემლებს მეორე... პოი, ცის სამართალო“. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ს. როძიანკო ა. ტურგენევის უდროო საფლავზე მდულარე ცრემლებს აფრქვევს, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. შემდეგ იმავე ელევიაში „Как слит с прохладою растений фимнам“ თარგმნილია „საკმეველის სურნელს აკმევეს მოლი მოუთიბაი“, „облаков померкнули края“ — „ცამ დახუჭა ნათელი თვალი“ და სხვ.

დ. დავილოვის ორი ლექსი („ბოროდინის ველი“ და „ბურცოვისადმი“) პოეტ ვ. შატბერაშვილის მიერ არის თარგმნილი კარგად. საჭიროა მაინც ზოგიერთი ადგილები აღინიშნოს, заменяет диваны“ — „დივნობას უწყევს“ არ ვარგა („ბურცოვისადმი“). ლექსში „ბოროდინის ველი“ კარგად არის გადმოცემული ბაგრატიონის შესახებ თქმული: „თვით ჰომეროსის გმირთა სადარი ბელადი“, უფრო უკეთესი იქნებოდა, მთარგმნელს რომ ქართულშიაც დაეტოვებია დავილოვის მიმართვა ბაგრატიონისადმი, ისე როგორც ეს დაცული აქვს მთარგმნელს

რავესკისა და ერმოლოვის მიმართ. — „ты... Багратион Великий“. გარდა ამისა კარგი იყო, რომ მთარგმნელს, ქართველი მკითხველისათვის მეტად საინტერესო ადგილი არ გამოეტოვებინა, სადაც პოეტი იძლევა ბაგრატიონის თავისებურ დახასიათებას: „**СВОИМ ГОЛОСОМ В ПОЛКАХ РОЖДАЮЩИЙ ПРЕДУВСТВЕННЫЕ КЛИКИ ПОГИБЕЛИ ВРАГОВ**“. შემდეგ „**Завидую костям соратника или друга**“, თარგმნილია „თქვენს ბედნიერ ძვლებს ვიგონებ შურით“, საქმე იმაშია, რომ აქ ივრულისხმება მხოლოდ ბაგრატიონი (соратник) და რაევსკი (друг), რადგან პირველი, როგორც ცნობილია, 1812 წ. გარდაიცვალა, რაევსკი კი 1829 წ., რაც შეეხება ერმოლოვს იგი კიდევ დიდხანს ცხოვრობდა (1861 წლამდე), ასე რომ სიტყვა „თქვენს“, რაც სამივეს გულისხმობს, მაგიერ მთარგმნელს სხვა შესატყვისის მოძებნა დასჭირდება. დ. ვენევიტინოვის ელევგია „პოეტო და მეგობარი“ კარგად არის თარგმნილი კ. ნადირაძის მიერ, მხოლოდ „**Мы все равно читаем в ней но кто читая понимает**“ შეიძლებოდა უფრო უკეთ ეთარგმნა, ვიდრე „ჩვენ მას თანაბრად ვუცქერიოთ (?) ყველა, მაგრამ დანახულს თანაბრად ვარჩევთ?“ პ. ვიაზემსკის ლექსი „ყველიერი უცხოეთში“ სუსტად არის თარგმნილი კ. ჭიჭინაძის მიერ, შედარებით უკეთესადაა ლექსი „მგზავრის ფიქრები“ იმავე მთარგმნელისა. სუსტადაა თარგმნილი ა. პოლუეჩაევის ლექსი „აღშფოთება“ (კ. ჭიჭინაძე): ეამი არის თვითნებური და არა „თვითნებურად გაუჩინარდი“, „**Ах, как много драгоценного я в сей жизни погубил**“ თარგმნილია „რაოდენ კარგის და მშვენიერის გაგხდი მე უარმყოფელი“, რაც ძალიან დაშორებულია დედნისაგან. შემდეგ „ენებანი გაუმძღარნი გულს მიწიწკინდნენ, როგორც გველები“

ვერ გამოხატავენ პოლუეჩაევის თქმის „**страсти ненасытные и тайя среди огня**“ და სხვ. ცნობილი ლექსი ალ. ოდოევსკისა „პასუხი ა. ს. პუშკინს“ განსვენებულ პოეტ გ. ქუჩინცილის მიერ მეტად დაშორებულად არის თარგმნილი. ზოგი ადგილი გათანამედროვეებულია, მაგ., „მეფე მასხარას და არამზადას“, ან „გვწამს ამბობებას შობს მომავალი“ და სხვ. ალ. ოდოევსკის ლექსები „დილა“ და „დედას“ კარგად აქვს თარგმნილი დ. გაჩეჩილაძეს, მეტადრე „დილა“. შესანიშნავად არის თარგმნილი ე. დერუჯინის პოეტ ალ. აბაშელის („თავად მეშჩერსკის გარდაცვალების გამო“, „ხელმწიფეთა და მსაჯულთადმი“, „ფუტკარი“ და „მერცხალი“) და კ. ჭიჭინაძის მიერ („ძეგლი“). უკანასკნელ ლექსის თარგმანში არ ვარჯა „უანგარიშო ხალხთა შორის“, უფრო სჯობია ურიცხვი, უთვალავი („**в народах неисчетных**) კ. ბატიუშკოვის ორი ლექსი („ტყვე“ და ელევგია“) თარგმნილია დ. გაჩეჩილაძის მიერ. პირველ ლექსში „მტრის წრბოებისგან გამონატაცი“ არ არის სწორი, უნდა იყოს მტრის ბრბოს მიერ მოტაცებული („**похищенный толпой врагов**“). ა. ფეტის ლექსი „ეს დილა, ეს სიხარული“ ვ. გორგაძის მიერ მეტად დაშორებულად არის თარგმნილი: „ეს რაქარკო, ეს მაყრული, ყველაფერი ეს ზღაპრული — გაზაფხული არი“ — „**Эта мгла и жар постели, эта дробь и эти трели, это все—всена!**“ ლექსში: „სევესტოპოლის სამძო სასაფლაო“ — „**и мнится все они шаги живого слышат**“, თარგმნილია ვ. გორგაძის მიერ არა სწორად: „მგონია, თითქოს ცოცხლებივით მათ ეყურებათ“. პირიქით, მათ ესე იგი საფლავში დამარხულთ, ცოცხალ აღამიანის ფეხის ხმა ეყურებათ. შედარებით კარგად არის თარგმნილი „ტრამალო

სალამოთი“ და „ბაღში“. ლექსში „მოველ, მოგესალმო მინდა“ (გ. ცეცხლაძე) „не знаю сам, что буду петь, — но только песня зреет“ არ არის სწორად გადმოცემული „რომ თუ ვიმღერ არ ვიცი თვით, სიმღერა კი მკერდს აწვება“. პირიქით, პოეტმა იცის, რომ იმღერს, მხოლოდ არ იცის რას, „სიმღერა კი მკერდს აწვება“. ი. პოლონსკის ლექსში „ნინო ჰავეჰავედე — გრიბოდოვა“ (კ. ჭიჭინაძე) „зацвела ея любовь и расцвела печаль“, არ არის სწორი „მას სიყვარული დაუქნა და აუყვავდა სევდა“, აქ სიყვარული და სევდა ერთმანეთს არ არიან დაპირისპირებული, პირიქით სიყვარულმა ვერც კი მოასწრო გაფურჩქვნა, რომ უკვე სევდა აუყვავდა. „О, для чего пережила его — любовь моя“ ვერ გამოხატავს „ო, უკან რატომ ჩამორჩა მას ჩემი სიყვარული“. შედარებით უფრო კარგად არის თარგმნილი ლექსი „იმერელი“.

მ. გორკი წარმოდგენილია ორი პოეტური ნაწარმოებით „სიკვდილი და ქალიშვილი“ (დ. გაჩეჩილაძე) და „გრიგალას სიმღერა“. (გ. გორგაძე). პირველის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ მიქელ-მთავარანგელოზი რატომღაც შეცვლილია გაბრიელად, შემდეგ „звездами написана та книга, Млечный путь—один ее листочек“ თარგმნილია არა სწორად: „გაეშალა ვარსკვლავების წიგნი, შიგ ერთ ფურცლად ზეცა იყო ჩვენი“, ვარსკვლავები ხომ ისედაც ზეცაზეა, აქ ნათქვამია რომ ვარსკვლავების წიგნში ერთი ფურცელი — ირმის ნახტობია.

კ. ბალმონტის ლექსების თარგმანი წარმატებით აქვს შესრულებული მ. პატარიძეს. უნდა ითქვას რომ ზოგ ადგილებში მან შესძლო იმ მუსიკალობისა და განწყობილების გადმოცემა, რომელიც ახასიათებს პოეტს, მაგ., ისეთ ლექსებში, როგორც „ღერწემები“ ან

„მიმავალი ჩრდილები“. მხოლოდ უკანასკნელ ლექსში ვერა ჩაჩხინის უკარგად გადმოცემული „Я мечтано видел уходящие тени погасавшего дня“ — „ფხიზლობს (?) ოცნება მიმავალი ჩრდილის ყურებით, მიმავალ ჩრდილებს დამქრალ დღისას მე დღეს ველირსე“ არ ვარგა „ფხიზლობს ოცნება“, აგრეთვე „მე დღეს ველირსე“: „ხმები მიწის და ზეცის გზაზე“ აქ უნდა იყოს: ზეცის და მიწის ხმები გაისმოდა ჩემს ირგვლივ. „огненное светило догорало вдали“, თარგმნილია „ღღის მნათობის წინ უფსკრული (?) უცებ გაიპო (?)“. კარგად არის თარგმნილი „თოვლის ფიფქი“, „ამ ქვეყანაზე მიტომ მოველ“ და სხვ. ვალ. ბრიუსოვის ექვსი ლექსი წარმოდგენილია ვალ. გაფრინდაშვილის შესანიშნავი თარგმანებით. კარგია აგრეთვე „ასარგადონი“ (გ. გაჩეჩილაძე) და „ანტონიუსი“ (კ. ჭიჭინაძე). სამწუხაროდ ა. ბლოკის „უცნობი ქალი“ (ხ. ვარდოშვილი) სუსტად არის თარგმნილი. საკმარისია რამდენიმე ადგილის მოყვანა: „и каждый вечер, за шламбаумами, заламывая котелки, среди канав гуляют с дамами испытанные остряки“, ეს შესანიშნავი ფერწერა მთლიანად დაკარგულია თარგმანში: „და მზის დახრისას, შეღამებაზე, როდესაც მიწას გაეკერის ჩრდილი“ (შვიდი სიტყვით გამოხატავს მთარგმნელი ბლოკის ლაკონიურს „каждый вечер“) „ღამებთან ერთად-მყუდრო ქუჩაზე სეირნობს ხალხი ენამახვილი“, ან „влагой терпкой и таинственной как я смирен и оглушен“ თარგმანშია: „ჭიჭიში მეგობრის ჩრდილი, იგი, როგორც მე — იღუძალებით არის აღსავსე და გაყდენთილი“, შემდეგ „девичий стан, шелками схваченный в туманном движении окне“ — „ფარჩით მორთული ქალწულის ტანი ფანჯრიდან (?) მო-

ჩანს სიციცხლით საესე (?). არა, ეს ბლოკი არ არის! რამდენადაც „ლამის ია“ კ. ჭიჭინაძის მიერ კარგად არის თარგმნილი, იმდენად სუსტია „სკვი-თები“. მაგ. „გომზერს, გიცქერის, ვით ჯვარცმული და ვით ფირალი“, მთარ-გმნელის მიერ შეთხზულია „ვით ჯვარცმული და ვით ფირალი“. „Да так любить как любит наша кровь, никто из вас давно не любит“ თარგმნილია: „დაახ, სიყვარულს ვგრძნობთ ძარღვებში სისხლის მარუ-ლით (?). როგორც არა გრძნობს თქვენში არცინ“. შემდეგ „И Кельна дымные громады“ რატომ-ღაც თარგმნილია „და ბრვე ქარ-ხნებით ნაკვამლი კპოლნი“. საიდან გაჩნდნენ ეს „ბრვე ქარხნები“, ან რა-ტომ გერმანიის ქალაქი Köln თარგ-მნილია როგორც კპოლნი, რა საჭიროა აქ „პაე“? „И мясо белых братьев жарить“ ასეა თარგმნილი „თეთრი ძმების ზორცს რომ ააგებს შამფურზე მწვადად (?).“ ლექსში „მეგობრებს“ (კ. ჭიჭინაძე): „печальная доля-так сложно, так трудно и празднично жить“ თარგმნილია „ხვედრი საწყენი (?). რთულად რომ ცხოვრობ და სა-ზეიმოდ რომ იმოსები“ (?), „Забьются бы сном навсегда!“ — „ძი-ლი მარადი უნდა ფასობდეს (?),“ ეს რა სენტენციაა? ყოველ შემთხვევაში ბლოკისა არ არის! აშკარად უნდა ითქ-ვას, ვ. გორგაძემ ვერ შესძლო ა. ბლოკის „თორმეტის“ ადექვატურად თარგმნა. მთელი თავების ამოწერა მოგვიხდებდა ამის დასადასტურებლად, მაგალითად, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მერვე და სხვა თავებისა. აი ერთი ად-გილი: „Мировой пожар раздуем, мировой пожар в крови“ თარგმნი-ლია „მსოფლიო ხანძარს ჩვენ გავაჩა-ღებთ, მსოფლიო ხანძარის სულშია ალი“ (?) ან და „как пошли наши ре-бята в красной гвардии служить,

буйну голову сложить“ გადმოცე-მულია საშინელი პრეზენტული ფიქტი: „წითელ გვარდიაში წვეფენიქო მუქებე-რომ შეებრძოლონ მტერს თავდადე-ბით!“ კიდევ ერთი მაგალითი: „Вы-пью кровушку за занобушку, чер-нобровушку!“ თარგმნილია ასე: „ვარდის ღაწვებიან მაყელის წამწამე-ბიან სატრფოსათვის სისხლს შევხვრი-პაე მგლურად“. როგორც იტყვიან, კო-მენტარიები ზედმეტია!

ძნელია ვ. მაიაკოვსკის თარგმნა. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ქართველმა პოეტებმა ძირითადად შესძლეს ზოგიერთი მისი ლექსი-სათვის სათანადო შესატყვისის გა-მომებნა, მაგალ., მ. პატარიძემ, ირ. აბაშიძემ, დ. გაჩეჩილაძემ, კ. ნაღი-რაძემ, თუმცა აქვე უნდა აღვნიშ-ნოთ ზოგი მარცხი. მაგ. დ. გა-ჩეჩილაძის თარგმანში „მთელი ხმით“ კარგად გადმოცემულ იდგილებთან ერთად („როგორც პარტილეთს ბოლ-შევიკურს მე მალა ავწევ მთელ ასტო-მეულს ჩემს პარტიულ წიგნაკებისა“ და სხვ.) არის ასეთებიც: „იყო მომღე-რალი გულანთებული სძაგდა წყალი მოუხარშავი“, ან „სიტყვა-მკრელო-ბის გალურსულა კავალერია“ და „წაუკითხადაც ჩვენ გვესმოდა; სად სჯობდა ომი, სად იერიში, ან სად კიდევ დავიდარაბა“ და სხვ. კ. ნაღი-რაძის თარგმანში „ვერსალი“ „смотрю, а все же завидные видики“, — „ვეუცქერ — სურათი მისაღებია“, სიტ-ყვა „მისაღებია“ აქ არ გამოდგება. ლექსიდან „არაჩვეულებრივი ამბავი აგარაკზე“ (მ. პატარიძე) გამოტოვე-ბულია რატომღაც შვიდი სტრიქონი, და ლექსში „კავკავი — თბილისი“ (ირ. აბაშიძე) ორი სტრიქონი. ვისი ბრა-ლია, მთარგმნელის, რედაქტორის თუ სტამბის?

დ. ბედნის ლექსი „მთავარი ქუჩა“ წარმოდგენილია ვ. გაფრინდაშვილის

ჩინებული თარგმანით. კარგია აგრეთვე „შურისძიება“ (ს. თავაძე). ნიკ. ტიხონოვის „კიროვი ჩვენთან არის“ რატომღაც ორი პოეტის მიერ არის თარგმნილი (კ. კალაძე და კ. ჭიჭინაძე), სამწუხაროდ ორივე თარგმანში „суровый как крепость, завод“ თარგმნილია არა სწორად: „პირქუში, როგორც ქარხნების რიგი“ (კ. ჭიჭინაძე) და „ვით ციხის ბურჯი და ვით ქარხანა“ (კ. კალაძე). საქმე იმაშია, რომ ეს სტრიქონი ამხ. კიროვის კი არ ეხება, არამედ ქარხანას: პირქუშია, როგორც ციხე. ისაკოვსკის ლექსში „ვინ რა იცის“ (დ. გაჩეჩილაძე) „потерял я — отвечает — сердце бедное свое“ თარგმნილია — „მომტაცეს — მიბასუხა, — ეს საწყალი გული სხვამ“, აქ არაფერია „სხვაზე“ არ არის ლაპარაკი. ს. შჩიპაჩოვის „სახლი შუშენსკოეში“ (ს. თავაძე) ზოგ ადგილას თარგმანი მეტად დამორბეულია დედანს, მაგალ. „а он все пишет, строчки торопя“ ლენინის შესახებ არის თქმული, თარგმანშია, „იგი კვლავ სწერს შორგზის შუქში“ (?) ან „благоговейно в домике-музее я у стола рабочего стою“, — „წმინდა სახლი—მუზეუმი მაკვირვებს (?) და კრძალვით ვდგევარ სამუშაო მაგიდასთან“, შემდეგ „пилотку, полинявшую в походах, я с головы еще за дверью снял“, ე. ი. ვიდრე მუზეუმის კარებს მივუახლოვდებოდი, უკვე ქუდს ვიხდიდიო. თარგმანშია: „ქუდს, რომელსაც ლაშქრობათა ფერი ადევს, ვიხდი, ვიდრე შინ დამხდური კარს გამოიღებს (?)“. ტვარდოვსკის ლექსში „მდინარის ვადალახეა“ (გ. ცეცხლაძე) რვა სტრიქონია გამოტოვებული, არ არის სწორი „იმავ მკაცრ გზას მიჰყვებიან, წინ მიდიან იმავ ყოფით“, „тем путем идут суровым, что и двести лет назад“, თუ ერთი და იმავე გზით მიდიან ყო-

ველ შემთხვევაში ერთ და იმე ყოფაში არ იქნებოდნენ. ქვეყნის მხედრად, რომ („долги ночи и декабрь“) დეკემბრის ღამე ნოემბრის ღამედ გადაიქცა („ნოემბრის ღამე გრძელია“)? კარგად არის შესრულებული პოეტ მოსაშვილის მიერ ზაბოლოცკის „გორის სიმფონიის“ თარგმანი. სვეტლოვის „გრენადა“ სუსტად არის გადმოცემული მ. პატარიძის მიერ. ლექსში „მე თვითონ ვნახე“ სელვინსკისა (კ. კალაძე) არასწორად არის თარგმნილი „7.000 расстрелянных в волчьей яме заржавленной как руда“ — თხრილებში შვიდი ათასის გვაში მადნეულივით იწევა ზოდებად“, გვაგები კი არ იწევა მადნეულის ზოდებად, არამედ თხრილები (უფრო სწორად ორმო) ენგია იყო, როგორც მადანი. შემდეგ „ფირალები“ და „პარტიზანები“ განა ერთი და იგივეა? საიდან გაჩნდა „ვიღაც კოჭლი“, როდესაც დედანშია „парень. Он совсем налегке“. გ. ცეცხლაძის მიერ თარგმნილ მარშაკის ლექსში „ბალადა ძეგლის შესახებ“ — „ტყვიამფრქვევი... ალაპარაკდა რუსულ ენაზე“ („заговорил по русски пулемет“) არ ვარგა. ნ. ტიხონოვის „Витязь“, რომელიც სთარგმნა ალგომიაშვილმა, გამოტოვებულია შვიდი სტრიქონი.

შეუძლებელია ერთი წერილის ფარგლებში სამასამდე მეტ ლექსს შეეხო, თვითეული შეადარო დედანს და კრიტიკულად გაარჩიო. ისედაც დიდი დრო წავართვით მკითხველს. ამიტომ ამ გარჩევით დავკმაყოფილებით.

ვიმეორებთ „რუსული პოეზიის ანთოლოგიის“ გამოცემა დიდი საზოგადოებრივი და კულტურული მოვლენაა. თარგმანის უმრავლესობა ძირითადად იმეყოფილებს საბჭოთა თარგმანის მეთოდოლოგიურ პრინციპებს.

ბიბლიოგრაფია

★

ლოგიკის ზოგირითი საკითხისათვის.

ა. ბაქრაძე — ლოგიკა, თბილისი, 1946, საბარტონოლოგის კაბინეტის გამომცემლობა

როგორც ამ წიგნის წინასიტყვაობიდან ჩანს, იგი არის ჩვენი საშუალო სკოლის უკანასკნელი კლასისათვის დანიშნული სახელმძღვანელო. თავისთავად ცხადია, თუ რა დიდ სიძნელეს წარმოადგენს კარგი სახელმძღვანელოს დაწერა. იგი მოითხოვს არა მხოლოდ მეცნიერული დისციპლინის სრულ ცოდნას, არამედ ჩვენი სკოლისა და მის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ამ მხრივ კ. ბაქრაძის წიგნი იწვევს რამდენიმე კრიტიკულ შენიშვნას:

I. წიგნის მოცულობა (276 გვერდზე) ძალიან დიდია და არ არის შეფარდებული ლოგიკისათვის სკოლაში დათმობილ საათების რაოდენობასთან. ეს გარემოება, როგორც წინასიტყვაობიდან ჩანს, თვითონ ავტორსაც შეუნიშნავს, მაგრამ, სამწუხაროდ, არაეითარა პრაქტიკული ღსკენა აქედან არ გამოტრიალდა. ჩემი აზრით, ავტორს სრულიად უმეტყველოდ შეეძლო შეემცირებინა თავისი წიგნის მოცულობა, თუ იგი ამოკლებდა იქიდან რამდენიმე თავს და შემოკლებდა დანარჩენებს.

ამისაღებო იყო, უწინარეს ყოვლისა, წიგნის შესავალი, რომელსაც 19 გვერდი უჭირავს (1—19), ვინაიდან იქ ასეთი საკითხებია განხილული, რომლებიც ლოგიკის კურსში აღარ შედიან. ასეთი საკითხებია „ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან“, „შემცველების და პრაქტიკის დამოკიდებულება“, „კვშიარიტების საკითხი“ და სხვ. ეს შესავალი რომ ამოკლებოდა ავტორს თავისი წიგნიდან, იგი მოიკლებდა ერთი მხრით იმით, რომ შემოკლებდა თავის წიგნს, ხოლო მეორეს მხრით იმით, რომ იკლებდა არა ერთს ფრიად ბუნდოვან ვებულებას. ასეთი ბუნდოვანი ვებულებია, მაგალითად, შემდეგი: „კვშიარიტება თვით საგანი კი არ არის, არამედ მისი ასახვა, მისი სურათი“ (7). წაკითხვას

ამ წინადადებებს მოწოდებ და იკითხავს: „ვინა სურათი სინამდვილის საგანი არ არის? ვინა სურათი სინამდვილის გარეშე იკითხება?“ სკკირთა იყო სახელმძღვანელო ისე ყოფილიყო დაწერილი, რომ ამგვარ ბუნდოვანობას გამოთქმაში არ უჭირავდა ადგილი. სახელმძღვანელო ხშირ უღატყვად ზუსტი ენით უნდა იქერებოდეს.

მე-11 გვერდზე ავტორი იკითხავს: „დასაბუთებას“ და „დამტკიცებას“, ე. ი. ვერ ამჩნევს, რომ დამტკიცება არ არის დასაბუთება, რომ ბევრია ისეთი ვებულება, რომლის დამტკიცება არ შეიძლება, მაგრამ დასაბუთება არამც თუ შესაძლებელია, არამედ საავალდებულოც არის ერთი ასეთი ვებულებია, მაგალითად, ლუციის ძირითადი კანონი, რომელსაც წინამდებულების კანონი ეწოდება უკვე არისტოტელმა აღნიშნა თავისი „მეტაფიზიკის“ მეოთხე წიგნში, რომ წინამდებულების ლოგიკური კანონი ვერ დამტკიცდება, ვინაიდან იგი თვითონ არის ყოველი დამტკიცების საფუძველი. კანტმა კი მთელი თავისი ცხოვრება იმის ასხან-განმარტებას მთავრობა, რომ წინამდებულების ეს დამტკიცებელი კანონი (ისე როგორც აზროვნების ყოველი სხვა კანონი) საკირთა დასაბუთებელი იქნება, და სწორედ ამ დასაბუთების საქმეს აწარმოებს ვონების კრიტიკა. ფილოსოფიური აზროვნებას ისტორიის ეს უუპირითადესი მოვლენა ავტორს გამოარკვევა შედეგობიდან, როდესაც იგი დასაბუთებას და დამტკიცებას აიკვებებს ერთმანეთთან.

გარდა შესავლისა, ამისაღებო იყო წინამდებარე წიგნის მე-8 თავი, რომელსაც ათი გვერდი უჭირავს (107 — 116) და რომელშიაც, ლაპარაკია ე. წ. არასლოგიკური დასკვნებზე. სხვა რომ არა იყოს რა, საკითხი ე. წ. არასლოგიკური დასკვნების შესახებ იმდენად სჭე-

ციალური საკითხია, რომ ავტორმა იგი გამოიტანა ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიონზე. ცხადია, რომ საშუალო სკოლის მოწოდებები ვერ მოერგებოდა ისეთ სპეციალურ საკითხს, რომელიც ფილოსოფიის ინსტიტუტის საკამათო პრობლემას წყობდებოდა. ამ არაფერს ვიტყვი იმის შესახებ, რომ არსებითადაც ის, რაც ე. წ. არასილოვისტურ დასკვნებს შეესაბამება ნათქვამია წიგნში, არ არის დამაჯერებელი. ავტორი ვერ ამტკიცებს იმას, რომ არასილოვისტური დასკვნა არ არის ერთმანეთს (213 გვ.).

ამოსაღები იყო ავრეთვე წინამდებარე წიგნის III თავი, რომელსაც უკბრავს 11 გვერდი (79 — 89) და სადაც ლამარაკია საშუალო საუკუნეთა ლოგიკურ თეორიებზე (რეალიზმზე, ნომინალიზმზე და კონკრეტულიზმზე). ლოგიკის ელემენტარული კურსის ფარგლებს ამგვარი საკითხები სცილდებიან, და ჩვეულებრივ მათ შესახებ არც არის ლამარაკი ლოგიკის ელემენტარულ სახელმძღვანელოებში.

თუ მთლად ამოსაღები არა, ყოველშემთხვევაში ძალიან შესაბამისი იყო I თავი — „ლოგიკა, მისი საგანი და ამოცანები“, რომელსაც 16 გვერდი უკბრავს. ვფიქრობ, რომ ის, რაც ამ საკითხის შესახებ უნდა მივიცეს საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში, შეიძლება 2 გვერდზე მოგვეთავსებოდა: ეს საუკეთესო იქნებოდა ყოველმხრივ, — უკეთესი იქნებოდა იმ მხრივაც, რომ მიწოდებულ მასალას მიუხედავად მტერი სიზუსტე და გარკვეულობა, რაც, სამწუხაროდ, აკლია წინამდებარე წიგნს. ა, მაგალითად, მე-25 გვერდზე ავტორი წერს: „ლოგიკური აზროვნება არ გვაძლავს იმის გარანტიას, რომ ჩვენ უპიკულებს კემპარტებს მივწვდებით“. ჩემის აზრით, ასეთი გამოთქმა (და ისიც ლოგიკის პირველ თავში) სრულიად უადგილო და საზიაროა. როგორ თუ კემპარტების მიწოდების გარანტიას არ გვაძლავს ლოგიკური აზროვნება? რე თუ ჩვენ კემპარტებს ვერ მივალწევთ, თუ ლოგიკურად ვიზრუნეთ? თუ ასეა, მაშინ რა საჭიროა ლოგიკური აზროვნება? რა საჭიროა თვით ლოგიკაც, რომელსაც გვასწავლიან? — ახ რა კითხვები შეიძლება გაუჩნდეს მოწაფეს, როდესაც იგი წიკითხავს ავტორის ზემოთ მოყვანილ წინადადებას. ამგვარი კითხვები კი მთლად გულს უტრუნებენ მოწაფეებს ლოგიკაზე და ზიანს მიყენებენ ამ საგნის შესწავლას. ე. ი. ავტორის დარწმუნება აქვს აქ დიდაქტიკის ელემენტარული წესი, და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ლოგიკის შესწავლის სარგებლობა საზოგადოდ ძალიან სადავო საკითხად ითვლება:

ჩვენში კი 25 წელიწადზე მეტია, რაც უფრო გამოირცხვლი იყო სასკოლო საგანთა სიდიდან, როგორც არასასარგებლო (მეცნიერებულ) და მხოლოდ შარშნწინ შემობრუნებული სკოლებზე (საქ. კ. ბ. ბ) ცენტრალური კომიტეტის მიითითებათა საფუძველზე. ასეთ პირობებში გემართებს განსაკუთრებული სიფრთხილე და ლოგიკის სახელმძღვანელოში არ უნდა იქნეს დაშვებული ისეთი გამოთქმები, რომლებიც ლოგიკის შესწავლის სარგებლობას ეჭვის ქვეშ დააყენებენ და დიდაქტიკურად მიუღებელი არიან.

II. ზევით ჩვენ ლამარაკი ვეკონდა კ. ბაქრადის წიგნის იმ თავების შესახებ, რომლებიც ავტორის უნდა ამოელო, რათა შემეცირებოდა ამ წიგნის მოუღობა. მაგრამ გახდა მოუღობის სიდიდისა, წინამდებარე წიგნს აქვს სხვა ნაკლები. ამით შორის მთავარია ის, რომ ავტორის დებულებებს ხშირად აკლიათ მეცნიერული სიზუსტე, ზოგიერთ შემთხვევაში კი ისინი პირდაპირ ეწინააღმდეგებიან კემპარტებს და სახელმძღვანელონათვის შეუფერებელი არიან, ვინაიდან სახელმძღვანელო უნდა შეიცავდეს მხოლოდ კემპარტის და მეცნიერულად კარგად შემოწმებულ დებულებებს. სამწუხაროდ, ასეთი არადაშავსაყოფილებელ დებულებების რიცხვი წინამდებარე წიგნში ბევრია; ყველას ჩამოთვლა ამ წერილში შეუძლებელია. შევებები ამიტომ მხოლოდ ზოგიერთებს.

როგორც ზევით ითქვა, ფორმალური ლოგიკის შესახებ ამ ცოტა ხნის წინ გავრცელებული იყო შეხედულება, რომ იგი არ არის სასარგებლო მეცნიერება. რატომ? იმიტომ რომ ფორმალური ლოგიკა არის მეტაფიზიკური ლოგიკა და, როგორც ასეთი, იგი ეწინააღმდეგება დიალექტიკას, რომელიც მარქსისტულ მსოფლმხედველობის განუყრელი ნაწილია. რომ ასეთი შეხედულება ფორმალურ ლოგიკაზე არ არის სწორი, ეს მშვენივრად განმარტობს იოანე ფილსონი ე. ბ. სტალინიმ თავის პოლიტიკურ წერილში ჩვენებური ანარქისტების წინააღმდეგ (ანარქიზმი თუ სოციალიზმი). მიუხედავად ამისა, ამ შეხედულებას ჰრავალი მომხრე ყავდა, და სწორედ იმიტომ აქნა ფორმალური ლოგიკა გამოირცხვლი სასკოლო საგანთა სიდიდან. მაგრამ ს. კ. ბ. ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა კვლავ შემოიღო ფორმალური ლოგიკის სწავლება სკოლებში და იმით დაადასტურა, რომ ფორმალური ლოგიკა არ ეწინააღმდეგება დიალექტიკას.

ასეთ პირობებში რა ამოცანა დგას იმის წინაშე, ვინც დღეს ფორმალური ლოგიკის სახელმძღვანელოს წერს ჩვენი სკოლისათვის? თი-

ვისთავად ცხადია, რომ პირველ რიგში მის წინაშე დგას ასეთი ამოცანა: ისე დაწეროს ლოგიკის სახელმძღვანელო, რათა თვალსაზრისით მკითხველისათვის საკ. ე. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას მიერ დაუასტრუქტურებელი აზრი, რომ ფორმალური ლოგიკა არ ეწინააღმდეგება დიალექტიკას. ესმის თუ არა კარგად ეს ამოცანა ჩვენი ავტორს? როგორც მისი წიგნიდან ჩანს, დადებითი პასუხის ვაცემა ამ კითხვაზე გადაუკარგება იქნებოდა. მართლაც, დავაკვირდეთ საქმეს.

მთავარი მუხლები, სადაც ფორმალური ლოგიკა ზედმად დიალექტიკას, არიან მოძღვრება ენებაზე და მოძღვრება აზროვნების კანონებზე. ამ მოსაზრებათა გამო, რომელთა შესახებ ზევით ვილაპარაკეთ, საჭირო იყო, რომ ავტორს საკმარის სიზუსტით დაემუშავებია თავისი წიგნის ის ნაწილები, სადაც ლაპარაკია ენებაზე და აზროვნების კანონებზე, რათა სრულიად ნათელი ყოფილიყო მოწოდებებისათვის ის აზრი, რომ ფორმალური ლოგიკა არ ეწინააღმდეგება დიალექტიკას: მხოლოდ ამ პირობის შესრულებით დაეკმაყოფილება ამბ. ბაქრაძის წიგნი ჩვენი დროის სასკოლო მოთხოვნილებას.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სიზუსტით ავტორს არ დაემუშავებია არც მოძღვრება ენებაზე და არც მოძღვრება აზროვნების ძირითად კანონებზე. მართალია, ავტორმა სიტყვათა ეკონომიის პრინციპს არ გაუწია ჯეროვანი ანგარიში და 20 გვერდი მოანდომა აზროვნების კანონების ახსნა-განმარტებას (187—206 გვ.). მაგრამ ამ სიტყვა-პარბომაზე უფრო სამწუხაროა ის, რომ აზროვნების კანონების ახსნა-განმარტების დროს ავტორმა ვერ გამოიხილა ის სიზუსტე, რომლის შესახებ ზევით ვილაპარაკებდით, და ვერ მისცა აზროვნების კანონებს ისეთი განმარტება, რომ ნათელი ყოფილიყო ის აზრი, რომ ფორმალური ლოგიკა არ ეწინააღმდეგება დიალექტიკას.

აზროვნების ფორმალურ-ლოგიკურ კანონებს შორის პირველი იდეალური უპირატესი იგივეობის კანონს, რომლის ჩვენებებიც ფორმულა ასეთია: „A არის A“. როგორ არის შეფუთული იგივეობის კანონი ე. ბაქრაძის წიგნში განმარტებული? ვფიქრობ, რომ ე. ბაქრაძეს უნდა უფრო ზუსტად, უფრო ფრთხილად და ჩვენი დროის სასკოლო მოთხოვნილებათა შესაფერისად განემარტა იგი. მართლაც, მე-200 გვერდზე ავტორი წერს: „იგივეობის კანონი სინამდვილის კანონია“. „თუ იგივეობის კანონი არის სინამდვილის კანონი“. ასე ამსჯელებს ამ ადგილის წამკითხველი, „მაშინ ცვალებადობის კანონი არ ყოფილა სინამდვილის კანონი, ვინაიდან იგივეობა და ცვალებადობა ლოგიკურად რიცხვურად ერთმანეთს ეწინააღმდეგება“. ახის ფორმალური ლოგიკის კანონი, და თუ ფორმალური ლოგიკის კანონი არის სინამდვილის კანონი, მაშინ ცხადია, დიალექტიკის კანონი ვერ იქნება სინამდვილის კანონი“. აი, რა აზრები შეიძლება წარმოიშვას ჩვენი ავტორის დებულებამ: „იგივეობის კანონი არის სინამდვილის კანონი“. ე. ი. ავტორი აძლევს ფორმალური ლოგიკის კანონს ისეთ ახსნა-განმარტებას, რომელიც არაფრით არ ელოდება წინ იმ შეზღუდულობას, რომ ფორმალური ლოგიკა ეწინააღმდეგება დიალექტიკას და, მაშასადამე, თუ ფორმალური ლოგიკა ჭეშმარიტია, მაშინ დიალექტიკა მცდარია.

საუბედროდ, ნაცვლად იმისა, რომ ვადლობებოდა წინ დიალექტიკის ამ უარყოფით შეფასებას, ავტორი თვითონ იხრება ამ უკანასკნელისაკენ. მე-192 გვერდზე იგი სწერს: „ყველა ფერადი ყოველ წიამს კი არ იცვლება“. მე ვფიქრობ, იქ ავტორს, დიდი სიბრძნობის ნაცვლად, დიდი წინდაუხედავობა ჩაუდგინა ვინც იტყვას, რომ ყველაფერი არ იცვლება ყოველ წამს, მან უნდა ისიც თქვას, რომ ყველაფერი არ იცვლება ყოველ საათს, ყოველ დღეს, ყოველ თვეს, ყოველ წელს, ყოველ საუკუნეს და ასე დაუსრულებლად, ე. ი. მან უნდა აღიაროს, რომ არაფერი არასოდეს არ იცვლება და ყველაფერი მარად უცვლელი რჩება. ეს კი შეტადიხიკურად შეზღუდულობა და იგი დიალექტიკის სრულიად ამკარად გამოიხილება, ვინაიდან დიალექტიკის აზრით ყველაფერი იცვლება ყოველთვის.

ამ შენიშვნით ჩვენი ის კი არ გგზნდა ვთქვათ, რომ ავტორს აქვს სურვილი დიალექტიკის თვალსაზრისზე დაუგეს (ძირითად, მის წიგნს ეტყობა ამის საწინააღმდეგო მრავალი ნიშანი). არამედ ის, რომ ეს სურვილი მის წიგნში არ არის ჯეროვანად რეალზემული.

ზევით აღინიშნა ე. ბაქრაძის წიგნის მხოლოდ ისეთი მსარტები, რომლებიც ყველა უნდა ეცეს თვალში. მაგრამ არის იქ ისეთი ადგილები, რომლებიც უფრო ვიწრო თვალსაზრისითაც მოითხოვენ გადამსწავლას. აი, მაგალითად, ავტორის ფორმალური ლოგიკის ცნობილი სახელმძღვანელოებიდან გადმოღებული ქვეს საცხებით სწორი დებულება, რომ ლოგიკური მსჯელობა უნდა გაეარჩიოს გრამატიკულ წინადადებისაგან. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ავტორი პრაქტიკულად ვერ არჩევს თვითონ მსჯელობას წინადადებისაგან. მე-92



გვერდზე იგი წერს: „სამ კითხვას რა არის თბილისი? რის დედაქალაქია თბილისი? რა არის საქართველოს დედაქალაქი? — უბასუბებს ერთი მსჯელობა (ბაზი ჩემია. ს. ლ.) — „თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი“. როგორ შეიძლება ასეთი შეცდომის ჩადენა, და ისიც ლოგიკის სახელმძღვანელოში? „თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი“ შემოშკეანილ კონტექსტში არის არა „ერთი მსჯელობა“, როგორც საკვირველი დაუდევრობით წერს ავტორი, არამედ ერთი წინადადება, რომლითაც სამი სხვადასხვა მსჯელობაა გამოთქმული.

მე-108 გვერდზე ავტორი წერს: „მსჯელობაში: ლითონი ელექტრობის გამტარია, ლითონი არ არის ელექტრობის გამტარი, შესაძლებელია ლითონი ელექტრობის გამტარი იყოს, ლითონი პუცილებლად ელექტრობის გამტარია, ლითონი ან არის ელექტრობის გამტარი, ან არ არის ელექტრობის გამტარი — მასალა ერთი და იგივეა“. ეს შეცდომაა, და მასალა ამ მსჯელობებისა ერთი და იგივე სრულიადაც არ არის. ერთი და იგივეა იქ არა მსჯელობების, არამედ განმარტულ წინადადებათა მასალა. ავტორი პრაქტიკულად ვერ აჩვენებს მსჯელობას წინადადებისაგან, თუმცა სიტყვიერად ზნორად აცხადებს, რომ მსჯელობა განსხვავდება წინადადებისაგან. მე არ ვიცი, როგორ შეიძლება ვასწავლოთ მოწაფეებს მსჯელობების გარჩევა წინადადებისაგან, თუ ჩვენ თვითონ ვერ ვარჩევთ მათ ერთმანეთისაგან.

94-ე გვერდზე ავტორი ვერ იძლევა პეშინის „ბორის გოდუნოვიდან“ ამოღებული ადვალის სწორ ლოგიკურ ანალიზს, ამასთანავე კი მისმა სახელმძღვანელომ უნდა შესწავლოს მოწაფეებს ლოგიკური ანალიზის წარმოება პეშინის სხენებულ ადგილში დიპტრი ეკითხება ტყვეს: „ბევრი ჯარი უაფს ბორისს?“ ტყვე კი უპასუხებს: „ღმერთმა იცის“. კ. ბაქრაძის აზრით, ტყვეს მიერ მოცემულ პასუხში „ღმერთი პრედიატია“. მე ვფიქრობ, რომ ავტორს აქ საკუთრივად შეეცდომა ჩაუდენია: პრედიატია იქ არა „ღმერთი“, არამედ „ის, რაც ღმერთმა იცის“. როგორ შეიძლება სახელმძღვანელოში ასეთი დაუდევრობა? ჩემის აზრით, წინამდებარე სახელმძღვანელო, ცოტა არ იყოს აჩქარებულად ყოფილა დაწერილი, და ყოველი სიტყვა არ არის იქ გეროვანად აწონილ-დაწონილი.

როგორც მოაღვრება მსჯელობაზე, ისე მოაღვრება ცნებაზე არ არის ამ წიგნში ყოველთვის სასურველი სიზუსტით დამუშავებული. მე-38 გვერდზე, მაგალითად, წერია: „რომ კვადრატის დიაგონალები ერთმანეთს პერპენდიკულარული

არიან, ერთმანეთს შუაზე ყოფენ და სხვა არსებითს ნიშნებს წარმოადგენენ“. ჩემის აზრით, ეს შეცდომა უნდა იყოს „სახელმძღვანელოში“ ნიშანი უნდა ეწოდოს მსგებ: „ნიშნის წარმოადგენელი ცნების არსებობა შეადგენს და რომლის გამოყოფა ცნებან არღვევს. გამოყოფილი ახლა კვადრატის ცნებას ის, რომ მისი დიაგონალები ერთმანეთს შუაზე ყოფენ (ე. ი. დაუშვით, რომ კვადრატის დიაგონალები ერთმანეთს შუაზე არ ყოფენ), და კვადრატის ცნებაც გაუქმდება. ჩემის აზრით, ავტორი ვერ აჩვენებს ერთმანეთისაგან არსებითს ნიშანს განსაზღვრულ ნიშნისაგან, და ყოველი ნიშანი, რომელიც არ შედის ცნებას განსაზღვრებაში, მის არაარსებით ნიშნად მიიანია. ეს კი არ არის მართებული, ვინაიდან, არსებობის თანახმად, არაარსებითი ნიშანი უნდა ეწოდოს შემთხვევიან ან აქციდენტალურ ნიშანს (accidental), ხოლო განსაზღვრულ ნიშანსა და შემთხვევით ნიშანს შუა იმყოფება ის ნიშანი, რომელსაც ლოგიკაში ეწოდება საკუთარი ნიშანი (proprium).

39-ე გვერდზე მოცემულია ცნების ასეთი განსაზღვრება: „ცნება არის აზრი სავანზე, რომელიც განზილულია მისი არსებითი ნიშნების მიხედვით“. ვფიქრობ, რომ ამ განსაზღვრებას, აქვს მეცნიერული სიზუსტე. აი, მაგალითად, სამი წლის ბავშვს აქვს აზრი ბელურაზე, რომელიც განზილულია ორნიტოლოგიაში მისი არსებითი ნიშნების მიხედვით. წიგნში მოცემულ განსაზღვრების თანახმად, ჩვენ უნდა გავთქვათ, რომ ამ ბავშვს აქვს ცნება ბელურაზე. კ. ბაქრაძის შეუცდომის მიზეზია ის, რომ მას არასწორად ვადმოუთარგმნია ა. ვედენსკის ელემენტარულ ლოგიკაში მოცემული განსაზღვრება ცნებისა: „Мысль о предмете, рассматриваемом со стороны его существенных признаков, логика назвала понятием“. ¹ ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ ავტორს არ უნდა ესარგებლა ვედენსკის ლოგიკით, არამედ იმას, რომ უნდა მართებულიც ესარგებლნა.

წიგნში არ არის კარგად გარკვეული ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, თუ სად იმყოფება ცნება. 48-ე გვერდზე ავტორი წერს: „ცნება არის აზრი, აქედან ცხადია, რომ ცნება იმყოფება აზროვნებაში“. ამას ეთანხმება მე-82 გვერდზე გაკეთებული განცხადება: „აღუა (ე. ი. ცნება, ს. ლ.) შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ცნობიერებაში“. აქედან გამომდის, რომ ცნობიერების გარეშე ცნება არ იმყოფება. მაგრამ ამას უწინააღმდეგება ავტორის ნათქვამი: „აღუა მოყვლნაში უნდა იყოს და არა მისგან მოწყვე-

¹ იხ. А. Введенский, Логика, 1910, 16.

ტილად", „სამკეთებელი საერთოდ (ე. ი. ზოგადი ცნება ან ზოგადი იდეა სამკეთებლისა. ს. ლ.) დაბატულ სამკეთებელში (ე. ი. ფიზიკურ საგანში ს. ლ.) არის" (83). წიგითხავს ამის მოწმედ და უმკველად დაიბნევა. პართლაც, როდესაც ჩვენ ვთქვით, რომ იდეა ან ცნება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ცნობიერებაში, მაშინ ჩვენ პარტო იმ პირობის ქვეშ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რღვა არსებობს მოვლენაში (ე. ი. ფიზიკურ საგანში), თუ ჩვენ ეს მოვლენა (ე. ი. ფიზიკური საგანი, ფიზიკური სინამდვილე) ჩვენი ცნობიერების ფუნქციად გამოვაცხადებთ. მაგრამ ეს ხომ აშკარა იდეალიზმია. ავტორს კი განზრახული ჰქონდა დაეწერა ფორმალური ლოგიკის ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც მატერიალისტურ თეოსაზრისს არ გაეთმვებოდა. რა გამოდის? გამოდის ის, რომ განზრახვა და ამ განზრახვის შესრულება დასცილდნენ ერთმანეთს, და ავტორი მოექცა შინაგან წინააღმდეგობაში, რაც მას, ცხადია, არ მოუედიოდა, რომ უფრო საფუძვლიანად და ზუსტად დაემუშავებია თავისი წიგნი.

შე-3 გვერდზე ავტორი წერს: „ყოველი მსჯელობა გამოითქმის წინადადების სახით“. აქაც არ არის დაცული საჭირო სიზუსტე. ვინაიდან მსჯელობა შეიძლება არ იყოს წინადადების სახით გამოთქმული. ცხოვრებაში ჩვენ გვეძლევა უთვალავი რიცხვი ისეთი მსჯელობებისა, რომლებსაც წინადადების სახე არ აქვთ, მაგრამ ისინი მაინც მსჯელობებია. აი, მაგალითად, მატარებელი უახლოვდება სადგურს, სემფორი კი ჩამოშვებულია. რა არის ეს? ეს არის მსჯე-

ლობა: „გზა არ არის თავისუფალიო“. მაგრამ ეს მსჯელობა არ იყო ხომ წინადადებით გამოთქმული. — არამცთუ ყოველ მსჯელობას გამოითქმის წინადადებით, არამედ ისეთათა, შემთხვევა, როდესაც მსჯელობა გამოითქმის წინადადებით. ვფიქრობთ, რომ ავტორმაც იცის ეს კარგად, მაგრამ სინტაზის გამო ცნურ დაცვა სახელმძღვანელოსათვის საჭირო სიზუსტე.

წიგნში ბევრია ასეთი არა-ზუსტი გამოთქმები: „წარმოდგენა საგნის არსებას არ გამოხატავს" (მემის აზრით, საგნის წარმოდგენა საგნის არსებას ყოველთვის გამოხატავს, თორღნ არა მდენიერული სიზუსტით. ს. ლ.), „წარმოდგენა ზუსტი შემეცნებისათვის არ გამოდგება" (42), „ცოდნა მხოლოდ მსჯელობაშია" (90), „ცნებები ცოდნას არ შეიცავენ" (თუ ცნება ცოდნას არ შეიცავს, მაშინ როგორ შეიძლება ავტორის მზგავსად ითქვან, რომ „ცნება ასახავს სინამდვილეს"? ს. ლ.) — ყველა ეს და მრავალი სხვა ასეთი წინადადება, რომელიც გვხვდება წინამდებარე წიგნში, მოითხოვენ დაზუსტებას. თუ გვინდა, რომ მოწამყვენს მივაწოდოთ ჭეშმარიტად მეცნიერული ცოდნა ლოგიკისა.

ზედმეტად იმაზე ღაბარაკი, რომ ლოგიკის სახელმძღვანელოს უნაკლო კურსის დაწერა შეუძლებელი საქმეა, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ცოტა იყოს ეს ნაკლი. ამისათვის კი საჭიროა მოვისმინოთ ჩვენი ნაშრომის შესახებ გამოთქმული შენიშვნები, ვინაიდან ამის გარეშე წინსვლა შეუძლებელია.

პროფ. ს. დანელია.

მწ. ანტონატაბრონი — „შიო მღვიმელი". საბლიტბაში, 1947 წელი

ვრ. ასტეციატროვმა თავის საკმაოდ ვრცელ მონოგრაფიაში — „შიო მღვიმელი", სრულად წარმოვედიგნა ამ დიდი ქართული საბავშვო პოეტის ცხოვრება და შემოქმედება. მონოგრაფიის ავტორი განსაკუთრებით ფართოდ იხილავს შიო მღვიმელის პოეზიის იდეურ და მორალურ აღმზრდელობით მნიშვნელობას. მისი შემოქმედების მხატვრულ თავისებურებას, სტილს.

შიო მღვიმელის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ „მან გამოიმუშავა საბავშვო ლირიკული ლექსის ფორმა, ბავშვის ბუნებასთან შეფარებული ეპური თბრობის თავისებურება". მისი „მხატვრული შედარებები სადაა და არასოდეს არ სცილდებათ ბავშვი-

სათვის ცნობილ საგნებს მოვლენებს". შიო მღვიმელის ლექსი უაღრესად პოეტურია ამავე დროს — ძარღვიანი, ლაღი და ხალისიანი.

შიო მღვიმელის „...გამოჩენამდე ჩვენში არ არსებობდა ნამდვილი საბავშვო პოეზია, შიომ დასაწყისი მისცა ამ უკანასკნელს და მისი ჭეშმარიტი კლასიკოსი შეიქმნა". (გვ. 31).

მონოგრაფიაში განსაკუთრებით საინტერესოა და გარკვეული შიო მღვიმელის პედაგოგიური შეხედულებები. პოეტის შემოქმედების ანალიზის საფუძველზე ავტორი დაასკვნის, რომ იგი დიდი ქართველი პედაგოგის — იაკობ გოგებაშვილის აღზრდის პრინციპების ნიადაგზე იდგა. შიო მღვიმელმა, რომლისთვისაც „ბავშვი იყო არა მხოლოდ მშობლიური სიყვარულის საგა-

ნი, არამედ შემოქმედებითი შთავგონების წყაროდ", აკობ გოგებაშვილის „ბავშვის სულის პარმონიული განათლების“ თეორიაში აღმოაჩინა „უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა და უპირველეს მოქალაქეობრივ მოვალეობად ბავშვს, მომავალი სასიკეთოდ ქართველის აღზრდა დასახა“. შიოს ლექსების შემოქმედების ძალა იმაშია, რომ ისანი აღმოცენებული არიან მოწინავე პედაგოგიურ იდეებზე და პედაგოგიურად გამართლებული არიან. ფართო იყო პოეტის მხატვრული ხილვის პოზიციონტი, შიოს მღვიმელი „ქმნიდა თოვალს და დინამიურ სუვერეტებს“, რომლებიც თავიანთი შინაარსით ხელს უწყობენ ბავშვის სრულყოფილ აღზრდას. შიოს მღვიმელმა, რომელსაც ღრმად ჰქონდა შეგნებული მხატვრული სიტყვის მნიშვნელობა ბავშვის აღზრდის საქმეში, კარგად იცოდა, რომ ბავშვი სახეებით უფრო აზროვნებს, ვიდრე ლოგიკურად. ამიტომ იგი არ მსჯელობდა, მშრალ დასკვნებს არ იტყოდა. იგი ხატავდა „ისეთ მოქმედებობის სურათებს, რომლებსაც ბავშვები ადიდლად შეიცნობენ“. შიოს მღვიმელს „თანდათან გადაყავს შვითხველი ბავშვი სახეებით აზროვნებიდან ლოგიკურ შეცნობაზე, ცნობილიდან — ნაკლებად ცნობილზე, მარტივიდან რთულზე“. (გვ. 37)

ამრიგად ერ. ასტეცატუროვი გვიჩვენა, რომ შიოს მღვიმელი იყო მოაზროვნე მხატვარი და მოქალაქეობრივი შეზღუდულების გამომხატველი საბავშვო ლიტერატურაში.

ამის შემდეგ ერ. ასტეცატუროვი ვრცლად არკვევს იმ ძირითად — იდეურ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ შიოს მღვიმელის პოეზიის აზრს. შიოს მღვიმელის პოეზიის ძვირფას ელემენტს შეადგენს პატრიოტიზმი და პე-მინიზმი. შიოს მღვიმელისათვის, როგორც პე-მინისტრი პოეტისათვის, „მთავარი მიზანი იყო ბავშვში გამოთქვია კეთილი გრძნობა: მიდრეკილება სიკეთისაკენ“. შიოს მღვიმელის მორალი ბრმა მორჩილებს არ ქნადავბდა. შიოს მღვიმელის ლექსები დამოძიებული არ არის მძაფრი სოციალური მომენტებით, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს იგი გვერდს უვლიდა მათ. შიოს მღვიმელი ნორჩ თობაში ობლებსა და ღარიბებისადმი სიყვარულსა და თანაგრძნობას ნერგავდა. მაგალითად, ისეთი ლექსები, როგორიცაა „ობოლი“ და „დედა კახას უკრავდა“ დიდ ზეგავლენას ახდენენ ბავშვის გონებაზე და ხელს უწყობენ მის სულიერ განვითარებას. მთელი რიგი ლექსების ანალიზის შედეგად ერ. ასტეცატუროვი დასკვნის, რომ „არ არის სწორი, როცა ფიქრობენ თითქოს შიოს მღვიმელი აბსოლუტურად გვერდს უვლიდეს აბსოლუტული მღელვარე სოციალური და

პოლიტიკური პრობლემების გრძელებს ბავშვისათვის“. (გვ. 43).

შიოს მღვიმელს მცირე დროს მხოლოდ „სწავლის ბავშვების ყურადღება რომ მხატვრული მხატვრული შინაარსითა და ცხოველთა სამყაროს. შიოს ლექსებშია მათი ცხოვრება ნაწევრება იმგვარად, რომ ბავშვი მასში ადიდლად აღმოაჩენს კეთილსა და ბოროტს, დადებითსა და უარყოფითს, ცუდსა და კარგს.

შიოს მღვიმელი თავის შემოქმედებაში დიდი ადგილი უთმობს შეგობრობისა და სიყვითის გრძნობას. მწერლისათვის „შობილიური საყვარული, ძმობა, მეგობრობა, სიკეთე — ერთი დიდი ადამიანური გრძნობის განუყრელი ნაწილებია“. პოეტი, რომელიც თანდათანობით აცნობს ბავშვს თავის დროის საზოგადოებაში წამოზრდილ სოციალურ საკითხებს და ადამიანთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელ მოვლენებს, „არ იფარგლება მხოლოდ კარგი მკვლევების ჩვენებით. შიოს მღვიმელი ზნობად ჰქმნის კონტრასტებს, რათა უფრო მკაფიო და ვასაგები გახდეს ნორჩი მკითხველისათვის ბოროტი და კეთილი, კარგი და ცუდი“ პოეტის დიდი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ უმაღავს ბავშვს ბოროტის არსებობას ცხოვრებაში. იგი უჩვენებს ბავშვებს, რომ კეთილი ადამიანების გვერდით არსებობენ ეგონისტები, ზნეობრივად დაცემული და ბოროტი ადამიანები და აძლევენ ამ ადამიანებს. მთელი რიგი ლექსები, რომლებიც აგებული არიან ამ მოტივებზე დიდი აღმზრდელობითი ხასიათისა არიან.

მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობა აღზრდისა და განათლების საქმეში განულომე-ლია. მხატვრული ლიტერატურა შიოს მღვიმელის აზრით „არა მარტო ვინებრივად ამაღლებს, არამედ ზნეობრივად, ასპეტაკებს და მოქალაქეობრივად ზრდის ბავშვს“. ბავშვი ბუნებით არ იბადება ბოროტი ან კეთილი. ოჯახი, სკოლა, წრე, სოციალური გარემო მოქმედებს მის ხასიათის, შეხედულებების ფორმირებაში. სახეებით მართებული ის მოსაზრება, რომ „საბავშვო მწერლობა — პედაგოგიური მწერლობაა ამ სიტყვის კეთილშობილური გაგებით“. საბავშვო მხატვრული ნაწარმოების ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ბავშვის იდეურ და მორალურ აღზრდას. ამას საბავშვო ნაწარმოები მხოლოდ მაშინ აღწევს, როცა ის მხატვრულად დაბეჭეულია, გასაგებია და იდეურად და პედაგოგიურად გამართულია.

შიოს მღვიმელი ეცოუვის სწორედ ისეთ დიდ საბავშვო მწერალთა რიცხს, რომელიც უპირველეს მოთხოვნილებად აყენებდა საბავშვო ნაწარმოების იდეურ და მხატვრულ სრულყოფი-

ლობას, თემატიკის შრავალფეროვნებასა და აქტუალობას. ამით აიხსნება, რომ შიოს პოეზიაში მთავარი ადგილი უჭირავს თანამედროვე თემებს, თვით ისტორიული და ზღაპრული თემებიც „შინაგანი სენტენციებით გათანამედროვებდნენ არიან, ეჭმარებიან ეპოქის მიზნებსა და აღზრდის ამოცანებს“.

შიოს შრავალფეროვანი და სიციცხლის აზრის გამომხატველი ლექსები უსაზღვროდ აყვარებდა ბავშვებს თავის მხარეს. პოეტი მოხერხებულად აქსოვდა ბავშვში თავისუფალი ცხოვრებისადმი მისწრაფებას. შიო მღვიმელმა, როგორც დღმა საბავშვო მწერალმა, იცოდა, რომ „ბავშვის იდეური, პოლიტიკური აღზრდა უაღრესად ფაქიზი საქმეა“. ამიტომ იგი ბავშვებს პირველად თავის ქვეყნის ბუნებაზე ელაპარაკებოდა, აყვარებდა ბუნებას და ბუნებასთან ერთად თავის საკუთარ მხარეს: „ბავშვში საშობლოს სიყვარულის შეგრძნობა, — წერს ერ. ასტავაძე-ტროვი, — იწყება თავისი სოფლისა და მისი შიდამოების სიყვარულით. მისთვის ჰერტისა და საყვარელი ჯერ თავისი სოფელი, მისი გარემო: ლაშაში ბაღები, მდინარეები, მინდვრები, მთები და ტყეები, შემდეგ კი მთლიანად საშობლო. ბავშვი, რომელსაც აქვს თავისი კუთხის სილაშაზისა და „უპირატესობის“ შეგრძნობა, ადვილად შეიგრძნობს შემდეგში საშობლოს სიყვარულის ძალას“. ავტორმა ნათლად გვიჩვენა თუ როგორ აღწევდა შ. მღვიმელი თავისი ლექსებით დასახულ მიზნების განხორციელებას — ბავშვში პატრიოტული შეგნების გამომუშავებას.

შიო მღვიმელი არ გუფთვონდა ისეთ მწერალთა რიცხვს, რომლებიც „ძველთა დიდებას“ მისტიროდნენ. იგი მომავლისაკენ იფურცებოდა და უაღრესად ოპტიმისტი პოეტი იყო. მართალია მის აქვს ისეთი ლექსები, რომელიც ისტორიულ თემაზეა დაწერილი, მაგრამ ეს ლექსები სიმტიკის მოშკივი და თავის დროისათვის მეტად საჭირო იყვნენ, რადგან ისინი ხელს უწყობდნენ ქართველთა სულის დავაყვების. შიო მღვიმელი საშინელ ტყვილეებს განიდიდა იმის გამო, რომ შუფის ხელისუფლება დევნიდა მის ენას, ავიწროებდა და აუტანელ მდგომარეობაში აყენებდა მშრომელ ხალხს. პოეტი ხედავდა სოციალურ და პოლიტიკურ

უსამართლობას, ეროვნულ ჩაგვრას, მაგრამ იგი როგორც მოქალაქე ეროვნულ პეშანისშით შეიზღუდა და საზოგადოებრივ ცხოვრების გარდაქმნის ძველ თეორიებს უარს ეტყობოდა. მართალია შიო მღვიმელი, ახალ ეპოქაში ცხოვრობდა, — პოლიტიკური და კლასობრივი ზრძოლის ეპოქაში, მაგრამ კლასობრივ ზრძოლას არ თანაუგრძნობდა, მრ იყო მომზრე კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვევებისა“ (გვ. 102).

შ. მღვიმელის პოლიტიკურ მსაფლმხედველობას თუ რა ნიდაკი ასაზრდოვებდა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, რომელსაც მოზუცი მწერალი აღფრთოვანებით შეზვდა, სარეცენზოი წიგნში საკმარისად კარგად არის ნაჩვენები.

მონოგრაფიაში შ. მღვიმელის პეშანიზმს და პატრიოტიზმს მოქებნილი აქვს ფესვები და მასთან ერთად ნათლად არის გაშქქებული პოეტის იდეოლოგიური საბუ. ამასთან დავაუშირებით უნდა აღინიშნოს, რომ აეტორი სწორად მოიქცეოდა (ამით მონოგრაფია საგრძნობლად მოიგებდა), რომ მწერლის პატრიოტული ლექსების კონკრეტულ მაგალითებზე უფრო სრულად ეჩვენებია ის არსებითი, თვისობრივი განსხვავება, რომელიც არსებობს ძველსა და ახალ საბჭოთა პატრიოტიზმს შორის.

სარეცენზოი წიგნში განხილულია მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ორგანულად დაკავშირებული არიან შიო მღვიმელის შემოქმედებასთან. მაგალითად, თუ რა ადგილი უკავია შიო მღვიმელის შემოქმედებაში ბუნებას, თუ როგორ ზატავდა პოეტი ხვეწ ბუნებას და რა მნიშვნელობას აძლევდა იგი მის საბავშვო პოეზიაში, — ფართოდ არის ნაჩვენები.

არ არის შიო მღვიმელის შემოქმედებაში არც ერთი პატარა თუ დიდი საკითხი, რომლის ანალიზისათვის მნიშვნელოვანი ადგილი არ დაეთმოს აეტორს თავის მონოგრაფიაში.

ერ. ასტავაძე-ტროვის მონოგრაფია — „შიო მღვიმელი“, ერთ-ერთი სერიაზული ხასიათის შრომაა, რომელიც სრულად ასახავს დიდი ქართველი საბავშვო პოეტის ცხოვრებას და შემოქმედებას.

ზლ. ჯიზუბი.



პ. ლანდია „სამეურნეო გამოანგარიშება და კალკულაციური წესები“

გეგმვით

სარეცენზო წიგნის სათაური მდარია.

სამეურნეო გამოანგარიშება გულისხმობს მეურნეობაში ყოველგვარ ანგარიშის მიზნის შესწავლას. კალკულაცია კი სამეურნეო გამოანგარიშების ერთ-ერთი ქვეთემაა. თუ წიგნის სათაურად დავაწერთ სამეურნეო გამოანგარიშებს, ის მთლიანად ამოსწორავს მის შინაარსს კალკულაციის ჩათვლით და ზედმეტად „და კალკულაცია“-ს მიწერა. ასეთი ორ სახელიანი სათაური გულისხმობს თითქოს ცნება კალკულაცია ანგარიშის მიზნის არ ეხებოდეს. სათაური „სამეურნეო გამოანგარიშება და კალკულაცია“ ისე გამოდის, თითქოს ისინი მონათესავე საგნებია იყოს. 251 გვერდზე თვითონ ავტორი აღიარებს — კალკულაცია გამოანგარიშება არის. ვასაკვირია, რატომ ასე დაასათაურა ავტორმა თავისი წიგნი?

პროცენტების ახსნას იწყებს იგი 133 გვერდიდან და წერს: — რომელიმე რიცხვის პროცენტი, ამ რიცხვის მესამე ნაწილს ნიშნავს. სიტყვა პროცენტი აღნიშნავს %, მრავლობითი %%. რიცხვიდან შეიძლება ავიღოთ 1%, 2%, 3%, 4%, და ა. შ., ე. ი. 1/100 ნაწილი. 2/100, 3/100, 4/100-ი. შესტად ამ 3% სტრუქტურის შემდეგ 16 ასათაურებს: პროცენტები. პროცენტი და რიცხვი, და იწყებს ცალკეულად ახსნას თითქოს პროპორციული წესით; სინამდვილეში არც პროპორციის გავს და არც ერთეულზე დაყვანის წესს. მართალია განვარჩევა სწორია, მაგრამ ძალიან უხერხული მიდგომაა, ის იწყებს უხელოვანებას, ვერ იძლევა მხატვრულ შთაბეჭდილებას — ვერ არკვევს ტერმინებს და შემდეგ 16 ასათაურებად მრავლად ზედმეტი და გართულებულია, მაშინ, როდესაც წყაროები რომლითაც ავტორი სარგებლობდა, სრულად გარკვეულ მასალას იძლევა. გადაკეთება ნიშნავს უკეთესად გამოთქმას და თუ ასეთი არ ხერხდება, მაშინ ძველს მაინც არ უნდა შეეცვალოს სახე. უნდა დაეწყო შემდგენად: პროცენტი რიცხვის მესამედი ნაწილია. პროცენტი იანგარიშება ასეა. პროცენტის გამოსანგარიშებლად მოცემული რიცხვი უნდა გავყოთ ასზე და გავამრავლოთ პროცენტების რაოდენობაზე. უნდა მივცეთ მარტივი ციფრული მაგალითები, შემდეგ უნდა გავკეთოთ პირობითი ნიშნები და ავხსნათ ტერმინები. მაგრამ პროცენტი და პროცენტები ტერმინად არ გამოდგებიან. წიგნში არის ადგილები, სადაც ავტორი თვითონვე ვერ ერკვევა თავის ტერმინებში და იშველიებს სხვა ტერმინებს

(ნახი — ჯამი), რაც არ აქვს ახსნილი. ლიტერატურა კი გარკვეულად ასახელებს პროცენტების ტერმინებს და საჭირო იყო მათი გამოყენება თუ უკეთეს ვერ შეეგმინილით, მაგალითად: რასაც ავტორი პროცენტს უწოდებს ლიტერატურა აღნიშნავს მას — პროცენტის ნიხრად და პროცენტებს კი — პროცენტების ჯამად, და რიცხვს, რომლიდანაც პროცენტი უნდა იქნეს გამოანგარიშებული, — მრავლობის რიცხვს უწოდებენ.

ციფრული მაგალითი (133 გვ.) 5% 3500-დან შეუფერებელი მაგალითია. ამ მაგალითი იმდენად მარტივი უნდა იყოს, რომ მისი განვარჩევა მასწავლებელსაც და მოსწავლესაც უხერხულად უნდა შეეძლოს. მაგალითად, 5% 400-დან ამ ჩვენ ფორმულას უსწავლობთ და არა აბრეშტიკულ მოქმედებებს, რომ რთულ რიცხვებზე ვეგარჯიშოთ, ისიც პირველ ასახსნელ მაგალითში.

განვარჩევა იწყებს თითქოს პროპორციის წესით — შემდეგანაირად:

$$100 - 5 \text{ და შემდეგ, } x = \frac{3500 \cdot 5}{100} = 175$$

ამ პროპორციის წესი და ერთეულზე დაყვანის წესი არეულია ერთმანეთში. თუ კი ავტორმა შეფარდებები აღნიშნა, პროპორციაც უნდა შეედგინა და თუ შინადაშინა საჭიროდ მოხდა პროპორციის წესი, ბარემ დაესაბუთებია ამ წესით და შემდეგ შეივარ წესი — ერთეულზე დაყვანით, — კიდევ ცალკე იმგონება შთაბეჭდილების გასაშტრეკებლად. — უნდა აღნიშნოს ისიც რომ, პროცენტების გამოანგარიშებას პროპორციის წესით პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. პროცენტებს ყოველი სახის მეურნეობაში ერთეულზე დაყვანის წესით ანგარიშობენ, ე. ი. მოცემულ რიცხვს ყოფენ ასზე და ამრავლებენ პროცენტების რაოდენობაზე (ნახი). ავტორმა კი თითქოს ორივე წესი გააერთიანა და შთაბეჭდილება შეამცირა რთული მაგალითით — მიზანს ვერ მიადგია.

შეორე მაგალითში (133 გვ.) ისევ რთულ რიცხვებს აძლევს: 3% 25125 მან. და ჯამში უწერია 75375 ნაცვლად 753,75 — შეცდომა რა თქმა უნდა კორექტურულია, მაგრამ რთული რიცხვებით არის გამოყვეული, რაც შეთოდური სისუსტის შედეგია. ამ დარღვეულია პედაგოგიური პრინციპი: გადასვლები ადვილია ძნელზე და მარტივიდან რთულზე.

134 გვერდზე წილაღიან ნიხრზე, როგორც არის 3,5%; 4,5% 7,5%, იყენებს, ყოვლად უჭრებულად იტალიურ წესს და ინგარიშობს შემდეგნაირად: მაგალითი მესამე — 2,75% 5000-დან.

1%	50,00
3%	100
0,25%	25
0,25%	12,50
2,75	137,50 = 8. 137,50

რაც ჩვეულებრივი წესით გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$\frac{5000 \cdot 272}{100 \cdot 100} = 137,5$$

იტალიური წესის ამ სახით გამოყენება სრულიად უაზროა და ანტიპედაგოგიურია. ავტორი ვერც ამ ახსნას აძლევს შესაფერ განმარტებას. უაზრობაა აგრეთვე 138 გვ. ბალანსის სექციის მოთავსება, როგორც ნაადრევი არ გამოიყენება.

135 გვ. ზემოდან მეხუთე სტრუქტონზე შეუძნაბამოდა გამოთქმული მაგალითი: 200% მიხსალებად რიცხვი 200 = 2 რიცხვს. შეც-

$$\frac{200}{100}$$

დომა არის. უნდა იყოს — უდრის გაორკაცებულ რიცხვს და არა ორ რიცხვს. გაანგარიშების შედეგად ორი რიცხვი არასოდეს არ მიიღება.

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ აქ პროცენტები არ არის ახსნილი გასაგებად. სასუბრო კი ბევრია. ამ წიგნიდან შემსწავლელი თუ რამეს ინსტიტუტურად ვიკვებს, თორემ მეთოდისტიკის ბელოვნება არსად სხანს, ყოველივე ბუნდოვანი და განუმარტავია. გასაყვრია ისიც, რომ ავტორი მაგალითად და ამოცანას ერთმანეთისაგან ვერ არჩევს და ყველა სავარჯიშო ციფრულ მასალას ამოცანის უწოდებს. იხ. 128 გვ. და სხვებიც. 130 გვ. კი თავისებური ამოცანების ადგილზე პასუხი უწერია და პასუხის მაგივრად კი ამოცანები.

ბევრია უაზრო და ულოლოკ გამოთქმები. მაგალითად 150 — 164 გვ. პირველივე წინა დაუბებით აქმობს: გამოიყვანათ ზოგადი ფორმულა და ხელ სტრუქტონზე მსჯელობას აბოლოებს პროცენტის ჯამის პირობითი ნიშნების შემდეგი ფორმულით:
$$II = \frac{ent}{100}$$
 ამ ფორმულას კირდენა შედგენა და არა გამოანგარიშება. გამოანგარიშება მხოლოდ ფორმულაში ჩასმული ციფრული გამოსახულება ე. ი. მას შემდეგ, რაც ფორმულა რიცხვებშია გამოსახული. ასეთ რიცხვებს კი ავტორი არ იძლევა.

150 გვ. პროცენტების ჯამის გამოანგარიშებას შეუძნაბამო ტერმინებით სწერს შემდეგნაირად:

„მაშასადამე რომ გამოიყვანათ მოთა ჩამდენიმე წლის ვადით გააცემული სპროცენტო...ჯამი. თანხა უნდა გავამრავლოთ. პროცენტო...წერტილი და წლების რიცხვზე ზოლო მიღებული ნაწარმოები გავეყო ასზე“. აქ მივაქციოთ ყურადღება შემდეგ სიტყვებს — „რომ გვიანგარიშით გაცემული საპროცენტო ჯამი“. სად არის ლოგია, რას გვია გაცემული პროცენტის ჯამის განანგარიშება ფული ჯერ გაიცემა და შემდეგ გაიანგარიშება რამდენი უნდა გაციმულყო თუ პირიქით-ჯერ გაიანგარიშება და შემდეგ გაიცემა. ეს შეცდომა შემთხვევითი როდია! ამასვე წერს 151 გვერდზედაც თვეებში პროცენტების ჯამის გამოანგარიშებისას, მაგალითად: „ამ ნაირად, რომ გვიანგარიშით ერთი ან რამდენიმე თვის ვადით გაიცემული საპროცენტო თანხა, თანხა, უნდა გავამრავლოთ %-ის ნიხრზე და თვეების რიცხვზე (უნდა იყოს რაოდენობაზე), ზოლო მიღებული ნაწარმი გავყოთ 100-ზე და 12-ზე“. ამ დაცენას ავტორი ლებულობს უკვე შედგენილი ნიხრის შემდეგი ფორმულით:
$$II = \frac{ent}{100 \cdot 12}$$

არც ერთ შემთხვევაში სიტყვა გაცემული არ უნდა იყოს და არც საპროცენტო თანხა — არამედ პროცენტების ჯამი. აგრეთვე არ შეიძლება პირობითი ნიშნების ფორმულაში ჩაიწეროს 12 ან 30. ეს რიცხვები ჩაიწერება მხოლოდ ფორმულის მნიშვნელობაში.

152 გვ. პირველ მაგალითში დაშვებულია მცდარი გამოთქმა მაგალითად: სწერს „15 ფენის უნდა გამოიყვანოთ 15 მარტი“ არასოდეს 15 ფენის 15 მარტი არ გამოიყვლება, მათ შორის კი დღეების რაოდენობა გვიანგარიშება და გამოითქმება: ზოლო თარიღს გამოიყვლოთ წინა თარიღი. უაზრობაა დაშვებული თვით რიცხვების შერჩევაშიც, რიცხვები სხვადასხვა უნდა იყოს და არა ერთნაირი (15).

154 გვერდზე სწერს: თანხა გავამრავლოთ დროზე და გავყოთ 100-ზე ე. ი.
$$\frac{ent}{100}$$

წყოდება „საპროცენტო რიცხვი“ და აღნიშნავს პირობითი ნიშანს % % -N. აქ ბუნდოვანებას აქვს ადგილი მისი გაერცხლებული სახელი არის „პროცენტის ნომერი და პირობითი ნიშანი აღნიშნება მხოლოდითი რიცხვში და არა მრავლობითში (%N და არა % %N), სხვა სახელის დაჩვენება იწვევს არეულობას და არის ადგილი სადაც თვითონაც ავტორი პროცენტის ნომერს უწოდებს (იხ. ბელენკიდან 75,86 და ახალი გამოცემის 85 გვერდები).

155 გვ; სრულ უაზრობას აქვს ადგილი. პირველ მაგალითში ანგარიშობს პროცენტების

ჯამს მუდმივი გამოყოფით 45000 მანეთიდან 8% 90 დღეში და ლაპარაკობს ფორმულაში ჩასმის შემდეგ მივიღებთო და ფორმულას არ უწერს (უნდა კი იყოს $\frac{a \cdot N}{d}$) და მნიშვნელობას აფორმებს შემდეგნაირად:

$$\Pi = \frac{45000 \cdot 8 \cdot 90}{36000} = \frac{450 \cdot 90}{45} = 900 \text{ მან.}$$

უნდა იყოს კი: $\Pi = \frac{\% N}{d} = \frac{45000 \cdot 90}{100 \cdot 45} = 900 \text{ მან.}$

ყურადღება უნდა მიიქცეს იმას, რომ თუ პროცენტის ნომერი (% N) არის რიცხვი გაყოფილი ასზე და გამრავლებული დროზე, მაშინ პროცენტის ნომრის მნიშვნელობაში ნიხრის (8) შეტანა პრიცხველში და მნიშვნელში სრული შეუსაბამობაა. შედეგის სისწორე გამოწვეულია იმით, რომ ნიხრმა (8-ში) პრიცხველში და მნიშვნელშიც ერთმანეთი გააბათილეს ეს არის რიცხვების შეჩვენა და არა ლოგიკური სისწორე. ასევე ითქვამს მუდმივ გამოყოფადაც: თუ მუდმივი გამოყოფი (d) არის 360 გაყოფილი ნიხრზე, მაშინ სრული უზრობაა 36000 გაყოფა 100-ზე და 8-ზე (ნიხრზე) აქ მარტო 360:8 = 45 და ეს არის რვის მუდმივი გამოყოფი და პრიცხველში და მნიშვნელში მისი (8) შეტანა უბრალო შეჩვენაა რიცხვების და არა ლოგიკური სისწორე.

ასევე ლოგიკურად დაუსაბუთებელი გამოთქმებით და მოქმედებებით ხსნის თანხის, % ნიხრის და დროს გამოანგარიშებს. მაგალითად 165 — 166 გვ. თანხის გამოსაანგარიშებლად ჯერ სწერს Π ფორმულას ე. ი. $\Pi = \frac{\text{ent}}{100}$, შემდეგ ამბობს გავამრავლოთ შედეგარღებების ორივე ნაწილი ა. შ. უნდა გავყოთ nt. და არა ხსნის თუ რა საჭიროებით არის გამოწვეული შეფარდებათა ნაწილების ასზე გამრავლება ან მათი nt-ზე გაყოფა. ამით საერთო გაუგებარე და ბუნდოვანა ე. ი. თემა ახსნილი ვერ არის. ამ ფორმულას $\Pi = \frac{\text{ent}}{100}$ ჩვეულებრივად მნიშვნელობაში ჩასმენ და ასებზე ორც ერთ მის ნაწილს არ ამრავლებენ. შედეგი მათ გარეშეც სწორად მიიღება ერთეულზე დაყვანის წესით, ავტორი კი აქაც რიცხვების შერჩევას აწარმოებს, რაც საჭირო არ არის.

ასე რომ წინა რომელ გვერდზედაც უნდა ვადაშალით, აუცილებლად რაიმე შეცდომას წააწყდებით ან მეთოდურს, ან ენის სისუსტის საფუძველზე ან პრინციპალურ გადახრებს, რაც საყვებით ცვლის აზრს და შინაარსს:

მაგალითად: 173, 181, 182, 183 გვერდებზე მოთავსებული ტექსტებში: პირველი თანხის დროს ნაცვლად წერია — პირველი თანხის პირველი დრო, მეორე თანხის დროს ნაცვლად — მეორე თანხის მეორე დრო და ა. შ.

143 გვ. ავტორი წერს: დაწვებით თანხას რომ მიუმატოთ პროცენტი მიიღება ნახარდი თანხაო, ხოლო თუ პროცენტი გამოყავილით მივიღებთ ნამცირ თანხასო. აქ დაშვებულია თითქოს პატარა შეცდომა, რომელიც ცნებას საყვებით ცვლის და სრულიად აბათილებს ე. ი. პატარა შეცდომამ დიდი უარყოფითი და პრინციპალური შედეგი გამოიწვია. მიზეზი ავტორისგან შედგენილ ტერმინების აღრევა-გადასვლა 137 გვ. პროცენტების ახსნის დროს პროცენტი აღინიშნა % ამ პირობითი ნიშნით და უწოდა მას პროცენტი. პროცენტებად კი აღიარა % ეს პირობითი ნიშანი და უწოდა მას პროცენტები. რუსული ტერმინოლოგია და ჩვენც მის ვთვლით არა პროცენტებად, არამედ პროცენტების გახად (და % — პროცენტის ნიხრად). აქედან, ავტორის ტერმინით რომ დაწვებით თანხას მიუმატოთ პროცენტი (და არა პროცენტები), მაშინ მიიღება სულ სხვა რამ ვიდრე ეს ავტორს უნდა. და თუ მიუმატებთ მისივე გამოთქმით პროცენტებს მხოლოდ მაშინ მიიღება ის რაც ავტორს უნდა (ნახარდი რიცხვი) მაგალითად პირველი გამოთქმით 800-დან 5 % იგულისხმება 800 + 5 = 805, მაგრამ 800-დან 5 % თუ მიუმატებთ მაშინ იქნება $\frac{800 \cdot 5}{100} = 40$ და ეს 40, რომ 800 მიუმატოთ მივიღებთ 840 ((ნახარდ რიცხვს), ეტორი კი ამას გულისხმობს და დაუკვირვებელი გამოთქმით 840 ნაცვლად მიიღებს 800 + 5 = 805. ასევე გაზიდის ნამცირ რიცხვზედაც 800 — 40 = 760, ის კი მისი გამოთქმის საფუძველზე მიიღებს 800 — 5 = 795, რაც მის მიმართულებას ძირფესვიანად ცვლის იმ ტექსტებში გამოთქმული უნდა იყოს — საწყის რიცხვს მიუმატოს პროცენტები (ავტორის სტილით). ჩვენ კი ვაშბობთ პროცენტების ჯამი და მეორე შემთხვევაში — საწყის რიცხვს უნდა გამოაკლდეს პროცენტები. (პროცენტების ჯამი).

აღვნი აქვს ტერმინების აღრევის, რუსულიდან ცუდათ თარგმნას. მაგალითად 16 გვ. ხმარებული სიტყვა-წილადი და თწილადი (ქვემოდან 3 და 4 სტრიქ.) მხოლოდ 133 გვ. ხმარობს ტერმინს ნაწევარს (ქვემოდან 5 და 20 გვ.), 133 გვ. ხმარობს სიტყვებს — პროცენტები, პროცენტი და რიცხვი. 149 გვ. კი საპროცენტო ჯამი, ნიხრი, ყოველივე ესენი რუსული ტერმინების მახინჯად თარგმნის

შედგება რუსულიდან процентная сумма უნდა ითარგმნოს როგორც პროცენტების ჯამი და არა როგორც პროცენტები, ან სპროცენტო ჯამი. процентная такса უნდა ითარგმნოს პროცენტის ნიხრად და არა როგორც პროცენტი ან მარტო ნიხრი.

ფულის სისტემებს მის საეკონომიკურ საფუძვლებს და მათი საერსო სისტემების მერყეობის მიზეზებს ავტორი ვერდს უვლის, მხოლოდ ხატავს ფულებს და ფასიან ქალღლებს და ათავსებს შედარებით ცხრილებს და თარგმანში უშუალოდ შეცდომებს. მაგალითად 31 გვ. სწერს: თურქული პისტი=40 პარამო. აგრეთვე 35—48 გვ., თარგმნის: იუგოსლავიის დინარი, უდრის 100 პარამო. ავტორს ეს სიტყვა ნათარგმნი აქვს. რუსული გამოთქმა (динар = 100 парам. ქართულად ეს არის ფრა და უნდა იწეროს: უდრის 100 ფრას და არა პარამო. ამ სიტყვის ხმარობდნენ ევროპეშიდაც. ქართველს ამის გაგება უნდა შესაძლებელია.

კოლმურწილობაში შრომაღლებების გამოსაზღვარიშებლად ავტორს 101—104 გვ. შეტანილი აქვს თავის წიგნში უკვე უარყოფილი და გაუქმებული ნეიმულერის ცხრილი მიუხედავად იმისა, რომ ამაზე მითითება ჰქონდა თავის დროზე. ახლახან ცენტეს ხმარებულ ცხრილს კი გვერდი აუარა.

რაც შეეხება კალენლაციათ, ჩვენ მას დეტალურად არ შევხებით. ის გარეგნულადაც რომ გასინჯოთ, აუცილებლად შეამჩნევთ, რომ ტექნიკურობისა და უმაღლეს სასწავლებლებს სტუდენტთათვის დიდად გაზვიადებულია ის არ არის დაუსტებელი არც ერთ სასწავლო დარგის პროგრამებთან. დაწერილია ზოგადად განუსაზღვრელი მოცულობით ის რაც მერად საჭიროა ჩვენი სასოფლო მეურნეობისათვის: სასოფლო-სამეურნეო კალენლაცია მეცხოველეობის, მემცენარეობის და კალენლაცია სუპოთა მეურნეობებში, გვერდებზეა.

ასე რომ, როგორც აღვნიშნეთ წიგნში დაშვებულია ბევრი შეცდომა მწიგნობარულ, ენის მხრივად, მეთოდურად და მისწავლავს არც ერთ სასწავლო დარგის პროგრამას ის ატარებს გაურკვეველ სახეს. გაურკვეველია რა არის დაწერილი და ვისთვის არის დაწერილი, ე. ი. დაწერილია რაღაცა ვილაციებისათვის, ისიც უთვალავი შეცდომებით და მახინჯი ტერმინებით, რომელშიდაც თვით ავტორიც ვერ გარკვეულა. წიგნს არ ატყვია ხელი რეცენზენტის და რედაქტორისა. ამ სახით ის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, პირიქით ხელს უშლის ყველა შესწავლავს. ასეთ დედანს რეცენზენტი ან დაიწუნებს მთლიანად, ან მიუთითებს შეცდომებზე და რედაქტორს საფუძვლიანად გადაამუშავებს, მაგრამ სამწუხაროდ ეს შვი კი არა, არამედ უკვე დაბეჭდილი წიგნია და მისი გადაკეთება შეუძლებელია.

წიგნის რედაქტორად გამოცხადებულია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი კაკაბაძე. წინასიტყვაობას ხელს აწერს მ. ყორიკაშვილი. წიგნი მიძღვნილია ს. მ. ყორიკაშვილის საჭარბოვან შრომის წითელი დროის ორდენის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არსებობის 25 წ. თავისათვის. ამავე დროს ხელთა გვაქვს პროფესორ ფილოიანის 1947 წ. 19 ივლისის „Заря Востока“-ში მოთავსებული წერილი „Ценный вклад в экономическую литературу Советской Грузии“.

ჩვენ მ. ლანდას შეზღოვებების შექებისათვის არავის დაეკმდებოთ, მაგრამ გაზვიადებული გამოთქმა, როგორც არის „Ценный вклад в экон. литературу“ შეცდომად მიგვაჩნია, ისიც რუსულ პრესაში. რადგან პროფესორი ფილოიანი ქართული ენის არ მოცუნი.

ბ. ხურჩია.

3260 8 826.

29
КНИЖНАЯ ПЛАТА
УПРАВЛЕНИЕ ГРАЖДАНСКИМ
1.12.55



04905041
003-1110333



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ